ISSN—0132—6058

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-1
1986/2

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

4. 1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1986, № 4

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი
ТБИЛИСИ

4. 1986

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ო. გივინეიშვილი, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა (*რედაქტორის მოადგილე*), რ. კიკნაძე (*რედაქტორის მოადგილე*), გ. მელიქიშვილი (*რედაქტორი*), ა. რობაქიძე, გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М Апакидзе, В. В. Беридзе, В. Д. Итонишвили, О. И. Гигинейшвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*), Г. А. Меликишвили (*редактор*), А. И. Робакидзе, Л. А. Чилашвили, Г. С. Читая.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 26.IX.86; ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.XII.86;
ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; პირობ. ნაბეჭდი 16,1
პირ. სალ. გატარება 16,5; საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,4;

უე 04842; შეკ. 2994; ტირაჟი 950;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

წერილები

პ. ჩიქოვანი, პროფესიონალი რევოლუციონერი, მტკიცე ლენინელი (გ. კ. ორჯონიკიძის 100 წლისთავი) 5
ლ. მგალობლიშვილი, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში ქართული მეცნიერების როლის ამაღლების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ეტაპის შესახებ 17
მ. ინაძე, სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში 33

ცნობები და შენიშვნები

მ. ქიქოძე, ვახტანგ VI-ის დროინდელი ქართლის მოხელეთა საკითხისათვის . 55
მ. ფუტკარაძე, „ლეკიანობა“ და აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფია 72
მ. ჩიქობავა, აბუ-ლ ყასემ აბდოლაჰ ქაშანი და მისი ტრაქტატი ძვირფას ქვათა და კეთილსურნელოვან ნივთიერებათა შესახებ 85
ნ. კაპანაძე, ხალხური აღზრდის სისტემა დასავლეთ საქართველოში . . 90
ვ. ფაშუკაძე, „სტრაბონის „გეოგრაფიის“ ერთი ტერმინის მნიშვნელობის დაზუსტებისათვის 104
გ. აბალიშვილი, ქართველი ტომების სოციალური სტრუქტურისათვის პალეომეტალის ხანაში 110
თ. ფალი, სოფ. ბენისის წმ. გიორგის ეკლესია 119

დისკუსია და განხილვა

ი. შაიშმელაშვილი, აზეული, კოკრის ციხე, აგარანი 137

საისტორიო მეცნიერების მოღვაწენი

გ. არახამია, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი (ს. კაკაბაძის დაბადების 100 წლისთავი) 156
ვ. გურგენიძე, ისტორიკოსი გიორგი ბოჭორიძე 161

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გ. ბრეგაძე, კ. ჩარკვიანი, განცდილი და ნააზრევი 168
ვ. ვინოგრადოვი, ს. დუდარევი, ვ. კოტოვიჩი, ძველი დაღესტნის მოსახლეობის კულტურულ-ისტორიული და სამეურნეო განვითარების პრობლემები . . . 171

ქრონიკა და ინფორმაცია

მ. მარსაგიშვილი, სამეცნიერო სესია წყაროთმცოდნეობის აქტუალურ პრობლემებზე 178
გიორგი ჩიტაია (ნეკროლოგი) 182
ახალი წიგნები 184

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

П. К. ЧИКОВАНИ, Революционер-профессионал, стойкий ленинец (100-летие со дня рождения Г. К. Орджоникидзе) 5
Л. И. МГАЛОБЛИШВИЛИ, О некоторых важных этапах повышения роли грузинской науки в ускорении научно-технического прогресса . . . 17
М. П. ИНАДЗЕ, Храмовые центры древней Колхиды . . . 33

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

М. Г. КИКОДЗЕ, К вопросу чиновничьего аппарата в Картли периода Вахтанга VI 55
М. Я. ПУТКАРАДЗЕ, «Лекианоба» и политическая география Восточной Грузии 72
М. Г. ЧИКОБАВА, Абу-л-Касем Абдоллах Кашани и его трактат о драгоценных камнях и благовониях 85
Н. Л. КАПАНАДЗЕ, Система народного воспитания в Западной Грузии . 90
В. В. БАШАКИДЗЕ, К уточнению значения одного термина в «Географии» Страбона 104
Г. Б. АВАЛИШВИЛИ, К вопросу о социальной структуре грузинских племен в эпоху палеометалла 110
Т. П. ДВАЛИ, Церковь св. Георгия в селе Бениси 119

ДИСКУССИИ И ОБСУЖДЕНИЯ

И. Д. ШАИШМЕЛАШВИЛИ, Азеула, Коджрис цихе, Агарани . . . 137

ДЕЯТЕЛИ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ

Г. М. АРАХАМИЯ, Видный грузинский ученый (к 100-летию со дня рождения профессора С. Н. Какабадзе) 156
В. М. ГУРГЕНИДЗЕ, Историк Г. Т. Бочоридзе 161

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. В. БРЕГАДЗЕ, К. Н. Чарквиани, Размышления о пережитом . . . 168
В. Б. ВИНОГРАДОВ, С. Л. ДУДАРЕВ, Котович В. Г., Проблемы культурно-исторического и хозяйственного развития населения древнего Дагестана 171

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

М. В. МАРСАГИШВИЛИ, Научная сессия, посвященная актуальным проблемам источниковедения 178
Г. С. ЧИТАЯ, (Некролог) 182
Новые книги 184

ეროვნული ბიბლიოთეკა

18.287

პაატა ჩიქოვანი

პროფესიონალური რევოლუციონერი, მტკიცე ლენინელი

(გ. კ. ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავი)

გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე იყო ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფე და უახლოესი თანამებრძოლი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, რომელმაც მთელი თავისი შესანიშნავი ცხოვრება მთლიანად მოახმარა მშრომელთა განთავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლის საქმეს.

სერგო ორჯონიკიძემ, როგორც პროფესიონალმა რევოლუციონერმა, ბოლშევიკური პარტიის რიგებში განვლო მეტად დიდი და ძნელი გზა, და ყოველთვის, ყველგან, ყოველ საქმეში იგი იყო გაბედული და პრინციპული, დიდი გაქანებისა და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული მუშაკი, ლენინური იდეებისათვის თადადებული და დაუღალავი მებრძოლი.

ვ. ი. ლენინი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იცნობდა სერგოს, იგი თავის ამხანაგად და პირად მეგობრად მიაჩნდა, თელიდა მას „უადერესად ერთგულ და უადერესად საქმიან რევოლუციონერად“, პარტიის ერთ-ერთ გამოჩენილ მშენებლად.

პარტიის მშენებლობის გადამწყვეტ მომენტებში, ჩვენი ქვეყნის სამხედრო თავდაცვის ძნელ პერიოდში, სოციალისტური სახალხო მეურნეობის მშენებლობის მშვიდობიან, მაგრამ მეტად რთულ პირობებში, სერგო ყოველთვის მტკიცედ იდგა ლენინის პოზიციებზე, თავისი დაუცხრომელი შრომითა და ბრძოლით იმსახურებდა მთელი პარტიისა და მშრომელი მასების პატივისცემასა და სიყვარულს.

ორჯონიკიძე დაიბადა 1886 წლის 28 ოქტომბერს (ძალი სტილით) ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფელ ღორეშაში.

ხარაგოულის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1900 წელს შემოდგომაზე ბიძაშვილმა ტარასი ორჯონიკიძემ და ნათესავმა პავლე მაჭავარიანმა სერგო თბილისში ჩამოიყვანეს და 1901 წელს მიაბარეს მიხაილ-სამხრეთლიანობისა და ერთგულებისა მიღებული იქნა სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობას ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდები შეადგენდნენ. მოსწავლეთა შორის ძლიერი იყო რევოლუციური განწყობილება, რასაც ხელს უწყობდა რუსეთისა და საქართველოს პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის მძლავრი აღმავლობის პერიოდი. პროლეტარიატის მოწინავე ნაწილი ლენინის ხელმძღვანელობით მებრძოლ რევოლუციურ პარტიად ერთიანდებოდა. სერგო როგორც ყველაზე აქტიური სტუდენტი, განსახიერება სამართლიანობისა და ერთგულებისა მიღებული იქნა სკოლის მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიულ წრეში. 1903 წლიდან იგი ხდება ამ წრის ხელმძღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი და თბილისის მოსწავლეთა ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული წრის წევრი.

1903 წელს 17 წლის ჭაბუკს სერგო ორჯონიკიძეს იღებენ რსდმ პარტიის წევრად და ამ დროიდან, მთელი მისი ცხოვრება განუყოფელადაა დაკავშირებული რევოლუციურ მუშათა მოძრაობასთან. მას უკვე კარგად ჰქონდა შეგნებული მისი მშფოთვარე, ფათერაკიანი, ხშირად სიკოცხლისათვის საშიში გზის არსი და უყოყმანოდ დადგა ლენინურ-ადამიანთა ბედნიერებისათვის ბრძოლის გზას. ამ გზის გავლა შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ გამბედულ, რკინის ნებისყოფიან, პრინციპულ, პარტიის იდეებისადმი უსაზღვრო რწმენით შეპყრობილ კაცს. ცხოვრება, რომელიც ყოველთვის გაიგიჟებული იყო სერგოსათვის სიტყვა ბრძოლაში, მოითხოვდა მისგან მრავალ მხრივ განათლებას, არალეგალური ცხოვრების წესების ცოდნას, იარაღის ხმარებას, კონსპირაციული ბინებისა და არალეგალური გამომცემლობების მოწყობას, მასებთან ორგანიზაციულ და აგიტატორულ მუშაობას.

სერგო ორჯონიკიძემ კონსპირაციული ბრძოლის მეთოდებისა და ფორმების შესწავლის დიდი სკოლა გაიარა. მისი მასწავლებელი იყო პროფესიონალი რევოლუციონერი კურნატოვსკი, რომელიც ახალი დაბრუნებული იყო გადასახლებიდან და ლენინის დავალებით საქართველოში, კერძოდ კი თბილისში ავრცელებდა ლენინის იდეებს და უზიარებდა თაყის რევოლუციურ პრაქტიკას ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატებს. კურნატოვსკი გადაქცა ორჯონიკიძის დამრიგებლად და მარქსისტურ-ლენინური თეორიის მასწავლებლად. მართალია მათი მეგობრობა ხანმოკლე გამოდგა, რადგან კურნატოვსკი მალე დაიპატიმრეს და გადასახლეს სხვა რევოლუციონერებთან ერთად, მაგრამ სერგომ მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში შეინახა პატივისცემისა და მადლიერების გრძნობა ამ დიდი რევოლუციონერის მიმართ. სამწუხაროდ, ასევე ხანმოკლე აღმოჩნდა ნაცნობობა ცნობილ ქართველ მარქსისტ-რევოლუციონერთან ლადო კეცხოველთან, რომელმაც აგრეთვე დიდი როლი შეასრულა სერგოს მარქსისტული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ამ პერიოდში იგი ეცნობა აგრეთვე დიდ რევოლუციონერ მარქსისტებს ი. ბ. სტალინს, მ. ცხაკაიას, ა. წულუკიძეს და სხვებს.

აღსანიშნავია მისი და ლეგენდარული კამოს (სიმონ არმაკიძის ძე ტერ-პეტროსიანის) გაცნობა და დამეგობრება, რომელიც კამოს ტრაგიკულ დასასრულამდე გაგრძელდა. კამო და სერგო ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ არალეგალურ სტამბაში, რომლის მუშაობაშიც ორივენი აქტიურად იყვნენ ჩაბმული. კონსპირაციის მიზნით მათ მხოლოდ ერთმანეთის პარტიული მეტსახელი იცოდნენ. კამო ასწავლიდა კონსპირაციის მეთოდებსა და ხერხებს, ფფრცლების გავრცელებას ისე, რომ პოლიციის ყურადღება არ მიექცია და ა. შ. ორივე ძალზე ენერგიული და თამამი რევოლუციონერი იყო. მათ საყვედურიც კი მიიღეს თბილისის არალეგალური კომიტეტისაგან, როდესაც მათ პროკლამაციის დასტა თეატრში წარმოდგენის დროს თაღში ესროლეს „პოლიციმეისტრს“ (მოახვედრეს მთავარსარდლის მოადგილეს) რასაკვირველია დიდხანს ასეთი სითამამე არ შერჩებოდათ და, მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ კამო დაიპატიმრეს ბათუმში 1903 წლის ნოემბერში. ხოლო შემდეგ ქ. გორის სადგურზე სერგოც. სერგოს უკვე კარგი სკოლა ჰქონდა გავლილი და იმდენად ნიჭიერად ითამაშა ახალგაზრდა, მეფის ერთგული ენაზაურის როლი, რომ დააჯერა თითქოს სხვისი მოწოდებული იყო ტვირთი ვაგონში ასატანად, რომელშიც თვითონ არც იცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რა იყო. მას დაუჯერეს მით უმეტეს, რომ მასზე ანდარმერიაში არავითარი „პირადი საქმე“ არ არსებობდა და გათავისუფლეს. თბილისის სასამართლო პალატის პროკურორმა დაწერა საქმეს „განთავისუფლებულია მცირეწლოვანების გამო“.

1905—1907 წლების რევოლუციაში სერგო ორჯონიკიძე გვევლინება უკვე ჩამოყალიბებულ პროფესიონალ-რევოლუციონერად, რომელსაც შეეძლო თეორიული ბრძოლა მარქსისტულ-ლენინური თეორიების დაცვა და სხვა ანტიმარქსისტების მხილება.

1905 წლის 9 იანვრის პეტერბურგის სისხლიანი ამბები რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისი გახდა, მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები და მღელვარება მთელ ქვეყანას მოედო. 18 იანვარს დაიწყო თბილისის მუშათა საყოველთაო გაფიცვა, რომელმაც სასწავლებლებიც მოიცვა. სერგოსა და მისი ამხანაგების ხელმძღვანელობით მოსწავლე ახალგაზრდობა აქტიურად ჩაება ამ გაფიცვაში. ამავე პერიოდში სერგო თბილისის საწარმოთა მუშებს შორის ეწევა ფართო აგიტაციას, ნიღაბს ხდის თბილისის მენშევიკური კომიტეტის მოღალატურ საქმიანობას, აქტიურად უჭირს მხარი რსდმპ კავკასიის კავშირის 1907 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებას, რომელითაც თბილისის მენშევიკური კომიტეტი დაშლილი იქნა და მის მაგივრად შეიქმნა ახალი ბოლშევიკური კომიტეტი.

სერგო ორჯონიკიძე ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა იმ გრანდიოზული მიტინგისა, რომელიც ჩაატარა თბილისის პროლეტარიატმა 1905 წლის 13 თებერვალს მეფის ხელისუფლების პროვოკაციული ცდების წინააღმდეგ — მოეწყო თბილისში სომეხ — თათართა ჟლეტა. მიტინგს, რომელიც გაიმართა ეანჭის ტაძრის გალავანსა და მის მიდამოებში, ესწრებოდა 8 ათასზე მეტი კაცი: ქართველები, სომხები, თათრები, რუსები, ებრაელები და სხვა. ბოლშევიკებმა მიტინგი მძლავრი დემონსტრაციად აქციეს და მის მონაწილეებში მასობრივად გავრცელეს რევოლუციური ფურცლები, მათ შორის ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაციები „გაუმარჯოს საერთაშორისო ძმობას“, „მოქალაქეებს, გაუმარჯოს წითელ დროშას“. სერგომ და კამომ იქვე გააკეთეს წითელი დროშა, რომელთაც დემონსტრანტებმა მოაწყვეს მსვლელობა გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) პროსპექტზე. ასე მხარდამხარ იწყებდნენ ახალგაზრდა რევოლუციონერი მარქსისტები ბრძოლას ბედნიერებისათვის. რამდენიმე წლის შემდეგ, ტრაგიკულად დაღუპული კამოს დაკრძალვაზე სერგომ აღნიშნა: „ძვირფასო კამო მე შენ 18 წლის წინ შეგხვდი, მაშინ ახალგაზრდა იყავი. შენ შენს მოვალეობად თვლიდი გაგემარტა ჩემთვის, როგორ გამმზადარიყავი ბოლშევიკი, როგორ მებრძოლა პროლეტარიატის ინტერესებისათვის“.

1905 წლის ივნისში სერგომ დაამთავრა საფერშლო სკოლა და გაემგზავრა თავის სოფელში. აქ იგი თავის მეგობარ ნოე ბუაჩიძესთან ერთად იწყებს გლეხების მომზადებას შეიარაღებული აჯანყებისათვის. 1905 წლისთვის სერგო მტკიცე ლენინელია. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სოფელ ღორეშასთან, მთაზე, გამართულ მიტინგზე მან იდეურად გაანადგურა ადგილობრივი მენშევიკები ჩიჩუა, მიქაძე და ქათამაძე, რომლებსაც სურდათ შეიარაღებული აჯანყებიდან ჩამოეცილებინათ გლეხობა. გლეხობამ მხარი დაუჭირა ბრძწინვალე ორატორს და იარაღით დამუქრებული მენშევიკები განაიარაღეს. ოქტომბერში იგი რსდმ პარტიის დავალებით გადადის სამუშაოდ გუდაუთაში და მუშაობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწყებს ადგილობრივ საავადმყოფოში. აქ იგი უკავშირდება გუდაუთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას და მალე მისი ხელმძღვანელი ხდება.

გუდაუთაში სერგოს ნაყოფიერ მუშაობაზე ნათლად მეტყველებს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის ერთ-ერთი მოხსენება. იგი წერდა, რომ 1905 წლის ნოემბერსა და დეკემბერში გუდაუთაში გაჩაღებულ რევოლუციურ მოძრაობაში სერგო ორჯონიკიძე „მეტად აქტიური მონაწილეობას იღებდა, წარმოთქვამდა სიტყვებს და მოიწოდებდა არსებული სახელმწიფო წყობილების დამხობისაკენ“[1].

გუდაუთაში მან თავი ისახელა არა მარტო როგორც ბრწყინვალე ორგანიზატორმა — (იარაღის ტრანსპორტირების და გლეხთა შეიარაღების), არამედ კვლავ დაამტკიცა ორატორული ხელოვნების ცოდნა და მასებს ნათლად განუმარტა ლენინური პოზიცია 17 ოქტომბრის მანიფესტის მიმართ. მან თავისი ერთ-ერთი გამოსვლა დაამთავრა — ძირს ნიკოლოზი!

შემდეგ, როცა სერგო გასასამართლეს აფხაზეთში რევოლუციური მუშაობის გამო, საბრალდებო აქტში მოყვანილი იყო მის მიერ 18 ნოემბერს მიტინგზე წარმოთქმული სიტყვის შინაარსი. ამ სასამართლო დოკუმენტში სერგოს შესახებ ნათქვამია: იგი საჯაროდ წარმოთქვამდა სიტყვებს, რომლებითაც განმარტავდა, რომ არსებული წყობილება არაფრად არ ვარგა, ყველაფერი ისე უნდა მოეწყოს, რომ არ გადავიხადოთ არავითარი გადასახადი, არ მივცეთ მთავრობას რეკრუტები, რომ საჭიროა პოლიციისა და ადმინისტრაციის მოსპობა, მიწის მთლიანად გაყოფა თანასწორად ყველას შორის, რომ ხალხი თავის თაყვანს უნდა განაგებდეს უმეფოდ, რომელიც არაფრად არ გვჭირდება და ხალხის პირველი მტერია. სიტყვა დაამთავრა — „ძირს ნიკოლოზ მეორე“[2].

1905 წლის 24 დეკემბერს საზღვარგარეთიდან მიღებული იარაღის გადმოტვირთვის დროს დაიპატიმრეს იგი. ხოსუმის ციხეში, სადაც 5 თვე იჯდა, ამზადებდა გაქცევას, მაგრამ გაუვდეს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ციხეში არეულობა დაიწყო, 1906 წ. 26 მაისს თავდებით გაანთავისუფლეს. პოლიციის დევნის გამო იგი მიემგზავრება ბერლინში, სადაც უკავშირდება ფილიპე მახარაძეს.

1907 წელს იგი სამუშაოდ იგზავნება ბაკოში, სადაც მიდის თბილისიდან მიხა ცხაკაიასა და შაუმიანის რეკომენდაციით, რადგან მისი საქართველოში დარჩენა ჟანდარმერიის დევნის გამო შეუძლებელი იყო. ბაკოში, მიუხედავად სტოლიპინის რეაქციისა, მიმდინარეობდა ბაკოს მუშათა კლასის ბრძოლა არსებული წყაროების წინააღმდეგ. მალე აქ ჩამოვიდნენ რევოლუციის თვალსაჩინო აიტორიტეტული მოღვაწენი ი. ბ. სტალინი და კ. ე. ვოროშილოვი. შეიქმნა მტკიცე ბოლშევიკური ბირთვი, რომელშიც სერგო ორჯონიკიძეც შედიოდა. იგი უაღრესად აქტიური რევოლუციური პროპაგანდისტად მუშაობას ეწეოდა ბაკოს პროლეტარიატში. 1907 წლის 1 მაისს გაფიცვის დროს იგი კვლავ დაუპატიმრეს. ისევ მისმა პიროვნულმა სიმტკიცემ და გამჭრიახობამ გადაარჩინა. მან დამალა თავისი გვარი და 26 დღის განმავლობაში მოახერხა დაერწმუნებინა ჟანდარმერია, რომ შემთხვევით მოყვა გაფიცულებში. იგი გაანთავისუფლეს. რეაქცია ძლიერდებოდა, მაგრამ ბოლშევიკი სერგო მუშაობას უფრო ენერგიულად ეწეოდა. 1907 წლის 4 ნოემბერს იგი კვლავ დაუპატიმრეს. მას სხვა ამხა-

---

1 ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, სერგო ორჯონიკიძე, 1956, გვ. 9.

2 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, სერგო ორჯონიკიძის პირადი ფონდი, საქმე 6, გვ. 2—3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგებთან ერთად არც ციხიდან შეუწყვეტია ბაქოს ბოლშევიკთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

1908 წლის 27 მარტს თბილისის სასამართლო პალატის განსაკუთრებულმა საკრებულომ ბაქოში გასამართლა სერგო. მას მიუსაჯა ციმბირში სამუდამო გადასახლება ყველა უფლების ჩამოთვლილვით.. საბრალდებულო დასკვნაში ნათქვამი იყო: „ქუთაისის გუბერნის აზნაურს გიორგო კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძეს, 21 წლისა, ბრალად ედება, რომ იგი 1907 წელს ბაქოში გახდა მონაწილე გაერთიანებისა, რომელიც თავის თავს უწოდებდა „რსდმპ ბაქოს ორგანიზაციას“. ბრალდებისათვის წინასწარ ცნობილი იყო ამ გაერთიანების მოქმედების მიზანი. წოდებათა მოსპობა რუსეთში, მუდმივი ჯარის შეცვლა საყოველთაო შეიარაღებით, საეკლესიო, სამონასტრო, საუფლისწულო, საკაბინეტო და კერძო მფლობელური მიწების კონფისკაცია. ამასთან იგი, როგორც ამ საზოგადოების წევრი, წერდა მოწოდებებს აღნიშნული საზოგადოების სახელით, მონაწილეობას იღებდა პარტიულ სხდომების მუშაობაში, თავის განკარგულებაში ჰქონდა მოწოდებები, რომლებიც განკუთვნილი იყო მხოლოდ პარტიის წევრებისათვის“[3].

1908—1909 წლებში მან „შემოიარა“ ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის ციხეები და 1909 წლის თებერვალში გადაგზავნეს ენისეის გუბერნის პინჩუგის თემის სოფელ პოტისკუიში. დაპატიმრების შემდეგ ერთი წუთითაც არ დაუკარგავს მხნეობა, არ განელებია რევოლუციური სულისკვეთება. გადასახლებაში მყოფი ადამიანები გოიცებით იხსენებენ, „იგი ყველაზე მეიმე და ადამიანსათვის დამამცირებელ გარემოებაშიც კი ახერხებდა ხუმრობას, რომ ამხანაგები გაემხნევებინაო“[4].

ორჯონიკიძემ გადასახლებაში მთელი ცხოვრების მაგვარად მხოლოდ 2 თვე დაჰყო. იგი იქაც არ წყვეტდა რევოლუციურ მოღვაწეობას და გაქცევა მოაწყო, საშიშროებისდა მიუხედავად კვლავ ბაქოში ბრუნდება, ეს პერიოდი განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ცხოვრებიდან. 1909 წლის ნოემბერში ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია ითვალისწინებს რა მის გამოცდილებას პარტიული ბრძოლისა და შეიარაღების ორგანიზაციაში სერგოს აგზავნიან ირანში, სადაც რუსეთის რევოლუციის ნაპერწკალმა დემოკრატიული რევოლუციის ხანძარი აგიზგიზა. ირანში ორჯონიკიძე ხელმძღვანელობს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნას, ახალგაზრდა ირანელთა რევოლუციური აღზრდის საქმეს. მისი ინიციატივით რეშტსა და ენზელში შეიქმნა ე. წ. ინტერნაციონალური კლუბები, სადაც ტარდებოდა კრებები, რევოლუციონერთა შეხვედრები. მოჰქონდათ რევოლუციური ლიტერატურა რუსეთიდან და ევროპიდან, ბოლშევიკური პრესის გასაძლიერებლად ეწყობოდა ფასიანი ლექციები და საღამოები. ამ კლუბებში ხშირად გამოდიოდა სერგო ორჯონიკიძე, რომელიც მოუთხრობდა მსმენელებს 1905 წლის რევოლუციაზე, მუშათა ამოცანებზე რევოლუციაში, განუმარტავდა მუშათა და გლეხთა კავშირის აუცილებლობას. სერგო ირანელ მოსახლეობაში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. „მას „მუშტეხილს“ ეძახდნენ, რაც ნიშნავს ყველაფრის მცოდნეს — წმინდას“[5]. ირანში მუშაობის დროს მას სისტემატური კავშირი ჰქონდა

3 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 31, საქმე 306, ფურც. 1.

4 ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, სერგო ორჯონიკიძე, გვ. 15.

5 იქვე, გვ. 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინთან და ბაქოელ ბოლშევიკებთან. იგი ხელმძღვანელობდა ირანის გზით არალეგალური ლიტერატურის შეგზავნას რუსეთის ცენტრალურ რაიონებში.

სერგო იყო ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი, რომელთა საშუალებით ამ პერიოდში ვ. ი. ლენინს კავშირი ჰქონდა რუსეთის რევოლუციურ მასებთან. 1910 წელს იგი ბრუნდება ბაქოში, ხოლო ერთ წლის დეკემბერში მიემგზავრება პარიზში ლენინთან, რათა მოეთხოვა ახერბაიჯანსა და ირანში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. პარიზში მარი-როზას ქუჩაზე მოხდა სერგო ორჯონიკიძისა და ლენინის შეხვედრა. სერგოსთან პირველ შეხვედრას ნ. კ. კრუპსკაია იხსენებს: — ერთ დროს დიასახლისი მეუბნება: „მოვიდა ვიღაც კაცი, ერთ სიტყვასაც არ ამბობს ფრანგულად, ალბათ თქვენთან არისო! მე ჩაედი კიბეზე და დავინახე კავკასიელი, რომელსაც აქამდე არ ვიცნობდი. იგი იდგა და მთელი სახით იღიმებოდა. ეს იყო სერგო. მას შემდეგ იგი ყველაზე ახლობელი ამხანაგი გახდა“[6].

ლენინის ინიციატივით პარიზიდან 18 კილომეტრის დაშორებით, დაბა ლონჟიუმოში, მოეწყო პარტიული სკოლა, სადაც სერგო ორჯონიკიძეც ისმენდა ლენინის ლექციებს სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის, პოლიტიკური ეკონომიის, აგრარული საკითხისა და სხვათა შესახებ. მას შემდეგ რაც სერგომ აიმაღლა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, სკოლაში სწავლის დროს, ლენინის მიერ იგი გაგზავნილი იქნა რუსეთში, მეტად პასუხისმგებელი ამოცანის განსახორციელებლად — საერთო პარტიული კონფერენციის მოწვევის მოსამზადებლად, რაც ორჯონიკიძემ ბრწყინვალედ შეასრულა. მისი დაფიცალაი მუშაობის შედეგად პეტერბურგის, კიევის, ბაქოს, თბილისის და სხვა პარტიულმა ორგანიზაციებმა მოიწონეს კონფერენციის მოწვევის იდეა. შემდომ როდესაც პრაღის პარტიულ კონფერენციაზე 1912 წლის 18 იანვარს პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ს. ორჯონიკიძის მოხსენება კონფერენციის მომწვევი რუსეთის ორგანიზაციული კომისიის მუშაობის შესახებ, კონფერენციამ მაღალი შეფასება მისცა კომისიის მუშაობას. მისმა ორგანიზატორულმა ნიჭმა, რევოლუციური ბრძოლის უდიდესმა პრაქტიკამ მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ხაზის გამტარებელი თეორეტიკოს-აგიტატორის დიდმა ავტორიტეტმა, მისმა აქტიურმა მუშაობამ პრაღის კონფერენციაზე (იგი მონაწილეობას ღებულობდა თითქმის ყველა საკითხის განხილვაში) განაპირობა სერგო ორჯონიკიძის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში არჩევა, აგრეთვე იგი გახდა რუსეთში რევოლუციური მუშაობის ხელმძღვანელობის პრაქტიკული ცენტრის წევრი.

კონფერენციის დამთავრებისთანავე სერგო გამოემგზავრა რუსეთში, სადაც გამოდიოდა მოხსენებებით კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესახებ და მისი ნათელი გონებისა და ორატორული ნიჭის მეშვეობით რაზმადდა პარტიულ ორგანიზაციებს ამ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის საბრძოლველად.

ს. ორჯონიკიძემ შემოიარა მთელი რიგი ქალაქები და შემდეგ გაემგზავრა მოსკოვს, აქედან პეტერბურგს. მეფის ოხრანკამ პროვოკატორების მეშვეობით მიაგნო ს. ორჯონიკიძის კვალს, 1912 წლის 27 აპრილს იგი დააპატიმრეს. 9 ოქტომბერს პეტერბურგის საოლქო სასამართლომ სერგო ორჯონიკიძეს რევოლუციური მუშაობისა და გადასახლებიდან გამოქცევისათვის მიუსაჯა სამი

---

6 ნ. კ. კრუპსკაია, მოგონებები ლენინზე, გვ. 177.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლით კატორღა და სასჯელის მოხდის შემდეგ სამუდამო გადასახლება ციმბირში.

1912 წლის ოქტომბრიდან 1915 წლის ოქტომბრამდე სერგო შლისენბურგის ციხეში ჰყავდათ. როგორც ზინაიდა ორჯონიკიძე, მისი ცხოვრების ერთგული მეგობარი და მეუღლე იხსენებს თავის წიგნში — „ბოლშევიკის გზა“ — ციხე მისთვის მეორე უნივერსიტეტი ყოფილა. ეს სამი წელი მისთვის შეუპოვარი თეორიული სწავლისა და შემდგომ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის მზადების წლები იყო. მიუხედავად უსასტიკესი რეჟიმისა, განსაკუთრებით პოლიტიკური პატიმრობის მიმართ, იგი მაინც ახერხებდა არა მარტო რევოლუციური მოღვაწეობის გაგრძელებას, არამედ თვითგანათლებასაც ხარბად ეწაფებოდა. მან შეძლო ციხეში წაეკითხა მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწარმოებები, ბეჯითად შეესწავლა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ნაშრომები.

1915 წლის ოქტომბერში ორჯონიკიძე ციმბირის პატიმრების გვამებით მოფენილ გზას გაუყენეს. დასახლების ადგილად მას ამჯერად მიუჩინეს ყველაზე შორეული, ყველაზე მკაცრი ჩრდილოეთის ზონა — იაკუტის ოლქი. რვა თვეზე მეტ ხანს მიჰყავდათ პატიმარი ეტაპებით. ეს გრძელი გზა სერგომ ამჯერად ფეხებში ბორკილგაყრილმა გაიარა. მხოლოდ 1916 წლის ივნისში ჩაალწია ეტაპმა იაკუტიას. სერგო საცხოვრებლად გაამწესეს სოფელ პოკროსკოეში, რომელიც 90 ვერსით არის დაშორებული იაკუტსკს. ამ სოფლის საავადმყოფოში მან ფერშლად დაიწყო მუშაობა. მანძილის სიშორე ვერ უშლიდა ხელს სერგოს ცოცხალ კავშირი ჰქონოდა იაკუტსკში მყოფ გადასახლებულებთან და გაეგრძელებინა ბრძოლა არსებული წყობილების მიმართ. „სერგოს ჩამოსვლას, — წერდა ე. იაროსლავსკი, — ჩვენთვის, იაკუტსკში (გადასახლებულთა თვის, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს ზეიმი იყო. ჩვენმა დიდმა ნაწილმა, რომელმაც ამ წლებში კატეგორიაში დაჰყო, ძალიან ცოტა რამ იცოდა შინაპარტიული ცხოვრების მოვლენათა იმ პერიოდზე, როცა ჩვენი პარტია აღადგენდა თავის ორგანიზაციებს, აღადგენდა პარტიულ ცენტრებს. სერგო ორჯონიკიძემ გაგვაცნო ჩვენი იაკუტსკში გადასახლებულთა, შინაპარტიული ცხოვრების ამბები. მან თან ჩამოიტანა არა მარტო დიდი რევოლუციური გამოცდილება, — მან გადასახლებაში მოიტანა ცხოვრების სიხალისის დაუშრეტელი წყარო“[7].

აქვე გაიცნო მან ძალგაზრდა მასწავლებელი ქალი ზინაიდა პავლეცკაია, რომელიც მისი მეუღლე გახდა. და რომლის მოგონებასაც ჩვენს სტატიაში ასე ხშირად ვეყრდნობით.

სერგომ 1917 წლის გაზაფხულამდე დაჰყო პოკროსკოეში. პოკროსკოეში მისი სამუშაო დღეები ძალზე გადატვირთული იყო: მრავალგზის გასვლები ავადმყოფებთან, საუბრები და ცხარე კამათი ამხანაგებთან, აქტიური საგაზეთ-ციო მუშაობა ადგილობრივ მოსახლეობაში და ა. შ. მარტში კი იაკუტსკამდე მიაღწია ცნობამ პეტროგრადში რევოლუციისა და ნიკოლოზის ტახტიდან ჩამოგდების შესახებ. სერგოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მან მიიღო დაშიფრული დეპეშა „შეხვედრა დედასთან ნებადართულია“. რაც ნიშნავდა პეტროგრადში რევოლუციის დაწყებას. ბრძოლა გრძელდებოდა, ეს არ იყო დასასრული. მტკიცე ლენინელმა კარგად იცოდა რევოლუციის საბოლოო მიზანი, ამიტომ ბას ჯერ იაკუტსკში მოუხდა მენშევიკებთან და ესერებთან შე-

---

7ე. მ. იაროსლავსკი, სერგოს ხსოვნას, ჟურნ. „ბეზბოჟნიკა“, 1937 წ. № 3, გვ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაკება, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ რევოლუციურ ღონისძიებათა გატარებას. აღსანიშნავია, რომ იაკუტსკში მან ჩაატარა ღარიბ იაკუტელთა ყრილობა, მას იაკუტსკში დიდი ორგანიზაციულ — პროპაგანდისტული მუშაობის ჩატარება მოუხდა.

1917 წლის 23 მაისს სერგომ დატოვა მეფის ხელისუფლების მიერ მისთვის მიჩნეული მუდმივი გადასახლების ადგილი და გაემგზავრა რევოლუციის „აკვანში“ პეტროგრადში. ჩასვლისთანავე, პირველსავე დღეებში სერგო ხვდება ლენინს, სტალინს, ჯაფარიძეს, სვერდლოვსა და სხვა ამხანაგებს. მას გზავნიან პარტიულ სამუშაოზე ნარვის რაიონში, სადაც დედაქალაქის ბევრი უმსხვილესი საწარმო იყო მოთავსებული. მალე იგი ლენინის წინადადებით შეიყვანილ იქნა რსდმპ (ბ) პეტერბურგის კომიტეტისა და პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის შემადგენლობაში. 1917 წლის ივლისის ამბების შემდეგ ლენინი იძულებული იყო იტალკქვეშეთში გადასულიყო. ცენტრალურმა კომიტეტმა სერგო ორჯონიკიძეს მისცა უადრესად საპასუხისმგებლო დავალება — კავშირი ცენტრალურ კომიტეტსა და ილიჩს შორის.

ვიბორგის რაიონში, სადაც არალეგალურად ჩატარდა პარტიის VI ყრილობა სერგო ორჯონიკიძე (მანდატის № 37) აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის მომზადებასა და ჩატარებაში, იგი ყრილობაზე გამოვიდა ლენინის სასამართლოში გამოცხადების საკითხთან დაკავშირებით: — „მათთვის მთავარია, — ამბობდა სერგო დროებითი მთავრობის მისამართით, — რაც შეიძლება მეტი ბელადები გამოსტაცონ რევოლუციურ პარტიას. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცეთ ამხანაგი ლენინი“[8]. ეს იყო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების ყრილობა.

სერგო ორჯონიკიძემ უადრესად აქტიური როლი შეასრულა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში. იგი პირისპირ ხვდებოდა კონტრრევოლუციური მთავრობის შეკრებილ ძალებს, აწყობდა მათ დეზორგანიზაციას, რევოლუციის მხარეზე გადმოჰყავდა ჯარის ნაწილები. მან მოახერხა კრასნოვის კონტრრევოლუციური ჯარის მთელი რიგი ნაწილების გადმობირება. იგი ყველაზე რთულ მომენტებში არ კარგავდა წონასწორობას და თავისი დაუშრეტელი ენერგიითა და რწმენით კომუნისტური იდეალებით აღფრთოვანებდა წითელარმიელებს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით სერგო ხელმძღვანელობდა სოფლიო, საარმიო და საფრონტო ყრილობებს, არა ერთხელ თავმჯდომარეობდა პეტროგრადის კომიტეტის სხდომებს, სადაც იცავდა და ატარებდა ლენინურ ხაზს ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში. როგორც მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში, ასევე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როდესაც ყველაზე მწვავედ იდგა რევოლუციის მონაპოვრის შენარჩუნების საკითხი ამ დაუღალავ მებრძოლ ლენინი და პარტია აგზავნის ბრძოლის ყველაზე პასუხსაგებ უბანზე — უკრაინაში, სადაც დთპარეშობენ: კალედინის რაზმები, ნაციონალისტური — „უკრაინის რადა“, გარშემოერტყა ოკუპანტების და სხვა კიდევ ვინ მოთვლის რამდენი სხვადასხვა ჯურის მტრები. ომით განადგურებული მეურნეობის პირობებში მას მოუხდა საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზება, და რაც პეტროგრადის მუშათა კლასისათვის ყველაზე აუცილებელი პროდუქტის — პურის მიწოდება, რომელიც 1918 წლის იანვარში წყვეტდა ბოლშევიკური პეტროგრადის არსებობის საკითხს.

8 რსდმპ VI ყრილობის ოქმები, გვ. 32.

ვ. ი. ლენინი 1918 წლის 28 იანვარს ხარკოვში სერგოსათვის გაგზავნილ დეპეშაში წერდა: „ღვთის გულისათვის, მიიღეთ უაღრესად ენერგიული და რევოლუციური ზომები, რათა გამოაგზავნონ პური, პური და პური, თორმეტ პიტერი შიმშილით ამოწყდება. საჭიროა განსაკუთრებული მატარებლები და რაზმები. მოგრავება და ჩაყრა. მატარებლებს გამცილებლები ჰყავდეთ. ცნობები ყოველდღიურად მოგვაწოდეთ, ღვთის გულისათვის. ლენინი“[9]. ს. ორჯონიკიძე ამ მძიმე მდგომარეობაში ახერხებს პეტროგრადის სურათით უზრუნველყოფას.

1918 წლის აპრილში სახკომსაბჭომ მიღო გადაწყვეტილება სამხრეთის რაიონის დროებითი საგანგებო კომისარიატის შექმნის შესახებ. კომისარიატს დაეკისრა კონტროლი ყველა საბჭოთა დაწესებულებების მოქმედებაზე დონის, ყირიმის, ჩრდილოეთ ოსეთის მთელ ტერიტორიაზე ბაქოს ჩათვლით კომისარიატის ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელობა სერგოს დაეკალა, სადაც პირნათლად შეასრულა დავალება რევოლუციის ერთგულმა შვილმა.

1918—1819 წლებში სერგო ორჯონიკიძე სათავეში ჩაუდგა ჩრდილო კავკასიის ხალხის ბრძოლას შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. „ლენინურ კომისარს“ ეძახდნენ მას თერგზე. ერთ-ერთი ყველაზე რთული იყო სწორი ლენინური ეროვნული პოლიტიკის გატარება ამ მრავალეროვან მხარეში, რასაც ინტერნაციონალისტმა ბოლშევიკმა სერგომ ბრწყინვალედ გაართვა თავი.

თერგზეც ყოველ ფეხის ნაბიჯზე სიკვდილთან თამაში უწევდა. მან თვითონ უხელმძღვანელა კონტრრევოლუციონერი ბიჩერახოვის მიერ ალყაშემორტყმულ თერგის ოლქის ხალხთა VI ყრილობის დაცვას. შემდეგ უფრო მრისხანე მტერი დენიკინი გამოჩნდა, რომელიც ზვავით დაეწვა მეთერთმეტე არმიას. ვლადიკავკაზის დაცემის შემდეგ უკანდახევის დროს მთის აუღებზე გავლისას, ორჯონიკიძე აღადგენდა პარტიზანულ რაზმებს მთლიელებისაგან. საბრძოლო სულს უნერგავდა მათ.

1919 წელს იგი მეუღლესთან, ფილიპე მახარაძესა და სხვა მეგობრებთან ერთად ჩამოდის თბილისში, სადაც არალეგალურად ცხოვრობს ძველ მეგობართან და თანამებრძოლთან კამოსთან, შემდეგ სხვა ამხანაგებთან. თბილისიდან ბაქოსა და ასტრახანის გავლით მიემართება მოსკოვში. მთელი ეს მგზავრობა დაძაბული რევოლუციური მუშაობა იყო იგი ქმნის მენშევიკების, მუსავატელების თუ სხვა მტრების მიერ დაპატიმრების საშიშროებას. ბაქოში, ა. მიქოიანთან ერთად, რომელიც აქ დახვდა, მონაწილეობს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ფართო პარტიულ თათბირში, სადაც დაისახა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გეგმა. ხოლო ასტრახანში პირველად შეხვდა ს. მ. კიროვს, შემდგომში მის უახლოეს მეგობარს.

1919 წლი 10 ივლისს სერგო ჩადის მოსკოვში.

1919 წლის 15 ივლისს ს. ორჯონიკიძე ინიშნება დასავლეთის XVI არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრად და მიემგზავრება ბელორუსიაში, სადაც კვლავ ისახელებს თავს მამაცობით და სამხედრო საქმის ცოდნით.

5 ოქტომბერს, რევოლუციის დაცვის ყველაზე კრიტიკულ ფრონტზე, კვლავ დენიკინის წინააღმდეგ XIV არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრად გადაჰყავთ, სადაც მისმა ნიჭმა და ორგანიზატორულმა ტალანტმა დიდი როლი შეასრულა დენიკინის განადგურებაში.

1920 წლის 4 თებერვალს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილე-

[9] Ленинский сборник, XXXIV გვ. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით ჩამოყალიბდა ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენითი ცენტრი, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა სერგო, ხოლო მის მოადგილედ ს. მ. კიროვი. ამ ორი დიდი ადამიანის და სხვა გამოჩენილი საბჭოთა მხედართმთავრების მეშვეობით ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებმა დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. ორჯონიკიძე უდიდესშებს ლენინს: „...ჩრდილოეთ კავკასიის განთავისუფლება უკვე მომხდარი ფაქტია. ჩრდილო კავკასიის ხალხები გამსჭვალულნი არიან საბჭოთა ხელისუფლების ძლევამოსილების სრული შეგნებით და მისდამი უსაზღვრო ნდობით“. წინ ამიერკავკასიის რესპუბლიკები იყო.

30 აპრილს განთავისუფლებულ ბაქოში ჩავიდნენ ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი. მათ მიქოიანთან ერთად დაიწყეს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება.

29 ნოემბერს დაემხო დაშნაკური ხელისუფლება. სომეხი მუშათა კლასი აღფრთოვანებით შეხვდა გამანთავისუფლებელ მე-11 არმიას, რომელიც მათ დასახმარებლად ს. ორჯონიკიძემ დასძრა.

1921 წლის თებერვალში საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მუშები და გლეხები აჯანყდნენ მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ. შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომლის მოწვევითაც მშრომელთა დასახმარებლად მოვიდა XI არმია ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის მეთაურობით. 1921 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. იმავე დღეს სერგომ ლენინსა და სტალინს გაუგზავნა დეპეშა: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!!“

საბჭოთა მთავრობამ და პარტიამ ღირსეულად დააფასეს სერგო ორჯონიკიძის უდიდესი დამსახურება სამოქალაქო ომში, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1921 წლის 19 მაისის დადგენილებით სერგო ორჯონიკიძე დაჯილდოებული იქნა წითელი დროშის საბრძოლო ორდენით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დამთავრდა ამიერკავკასიის განთავისუფლება და სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც ასეთი დიდი მუშაობა გასწია ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, სამუშაოდ გაიგზავნა ამიერკავკასიის პიუროს ხელმძღვანელად, ხოლო შემდეგ პარტიის ამიერკავკასიის სამხედრო კომიტეტის მდივნად.

მთავრდება სამოქალაქო ომი. მთავრდება შეიარაღებული ბრძოლები საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან, ოპოზიციებთან. ს. ორჯონიკიძე კონფერენციებზე, შეხვედრებზე, ყრილობებზე მჩქეფარე ენერგიით გამოდის ლენინური ხაზის გამტარებლად, საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმის მშენებლობის გაშლილ ფრონტზე კვლავ მოწინავე პოზიციებზეა, ყველაზე რთულ და პასუხსაგებ სამუშაოებზე გვევლინება.

ლენინის ანდერძის შესაბამისად, პარტია იმ ორგანოს სათავეში, რომელიც შეიქმნა პარტიის ერთიანობისათვის ბრძოლასა და სახელმწიფო აპარატის საქმიანობის კონტროლისათვის, ყველაზე ერთგულ და გამოცდილ მუშაკებს აყენებდა. 1926 წლის ნოემბერში სერგო ორჯონიკიძე ცენტრალურ საკონტროლო კომისიასა და მუშგლეხნის ჩაუდგა სათავეში და ტროცკისტებსა და ზინოვიელებთან უსასტიკეს ბრძოლაში უკაფავდა გზას საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებებს სოციალისტურ მნიშვნელობაში. სერგო მთელ თავის მგზნებარე ტემპერამენტს, ენერგიას, გამოცდილებას ახმარდა პარტიის ერთიანობისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის, მისი რიგების სიმტკიცისათვის, ლენინური პარტიის შენარჩუნებისათვის ბრძოლას. ტროცკისტებმა და ჩინოვნიკებმა განსაკუთრებით გააძლიერეს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის წინააღმდეგ ბრძოლა XV ყრილობის პერიოდში. სერგომ დიდი მუშაობა გასწია თავგასულ ტროცკისტებისა და ზენოვიეველების გამოსამჟღავნებლად და პარტიულ პასუხისგებაში მისაცემად.

პარტიის XV ყრილობაზე სერგო ორჯონიკიძე გამოვიდა მოხსენებით ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშგლეხთნის მუშაობის შესახებ. იგი სასტიკად დაესხა თავს ოპოზიციას, რომელიც არღვევდა ლენინური პარტიის მთლიანობას და ცდილობდა ასე დაეპირისპირებინა პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის. ყრილობამ სერგო ორჯონიკიძე აირჩია ოპოზიციის საკითხების შემსწავლელად კომისიაში. კომისიამ დაწერილებით გამოიძია ოპოზიციის მთელი დანაშაულებრივი მოქმედება და მოითხოვა ტროცკიზმის ლიდერების პარტიიდან გარიცხვა.

სერგო მთელი მგზნებარებით, პრინციპულობითა და დაუნდობლობით იბრძოდა სოციალიზმის ყველა და ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ერთ-ერთ ქმედით მეთოდად მას მიიჩნდა საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო განმტკიცება, საბჭოთა სახელმწიფოს ორგანოების მუშაობის გაუმჯობესება. მისი ერთ-ერთი დიდი დამსახურება ის იყო, რომ მან მუშაობა და გლეხთა ინსპექცია მოაბრუნა მეურნეობის განვითარების ამოცანებისაკენ. სერგო თვითონ ყურადღებით სწავლობდა მრეწველობის მშენებლობის ტექნიკას, ბევრს კითხულობდა ინჟინრებისა და მუშებისაგან და მოითხოვდა თავისი მუშაკებისაგან, რომ ისინი ღრმად ჩასწვდომოდნენ სამეურნეო საკითხებს, რათა შეძლებოდათ სამეურნეო მუშაობის შემოწმება და ამ დარგის მუშაკებისადმი ეფექტური დახმარების გაწევა.

1930 წლის ნოემბერში სერგო ორჯონიკიძე სახალხო მეურნეობის საკავშირო უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა და შეყვანილ იქნა პარტიის ცკ-ს პოლიტბიუროს შემადგენლობაში. შემდეგ კი მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციის გამსხვილებასთან დაკავშირებით, იგი საკავშირო მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის პოსტზე დაინიშნა.

1929—1930 წლებში საფუძველი ჩაეყარა ინდუსტრიის ბევრი გიგანტის მშენებლობას. 1931 წლიდან გაიშალა ამ გიგანტების ფართო მშენებლობა. სახალხო მეურნეობაში დამაბნდებულ იქნა მილიარდობით თანეული, ჩქარი ტემპით შენდებოდა მაგნიტოგორსკი და კუზნეცკი, აეტოქარხნები გორსა და მოსკოვში, ურალსა და კრამატორსკის მანქანათმშენებელ, ჩელიაბინსკის, ხარკოვის, სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნები, ასობით სხვა მსხვილი საწარმო. სერგო განსაკუთრებულ ყურადღებას მეტალურგიის განვითარებას აქცევდა. იგი გამოდიოდა იქიდან, რომ მეტალურგია წარმოადგენდა საფუძველს ინდუსტრიისა და საერთოდ მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. სერგო უშუალოდ ხელმძღვანელობდა მეტალურგიული ქარხნების აშენებისა და ათვისების საქმეს. მან შემოიარა თითქმის ყველა მეტალურგიული ქარხანა, ეხმარებოდა ადგილობრივ ხელმძღვანებელს რჩევა- დარიგებით, კადრებით, ტექნიკით. მალე საბჭოთა მეტალურგიამ ევროპაში პირველი ადგილი მოიპოვა.

სერგო ორჯონიკიძე დიდი ყურადღებას უთმობდა კადრების აღზრდას. მას ჰონდა შესანიშნავი უნარი — სწრაფად გამოეცნო ადამიანები, ეპოვა მათ შორის ტალანტები და აღეზარდა ისინი. სერგომ აღზარდა და დაწინაურა მოწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავე მუშები. სერგო მოითხოვდა ახალი კადრების აღზრდის საქმეში პრინციპულობის გამოჩენას. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ გვესაჭიროება არა უბრალო ინჟინრები დიპლომებით, არამედ კარგი ინჟინრები, რომლებიც შეძლებენ დაკისრებული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

პარტიის ხაზის, მის შითითებათა ცხოვრებაში განუხრელად გატარებამ შესაძლებელი გახადა მძიმე ინდუსტრიის დარგში უდიდესი წარმატებათა მოპოვება, რაც მეშიდროდდა დაკავშირებული სერგოს სახელთან. ამიტომ უწოდა ხალხმა სერგოს საპატიო სახელი — მძიმე ინდუსტრიის არმიის სარდალი.

1935 წლის იანვარში მოწვეულმა საბჭოების VII ყრილობამ მოისმინა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ს. ორჯონიკიძის მოხსენება. თავის მოხსენებაში მან ილაპარაკა ელექტროფიკაციის,ქვანახშირის, ნავთობის მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის დარგებში მოპოვებული მიღწევების შესახებ. მისი მოხსენება გამოხატავდა სოციალისტური ინდუსტრიის ნამდვილ ტრიუმფს..

საბჭოების VII ყრილობამ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებელად მიიჩნია და წინადადება მისცა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დაჯილდოებინა მძიმე მრეწველობის გამოჩენილი მუშაები ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1935 წლის 22 მარტის ბრძანებულებით, 1934 წელს ვეგმეგის გადაჭარბებით შესრულების გამო ს. ორჯონიკიძე დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

ის გიგანტური გარდატეხა ეკონომიკაში, რასაც სოციალიზმის გამარჯვება მოჰყვა საბჭოთა კავშირში მთლიანად სხვა პარტიულ მოღვაწეებთან ერთად სერგო ორჯონიკიძის სახელთანაა დაკავშირებული.

1936 წლის 17 იანვარს საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით სერგო ორჯონიკიძე საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის 1935 წლის საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, ახალი ტექნიკის ათვისების საქმეში წარმატებებისათვის და სტახანოვური მოძრაობის განვითარების ინიციატივისათვის დაჯილდოდა „შრომის წითელი დროშის ორდენით“.

1936 წელს საბჭოთა სავანგეგმო VIII ყრილობაზე, მის ერთ-ერთ უკანასკნელ საჯარო გამოსვლაში ილაპარაკა რა იმ დიდ მიღწევებზე, რაც საბჭოთა ინდუსტრიამ მოიპოვა, მან პარტიის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის შესაბამისად ჩამოყალიბა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განვითარების პერსპექტიული ამოცანები.

სოციალისტური საზოგადოების გამარჯვებისათვის ბრძოლის ზენიტში, 1937 წლის 18 თებერვალს, 5 საათსა და 30 წუთზე, სამუდამოდ შეწყდა მისი მძლავრი და მგზნებარე გულისცემა.

სერგო ორჯონიკიძის დაკარგვა მწვავედ განიცადა ჩვენმა პარტიამ, მთელ მა საბჭოთა ხალხმა.

სერგოს სახელი და ხსოვნა, მთელი მისი სახელოვანი სიცოცხლე საუკუნეებში გაუსათებს კომუნიზმის მშენებელთა თაობებს. იგი იყო ნიმუში ადამიანისა, ვისთვისაც შენდება კომუნიზმი და ვინც აშენებს კომუნიზმს. რაინდი ამ სიტყვის საუკეთესო, კეთილშობილური გგგებით, კაცობრიობის უშიშარი დამცველი, გმირი, რომელშიც მაბაცობა და თავდაბლობა, ვაჟკაცობა და უბრალოება ჰეშმარიტ სილამაზეს ქმნიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან მგალობლიშვილი

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში ქართული მეცნიერების როლის ამაღლების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ეტაპის შესახებ

13987

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა წამოაყენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგია, ხოლო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ივნისის თათბირმა აღნიშნა, რომ ამ სტრატეგიის განხორციელების მთავარი საშუალებაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, საზოგადოების საწარმოო ძალების ძირეული გარდაქმნა. ითვალისწინებდა რა ამ გარემოებას, სკკპ XXVII ყრილობამ საბოლოოდ მოიწონა და დაამტკიცა როგორც ეენერალური კურსი — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგია.

პოლიტიკური მოხსენება, რომელიც სკკპ XXVII ყრილობას წარედგინა, ყრილობის დოკუმენტები და მასალები, მისი ისტორიული გადაწყვეტილებანი განსაკუთრებული დაჩქარების კონცეფციით, რომლის თვით გაგებაში ჩადებულია პრინციპულად ახალი შინაარსი, ხარისხობრივად ახალი აზრი. დაჩქარება, ხაზგასმით აღნიშნა მოხსენებაში მ. ს. გორბაჩოვმა, — ეს „უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარებას გულისხმობს. მაგრამ არა მარტო ამას. მისი არსია თვისებრივად ახალი ზრდა: წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის, შრომის მართვის, ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი ფორმების საფუძველზე"[1].

პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის კარდინალურ საკითხად ყრილობამ წამოაყენა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაქსიმალური დაჩქარება, რომელიც სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი ბერკეტია.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში, პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში, ძირითად მიმართულებებში დასახულია ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარების მთავარი მიზნები, რომელთა მიღწევა საბჭოთა საზოგადოებას ხარისხობრივად ახალ მდგომარეობამდე მიიყვანს.

სკკპ XXVII ყრილობამ, როგორც ცნობილია განსაზღვრა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებანი, დასახა მისი პრაქტიკული განხორციელების გზები მეთორმეტე ხუთწლეულსა და უფრო შორეულ პერსპექტივაში. ამასთან განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე წარმოების ინტენსიფიკაციისთვის მეცნიერების პრაქტიკასთან შემდგომი დაახლოება, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ახალი ეფექტიანი ფორმების ძიება, მეცნიერების უფრო ენერგიულად შემობრუნება სახალხო მეურნეობის ინტერესებისაკენ.

---

1 სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ., გამომც. „საბჭოთა საქართველო", 1986., გვ. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაოდ ცნობილია საქართველოს მეცნიერული პოტენციალი, რესპუბლიკის მეცნიერთა მიღწევები თანამედროვე მეცნიერების ძირითად მიმართულებათა მიხედვით, რომლებმაც ფართო აღიარება პოვეს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

მოსკოვისა და ლენინგრადის მეცნიერებთან, ჩვენი ქვეყნის სხვა სამეცნიერო ცენტრების სამეცნიერო კოლექტივებთან, მომავალ რესპუბლიკების მეცნიერებთა აკადემიებთან მჭიდრო კავშირში, და მრავალ შემთხვევაში უშუალო თანაშრომლობით, საქართველოს მეცნიერები მეტად საგულისხმო წარმატებებს აღწევენ ფუნდამენტური თეორიული გამოკვლევებისა და იმ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა განვითარებაში, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული მნიშვნელოვან პრაქტიკულ პრობლემათა გადაწყვეტასთან.

უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის ყურადღებისა და მზრუნველობის შედეგად, შესაბამისად გაიზარდა ქართული მეცნიერების წვლილი საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებაში. ამაღლდა მისი როლი მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებაში.

მეცნიერების განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების, პარტიის მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის წარმატებით განხორციელების ეფექტიანობის შედეგები ნათლად ჩანს რესპუბლიკის მეცნიერული აზროვნების ცენტრის — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოღვაწეობაში.

„სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის ცნობილი დადგენილების მიღებამ შექმნა ხელსაყრელი პირობები მეცნიერების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და პირველ რიგში, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მისი ახლებურად წარმართვისათვის.

ამის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა რესპუბლიკაში მეცნიერების განვითარებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, მისი შედარებით დაბალი ეკონომიკური ეფექტიანობისა და მცირე ეკონომიკური უკუგების, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ნელი ტემპებით დანერგვის მიზეზების დაძლევისათვის.

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხები ყოველმხრივი ანალიზის საგანი გახდა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებებზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებსა და საქართველოს კომპარტიის XXV და XXVI ყრილობებზე. რესპუბლიკის კომუნისტთა ამ ფორუმებზე ისახებოდა კონკრეტული გზები და მუშავდებოდა პროგრამა კვლევა-ძიების შემდგომი გაფართოების და გაღრმავებისა, მისი შედეგების ფართო გამოყენებისა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უახლოეს და პერსპექტიულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე მაგალითად, აღნიშნულ საკითხებს დიდი ყურადღება დაეთმო 1973 წლის 23 აპრილს ჩატარებულ საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები იდეურ-პოლიტიკური მუშაობისა და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი გაძლიერებისათვის. კრებაზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად წამოყენებული იყო სამეცნიერო დაწესებულებებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხი. პარტიული აქტივის ამ კრებაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში მეცნიერება ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დაახლოებული ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან, რომ თანამედროვე მეცნიერებას მხლოოდ მაშინ შეუძლია წარმატებით განავითაროს სახალხო მეურნეობა, მაშინ შეუძლია უზრუნველყოს სწრაფი და ეფექტიანი უკუგება, თუ მისი მიღწევები საწარმოო კოლექტივების, მილიონობით მშრომელის კუთვნილება გახდება.

კრებამ დასახა ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერული კვლევის ყოველნაირად განვითარების, მისი შედეგების სახალხო მეურნეობაში უფრო სწრაფად დანერგვის, სამეცნიერო-კვლევითი პროცესის თვისებრივად გაუმჯობესების, სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერთა ძალების, ფინანსური რესურსების, უწონადეს ყოველსა, მეცნიერების წამყვან მიმართულებებზე და აქტუალური მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადასაწყვეტად თავმოყრის ამოცანები.

კრებამ მეცნიერებისაგან მოითხოვა, რათა იშრომონ თავდადებით და სრული უკუგებით, თავიანთი ნიჭი, ინტელექტი და გამოცდილება მოახმარონ სახალხო მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

ხაზი გაესვა იმის აუცილებლობასაც, რომ მეცნიერთა თითოეულ კოლექტივში სუფთადეს ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობის ატმოსფერო, გაბედული ძიების, საფუძვლიანი და პრინციპული დისკუსიების, ამხანაგური კრიტიკისა და ერთმანეთისადმი მომთხოვნელობის ატმოსფერო.

კრებაზე აღინიშნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების, მომავალი თაობის, ახალი ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბებაში.

ხაზგასმით ითქვა იმის შესახებაც, რომ სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობა, მათი მეცნიერული პროდუქცია ყოველთვის უნდა პასუხობდეს იდეოლოგიის, სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის, მისი თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე მოთხოვნებს.

კრებამ განიხილა აგრეთვე იდეურ-პოლიტიკური მუშაობისა და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც და დასახა სათანადო ღონისძიებანი[2].

„აღსანიშნავია, რომ 1973 წლის დეკემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მხრივ სამეცნიერო კოლექტივებისადმი, მათი პარტიული ორგანიზაციებისადმი მომთხოვნელო-

2 გაზ. „კომუნისტი“, 1973 წლის 27 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის გაზრდამ და ამასთანავე მეცნიერებისადმი ლენინურმა ყურადღებამ და ზრუნვამ გამოიწვია სამეცნიერო დაწესებულებათა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ყველა მეცნიერის მუშაობის გააქტიურება.

სწორედ 1973 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. პირველი წლების გამოცდილებამ ცხადყო, რომ სოცშეჯიბრი მეტად დადებით შედეგებს იძლევა სამეცნიერო მოღვაწეობაშიც. ამასთანავე გამოავლინა სამეცნიერო დაწესებულებებში მისი ორგანიზაციის სრულყოფისა და ზოგიერთი მხარის დახვეწის აუცილებლობაც. ამავე პერიოდში სოციალისტური შეჯიბრება გახდა ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური კვლევის საგანიც, რის საფუძველზეც დამუშავდა მეცნიერული რეკომენდაციები, რომლებიც რესპუბლიკის ზემდგომ ორგანოებს წარედგინა და წარმატებით დაინერგა პრაქტიკაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომში მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებული სამეცნიერო საბჭოს ერთობლივი მუშაობის შედეგად დამუშავდა და გამოიცა აკადემიის ინსტიტუტებსა და დაწესებულებებში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების სპეციალური დებულება.

ამავე პერიოდში საფუძველი ჩაეყარა წარმოებასთან კავშირის ისეთი ფორმის განვითარებას, როგორიცაა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ მრავალწლიანი ხელშეკრულებების დადება რესპუბლიკის წამყვან სამრეწველო დაწესებულებებთან. მაგალითისათვის შეიძლება დასახელებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტებსა და რუსთავის ქიმკომბინატს შორის, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახ. მეტალურგიის ინსტიტუტსა და რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას შორის შემოქმედებითი თანამშრომლობის შესახებ დადებული ხელშეკრულებები.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა 1973 წლის გეგმით მხოლოდ გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილებაში შემავალმა ინსტიტუტებმა მთელი რიგი საწარმოებისა და ორგანიზაციების თხოვნით 37 თემა დამუშავეს, მათ შორის რამდენიმე სამუშაო ფულადი ანაზღაურების გარეშეც შესრულდა.

1974 წლის აპრილში გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების სპეციალური სამეცნიერო სესია, მიძღვნილი კოლხეთის დაბლობის დაშრობის საკითხებისადმი. აღსანიშნავია, რომ სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების, სამინისტროებისა და უწყებათა, დარგობრივი ინსტიტუტების, სპეციალური ორგანიზაციების, მსგავსი სამშენებლო ტრესტების ხელმძღვანელებმა, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა, კოლხეთის დაშრობისა და ათვისების პრობლემებთან დაკავშირებული თითქმის ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

სესიამ განიხილა კოლხეთის დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების საკითხებზე შესრულებული სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შედეგები, მისი დაშრობისა და ათვისების სქემა, დაშრობილ და ათვისებულ მიწებზე სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა და, ყოველივე ამის ანალიზის საფუძველზე კონკრეტული ღონისძიებანი დასახა ამ მეტად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ამოცანასთან დაკავშირებულ მეცნიერულ პრობლემათა გადაწყვეტის დაჩქარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის მეცნიერთა ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1975 წლის 20 თებერვალს გამართული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელიც მეცნიერული კვლევის ეფექტიანობისა და მისი სახალხო მეურნეობისათვის უკეთეგების ამაღლების აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა. საერთო კრების მუშაობაში, გარდა აკადემიის ფართო წარმომადგენლობისა, მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების ხელმძღვანელები, სხვადასხვა დარგის წამყვანი მეცნიერები და სპეციალისტები, ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები. კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ხარაძემ. მოხსენებაში დახასიათებული იყო ის დიდი მუშაობა, რასაც საქართველოს მეცნიერები ეწევიან მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლების, ფუნდამენტური კვლევის შემდგომი გაშლის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებით ძალებისა და საშუალებების კონცენტრაციისათვის. მომხსენებელმა, კერძოდ აღნიშნა, რომ მეცნიერებათა აკადემიის გაფართოებულ სხდომაზე, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების უახლოესი პერსპექტივებიდან გამომდინარე სპეციალურად იქნა განხილული სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ამოცანები, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად შემუშავებულ იქნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერული კვლევის შედეგების რაც შეიძლება სწრაფად დანერგვის საქმეში მეცნიერთა კონკრეტული მონაწილეობის გეგმა. მომხსენებელმა ილაპარაკა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში იმ ღონისძიებით ხასიათის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რომელთა მიზანი იყო წარმოებასთან მეცნიერების შემდგომი დაახლოება. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კვლევის შედეგების გამოყენებით მნიშვნელობას, წარმოებაში მათი სწრაფად დანერგვის საკითხს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მეცნიერები, მიუხედავად ჩატარებული მუშაობისა, მაინც ვალში არიან სოფლის მეურნეობის წინაშე და ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში ისინი თავიანთ წვლილს შეიტანენ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ე. შევარდნაძემ, რომელიც იმ დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო.

აღსანიშნავია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დადგენილების შემდეგ, ეს იყო რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მოღვაწის პირველი გამოსვლა მეცნიერთა ძალთ თავყრილობაზე, გამოსვლა, რომელშიც რესპუბლიკაში საერთო მდგომარეობის ღრმა ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული იყო ეკონომიკაში, ზნეობრივ, მორალურ და რესპუბლიკის ცხოვრების სხვა სფეროებში სამეცნიერო ინტელიგენციის სამოქმედო პროგრამა. გარდა ამისა, გამოსვლაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მთავარი ამოცანა ფუნდამენტური კვლევა-ძიების განვითარებაა.

მიუხედავად ამ მიმართულებით ქართველ მეცნიერთა მიერ მოპოვებული წარმატებებისა, ითქვა გამოსვლაში, სახალხო მეურნეობის განვითარებაში შექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნილი ჩამორჩენის, დისპროპორციების დაძლევისა და მისი თანამედროვე დონეზე აყვანისათვის საჭიროა მეცნიერებმა, სამეცნიერო დაწესებულებებმა ღრმად ჩაიხედონ რესპუბლიკის ეკონომიკაში, იმ სფეროში, სადაც იქმნება მატერიალური დოვლათი, სადაც მიმდინარეობს ახალი ადამიანის აღზრდა.

ამასთანავე, აღინიშნა იმის შესახებაც, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ის რაც უკვე დამუშავებული და გადაწყვეტილია სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ, ჯერ კიდევ გამოუყენებელი რჩება, არ ინერგება წარმოებაში, არ არის ჩაყენებული სახალხო მეურნეობის სამსახურში. გარდა ამისა, ითქვა გამოსვლაში, რომ ასეთ შემთხვევებში რესპუბლიკის სათანადო ორგანოებმა უფრო აქტიური ზომები უნდა მიიღონ მეცნიერების მიღწევათა ხალხის სამსახურში ჩაყენებისათვის, სამეურნეო ხელმძღვანელებს უნდა განუვითარდეთ მოთხოვნილება იმისა, რომ სათანადო ასიგნებანი გაიღონ იმ დარგების შესაბამისი მეცნიერული მიმართულების განვითარებისათვის, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ.

ყურადღება გამახვილდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების პროგნოზირების, მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარების პროგნოზირების მნიშვნელობასა და მისი განხორციელების აუცილებლობის საკითხებზე. აღინიშნა ისიც, რომ მეცნიერებაში, მეცნიერების ორგანიზაციაში მთელი რიგი პროგრესული მიმართულებები ჩამოყალიბდა, განსაკუთრებით გამოყენებით დარგებში, რომ იქმნება სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები, მოიძებნა სასტიმულო ფორმები სამეცნიერო დაწესებულებებს შორის კოოპერაციისა, მათი საშუალებებისა და ძალების გაერთიანებისა. რესპუბლიკაში აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაძლიერების, მისი მეცნიერულ დონეზე აყვანის და მთელი ამ საქმიანობისათვის სათანადო გეგმიური ხასიათის მიცემის ამოცანა დაისახა საქართველოს მეცნიერთა და სათანადო ორგანოთა წინაშე.

ე. შევარდნაძის გამოსვლაში დიდი ყურადღება დაეთმო აგრეთვე მშობიმელთა იდეურ აღზრდას, განსაკუთრებით ახალგაზრდობის იდეურ და ზნეობრივ აღზრდაში მეცნიერთა როლის შემდგომ ამაღლებას. ითქვა იმის შესახებაც, რომ თანამედროვე ეპოქაში მეცნიერების ყველა დარგს სჭირდება არა მარტო კარგი მეცნიერი, არამედ მეცნიერების კარგი ორგანიზატორიც, რომელთა შერჩევა უნდა ხდებოდეს მეცნიერ მუშაკთა შორის უკვე ახალგაზრდობის ასაკში.

გამოსვლაში დასახულ იქნა ამოცანები სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემათა გადაწყვეტაში მეცნიერების როლის მკვეთრად ამაღლებისათვის, სპეციალური დაწესებულებებში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომი გაჯანსაღებისათვის, ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში ჰუმანიტარული დარგის მეცნიერთა უფრო აქტიური მონაწილეობისათვის.

განხილულ საკითხებზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილება[3].

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად, რიგი ღონისძიება გაატარა, რათა პრაქტიკული დახმარება აღმოეჩინა სამეცნიერო კოლექტივებისათვის დასახულ ამოცანათა განხორციელებაში.

---

3 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა ორი სამეცნიერო განყოფილება, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ჩაედელი საწარმოო, სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, გადაწყდა მეცნიერთა საყოფაცხოვრებო პირობების, მათი სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საკითხები, აშენდა საერთო საცხოვრებელი ჩამოსული ასპირანტებისათვის, რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონში ჩამოყალიბდა ახალი სამეცნიერო დანაყოფები და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 1976—1980 წლებში ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 50-ზე მეტი დადგენილება მიიღო რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოთა შემდგომი განვითარების, აკადემიის ზოგიერთი ინსტიტუტის მუშაობის გაუმჯობესების, მეცნიერული კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგების წარმოებაში დანერგვის შესახებ[4].

შეიქმნა მეტად ხელსაყრელი პირობები საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და სახოგადოებრივ მეცნიერებათა ძირითადი მიმართულებების მიხედვით კვლევა-ძიების შემდგომი გაშლისა და გაღრმავებისათვის, რასაც ფრიად საგულისხმო შედეგებიც მოჰყვა, სსრ კავშირის გამოგონებათა და აღმოჩენათა საქმეების კომიტეტში აღირიცხა ორი მეცნიერული აღმოჩენა კიბერნეტიკაში (1979 წ) და ფიზიოლოგიაში (1981 წ).

განვითარდა მსხვილ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის პრობლემათა გადაწყვეტისას კომპლექსურ გამოკვლევათა ჩატარების პრაქტიკა. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მართვის სისტემის სრულყოფის ეფექტიანი საშუალება იყო რესპუბლიკაში მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების შედგენის პრაქტიკის დანერგვა, რამაც უზრუნველყო ერსებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის თავმოყრა ყველაზე მნიშვნელოვან და პერსპექტიულ მიმართულებებზე.

1977—1980 წლების განმავლობაში დამუშავებულ იქნა ორი ტიპის ოცი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამა: მიზნობრივი კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამები და პროგრამები სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა გადასაწყვეტად.

მეათე ხუთწლედში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ პრაქტიკაში შემოიღეს უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტის ათეის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ შემუშავებული კომპლექსური პროგრამების ერთობლივი დადგენილებით დამტკიცება.

მეთერთმეტე ხუთწლედში მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებები მონაწილეობას ღებულობდნენ 25 საკავშირო და 27 რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამებით გათვალისწინებულ დავალებათა შესრულებაში, რომელთა შესაბამისად 400-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი თემა დამუშავდა.

მეცნიერებისა და წარმოების უშუალო შეერთების ეფექტიან ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენდა რესპუბლიკაში სამეცნიერო-საწარმოო და სა-

---

4 საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები, XV, „საბჭოთა საქართველოს 65 წელი", თბ., გამომც. „მეცნიერება", 1986, გვ. 74.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერო-ტექნიკური გაერთიანებების შექმნა. დღეს საქართველოში ფუნქციონირებს 12 ასეთი გაერთიანება.

ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის მეცნიერებაშიც, მუშაობის საბოლოო შედეგებზე მაღალი მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის ატმოსფეროს შექმნამ გამოიწვია საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების აქტიური ჩარევა იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც უშუალოდ იყო დაკავშირებული მეცნიერულ მიღწევათა პრაქტიკულ გამოყენებასთან სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

გატარებულმა ღონისძიებებმა კეთილმყოფელი გავლენა მოახდინეს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა საქმიანობასა და მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებაზე, რაც დამაჯერებლად დაადასტურა მეათე ხუთწლედში სამეცნიერო კოლექტივების მიერ მიღწეულმა მნიშვნელოვანმა წარმატებებმა მეცნიერების ცალკეულ დარგებში.

ქართველმა მეცნიერებმა, სამეცნიერო-კვლევითმა და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურმა დაწესებულებებმა აღნიშნულ ხუთწლედში მოიპოვეს მთელი რიგი პრაქტიკული ხასიათის შედეგები, რომლებმაც ბევრად შეუწყვეს ხელი საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის მსხვილ სახალხო-სამეურნეო კომპლექსურ პრობლემათა წარმატებით გადაწყვეტას. მხოლოდ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში შესრულებულ სამეშაოთა სახალხო მეურნეობაში დანერგვის შედეგად მეათე ხუთწლედში მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა 140 მლნ მანეთს მიაღწია, ეს მაშინ, როდესაც ასეთივე ეფექტი მეცხრე ხუთწლედში 68 მლნ მანეთს არ აღემატებოდა.

ეს პერიოდი არა მარტო მეცნიერებასა და წარმოებას შორის კონტაქტების შემდგომი განმტკიცებით ხასიათდება, არამედ დარგობრივ მეცნიერებასა და პრაქტიკას სპეციალისტთა შორის მჭიდრო კონტაქტების დამყარებითაც. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ისტორიკოსების შეხვედრები ბორჯომში, რასაც საფუძველი 1979 წელს ჩაეყარა, ხოლო ეხლა უკვე ტრადიციად დამკვიდრდა. შემდგომში ჩატარდა იურისტების, ფსიქოლოგების, ფილოსოფოსების და ეკონომისტების შეხვედრები ქუთაისსა და სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში, ანუ საქართველოს ავტონომიურ დანაყოფებში, რამაც ხელი შეუწყო იქ არსებულ ინსტიტუტებთან შემოქმედებითი და ორგანიზაციულ-პრაქტიკული კავშირების შემდგომ განმტკიცებას.

მეცნიერთა ეს შეხვედრები, სადაც საქმიანი სჯა-ბაასი იმართება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აღნიშნულ დარგებში წამოჭრილ საერთბოროტო საკითხებსა და პრობლემებზე, სადაც ისახება კიდევ პრაქტიკული გზები ამა თუ იმ დარგის შემდგომი განვითარებისა, რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოებისა და აკადემიის ხელმძღვანელობის საერთო შეფასებით მიჩნეულია როგორც საერო და პროგრესული ღონისძიება.

კვლევის საბოლოო შედეგებსა და მათი პრაქტიკაში გამოყენებაზე სამეცნიერო კოლექტივებისა და საწარმოთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის ამაღლებამ, პროგრამულ-მიზნობრივ დაგეგმვაზე გადასვლამ, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ახალი ფორმების დანერგვამ, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა შექმნამ, მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებამ, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგების უფრო სრულად ასახვამ ბევრად შეუწყვეს ხელი პარტიის სამეცნიერო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკური პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას, პოლიტიკისა, რომლის დამუშავებასა და გატარებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმმართველი როლი თვით სოციალისტური წყობის ჯახიდან გამომდინარეობს.

უფრო ეფექტიანად ამუშავდა სისტემა „მეცნიერება-წარმოება", რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებთან შეერთების მექანიზმის მოქმედების ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ 1981 წლის 24 სექტემბერს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე განიხილა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო გამოკვლევათა ძირითადი მიმართულებები და განსაზღვრა მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის საქმეში მეცნიერების როლის შემდგომი ამაღლებისაკენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ აღებულმა კურსმა, ნიადგი მოამზადა და შექმნა კიდეკ აუცილებლობა ფუნდამენტური, დიდი პარტიული საუბრისა ყველა იმ პრობლემაზე, რომელიც დაკავშირებული იყო მიღწეულის დამაგრებასთან და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ახალი მიჯნების მიღწევასთან.

ასეთი საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე 1982 წლის მაისში შედგა, რომელმაც პირველად საქართველოს კომპარტიის ისტორიაში სპეციალურად განიხილა „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის".

პლენუმი მნიშვნელოვანი საეტაპო მოვლენა გახდა თვით მეცნიერების ინტენსიფიკაციის ამოცანის გადაწყვეტის, მისი ეფექტიანობის ამაღლებისა და მეცნიერებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მართვის სრულყოფის საქმეში.

VI პლენუმისადმი წარდგენილ, იმ დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. შევარდნაძის მოხსენებაში ყოველმხრივ იქნა გაანალიზებული, დასაბუთებული და განსაზღვრული პერსპექტივები მეცნიერების განვითარებისა, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარებისა, დასახული იყო კონკრეტული გზები მეცნიერების ეფექტიანობის ამაღლებისა, მისი მატერიალურ-ტექნიკური და საკვლევი ბაზის გაძლიერებისა, საქართველოს სახალხო მეურნეობის აპეციფიკის გათვალისწინებით შემოთავაზებული იყო მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ახალი ოპტიმალური ფორმები, რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის სტრუქტურის სრულყოფისა და მართვის ახალი ორგანიზაციული გადაწყვეტილებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად გაშლილმა პარტიულ-ორგანიზაციულმა, იდეოლოგიურმა და პოლიტიკურმა მუშაობამ მეტად დადებითი შედეგები გამოიღო.

თანახმად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილებისა, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თავმჯდომარეობით, შეიქმნა მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც დაეკისრა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მართვის რესპუბლიკური სისტემის უმაღლესი რგოლის, პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების მთავარი ორგანიზატორის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე ძალების კონცენტრაციის მთავარი კოორდინატორის ფუნქციები.

საკოორდინაციო საბჭო დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა, რომელიც მიმართულია რესპუბლიკაში ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარებაზე.

რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს, მისი სექციებისა და მუშა ჯგუფების, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებული რეგიონალური საკოორდინაციო საბჭოების საქმიანობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევების შემდგომ გადრმავებასა, მეცნიერების ეკონომიკური და სოციალური უკუგების ამაღლებასა, სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ მიღწევათა, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების ვადების შემცირებაზე, ანდა თუ მოკლედ ვიტყვით, არსებით გავლენას ახდენს წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების მთელ მიმდინარეობაზე, მთლიანად იმ მუშაობაზე, რომელიც რესპუბლიკაში ტარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებების, რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის კეთილმყოფელ გავლენაზე მოწმობს ის შესამჩნევი დადებითი ძვრები, რომელიც ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მოხდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობაში.

ჩატარებული ინტენსიური ფუნდამენტური გამოკვლევების შედეგად, მეთერთმეტე ხუთწლედში მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებანი მათემატიკაში და მექანიკაში, ფიზიკასა და ასტრონომიაში, ქიმიასა და ქიმიურ ტექნოლოგიაში, გეოლოგიასა და ბიოლოგიაში, ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის სხვა დარგებში.

ფასული ხუთწლედი ქართველ საზოგადოებათმცოდნეთა მიზანმიმართული შრომით აღინიშნა, რაც ბევრად განაპირობა იმან, რომ ყველა უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა სრულდებოდა „საქართველოს სს რესპუბლიკაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა 1981—1985 წლების საკოორდინაციო გეგმის“ მიხედვით, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დამტკიცება. გეგმა ითვალისწინებდა აკადემიის სისტემის სათანადო პროფილის ინსტიტუტების, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა შესაბამისი კათედრების და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების მიერ მნიშვნელოვან პრობლემათა ერთობლივად დამუშავებას,

სახალხო მეურნეობის პრაქტიკაში სამეცნიერო მიღწევათა ფართოდ გამოყენების, აკადემიური მეცნიერების ეფექტიანობისა და მისი ეკონომიკური უკუგების ამაღლების დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ XI ხუთწლედში წარმოებაში დაინერგა მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულებული 525 სამუშაო; დანერგვის შედეგად მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა 260 მლნ მანეთი შეადგინა, რაც თითქმის ორჯერ აღემატება X ხუთწლედის მაჩვენებელს. გასულ ხუთწლედში ეკონომიკური უკუგების კოეფიციენტმა 1,2 მიაღწია.

ასეთი შედეგების მიღებას ხელი შეუწყო მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ისეთი არატრადიციული ფორმის განვითარებამაც, რასაც პარტნიორობა ეწოდება.

1983 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის რეკომენდაციით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა პარტნიორულ ურთიერთობათა და კვლევის შედეგების დანერგვის ორგანიზაციის სამეცნიერო სექტორი.

მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა მიერ რესპუბლიკის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებთან პარტნიორული კავშირების განხორციელების შედეგად უკანასკნელ წლებში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე დღეს პარტნიორობაზე შეიძლება ლაპარაკი როგორც მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ერთ-ერთ ეფექტურ ფორმაზე. აქამდე აკადემიის 16 ინსტიტუტს 62 პარტნიორული ხელშეკრულება აქვს დადებული სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის დაწესებულებებთან, რომელთა მიხედვით წარმატებით სრულდება მრავალი მნიშვნელოვანი სამუშაო, მათ შორის ზოგიერთი დამთავრდა კიდეც საკმაოდ დიდი ეკონომიკური ეფექტით.

სამეცნიერო დაწესებულებათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ძალების კონსოლიდაციის მიზნით VI პლენუმის რეკომენდაციითვე მეცნიერებათა აკადემიაში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და დაწესებულებების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების საბჭო.

მდივნების საბჭოს ჩამოყალიბებამ საგრძნობლად გააქტიურა აკადემიის ინსტიტუტების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა, ხელი შეუწყო მათი ძირითადი ყურადღების გამახვილებას სამეცნიერო კოლექტივების ძალი სამეცნიერების ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მათი წვლილის გაზრდის საკითხების გადაწყვეტაზე.

აღსანიშნავია, რომ 1985 წლის მაისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ VI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის შედეგები.

გასული სამი წლის განმავლობაში პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მიერ 1982 წლის 30 ივნისს დამტკიცებული 43 სამეცნიერო-საორგანიზაციო ღონისძიებიდან უმრავლესობა უკვე შესრულებული იყო, ხოლო 1985 წლის დამლევისათვის — ისინი მთლიანად იქნა რეალიზებული.

განვლილ პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სიექსპლუატაციოდ გადაეცა სამთო მექანიკის ინსტიტუტის კომპლექსი, სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს სახელოსნოები, ორაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დანადგარები, გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმური სადგური

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორში, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო ბაზა ვანში. აშენდა მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის საადგილ-საკვლევი ლაბორატორია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დადებითად შეაფასა ის მუშაობა, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, სამეცნიერო განყოფილებებმა, ინსტიტუტებმა და დაწესებულებებმა, მთმა კოლექტივებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა VI პლენუმის შემდეგ ჩაატარეს. აღინიშნა რა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევების მნიშვნელობა სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომ განვითარებაში, მათი როლი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, მეცნიერთა აქტიური მონაწილეობა რესპუბლიკის, მისი ცალკეული რეგიონების და მსხვილი სამრეწველო ცენტრების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, პროგნოზებისა და პერსპექტიული პროგრამების დამუშავებაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი, რათა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, ეკონომიკის, სოციალური და სულიერი ცხოვრების შემდგომ განვითარებაში კიდევ უფრო წონადი გადდეს მეცნიერებათა აკადემიის წვლილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე გამართულმა აღნიშნულმა მსჯელობამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი აკადემიის სამეცნიერო კოლექტივების მუშაობის შემდგომ გაქტიურებას.

ამაზე მოწმობს ის ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს აკადემიის 1985 წლის საქმიანობას. გასულ წელს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის მიხედვით მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებმა 45 უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო შეასრულეს, დამთავრდა საკავშირო და რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამებით და სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა გადაწყვეტის პროგრამებით გათვალისწინებული 87 დავალების დამუშავება, რესპუბლიკური სასურსათო პროგრამის მიხედვით დასრულდა 51 თემა. გასულ წელს დანერგვის შედეგად მიღწეულმა ეკონომიკურმა ეფექტმა 60 მლნ მანეთი შეადგინა, ხოლო უკუგების კოეფიციენტმა 1,25

საგულისხმო შედეგები მოიპოვეს აკადემიის მეცნიერებმა ისტორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ფილოლოგიის, ლინგვისტიკის, ეკონომიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვა მიმართულებათა მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერული კვლევის პრაქტიკაში გამოყენების ერთ-ერთ ფორმას საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში მნიშვნელოვანი შრომების შექმნაც და მათი გამოცემაც წარმოადგენს. ამ ნაშრომებზე იზრდება ახალგაზრდობა, ამ ნაშრომებში ასახულია საქართველოს მდიდარი მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორია.

სკკპ XXVII ყრილობის ახალი მითითებანი საბჭოთა მეცნიერების შემდგომი განვითარების, პარტიის მოთხოვნილებანი საზოგადოების საწარმოო ძალების ხარისხობრივად გარდაქმნაში მეცნიერებისა და ტექნიკის გადამწყვეტი როლის შემდგომი ამაღლების შესახებ ახალ, სერიოზულ და მეტად სპასუხისმგებლო ამოცანებს აყენებს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე.

მეცნიერების ფუნდამენტურ მიმართულებათა შემდგომი განვითარების, ქართველ მეცნიერთა გამოკვლევების ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვის დაჩქარების აუცილებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შესახებ ხაზგასმით აღინიშნა საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კომპარტის XXVII ყრილობაზე. ამაზე ლაპარაკი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმისადმი წარდგენილ ძირითად მოხსენებაშიც, რომელმაც განიხილა სკკპ XXVII ყრილობის შედეგები და ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

სიბეჭდოთა კავშირისა, და მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეთორმეტე ხუთწლედსა და უახლოეს თხუთმეტწლეულში გათვალისწინებული ჭეშმარიტად რევოლუციური გარდაქმნები პირველ პლანზე აყენებენ ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევათა უახლეს მიღწევათა საფუძველზე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარების აუცილებლობას.

ამ მიღწევათა ყველაზე ეფექტიანი გამოყენების ინტერესები მოითხოვენ სამეცნიერო შედეგების პრაქტიკული გამოყენების დაჩქარებას, მეცნიერებასა და წარმოებას შორის ურთიერთდამოკიდებულებათა სრულყოფას, წარმოების ტექნიკური დონის მუდმივ ზრდას, — ერთი მხრივ, და თვით მეცნიერების პროგრესს — მეორე მხრივ.

სწორედ აღნიშნული და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებასთან, მაჯელობის საგანი გახდა 1986 წლის 24 აპრილს ჩატარებულ ქართველ მეცნიერთა ფორუმზე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წლიურ საერთო კრებაზე.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ე.ხარაძის მოხსენებაში, პარტიის მითითებებიდან და ჩვენი სახელმწიფოს მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნებიდან გამომდინარე, გაანალიზებულ იქნა აკადემიური მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა, შეფასება მიეცა მისი ცალკეული დარგების პოტენციალურ შესაძლებლობებს, დასახულ იქნა საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაციის საქმეში მათი უფრო ფართო გამოყენების გზები, მინიშნებული იყო თანამედროვე მეცნიერების უმნიშვნელოვანეს მიმართულებათა მიხედვით მეცნიერული კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

მეცნიერებათა აკადემიის 1985 წლის საქმიანობის ძირითადი შედეგების დახასიათება მოეცმული იყო აკადემიის აკადემიკოს-მდივნის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ე. სეხნიაშვილის მოხსენებაში.

საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა, რაც კიდევ ერთი გამოხატულებაა რესპუბლიკაში მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისადმი პარტიული მზრუნველობისა.

ჯ. პატიაშვილის გამოსვლაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ სკკპ XXVII ყრილობამ დაჩქარების სტრატეგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტად სწორედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მიიჩნია და ეს ლოზუნგი კი არა, არამედ ჩვენი ცხოვრებისა და ჩვენი დღევანდელობის მოთხოვნის გამოხატულებაა. დღევანდელი საკრებულო ის წარმომადგენლობაა, რომელთა უშუალო მონაწილეობით საფუძველი ეყრებოდა საქართველოში მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და ამ დარბაზში დამსწრეთა უმრავლესობა, თქვა გამომსვლელმა, წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგენს იმ ძალას, რომელზეც ბევრადაა დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარება.

XII ხუთწლედში საქართველოს სახალხო მეურნეობა საკმაოდ მაღალი ტემპებით განვითარდება, მათ შორის საშრეწველო პროდუქციის წარმოება გაიზრდება 25%-ით, ხოლო 2000 წლისათვის რესპუბლიკის სამრეწველო პოტენციალი თითქმის უნდა გაორკეცდეს. დახლოებით ერთიორად უნდა გაიზარდოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობაც. ყოველივე ეს კი, როგორც აღინიშნა, უნდა მოხდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების. მისი ტემპების მნიშვნელოვნად ამაღლების ხარჯზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა, რომელმაც უნდა განსაზღვროს ჩვენი ხვალინდელი დღე, სამეცნიერო, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოთა ერთობლივი მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭიროა მეცნიერებამ ყოველნაირად შეუწყოს ხელი მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის რელსებზე დადაყვანას.

პარტიის პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ხაზგასმით აღინიშნა აკადემიური და უმაღლესი სკოლის მეცნიერებას შორის კონტაქტების შემდგომი გაძლიერების, ერთობლივი შრომით მიღწეული შედეგების სახალხო მეურნეობისათვის უფრო აქტიურად გამოყენების საჭიროება. ითქვა იმის თაობაზეც, რომ აკადემიურმა ინსტიტუტებმა გაადართონონ საშეფო მუშაობა სკოლაში, მეცნიერები შეხვდნენ საშუალო სკოლის მოსწავლეებს, გაუფლივონ მოსწავლე-ახალგაზრდობას ინტერესი მეცნიერების ამა თუ იმ დარგისადმი.

გამოსვლაში დიდი ყურადღება დაეთმო ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადების პრობლემას. ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ როცა ვიხილავთ ჩვენი მეცნიერების ხვალინდელ დღეს, უნდა წარმოვიდგინოთ ახალგაზრდობის დამოკიდებულება მეცნიერებისადმი, ახალგაზრდობის ადგილი მეცნიერებაში, ახალგაზრდობის პერსპექტივა და, ამაღე დროს, ახალგაზრდობის პასუხისმგებლობა. აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, უწინარეს ყოვლისა უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც მეცნიერთა კადრების შევსების მთავარ წყაროს წარმოადგენენ. აქვე ითქვა, რომ აკადემიურ მეცნიერებას სჭირდება აკადემიურად მომზადებული ახალგაზრდობა.

ჯ. პატიაშვილმა აღნიშნა, რომ სკკპ XXVII ყრილობაზე ნათლად გამოიკვეთა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობის საკითხი. დისციპლინის ფართო ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ ურთიერთპატივისცემაც, პროფესიული თავმოყვარეობაც, დაკისრებულ მოვალეობათა კეთილსინდისიერად შესრულებაც. მეცნიერის ინტელექტუალური პოტენციის მაქსიმალურად გამოყენება მოითხოვს სწორედ მაღალ დისციპლინას, მაღალ შეგნებას, რასაც სამწუხაროდ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ რესპუბლიკის მთელ რიგ სამეცნიერო დაწესებულებებში.

გამოსვლაში ყურადღება გამახვილდა რესპუბლიკის წინაშე მდგომ სხვა მნიშვნელოვან პრობლემებსა და ამოცანებზეც, რომელთა გადაწყვეტაში მეცნიერებმა უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ. განხილულ იქნა აგრეთვე მეცნიერ მუშაკთა შრომის მატერიალური სტიმულირების, მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების საკითხები[5].

---

5 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო კრების მონაწილეთა მიერ დასახული კონკრეტული პროგრამა ითვალისწინებს ფუნდამენტური კვლევა-ძიების შემდგომ განვითარებას საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა ძირითადი მიმართულების მიხედვით, აკადემიის ინსტიტუტების საკვლევი ბაზის შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებას, იმ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე მთელი ძალების კონცენტრირებას, რომლთა გადაჭრა ახალ შესაძლებლობებს გამოავლენს წარმოების სრულყოფისა და მისი მეცნიერულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე შემუშავებული ღონისძიებანი მიმართულია მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარებისათვის აღებული პარტიის კურსის განსახორციელებლად, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

Л. И. МГАЛОБЛИШВИЛИ

О НЕКОТОРЫХ ВАЖНЫХ ЭТАПАХ ПОВЫШЕНИЯ РОЛИ ГРУЗИНСКОЙ НАУКИ В УСКОРЕНИИ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОГО ПРОГРЕССА

Резюме

На примере Академии наук Грузинской ССР показано влияние улучшения партийного руководства развитием науки и ускорением научно-технического прогресса на повышение эффективности работы научных коллективов, усиление интеграции науки с производством, увеличение вклада ученых в практику народного хозяйства.

Рассмотрены такие значительные этапы, способствовавшие повышению эффективности академической науки и ее роли в социально-экономическом развитии республики, как: постановление ЦК КПСС по Тбилисскому горкому партии (февраль 1972 года), создавшее благоприятную почву для осуществления нового подхода к вопросам партийного руководства наукой; Собрание партийного актива Грузии (апрель 1973 года), на котором были поставлены важные задачи по приближению науки к нуждам народного хозяйства, активному участию ученых в идеологической, идейно-воспитательной работе; Общее собрание Академии наук Грузинской ССР (февраль 1975 года), выработавшее программу дальнейшего развития грузинской науки в соответствии с задачами экономического, социального и культурного развития Грузии; VI пленум ЦК КП Грузии (май 1982 года), явившийся важнейшим этапом в решении задачи интенсификации самой науки, повышения ее эффективности, совершенствования управления наукой и научно-техническим прогрессом; Общее собрание Академии наук Грузинской ССР (апрель 1986 года), наметившее программу дальнейшего развития фундаментальных и прикладных исследований, широкого использования их результатов в ускорении научно-технического и социально-экономического прогресса в республике в свете решений XXVII съезда КПСС и XXVII съезда Компартии Грузии.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერი ინაძე

სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში

უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე დასავლეთ საქართველოში (ვანი, საირხე და სხვ.) გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა, რომელიც თითქმის ყოველწლიურად მდიდრდება ახალი მონაპოვრით, მნიშვნელოვნად ავსებს ჩვენს ცოდნა-წარმოდგენას კოლხეთის შორეული წარსულის შესახებ. დღეს ეს მასალა მყარ საფუძველს ქმნის ძველი კოლხეთის ისტორიის ისეთი ურთულესი საკითხების კვლევა-ძიებისათვის, როგორიცაა სატაძრო ცენტრების გენეზისი, ტაძრების როლი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში (ძვ. წ. VI—I სს-ში), ქურუმთა ფენა, მათი უფლება-მოვალეობანი და სხვ. ზემოაღნიშნული არქეოლოგიური ძეგლები ზოგიერთ შემთხვევაში სავსებით ადასტურებენ სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს, ზოგჯერ კი გვაიძულებენ კვლავ მივუბრუნდეთ კოლხეთის ისტორიის ზემოდასახელებულ, ჯერ მხოლოდ კვლევის პროცესში მყოფ საკითხებს და სხვა კუთხით შევხედოთ მათ.

ამავე დროს ბოლო ხანებში აღმოჩენილი ეს ნივთიერი მასალა ჩვენგან მოითხოვს ისევ და ისევ გადავხედოთ არსებულ წერილობით ცნობებს და არქეოლოგიურ მონაცემებთან მათი შეჯერებით ვეძიოთ კოლხეთის ძველი ისტორიის პრობლემების გადაჭრის ახალი ვარიანტები, რადგან არ შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერზენ და რომაელ ავტორთა ცნობების ამ ასპექტით კვლევა-ძიება დღეისათვის მთელი სიძრაღლით გვქონდეს ამოწურული. წინამდებარე ნაშრომი ახალი არქეოლოგიური მონაპოვრის სწორედ ამ თვალსაზრისით განხილვა-ინტერპრეტაციის ცდა წარმოადგენს. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა არაერთი ტანმოკვლევა, რომელშიც ზემოდასახელებული მასალის შუქზე კოლხეთის ძველი ისტორიის პრობლემები საინტერესოდ არის დასმული. შეეეცდებით ნაწილობრივ მაინც წარმოვადგინოთ ჩვენი დამოკიდებულება მათ მიმართ.

ძვ. წ. VI საუკუნე კოლხეთის საზოგადოების ისტორიაში მოსაბრუნი ხანაა. ამ დროისათვის ქვეყანაში იქმნება მყარი ეკონომიკური ბაზა კოლხთა პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბებისათვის. კოლხთა სახელმწიფოებრიობის ფორმირება, რომელიც ძვ. წ. VI ს-ის მეოთე ნახევარში სრულდება ერცელი პოლიტიკური გაერთიანების — კოლხეთის სამეფოს შექმნით, ჩვენ წარმოგვიდგება როგორც რამდენიმე ეთნო-ტერიტორიული პოლიტიკური წარმონაქმნის შემოკრება-შემომტკიცება ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში (რიონის გასწვრივ) მოსახლე დაწინაურებულ კოლხთა სატომო ბირთვის გარშემო[1].

---

* წინადგებარე წერილს საფუძვლად უდევს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XXIX სამეცნიერო სესიაზე 1985 წლის მარტში ჩვენ მიერ წაკითხული მოხსენება: „ძველი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური წყობის ზოგიერთი საკითხი“.

1 მ. ინაძე, ანტიკური ხანის კოლხეთსა და თრაკიაში სახელმწიფოს წარმოქმნა-განვითარების ისტორიული პარალელები, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, VI, თბ., 1980, გვ. 131—134.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღებულ ხანაში საკუთრივ კოლხთა საზოგადოება წამყვანია არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მხრივაც. კოლხთა საზოგადოების დაწინაურებაში არსებითი როლი, უპირველესად, ინტენსიური მიწათმოქმედების, განსაკუთრებით კი მევენახეობა-მეღვინეობის ფართოდ განვითარებას უნდა შეესრულებინა.

მეურნეობის ახალი დარგის — მეღვინეობის ფართოდ დანერგვა იწვევდა დიდ ძვრებს, როგორც ამ საზოგადოების ეკონომიკაში, ისე მის სოციალურ ურთიერთობაში. იგი მძლავრი სტიმული გახდა ქვეყანაში სასაქონლო წარმოებისა და კერძო საკუთრების განვითარებისათვის[2].

სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა შენიშნული, რომ ვაზი თავდაპირველად საკულტო მცენარე უნდა ყოფილიყო. იგი ადრე ხატის საკუთრებას წარმოადგენდა და ინერგებოდა ძლიერ სატომო ღვთიებათა კუთვნილ მიწებზე, რის გამო ვენახის პირველი დიდი მესაკუთრე წარმართული ტაძარი ხდება[3]. შემდეგშიც მოუხდებოდა იმისა, რომ ვენახის გაშენება მეთემეების სარგებლობისათვის განკუთვნილ ნაკვეთებშიც იწყება, ვენახის დიდი ნაწილის მფლობელად მაინც ტაძარი უნდა გამოსულიყო. კოლხეთის უმნიშვნელოვანესი სატაძრო ცენტრებიც (როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ), სწორედ რიონ-ყვირილის ხეობათა გასწვრივ, ქვეყნის შუა და აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მევენახეობით განთქმულ რეგიონებში წარმოიქმნებიან და ვითარდებიან[4].

ძვ. წ. VI ს-დან რიონ-ყვირილის გაყოლებით მოსახლე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურება განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ თუკი აქამდე ამ საზოგადოების განვითარება უმთავრესად შინაგანი საწარმოო ძალების პროგრესის საფუძველზე მიმდინარეობდა, ამიერიდან მას მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი გამოუჩნდა საბერძნეთის, შავიზღვისპირეთის, მახლობელი აღმოსავლეთის დიდ ცენტრებთან სავაჭრო ურთიერთობის სახით. ეს კავშირი, რომელიც უკვე ადრიანტიკურ ხანაში დიდი მნიშვნელობის სანაოსნო გზის, რიონ-ყვირილის მაგისტრალის მეშვეობით ხორციელდებოდა, მძლავრი სტიმული ხდება ქვეყნის ამ მხარის ეკონომიკურ შესაძლებლობათა ყოველმხრივი გამოვლენისა, ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისებისა, სასაქონლო წარმოებისა და საერთაშორისო ბაზარზე მისი პროდუქციის გატანისათვის. ქალაქური ტიპის დასახლებათა უმრავლესობაც, ბუნებრივია, თავიდანვე სწორედ ამ სავაჭრო სანაოსნო გზის გასწვრივ (რიონ-ყვირილის გაყოლებით) წარმოიქმნება და ვითარდება.

ამრიგად, ძვ. წ. VI ს-სათვის საკუთრივ კოლხთა საზოგადოება იმდენად წინაურდება, რომ იგი ახერხებს მის გარშემო არსებული, შედარებით სუსტი

2 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, რედ. გ. მელიქიშვილი, თბ., 1970, გვ. 414.

3 ი. კ ი კ ვ ი ძ ე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 99—100.

4 ახ. წ. VI ს-ის ბიზანტიელი ავტორის პროკოპი კესარიელის ცნობებიდან ირკვევა, რომ მოხირისად თუ მუხირისად წოდებული ეს მხარე უფრო მოგვიანო ხანაშიც განთქმული იყო მევენახეობა-მეღვინეობით და სხვა ნაყოფთა: „ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც აქ კარგად ხარობენ“ (BG, VIII, I, გეორგიკა, ტ. 2, თბ., 1965, გვ. 194). როგორც ვარაუდობენ, მოხირისის მხარე მოიცავდა მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც დღევანდელი მაიაოვსკის, ვანისა და სამტრედიის რაიონების დაბლობ ნაწილს, აღმოსავლთი საზღვარი კი შესაძლოა სკანდა-შორაპნის ხაზამდეც მიდიოდა. ეს მხარე ყვირილის ხეობასთან ერთად დღესაც განთქმულია უხვმოსავლიანი მიწებითა და მევენახეობით.

3. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის სერია, 1986, № 4

ეთნოპოლიტიკური წარმონაქმნების გამაერთიანებლის როლში გამოსვლას და საკმაოდ ვრცელი ტერიტორიის მომცველი სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნას.

კოლხეთის სამეფოს ფორმირებასთან ერთად, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, სრულდება ე. წ. სკეპტუხიათა ჩამოყალიბების პროცესიც. სკეპტუხიები წარმოადგენენენ კოლხეთის სამეფოს ადმინისტრაციულ დანაყოფებს, რომელთაც საფუძვლად დაედო ზემოდასახელებული ტერიტორიული ერთეულები[5], „ხევეყნები“, „ხევები“, ან „ხევთა“ გაერთიანებანი[6]. კოლხეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ეს ეთნო-ტერიტორიული წარმონაქმნები საგამგეო ერთეულებად იქცევიან, ხოლო მათი ადგილობრივი ხელისუფლებანი, სატომო არისტოკრატიის წარმომადგენელნი, სამეფო მოხელის ფუნქციებითაც აღიჭურვებიან და საქვეყნოდ გამრიგენი ხდებიან[7].

კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი საგამგეო ერთეული—სკეპტუხია, როგორც ჩანს, მდებარეობდა ყვირილის ხეობაში[8]. ზოგიერთი მკვლევარი სკეპტუხიას ვარაუდობს კოლხეთის ცენტრალურ ნაწილშიც, ვანის ქვეყანაში[9].

სახელმწიფო ორგანიზაციის ჩამოყალიბებასთან ერთად კოლხეთში ჩნდებიან მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ეკონომიკური ცენტრებიც. წერილობითი ცნობების (ანოლონიოს როდოსელის და სხვ.) მიხედვით, ასეთი უნდა ყოფილიყო კუტაია (ქუთაისი), ხოლო არქეოლოგიური კვლევა-ძიებით ძველი საქალაქო ცენტრები გამოვლენილია დღევანდელი ვანისა და ყვირილის ხეობის ერთ-ერთი სოფლის — საირხის სანახებში.

ვანსა და საირხეში მოპოვებული მასალა, როგორც წყარო ძვ. წ. VI—I სს-ის შიდა კოლხეთის ქალაქების ისტორიის შესასწავლად, მათი განვითარების ცალკეული ეტაპისა და ფუნქციების დასადგენად, დიდი ხანია უკვე იქცევს მკვლევართა ყურადღებას. ვანში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების კვლევა-ძიების საფუძველზე უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე დაწერა არაერთი გამოკვლევა, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა არაერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება. ზემოთქმულის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ვანის ექსპედიციის ხელმძღვანელის ო. ლორთქიფანიძის ნაშრომებში წარმოდგენილი მოსაზრებანი. მკვლევრის ვარაუდით, ვანის ძველი ქალაქის ისტორიაში უნდა გამოიყოს სამი ძირითადი ეტაპი. თავის განვითარების პირველ ეტაპზე (ძვ. წ. VI—IV სს-ის პირველ ნახევარში) ვანი წარმოადგენდა კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის („სკეპტუხიის“||„ვანის ქვეყანის“) პოლიტიკურ და, შესაბამისად, ეკონომიკურ ცენტრს, მმართველი ზედაფენის რეზიდენციას, რომელსაც ეკავა ბუნებრივი ხევებით გამაგრებული ბორცვი (ე. წ. „ახვლედიანების გორა“), უფრო სწორედ მისი ქვედა და ცენტრალური ტერასები, რადგან სამოსახლო კულტურული ფენები

---

5 მ. ინაძე, კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XXVI, № 6, 1961, გვ. 783—790.

6 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 140—141, 150, 151 და შემდ.

7 მ. ინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 788.

8 ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975, გვ. 134; Г. Лордкипанидзе, Колхида в VI—II вв. до н. э., Тб., 1978, გვ. 30.

9 Г. Лордкипа'нидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 75; ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, გათხრები, ისტორია, პრობლემები (წერილი მეორე), ვანი III, თბ. 1977, გვ. 18, 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ აქ არის წარმოდგენილი. ეს რეზიდენცია თავდაპირველად სამხედრო-ადმინისტრაციული ცენტრია, სადაც თანდათანობით ხდება კონცენტრაცია ხელოსნობის ძირითადი დარგებისა.[10]

მკვლევრის თანახმად, შემდგომი ეტაპი ვანის ველი ქალაქის ისტორიაში მოიცავს ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარს და III ს-ის პირველ ნახევარს (ყოველ შემთხვევაში დასაწყისს მაინც). ამ ეტაპს იგი უკავშირებს დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძვრებს, რომლებიც შეინიშნება როგორც მახლობელ აღმოსავლეთში, ისე ქართლში. ამავე დროს, მას ნიშანდობლივად მიიჩნია ის გამეორებაც, რომ ამ დროისათვის უკვე იჩენს თავს ვანის ონომასტიკონში გლიპტიკურ ძეგლებზე და სხვ. აღმოსავლურ-ანატოლიური (კაპადოკიური) გავლენა[11].

ვანის ქალაქის განვითარების ახალი ეტაპი, როგორც ო. ლორთქიფანიძე ვარაუდობს, ძვ. წ. III—I სს-ებს ემთხვევა და ამ დროს იგი ფუნქციონალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით სატაძრო ქალაქს წარმოადგენს. ამის დამადასტურებლად მიჩნეულია ის გარემოება, რომ არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით ამჟამად ყველა უბანზე ძვ. წ. III—I საუკუნეებისათვის მხოლოდ სატაძრო-საკულტო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანია წარმოდგენილი. ამასთან ამ ხანის სატაძრო-საკულტო კომპლექსები, საკურთხეველები გამორჩევიან საკმაო ხირთულითა და დიდი მასშტაბებით[12]. მკვლევრის შემდგომი მსჯელობიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი შინაგან კავშირს ხედავს ელინისტურ ხანაში (ძვ. წ. III ს-ის შუახანიდან) ვანის ტერიტორიაზე სატაძრო ქალაქის არსებობასა, თუ წარმოქმნასა (?) და აღმოსავლეთ კოლხეთში სწორედ ამ დროს მომხდარ ეთნო-პოლიტიკურ და კულტურულ ძვრებს შორის (კოლხეთის აღმოსავლეთი ოლქების ქართიზაცია, აღმოსავლეთ-ქართული ტომების-მესხების ექსპანსია, იბერიის სამეფოს პოლიტიკური გავლენის გავრცელება და სხვ)[13].

ამრიგად, მთელი ამ მსჯელობიდან იმ აზრის გამოტანა შეიძლება, რომ სატაძრო ცენტრი, სატაძრო ქალაქი ვანში მისი ისტორიის მესამე ეტაპზე, ელინისტური ხანიდან (ძვ. წ. III ს-დან) ჩნდება. მანამდე კი, აღრეანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VI ს—IV ს-ის ბოლო მეოთხედამდე) ვანი წარმოადგენს მხოლოდ კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრს.

სადღეისოდ ვანში აღმოჩენილი ძვ. წ. VI—IV სს-ის მდიდრული სამარხების ინვენტარის დეტალური დამუშავება, მისი სოციალური ატრიბუციის თვალსაზრისით ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები, ამასთან უკანასკნელ წლებში ვანსა და საირხეში (ყვირილის ხეობაში) მოპოვებული ახალი არქეოლოგიური მასალა, ჩვენი აზრით, შესაძლებელს ხდის სხვა კუთხით მივუდგეთ ვანის სატაძრო ქალაქის გენეზისისა და ამ ადგილზე აღრეანტიკურ ხანაში არსებული ქალაქისა და მისი მმართველი ზედაფენის რაობის საკითხს.

---

[10] ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი. ვანი III, გვ. 18, 19.

[11] იქვე, გვ. 19, 20.

[12] იქვე, გვ. 22.

[13] იქვე, გვ. 25—27. ო. ლორთქიფანიძე აქვე იმასაც შენიშნავს, რომ თვით სატაძრო ქალაქის ორგანიზაციული ფორმა დამახასიათებელია კაპადოკიისა და ფრიგიისთვის, ე. ი. იმ ტერიტორიისათვის, სადაც მესხური ტომების უძველესი საცხოვრისი ივარაუდება (გვ. 25—26).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანის სატაძრო ქალაქის წარმოქმნის საკითხის შესწავლისას, უპირველესად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ახალედიანების გორის წყეთზე და მის ცენტრალურ ტერასზე გამოვლენილი წინა და ადრეანტიკური ხანის საკულტო ნაგებობათა ნაშთები და ამავე დანიშნულების კომპლექსები, რადგან სწორედ ადრეული ხანის ეს ძეგლები (რომელთა შემადგენლობა ყოველწლიურად იცვლება ახალი მონაცემებით), ძვ. წ. V—IV სს-ის ვანისა და საირხის სამარხებიდან მომდინარე მასალასთან ერთად სადღეისოდ წარმოადგენს ამოსავალს, ამავე დროს საინტერესო დასაყრდენს, ზემოაღნიშნული საკითხების შემდგომი კვლევისათვის. ამ თვალსაზრისით საგანგებო ინტერესს იწვევს 1975 წელს ცენტრალურ ტერასზე აღმოჩენილი ვერტიკალურად მდგარი ქვის ფილებით შედგენილი „სასაულტო კერია“, რომლის შიგნით და ირგვლივ ნაპოვნია დიდი რაოდენობით ჩალეწილი თიხის ჭურჭელი (ქოთნები, დერგები) უპირატესად ძვ. წ. VII—VI საუკუნეებისა[14].

მომდევნო წლების გათხრებმა იმავე ცენტრალურ ტერასზე გამოაღერნა კიდევ უფრო საგულისხმო მასალა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეავსო წინა მონაპოვრის მიხედვით წარმოდგენილი სურათი. სახელდობრ, 1983—84 წლებში ამ ტერასზე ელინისტური ხანის ფენის ქვეშ კვლავ აღმოჩნდა საკულტო დანიშნულების ნაგებობის ნაშთები და მასთან ერთად ცხოველთა თიხის მრავალრიცხოვანი სტილიზებული გამოსახულებანი, რომელნიც ძვ. წ. VIII—VII სს-ით თარიღდებიან. ფიქრობენ, რომ ეს გამოსახულებანი გამოყენებული უნდა ყოფილიყვნენ ნაყოფიერების ქალღვთაების — იმავე ღმერთების დიდი დედისადმი მიძღვნილ საკულტო რიტუალში, რომელიც ამ ადგილზე სრულდებოდა ჯერ კიდევ წინარეანტიკურ ხანაში[15].

აღსანიშნავია, რომ საკმაოდ ადრეული ხანის, სახელდობრ, უშუალოდ ძვ. წ. VIII—VII სს-ის მომდევნო პერიოდის საკულტო-რიტუალური დანიშნულების ძეგლები გამოვლენილია ახალედიანების გორის ზედა ტერასზედაც[16]. ასეთ ძეგლად არის მიჩნეული, უპირველეს ყოვლისა, ბორცვის წვეროს ცენტრალური ადგილზე ფიქსირებული ე. წ. დახურული კომპლექსი: კლდოვან დედაქანში (თიხში) ამოკვეთილი სარიტუალო ქვაბული, ორმიები და ურთიერთგადამკვეთი არხები, რომლებშიც აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის კერამიკის ერთი ჯგუფი არქეული ეერით გამოირჩევა. შემჩნეულია ისიც, რომ არხების ერთი ნაწილი ძვ. წ. VI საუკუნეში უკვე წყვეტს ფუნქციონირებას[17], რაც ამ კომპლექსის სიძველის კიდევ ერთი მაჩვენებელი უნდა იყოს. მკვლევართა თანახმად, დახურულ კომპლექსში სრულდებოდა ქტონიურ ღვთაებებთან

14 ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, ვანი III, თბ., 1977, გვ. 14.

15 ო. ლორთქიფანიძე, ვანის 1983—84 წლების არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში, წაკითხული მოხსენების სახით 1984 და 1985 წლებში სქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგებისადმი მიძღვნილ სესიებზე (თბილისში).

16 ზედა ტერასზე აღმოჩენილია წინარეანტიკური ხანის მასალაც, თუმცა მცირე რაოდენობით. ეს მასალა მოწმობს ბორცვის წვეროზე დასახლების არსებობას ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებიდან მაინც (დ. კაჭარავა, ო. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, გ. ყიფიანი, არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასზე, ვანი IV, თბ., 1979, გვ. 37). მკვლევართა ეარაუდით, ამ დროის, ისევე როგორც უფრო ადრინდელი ხანის ძეგლები, ზედა ტერასზე მერმინდელი მშენებლობისას უნდა იყოს განადგურებული (იქვე, გვ. 37).

17 დ. კაჭარავა, ო. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, გ. ყიფიანი, არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასზე, გვ. 33—37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკავშირებული საკულტო რიტუალი[18]. ზოგიერთი იმასაც ვარაუდობს, რომ კლდეში ნაკვეთი ეს კომპლექსი — სარიტუალო ორმოები სპეციფიკური არხებით — წარმოადგენდნენ მიწისქვეშა სანსხვერპლოებს, რომლებშიც აგროვებდნენ ღვთაებისადმი შეწირული ცხოველთა სისხლს[19]. როგორც ფიქრობენ, ეს სანსხვერპლოები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმაღე ზედა ტერასზე გამოგლვნილ ძვ. წ. VI—V სს-ის ხის ძელებით ნაშენ დიდ საკულტო ნაგებობასთან[20], რომელიც შემდგომში ხანძრისაგან განადგურებულა[21].

ზემოაღწერილი დასურული კომპლექსი, როგორც ჩანს, მართლაც ადრიდანვე სგგანგებო დანიშნულებას ასრულებდა ბორცვზე ჩატარებულ საკრალურ ცერემონიალებში. ამაზე, გარდა ამ კომპლექსის მდებარეობისა (განლაგება ბორცვის შუაგულში, მის უმაღლეს წერტილში, ყველაზე სპატიო ადგილას), უნდა მეტყველებდეს ის გარემოებაც, რომ ამ ადგილზე ელინისტურ ხანაში (ძვ. წ. III ს.) შენდება ვანის სატაძრო ქალაქის ერთ-ერთი მთავარი სალოცავი — „საზეიმო“ საფეხურებიანი მონუმენტური ქვის საკურთხეველი[22]. აღსანიშნავია ისიც, რომ ბორცვის ჭვრეზე ძვ. წ. IV—III სს-ში არაერთი წარჩინებული — ვანის საზოგადოების ზედაფენის წარმომადგენელი დაუკრძალავთ[23]. (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ პირთა გარკვეული ნაწილი, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, აშკარად ვანის კულტმსახურთა ფენას განეკუთვნება).

ანალოგიური სურათი იშლება ახვლედიანების გორის ცენტრალურ ტერასზედაც, სადაც ზემოხსენებული წინარეანტიკური ხანის საკულტო კერის ახლოს ელინისტურ ხანაში (ძვ. წ. IV—III სს.) იგება თეთრი ქვის საკურთხეველი[24]. ამასთან ნიშანდობლივია ისიც, რომ აქეე მახლობლად დასტურდება კულტმსახურ წარჩინებულთა სამარხები. ყველა ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, პირდაპირ მიუთითებს ახვლედიანების გორაზე არსებული სამლოცველოს ძველსა და ძლიერ ტრადიციებზე. ამაღე დროს დასახელებული ფაქტები იმის მაუწყებელნიც არიან, რომ ძველი კოლხური კულტები ვანის ქალაქში ადრეელინისტურ ხანაშიც ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას[25].

ზემოთქმულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ახვლედიანების გორის ზედა ტერასის დიდი ნაწილი ადრეანტიკურ ხანაში საკულტო-რიტუალური დანიშნულების კომპლექსებს უმირავთ. სახელდობრ, გარდა ზემოდასახელებულ ნაგებობებისა, ზედა ტერასზე ადრეანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VI—V სს-ში) არსებობდა ე. წ. „რიტუალური მოედანიც“. რიტუალში, ჩანს, გარკვეულ როლს ასრულებდა ცეცხლი. „მოედნიდან“ 0,75 მ. დაცილებით აღმოჩნდა ადგილობრივი თიხისაგან გამოძერწილი ქალღმერთის (?)

---

18 დ. კაჭარავა, ო. ლორთქიფანიძე... დასახ. ნაშრ., გვ. 37.

19 Г. Лордкипанидзе, დასახ. ნაშრ., გვ 122, 123.

20 იქვე

21 დ. კაჭარავა, ო. ლორთქიფანიძე... დასახ. ნაშრ., ვანი IV, გვ. 31.

22 იქვე, გვ 21.

23 იქვე, გვ. 25 და შემდ.

24 ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, ვანი III, გვ. 14.

25 შდრ. დ. კაჭარავა, ო. ლორთქიფანიძე,... დასახ. ნაშრ., გვ. 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერაკოტული ქანდაკება. „მოედნის“ გაგრძელებაზე ჩრდილოეთით დადასტურებულია დიდი რაოდენობით შეწირული ცხოველთა ძვლები[26].

მთელი ამ არქეოლოგიური მონაპოვრის, „ახალდიანების გორის“ ზედა და ცენტრალურ ტერასებზე გამოვლენილი საკულტო-რიტუალური დანიშნულების ძეგლების, განხილვა გვაფიქრებინებს, რომ ვანის ქვეყნის ერთერთი მთავარი სალოცავი ხატი ძველთაგანვე (ყოველ შემთხვევაში წინარეანტიკური ხანიდან მაინც) „ახალდიანების გორად“ წოდებულ ბორცვზე არის საგულისხმებელი. როგორც ჩანს, უკვე ძვ. წ. VIII—VI სს-ში აქ საკმაოდ დიდი მასშტაბიი სრულდებოდა ნაყოფიერების ქალღვთაებისადმი განწესებული კულტმსახურება[27].

ვანის სამლოცველოს საკულტო ცენტრად განვითარების შემდგომი პერიოდი ძვ. წ. V ს-დან იწყება. ამ დროისათვის კოლხეთში დიდი სოციალური და პოლიტიკური ძვრები ხდება: იქმნება საკმაოდ რთული სტრუქტურის საზოგადოება ურთიერთდაპირისპირებული კლასებითა და იერარქიულად დაქვემდებარებული სოციალური ფენებით, სრულდება სახელმწიფოს ფორმირების პროცესი[28], ყველა ამ ძვრების, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი ცვლილებები და გარ-

---

26 დ. კაპარავა, ო. ლორთქიფანიძე..., დასახ. ნაშრ., გვ. 21, 36.

27 საკუთრო ცენტრების არსებობა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში და უფრო აღრეც (II ათასწლეულის დასასრულს) არქეოლოგიური კვლევა-ძიებით დასტურდება კოლხეთის მეზობლად, შიდა ქართლში(ე. ასეთებია ყათლისხევის, ნაცარგორას (მესამე ფენის) და ხოვლეგორის საწესო კომპლექსები, რომლებიც წარმოადგენენ ნაყოფიერების ღვთაებათა ხატებს. როგორც ფიქრობენ, ისინი უნდა ყოფილიყვნენ ხევის ან ტბის საკუთრ ცენტრები, სადაც ტარდებოდა საკმაოდ რთული საწესო რიტუალი ნაყოფიერების გასაზრდელად(ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 200—208; ანტრო ემყარება დ. ხახუტაშვილის, გ. გობეჯიშვილის, რ. ბბრამიშვილის, დ. მუსხელიშვილის, გ. ცქიტიშვილის ნაშრომებს). გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლებისა, ძვ. წ. VIII—VII სს. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ცენტრების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის გამდლისწყაროში (ტრიფოლის ველზე) აღმოჩენილი განაშრი შემავალი ერთი საკუთრო დანიშნულების ნივთი, რომელიც სამლოცველოს ინიტაციი უნდა იყოს. ეს ნივთი მით უფრო საინტერესოა ჩვენთვის, რომ განაი კულტურას განეკუთვნება და უმთავრესად სამეურნეო დანიშნულების ნივთებისაგან შედგება. ოვითონ საკუთრ ნივთი წარმოადგენს ნალის ფორმის შემოღობილ სარიტუალო მოედნის მოდელს. მოედნის შუაში დგას თაღისებური საკურთხეველი, რომელსაც უკან დგმის ნალის ფორმისაე კარა. მოედნის სწორ თავში დგას ოთხკუთხა ნაგებობა — ტაძარი. მომრგვალებული ნაწილი მოლიანად უჭირავს შესაწირავად გამზადებულ ცხვრეულია (ცხვრების) ფიგურებს. მოედანზე ამართულია 7 ანთრაპომორფული ფიგურა (4 მათგანი ითოდაერია). ორი ფიგურა კერის შიგნით აწყვია (ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 223, 224; მ. ხიდაშელი, ბატერიალური კულტურის ზოგიერთი ძეგლი როგორც ისტორიული წყარო). ამრიგად, ეს საკუთრო მნიშვნელობის ნივთი შეიცავს ყველა იმ სარიტუალო დანიშნულების ნაგებობის გამოსახულებას და რთული რიტუალის შესრულებისათვის საჭირო კომპონენტებს, რომლებიც ახალდიანების გორაზე გამოვლენილ ძვ. წ. VIII—VI სს-ის სამლოცველოშია წარმოდგენილი. საწესო რიტუალიც, რომელიც საკუთრო ნივთზეა გამოსახული, ისევე როგორც ვანში, ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი. ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ ერთი საბუთია იმის სასარგებლოდ, რომ ვანი, ისევე როგორც შიდა ქართლის ზემოჩამოთვლილი ძეგლები, ძვ. წ. VIII—VII სს-ში სატომო საკუთრ ცენტრია („ვანის ქვეყანის“ მთავარი სამლოცველოა). მომდევნო პერიოდში (ადრეანტიკური ხანიდან) კოლხეთში დიდი პოლიტიკური გაერთიანების შექმნის შემდეგ, ვანის ეს სამლოცველო უკვე სატომთშორისო მნიშვნელობის საკუთრ ცენტრი ხდება. მისი დიდ სატაძრო ცენტრად ფორმირება ამ დროს უკვე ადრეკლასობრივი საზოგადოების წიაღში მიმდინარეობს.

28 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 410—414; Г. Лордкипанидзе, Колхида в VI—II вв. до н. э., გვ. 77 და შემდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქმნები უნდა მოეტანა ვანის საზოგადოების ცხოვრებაშიც. და მართლაც, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით, აღებულ ხანაში (ძვ. წ. V—IV სს.) ვანი წარმოგვიდგება მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად მაღალგანვითარებული ხელოსნური წარმოებით, ფართო სავაჭრო ურთიერთკავშირებით, ქონებრივად და სოციალურად ძლიერად დიფერენცირებული საზოგადოებით[29]. მაგრამ, მთავარი და არსებითი მაინც ის არის, რომ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებათან ერთად მნიშვნელოვანი ტეხილი შეინიშნება ვანის საკულტო ცენტრის განვითარებაშიც. ამ დროისათვის (ძვ წ. V ს.) აქ უკვე არსებობს სატაძრო ცენტრი მკვეთრად ჩამოყალიბებული ქურუმთა ინსტიტუტით, დაკანონებული საკრალურ-რიტუალური წესებითა და ნორმებით. ვანის სატაძრო ცენტრში მიმდინარე ამ პროცესის ნათელსაყოფად ტერასაზე გამოვლენილ საკულტო დანიშნულების ნაგებობებსა და კომპლექსებთან ერთად, რომელთაც, როგორც დავინახეთ, ძვ. წ. VI—V სს-ში დიდი როლი ჰქონდათ განკუთვნილი ვანის საზოგადოების რელიგიურ ცხოვრებაში, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ახლოდიანების გორაზე გთხრილ ძვ. წ. V—IV სს-ის წარჩინებულთა მდიდრულ სამარხებს.

თაღდაპირველად უნდა შეეჩერდეთ ძვ. წ. V ს-ის შუა ხანებში ცენტრალურ ტერასაზე დაკრძალული წარჩინებული ქალის სამარხეულ ინვენტარსა და დამარხვის რიტუალზე, რომელთა დეტალური განხილვა, საირხეში ამ ბოლო დროს მოპოვებულ ანალოგიურ მასალასთან ერთად, თვალნათლივ გვიჩვენებს ადრიანტიკური ხანის ვანისა და საირხის საზოგადოების ზედადფენის თეოკრატულ ბუნებასა და მის წარმომადგენელთა ახლო კავშირს კულტმსახურებასთან. ამ თვალსაზრისით წარჩინებული ქალის სამარხეული ინვენტარიდან უპირველესად ყურადღებას იქცევს მისთვის ჩატანებული საკულტო ნივთები.

ამ ნივთებიდან აღსანიშნავია თავსამკული, შედგენილი მსხლისებრი საკიდებისა და ტანდაღარული მძივებისაგან. სპეციალისტთა აზრით, ეს ნივთი ზუსტ პარალელს ვერსად პოულობს. იგი წარმოადგენს წარჩინებული კოლხი ქალის თავისებურ სამკაულს და ადგილობრივ შექმნილ ძეგლთა რიგს მიეკუთვნება[30]. ეს თავსამკული იმ მხრივ იმსახურებს ჩვენს საგანგებო ინტერესს, რომ იგი დიდ მსგავსებას იჩენს იმავე ცენტრალურ ტერასზე დაკრძალული „წარჩინებული მეომრის“ (ძვ. წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი) სამარხში აღმოჩენილ ოფიციალურ საბეჭდავ-ბეჭედზე გამოსახულ ქალ-ღვთაების (თუ ქურუმი ქალის) თავსამკულთან[31]. ეს მსგავსება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს და უნდა მიგვანიშნებდეს ამ ნივთის საკულტო დანიშნულებაზე, ამასთან მისი მფლობელის კულტმსახურებასთან კავშირზე.

ამაზევე მეტყველებენ წარჩინებული ქალისათვის ჩატანებული რიტუალური დანიშნულების სხვა ნივთებიც (რომლებიც მიცვალებულის თავთან ელაგა): ვერცხლის სფერული ჭურჭელი, რომელიც დამშვენებულია ხელაწეული სფინქსების გრავირებული გამოსახულებით, ასევე ბრინჯაოს მცირე ზომის სიტუ-

29 ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, ვანი III, თბ., 1977, გვ. 18—20.

30 ა. ჭუანია, ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, თბ., 1981, ვანი VI, გვ. 16—17.

31 მარგ. ლორთქიფანიძე, არქაული და „არქაიზირებული“ საბეჭდავი — ბეჭედები ვანიდან, ვანი II, თბ., 1976, გვ. 136; ო. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორდავა, ა. ჭუანია, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, ვანი I, თბ., 1972, გვ. 216—217.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ფორმის ჭურჭელი, რომლის ძირზე გამოსახულია მზის სიმბოლო-სვასტიკა[32]. სვასტიკებით შემკულია დოლისებური საკიდებისაგან შედგენილი წარჩინებული კოლხი ქალის ყელსაბამიც. აქვეა კოლხური ბრინჯაოს სარიტუალო სიტულები[33].

საგანგებო ინტერესს იწვევს აგრეთვე წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში ფრთაგაშლილი არწივის გამოსახულებიანი ორი ოქროს ფირფიტის აღმოჩენა, რომლებიც უთუოდ სარტყლის მოსართავს წარმოადგენდა. არწივი, როგორც ცნობილია, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა რელიგიური რწმენების მიხედვით „მზის ფრინველია", მისი სიმბოლოა. იგი ყველგან სამეფო ან საღმრთო ფრინველად ითვლებოდა — ჰერალდიკური მნიშვნელობის მატარებელი იყო[34]. ამავე დროს, ქართულ წარმართულ პანთეონში არწივი უკავშირდებოდა ნაყოფიერების უზენაეს ღვთაებასაც[35]. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში არწივის გამოსახულებიანი ფირფიტების აღმოჩენა შემთხვევითი არ უნდა იყოს და იგი დაკრძალულის დიდ ძალაუფლებასა და მაღალ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს[36]. ჩვენი აზრით, არწივის გამოსახულებიანი ფირფიტების კავშირი მზისა და ნაყოფიერების ღვთაებათა კულტებთან, წარჩინებული ქალის ძალაუფლების თეოკრატიულ ხასიათზედაც უნდა მეტყველებდეს.

ზემოდასახელებული ქალის კუთვნილებას ვანის საზოგადოების უზენაეს კულტმსახურთა ფენისადმი, რომლის რელიგიურ ცხოვრებაში მზის თაყვანისცემას და მასთან დაკავშირებულ ცერემონიალებს დიდი ადგილი ეჭირა, უნდა მოწმობდეს სამარხში ჩატანებული ოქროს დიადმაც, რომელზედაც ცხოველთა ჭიდილის სცენებია წარმოდგენილი დაბალი რელიეფით. ერთ ფირფიტაზე ორი ლომი დასძგერებია ჭურეიკს, მეორე ფირფიტაზე — ორი ლომი ხარს[37]. რაკი ლომი ძველ ხალხებში მზისა და სინათლის განსახიერებად იყო მიჩნეული, ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ წარჩინებული ქალის დიადემაზე მოთავსებული გამოსახულებანი წარმოადგენენ მზისა და სიბნელის, სიცოცხლისა და სიკვდილის ჭიდილის სიმბოლოს[38]. ამასთან, გამოთქმულია ვარაუდი, რომ აღნიშნული დიადემები საგანგებოდ მზადდებოდა დასაკრძალავი რიტუალისათვის[39]. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად კოლხეთის დიდებულთა სამარხებში აღმოჩენილი დიადემები წარმოადგენენ წარჩინე-

---

32 ო. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორდავა, ა. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, ვანი I, თბ., 1972, გვ. 213, 238.

33 იქვე, გვ. 214, 223.

34 A. Roos, L'aigle du culte solaire syrien, RA, 6-e série, t XXXVI, 1950 (octobre-décembre); მარგ. ლორთქიფანიძე, არქაული და „არქაიზირებული" სპეკტაკლი—ბეჭდები ვანიდან, გვ. 161, 162.

35 Г. Лордкипанидзе, К истории древней Колхиды, Тб. გვ. 124; он же, Колхида в VI—II вв. до н. э., გვ. 122.

36 ა. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

37 ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, ვანი I, გვ. 12, 13.

38 იქვე, შენ. გვ. 13.

39 ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, შენ 31, გვ. 13; ა. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულობის ნიშანს[40]. ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული ოქროს დიადემა ვანის უზენაეს კულტმსახურთა ფენის წარმომადგენლის ხელისუფლების ინსიგნია უნდა იყოს და მისი დანიშნულება მხოლოდ დასაკრძალავ რიტუალში მონაწილეობით არ უნდა განისაზღვრებოდეს. საესებით დასაშვებია, რომ წარჩინებული კოლხი ქალი მას სიცოცხლეში ატარებდა, როგორც განსაკუთრებული ღირსებისა და უზენაესი ქურუმის ნიშანს ვანის საკულტო ცენტრში შესრულებულ საკრალურ ცერემონიალებსა და საზეიმო პროცესიებზე გამოსვლისას (როგორც ამას ადგილი ჰქონდა პონტოს კომანას სატაძრო გაერთიანებაში. სტრაბონის გადმოცემით, კომანას ქურუმი დიადემას წელიწადში ორჯერ იცვამდა, ისიც მხოლოდ ღმერთქალისათვის მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალის შესრულების დროს[41]).

გარდა მზის სიმბოლოებით დამშვენებული საკულტო დანიშნულების ნივთებისა, წარჩინებული კოლხი ქალის უმაღლესი კულტმსახურთა წრისადმი კუთვნილებას უნდა მოწმობდეს, აგრეთვე, მის სამარხში აღმოჩენილი არაერთი ნივთი, შემკული ნაყოფიერების ქალღვთაების — დიდი დედის კულტთან დაკავშირებულ ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებებით: ერთ-ერთი ოქროს ყელსაბამის საკიდები გაფორმებულია ეერძის თიხეების სახით[42], ხოლო ვერძი, ცხვარი ძველ კოლხთა წარმოდგენებში სიმბოლოა ნაყოფიერებისა, მოსავლიანობისა და სხვ. აღსანიშნავია აგრეთვე წარჩინებული ქალის სამარხში ფრინველის ფიგურებიანი სამკაული (საყურეების, ყელსაბამის) ჩატანება[43]. დადგენილია, რომ სამკაულთა მორთულობაში ამ ელემენტის შეტანა მათ საკულტო დანიშნულებაზე მიუთითებს და ფრინველთა ეს გამოსახულებებიც უკავშირდებიან ბუნების დიდი დედის კულტს[44].

ნაყოფიერების ღვთაებასთან დაკავშირებული საკულტო ნივთების ჩატანება სამარხში ვანის საზოგადოების თეოკრატიული ზედფენის წარმომადგენლისათვის საესებით ბუნებრივი ჩანს, რადგან ვანში (ისევე როგორც მთელ კოლხეთში), ადრიდანვე იკვეთება ნაყოფიერებისა და ბუნების მფარველი ქალღვთაების, იგივე ღმერთების დიდი დედის კულტი, რომლის იკონოგრაფია ქალის მცირე ზომის ქანდაკებებით არის წარმოდგენილი ვანში, საირხეში, ურეკში, ქუთაისში აღმოჩენილი წინა და ადრიანტიკური ხანის ქალის ტერაკოტული ფიგურები დაკავშირებულნი არიან დიდი დედის კულტთან და ბუნების მფარველ ძალას განასახიერებენ[45]. დიდი დედა, რომელიც სიმბოლოა ბუნების ნაყოფიერებისა, ვანის საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ღვთაებაა კოლხეთის საშეფოს აყვავების ხანაშიც. როგორც ვარაუდობენ, ამ დროს იგი სახელმწიფო კულტის მნიშვნელობასაც იღებს[46]. ნაყოფიერების ღვთაების თაყვანისცემის

40 ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, ითხვისის სამარხი, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXV—B, 1968, გვ. 34.

41 Strabo, XII, III, 32

42 ა. ჭ ო ნ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

43 ი ბ ე ვ ე, გვ. 37, 38.

44 იქვე.

45 კოლხური დიდი დედაღვთაების შესახებ დაწერილებით იხ. თ. მიქელაძის ნაშრომი — კოლხეთის აღრეკრკინის ხანის სამაროვნები, თბ., 1985, გვ. 62—67.

46 ამის დასტურია კოლხური ტრიიბლების შუბლზე არსებული ქალის გამოსახულება, რომელსაც ბ. კუფტინი, საესებით მართებულად, დიდი დედაღვთაების გამოსახულებად მიიჩ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფიციალურ რელიგიად აღიარებას ადრეანტიკური ხანის ვანის ქალაქში ადასტურებს „წარჩინებული მეომრის“ — დედატოსის ხელისუფლების ინსიგნიაზე — ოფიციალურ საბეჭდავ-ბეჭედზე მცენარეულ სამყაროსთან დაკავშირებული ქალღვთაების გამოსახვა[47].

ნაყოფიერების კულტის პარალელურად ადრეანტიკური ხანის ვანში (ისევე როგორც კოლხეთის სხვა ცენტრებში), დასტურდება ციურ მნათობთა, განსაკუთრებით სოლარული ღვთაების თაყვანისცემაც. წარჩინებული ქალების საკულტო ნივთების მზის სიმბოლოებით (სვასტიკებით, ლომის, არწივის გამოსახულებებით) უხვად შემკობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დროს დამახასიათებელი ჩანს ვანის თეოკრატიული ზედაფენის ყოფისათვის, რაც თავის მხრივ, ამ საზოგადოებაში ასტრალური პანთეონის მყარი რელიგიური სისტემის არსებობის მაუწყებელია.

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასტრალური არწმენა-წარმოდგენების განვითარებასთან ერთად საქართველოს მიწათმოქმედ საზოგადოებაში შეინიშნება ნაყოფიერების ქალღვთაებისა და მზის კულტების შერწყმა, რაც მათი ფუნქციონალური თანხვედმიით იყო გამოწვეული (მზე, ხალხის დაკვირვებით, არის ნაყოფიერების მთავარი წყარო)[48].

მზისა და დიდი დედის, ნაყოფიერების ქალღვთაების კულტების ფუნქციონალური შერწყმის პროცესი ვანშიც დასტურდება და იგი აირეკლება ამ ღვთაებათა სიმბოლოებშიც. არწივის, ლომის, ცხენის, მხედრის გამოსახულებანი, ერთი მხრივ, უკავშირდებიან ნაყოფიერების ღვთაების, დიდი დედის კულტს, მეორე მხრივ კი ციურ მნათობს — მზეს განასახიერებენ. ხშირად ცხენის სახით გამოიხატებოდა მზე, ანდა მზის სიმბოლოს-სვასტიკას ათავსებდნენ ცხენის გამოსახულებაზე[49].

ამრიგად, წარჩინებული კოლხი ქალის სამარხეული ინვენტარის განხილვას იმ დასკვნამდე მიეყვანართ, რომ მისთვის ჩატანებული ნივთებისა და სამკაულის საკმაოდ დიდი ნაწილი საკულტო-რიტუალური დანიშნულებისაა, რაც თავისთავად მეტყველებს მისი ძალაუფლების თეოკრატიულ ხასიათზე. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, წარჩინებული კოლხი ქალის ვანის უზენაეს კულტმსახურთა ფენისადმი კუთვნილებას უნდა მოწმობდეს მის დაკრძალვის დროს შესრულებული რიტუალიც. სამარხში, რომელშიც იგი ესვენა კიდეც აღმოჩნდა სამი ადამიანის ჩონჩხი ნაკლებად მდიდრული ინვენტარით, მის გარეთ კი ცხე-

ნევდა (Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, Тб., 1949, გვ. 253-254). იხ. აგრეთვე: Г. Лордкипанидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 117, 131. აქვე აღნიშნულია, რომ ანტიკური ხანის კოლხური მითოლოგიის მიხედვით, დედამიწა—გაია თვალცხოველ ყველა ღვთაების წარმოშობად (მთავარ ღვთაებად). გაია ამბოლნიოს როდოსელი „არგონავტიკაში“ ღმერთების დედასაც უწოდებს (Г. Лордкипанидзе, Колхида..., გვ. 121).

47 მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, არქაული და „არქაიზირებული“ სამეჭდავი — ბეჭედი ვანიდან, გვ. 144.

48 ი. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრ.. გვ. 161.

49 ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 35; თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ვანის ნაქალაქარი, ვანი I, გვ. 17; თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, დასახ ნაშრ., გვ. 67.

ნის ჩონჩხი[50]. წარჩინებული ქალის თანმხლებ ორ ქალს ვერცხლისა და ოქროს სამკაულთან (სამაჯურები, საყურეები, ყელსაბამები და სხვ.) ერთად აღმოაჩნდათ ვერცხლის დიადემები (ამთგან მეორე მიცვალებულს — ორი ერთად). მესამე მიცვალებულს, მხოლოდ ოქროს ერთადერთი საყურე ჰქონდა. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს თანმხლები ქალები იყვნენ მთავარი მიცვალებულის დახლოებული პირნი, პირადი მოახლეები, რომელთაც წარჩინებული ქალის სიკვდილის შემდეგ გაინაწილეს მისი ბედი[51]. აღნიშნული მოსაზრების თანახმად, მიუხედავად ამ ქალთა „სოციალური პოზიციებისა“ და მათი პრივილეგიური მდგომარეობისა (სხვა მონაშიველებთან შედარებით), ისინი მაინც ეკუთვნიან კოლხთა საზოგადოების უფლებამოკლებულ (უუფლებო) ფენას — მონებს[52]. ამასთან შენიშნულია ისიც რომ ქალების ჩონჩხზე არ ჩანს მათი იძულებითი დახოცვის რაიმე კვალი, ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ აქ შესრულებული იყო ნებაყოფლობითი მკვლელობის რაღაც საგანგებო წესი, რიტუალი[53].

ჩვენი აზრით, წარჩინებული ქალის თანმხლები ორი პირის სახით საქმე უნდა გვქონდეს არა მონა-მხევლებთან, მოახლეებთან, რომლებიც წარჩინებული ქალის სიკვდილის შემდეგ „იმ ქვეყნად“ სამსახურისათვის ნებაყოფლობითთან გაპყვნენ თავიანთ მბრძანებელს, არამედ საზოგადოების ეკონომიკურად საკმაოდ დაწინაურებულ და უფლებრივად სოციალური კიბის არც თუ ისე დაბალ საფეხურზე მდგომი ფენის წარმომადგენლებთან. ამ პერსონალის მაღალ მდგომარეობაზე (უფლებრივი თვალსაზრისით), უნდა ლაპარაკობდეს მათთვის ვერცხლის დიადემების ჩატანება, რაც ითხვისში აღმოჩენილი ძვ. წ. V ს-ის მეორმის სამარხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ დროის კოლხეთის საზოგადოებაში წარჩინებულთა, ან განსაკუთრებით გამორჩეულ პირთათვის განკუთვნილი, მათი დაკრძალვისათვის დამახასიათებელი წესი ჩანს[54]. ამდენად, წარჩინებული კოლხი ქალისათვის ასეთი მაღალი მდგომარეობისა და ღირსების მქონე პირთა ჩატანება სამარხში არ შეიძლება გამოწვეული იყოს მათი უუფლებობით: ჩვენი აზრით, უფრო მართებული და გასაგები იქნება თუ ამ მეტად თავისებურ დაკრძალვის წესს აუხსნით მისი საკულტო ხასიათით. უნდა ვიფიქროთ, რომ წარჩინებული კოლხი ქალისა და მისი თანმხლები პერსონალის დაკრძალვის რიტუალის შესრულების დროს ყველაფერი ვანის საკულტო ცენტრის უზენაესი ღვთაების — ნაყოფიერების ღმერთქალის სახელით ხდება და მისი ფუნქციების გაძლიერება-განახლებას ემსახურება. სახელდობრ, უმაღლესი ქურუმი ქალის (მთავარი მიცვალებულის) დაკრძალვისას ეკ-

---

50 ო. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორდავა, ა. ჭყონია, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, ვანი I, გვ. 213.

51 Г. Лордкипанидзе, Колхида в VI—II вв. до н. э, გვ. 76. წარჩინებული ქალის მოახლეებად მიიჩნია მასთან დაკრძალული ქალები ო. ლორთქიფანიძესაც (ვანის ნაქალაქარი, ვანი I, გვ. 13, შ.ნ. 31).

52 Г. Лордкипанидзе, დასახ. ნაშრ, გვ. 76.

53 იქვე.

54 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის სატაძრო ცენტრის ღვთისმსახურებაში მყოფი ღირსეული წევრები საკუთარი ნება-სურვილით ნაყოფიერებასა და მის ღვთაებას ეწირებიან მსხვერპლად. ეჭვი არ არის, ეს პირნი ვანის ტაძრის ჩვეულებრივი საღვთო მონები, მისი მოწმსახურე პერსონალის რიგითი წევრები არ არიან, არამედ მთავარ კულტმსახურთან ახლომდგომი, ღმერთქალის მსახურებაში მყოფი, დიდგვაროვანთა წარმომადგენელნი, რომლებიც სიცოცხლეშიც უბნიშვნელო როლს არ ასრულებენენ ვანის ქალაქის რელიგიურ ცხოვრებაში[55]. ჩვენი აზრით, აღნიშნულ ქალთა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ამ ბოლო ხანებში ვანში (ახლოდდიანების ეკლესიაში) აღმოჩენილ სატაძრო დადგენილებაში (ძვ. წ. III ს.) გამორჩევით მოხსენებული „ქალები“ („γυναικά:“)[56].

კულტმსახურ ქალთა ამავე კატეგორიას ეკუთვნოდნენ, ჩვენი აზრით, სტრაბონთან მოხსენიებული არმენიელთა უწორჩინებულესი გვარების წარმომადგენელნი, რომელნიც ქალღვთაების მსახურებისათვის იყვნენ შეწირულნი ანაიტისის ტაძრისათვის. სტრაბონი მოგვითხრობს მათი საღვთო პროსტიტუციის შესახებ. „მათში კი კანონი იყო, რომ დიდხანს უნდა ემეძავნთ ქალღმერთის (მსახურებში) მყოფთ. ხოლო ამის შემდეგ შეეძლოთ ქორწინება“[57]— აღნიშნავს ზერძენი გეოგრაფოსი. ეჭვი არ არის, რომ საღმრთო პროსტიტუცია და ქალთა მსხვერპლად შეწირვაც ქალღვთაების სახელით ხდებოდა და მის მსახურებას ისახავდა მიზნად[58].

ღვთაებისათვის ადამიანის (მეფის, უფლისწულის, ქურუმის და საზოგადოების სხვა წევრთა) მსხვერპლად შეწირვის წესი მსოფლიოს არაერთი ხალხის რელიგიურ წარმოდგენებსა და ყოფაში არის ფიქსირებული. ადამიანს მსხვერპლად სწირავდნენ ასტრალური პანთეონის უზენაეს ღმერთებს მზესა და მთვარეს, ასევე ნაყოფიერების ღვთაებებს. საქართველოში, ისევე როგორც საბერძნეთში, შორეულ წარსულში, გადმოცემის მიხედვით, დადასტურებულია უფლისწულის ღვთაებისათვის მსხვერპლად შეწირვის ჩვეულება[59]. ცნობილი

---

55 ამ მხრივ საესებით სწორად მიგვაჩნია გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს შენიშვნა, რომ რელიგიური თვალსაზრისით ასეთი ხეედრი — მსხვერპლად შეწირვა — უმაღლეს ნეტარებად უნდა ყოფილიყო მიჩნეული (Г. Лордкипанидзе, Колхида в VI—II вв до н. э., გვ. 76).

56 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ვანში აღმოჩენილი ახალი ბერძნული წარწერა. მოხსენება წაკითხული აკად. ს. ყაუხჩიშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, რომელიც ჩატარდა 1985 წლის 24 დეკემბერს საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

57 Strabo XI, 14,16. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 198.

58 სტრაბონის გეოგრაფიაში დაცულია მეორე საყურადღებო ცნობაც; ბერძენი ავტორი იბერიის საზღვარზე მდებარე მთვარის სალოცავის აღწერილობაში (XI, 4, 7) იხსენიებს ტაძრის მონებს, რომელთაგან მრავალნი შთაგონებულნი, წინასწარმეტყველებენ ხოლმე. ამათ შორის ის, ვინც უფრო მეტად იქნება შთაგონებული, ღმერთქალის სამსხვერპლოსთან მსხვერპლად ეწირება (თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 134, 135).

59 „მოქცევაი ქართლისაჲსაჲ“ აღნიშნულია, რომ ქართლში არმაზს და ზადენის გარდა... „იყენეს ყერანი სხუანიცა სამეფონი: გაცი და გა. და შეწირეოდა მათა ერთი სეფეწული ცეცხლითა დაწუვად და მტუერი გარდაბნეედ თავსა ყერპისასა“ (ნინოს ცხოვრება, შატბერდის კრებული X საუკუნისა, თბ., 1979, გვ. 338).

ბერძნული მითოლოგიური გადმოცემის მიხედვით, თესალიის მეფის ათამანტის ვაჟი ფრიქსე სწორედ მოსავლიანობისათვის მსხვერპლად შეწირვის შიშით გამოექცა დედინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისელი მკვლევარი ჯ. ფრეზერი ნაყოფიერების ღვთაებისათვის ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის წესის კვლევა-ძიებამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მსხვერპლად მოტანის წესი ადამიანებისა, რომელთაც მიაწერდნენ ღვთაებასთან სიახლოვეს, კავშირს ანუ ღვთითშთაგონებას, გავრცელებული იყო მრავალ ქვეყანაში. ამ რიტუალის დედაზრი, მისი დაკვირვებით, იმაში მდგომარეობს, რომ ძველი ხალხების წარმოდგენით ნაყოფიერების ღვთაება (ისევე როგორც ბუნება) მოკვდავია, იგი შეიძლება დაბერდეს და ამის გამო დაკარგოს თავისი ფუნქციები. ამიტომ საჭიროა პერიოდულად მისი ძალების განახლება, ისევე როგორც ამას ბუნებაშიც აქვს ადგილი (მცენარეული სამყაროს ყოველწლიური კვდომა და კვლავ აღდგენა). ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი სამსხვერპლო ცერემონიალებიც ბუნების ამ განახლება-აღორძინებას ისახავს მიზნად. ამ დროს მიწაში ასვენებენ ან ღვთაების გამოსახულებას, ანდა უფრო ხშირად მსხვერპლად შეწირულ ადამიანს, რომელიც ნაყოფიერების ღმერთთთან არის დაკავშირებული, მის მსახურებაშია, ღვთით შთაგონებულია და ამდენად მისი წარმომადგენელია[60]. ღმერთის გამოსახულების, ან მისი განმასახიერებელი, მსხვერპლად შეწირული ადამიანის დაკრძალვის რიტუალში რომ, მართლაც, ეს აზრი უნდა იყოს ჩაქსოვილი, ამის დასტური ვიაწმი, ახალდიანების გორის ზედა ტერასაზე მამაკაცი ღვთაების ითიფალური რკინის ქანდაკების ქუჩუმ ქალთან ერთად დაკრძალვის ფაქტია (სამარხი ძვ. წ. III ს-ეს განეკუთვნება)[61]. სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ სწორად არის შენიშნული, რომ ეს ნაყოფიერების წრის ღვთაებაა, რომლის ქანდაკების დაკრძალვა ქუჩუმი ქალის გვერდით ბუნების კვდომასა და აღდგენას, მის აღორძინებას უკავშირდება. ასე რომ აქ სრულდება ამ ღვთაებისა და მისი კულტმსახურის სიკვდილისა და მათი გამოტირების მისტერია[62].

ამრიგად, როგორც დავინახეთ, წარჩინებული ქუჩუმი ქალები და ტაძრის, ღვთის მსახურებაში მყოფი პერსონალი (ახალგაზრდა ქალები), რომელნიც მსხვერპლად ეწირებიან ნაყოფიერების ღვთაებას, დამახასიათებელნი არიან ვანის საზოგადოების რელიგიური ცხოვრებისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ელინისტურ ხანაში უმაღლეს კულტმსახურის დაკრძალვის რიტუალში შეწირულ ქალთა ადგილს ნაყოფიერების ღვთაების ქანდაკება იკავებს.

ზემოთ განხილული ძვ. წ. V ს-ის შუა ხანების წარჩინებული კოლხი ქალის სამარხის გარეთ აღმოჩენილი ხანის ვანის სატაძრო ცენტრში კულტმსახურთა ფენის წარმომადგენლთა შესახებ საყურადღებო მონაცემებს შეიცავს ახალდიანების გორის ქვედა ტერასზე (მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში) გამოვლენილი მეორე წარჩინებული ქალის მდიდრული სამარხიც, რომელიც

ცვალს კოლხეთში (ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964 გვ 350—351). ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ახალგაზრდა ქალების ნაყოფიერების ღვთაებისათვის ყოველწლიურად მსხვერპლად შეწირვის წესი გადმონაშთის სახით კვლავ განაგრძობდა არსებობას ბეოტის ქალაქ ორქომენში. საგულისხმო აქ ის არის, რომ მსხვერპლად შესაწირავი ქალი იმ სამეფო გვარის ჩამომავალი უნდა ყოფილიყო, რომელიც თავის წარმოშობით ორქომენის ლეგენდარულ მეფეს მინიასს უკავშირდებოდა (Джеймс Джордж Фрезер, Золотая ветвь, М., 1983, გვ. 277, 278).

[60] Дж. Дж. Фрезер, Золотая ветвь, გვ. 160, 266, 277, 535—554.

[61] ნ. ხოშტარია, ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია, ვანი I, თბ., 1972.

[62] Г. Лордкипанидзе, К истории древней Колхиды, გვ. 123. გ. ლორთქიფანიძის ვარაუდით, ეს ითიფალური ქანდაკება დიონისეს, ატის-ადონის-ოზირისის ტიპის ღვთაებათა წრეს განეკუთვნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება. მის ინვენტარშიც მკვეთრად გამოიყოფა საკულტო-რიტუალური დანიშნულების ნივთები, რომლებიც ამავე დროს დიდ მსგავსებას აჩენენენენენ ძვ. წ. V ს-ის წარჩინებული ქალის სამარხში აღმოჩენილ ნივთებთან. ასეთებია: გრეხილი რკალიანი ოქროს დიადემა, რომელზედაც აგრეთვე ლომებია გამოსახული (ორი ლომი თავს ესხმის შუაში მოქცეულ ტახს)[63]; ვარდულებით, სვასტიკებით და ფრინველთა ფიგურებით დამშვენებული ოქროს სამკაული, ორი ცალი ფრთაგაშლილი არწივის გამოსახულება[64]. საგანგებო ინტერესს იწვევს აგრეთვე ოქროს საყურეები, რომლებიც შემკულია ოთხთვალა ბაქანზე (საომარ ეტლზე?) მდგომი წყვილი მხედრით. მათ თავზე, ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით, უწესრიგოდ გაბნეული ცვარათი მუზარადია გამოყვანილი[65].

აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოგანხილული მეორე წარჩინებული ქალის სამარხის ახლოს აღმოჩნდა ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთები, რომელნიც, ნ. ხოშტარიას ცნობით, იმეორებენ ოქროს სამკაულთა ნივთების ფორმას[66]. ამის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ წარჩინებულ ქალთანაც დაკრძალული უნდა ყოფილიყო მისი „მოახლე“[67]. ზემოთ განხილული ძვ. წ. V—IV სს-ის ორი მდიდრული სამარხეული ინვენტარი, რომელიც თითქმის ერთნაირ და ერთი დანიშნულების ნივთებს შეიცავს, საფუძველს გვაძლევს ეს მეორე წარჩინებული ქალიც უმაღლეს კულტმსახურთა წრის წარმომადგენლად მივიჩნიოთ (არ არის გამორიცხული, რომ მის მახლობლად დაკრძალული პირი ღვთის მსახურებაში მყოფი პერსონალის იმავე კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელსაც ძვ. წ. V ს-ის წარჩინებულ კოლხ ქალთან დაკრძალულნი განეკუთვნებოდნენ. თუმცა მასალის ნაკლებობის გამო დაბეჯითებით ამგვარი მტკიცების საფუძველი ჩვენ არ გაგვაჩნია)[68].

ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს ვანის წარჩინებულ ქალთა და მათთან ერთად დაკრძალულ პირთა შესახებ მეტ დამაჯერებლობას ჰპატებენ უკანასკნელ წლებში საჩხერის რაიონის სოფელ საირხეში გამოვლენილი

---

63 რ. ფუთურიძე, ნ. ხოშტარია, ა. ჭყონია, ვანის ნაქალაქარის ჩრდილოაღმოსავლეთ ნაწილში 1961—1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები, ვანი I, თბ., 1972, გვ. 113, 114.

64 იქვე, გვ. 114, 115.

65 Г. Лордкипанидзе, Колхида в VI—II вв. до н. э., გვ. 90.

66 Н. Хоштария, Археологические раскопки в Вани (Предварительное сообщение), კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962, გვ. 71.

67 Г. Лордкипанидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

68 ვანში გამოვლენილი ძვ. წ. V—IV სს-ის მდიდრული სამარხებისა და აქ დაკრძალულთა სოციალური რაობის შესწავლისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ნაშრომში, რომელიც რუსულ ენაზეა გამოქვეყნებული კრებულში „ვანი III“, ო. ლორთქიფანიძე გამოსთქვამდა მოსაზრებას, რომლის თანახმად ვანის წარჩინებული ქალების (ძვ. წ. V—IV სს-ის) სამარხები ეკუთვნიან საზოგადოების უმაღლესი და უფუფუ ყველაზე შეძლებელთა ფენის წარმომადგენლებს, რომელთაც ხელთ ეპყრათ ქურუმის ფუნქციებიც (Отар Лордкипанидзе, Ванское городище, раскопки, история, проблемы. Статья вторая, ვანი III, გვ. 164), მაგრამ ამ მრავალმხრივ საყურადღებო დაკვირვებამ არ პოვა ასახვა არც ზემოაღნიშნული ნაშრომის დასკვნით ნაწილში, სადაც ვანის განვითარების ძირითადი ეტაპების დახასიათება წარმოდგენილი და არც მის სხვა გამოკვლევებში, რომლებშიც ადრეანტიკური ხანის ვანის ისტორია და მისი საზოგადოების სოციალური წყობის საკითხებია განხილული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრიანტიკური ხანის (ძვ. წ. V—IV სს.) სამარხები, რომლებიც დაკრძალვის რიტუალით, ასევე მიცვალებულთათვის ჩატანებული ინვენტარით დიდ მსგავსებას იჩენენ ვანის წარჩინეული ქალების ამავე ხანის სამარხებთან. უკანასკნელი წლების არქეოლოგიური აღმოჩენა საირხეში მით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენ მიერ ზემოთ წამოჭრილი საკითხების შესწავლისათვის, რომ, საირხის მახლობლად აღმართულ გორაებზე (სახოველე და სხვ.) მოპოვებული მასალისა და ადგილ ლომინაურში ადრე ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგების საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომლის თანახმად ამ ტერიტორიაზე ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებიდან არსებობდა არა მხოლოდ დიდი ქალაქური ტიპის დასახლება, არამედ ყვირილის ხეობის უმნიშვნელოვანესი საკულტო-რელიგიური ცენტრიც ძლიერი სატაძრო ორგანიზაციით[69]. მართლაც, ლომინაურში აღმოჩენილი დიდი სატაძრო ნაგებობის ნაშთები, მის შიგნით ფიქსირებული ადრიანტიკური და ელინისტური ხანის კერამიკული ნაწარმი, ქვისაგან გამოკვეთილი ლომის თავების ქანდაკებების ფრაგმენტები, მახლობლად მეორე ნაგებობაში გამოვლენილი ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული სხვადასხვა საგნები, აქვე ლომინაურში შემთხვევით აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები — თეთრი მარმარილოს მკვავსი კირქვისაგან გამოთლილი ტაძრის სვეტების ბაზები (თუ კაპიტელები), უთუოდ იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ საირხე-ლომინაურში ნაყოფიერების ღვთაების სახელზე არსებულ რაღაც დიდსა და ძველ სატაძრო ცენტრთან უნდა გვქონდეს საქმე. აქ მოპოვებული საკულტო საგნების (ქვისგან გამოკვეთილი ფალიური სიმბოლოების, განაყოფიერების აქტისა და სიცოცხლის ხის გამოსახულების) მიხედვით გამოთქმულია აზრი, რომ ამ ღვთაებაში გამრავლებისა და დოელათიანობის მფარველი ღმერთქალი — დიდი დედა უნდა იგულისხმებოდეს[70]. ზოგიერთი მკვლევარი აქ აღმოჩენილი ლომის თავების გამოსახულებათა გამო იმსაც ვარაუდობს, რომ ლომინაურში არსებული ტაძარი მზის ტაძარი უნდა ყოფილიყო[71]. უკანასკნელ წლებში სოფელ საირხეში მიკვლეული და გამოვლენილი ძვ. წ. V—IV სს-ის მდიდრული სამარხების განხილვისას ჩვენ დავინახავთ, რომ აქ, ისევე როგორც ვანში, მართლაც, დასტურდება ნაყოფიერების ქალღმერთის და ასტრალური კულტების (მზის, მთვარის) თაყვანისცემის თანაარსებობა. როგორც უკვე აღინიშნა, ეს ახლადაღმოჩენილი აკლდამები გარკვეული თვალსაზრისით დიდ მსგავსებას იჩენენ ვანის სინქრონულ სამარხებთან.

---

69 ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975, გვ. 80 და შემდ. აქვე ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ საირხის საკულტო ცენტრი ძველსა და ძლიერი ტრადიციების საფუძველზე უნდა იყოს აღმოცენებული. იგი იმ სატაძრო ორგანიზაციათა რიგს უნდა ეკუთვნოდეს, რომელნიც უძველეს სასოფლო-სატაძრო თემებში ჩაისახნენ და განვითარდნენ (ჯ. ნადირაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 138—140). საირხის მახლობლად მდებარე ვეშაპიძის, სამადურის გორაებზე წინა და ადრიანტიკური ხანის ფენებში გამოვლენილი თიხისაგან გამოძერწილი ქალ-ღვთაების ქანდაკებები, აქვეა ნაყოფიერების ღვთაებისადმი შეწირული ცხოველთა მცირე ქანდაკებები და სხვ. მთელი ეს მასალა მოწმობს, რომ ნაყოფიერებისა და განაყოფიერების სიმბოლო თაყვანისცემა ვეივაზრინჯოს ხანისათვის უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებულია საირხის გარშემო მდებარე გორაებზე მსხდომ ინტენსიური მიწათმოქმედების მიმდევარ საზოგადოებაში.

70 ჯ. ნადირაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 84—94.

71 ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., 116.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ საირხის მახლობლად აღმართული საბადურის გორის დასავლეთ ფერდობზე 1982—83 წწ. გაითხარა აკლდამა. მის ეროთ კამერაში დაფუძნებულავთ სამი ახალგაზრდა ქალი საკმაოდ მდიდრული ინვენტარით და ძვირფასი აკაზმულობით მორთული 5 ცხენი. სამარხი, როგორც აღინიშნა, ძვ. წ. V ს-ის შუახანებით თარიღდება. ცხენების სამხრეთით მდებარე კამერაში გამოვლენილია კიდევ ერთი სამარხი, სადაც (ქვაყრილის ქვეშ), ოქროს ზოდთან ერთად აღმოჩნდა უძვირფასესი სამკაული, ორი ოქროს სასაფეთქლე, რომელთა საკიდებზე თითოეულზე 22 ვერძის თავის გამოსახულებაა მოთავსებული. აქვეა არწივის თავის მსგავსი გამოსახულებანი, აფრის მაგვარი ოქროს ნივთი და სხვ[72].

საირხის ზემოაღწერილ სამარხებში ჩატანებული ნივთების განხილვისას უპირველესად ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მიცვალებულთა შემკულობაში იგივე სიმბოლიკაა ჩაქსოვილი, როგორიც ვანის წარჩინებულ ქალთა და მათ თანმხლებ პირთა სამკაულებშია წარმოდგენილი. ასეთია: ნაყოფიერების ქალღვთაების თაყვანისცემასთან დაკავშირებული ვერძის თავების გამოსახულებები (რომლებიათაც შემკულია საირხის მთავარი მიცვალებულის სასაფეთქლები და მისი თანმხლები ქალის ოქროს ყელსაბამი), ფრინველის ქანდაკებებით შემკული საყურეები, მზისა და ძალაუფლების სიმბოლოები — ოქროს ფირფიტისაგან გამოკეთილი არწივის გამოსახულებები (ცხენების აკაზმულობასა და მთავარი მიცვალებულის ინვენტარში). ნიშანდობლივია აგრეთვე მზისებრი ვარდულების და ნახეკარმთვარისებრი გამოსახულებებით საყურეების შემკობა. მთელი ამ მასალიდან ჩანს, რომ სამარხში ჩასატანებელი ნივთების შერჩევას (ისევე, როგორც სიცოცხლეში მათ ტარებას ზემოაღნიშნულ პირთა მიერ), შემთხვევითი ხასიათი არ ჰქონია, მათ ნებისმიერ მდიდრულ სამკაულს კი არ ატანენ, არამედ ნაყოფიერებისა და ასტრალური ღვთაებათა თაყვანისცემასთან დაკავშირებულ საკულტო-რიტუალური დანიშნულების ნივთებს. იგივე ითქმის საირხის აკლდამაში აღმოჩენილ ვერცხლის დიადემებზე, რომლებიც ანალოგიას ჰპოვებენ ვანში წარჩინებული ქალის სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის დიადემებთან.

მკაცრად დაწესებული რელიგიური ნორმების დაცვა კიდევ უფრო თვალნათლივ ვლინდება საირხის დიდგვაროვანთა დაკრძალვის რიტუალშიც (რომელიც აგრეთვე მკვეთრად გამოხატულ საკულტო ხასიათს ატარებს). აქ, ისევე როგორც ვანში, ჩვენი აზრით, სახეზეა ქურუმთა წრის წარმომადგენლის დაკრძალვასთან ერთად მასთან ახლომდგომ, წარჩინებულთა ფენიდან გამოსული და ტაძრის მსახურებაში მყოფ ქალთა მსხვერპლად შეწირვა მოსალოდნელობისა და ნაყოფიერებისათვის. ამ შემთხვევაში საკულტო-რიტუალური მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მდიდრულად აკაზმული ცხენების მსხვერპლად შეწირვასაც. როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, ცხენი ერთდროულად ნაყოფიერების მომნიჭებელი წყაროს — მზის ცხოველიცაა და ნაყოფიერების მფარველი დედაღვთაების ერთ-ერთ მთავარ ატრიბუტადაც გვევლინება. საირხეში, საბადურის გორაზე მიცვალებულთა დაკრძალვისას შესრულებული ცერემონიალის დიდ მასშტაბებზე და მის საკულტო დანიშნულებაზე ნათლად მეტყველებს სამახში 70 ლიტრიანი სპილენძის სქელფფურცლოვანი ფირფიტებისაგან დამზადებული

72 ჯ. ნადირაძე, საირხე — ქართული კულტურის უძველესი კერა, გაზ „კომუნისტი", 1983 წ., 16 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარიტუალო ჭურჭლის ჩატანება[73]. ზემოთქმულთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე იმავე საბადურის გორაზე, აკლდამიდან 20 — ოდე მეტრის დაშორებით გამოვლენილი მოედანი (4×4 მ), სადაც დაკრძალვის დროს სრულდებოდა საკულტო რიტუალი. ფიქსირებულია ჩაფერფლილ ცეცხლში ვერცფასი ჭურჭლისა და ხამკაულის შეწირვა, არწივის გამოსახულებათა მიმობნევა. აქვე გათხრილია 11 მეტრის სიღრმის სარიტუალო დანიშნულების ორმო[74].

ადრეანტიკური ხანის კოლხეთის (საირხის, ვანის) საზოგადოების წარჩინებულთა ფენის ხელისუფლების თეოკრატიული ხასიათისა და ამ საკულტო ცენტრებში მოქმედი მტკიცედ დაკანონებული საკრალურ-რიტუალური წესების არსებობის დასადგენად არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმავე საბადურის გორის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში 1985 წელს მიკვლეულ კიდევ ერთ მდიდრულ სამარხს, რომლის კამერა ორი ნაწილისაგან შესდგებოდა. კამეროის ჩრდილოეთ ნაწილში ემარხა მდიდრულად შემკული სამი ადამიანი, ხუთი ცხენი და სამი ძაღლი, კამერის სამხრეთ ნაწილში კი დაკრძალული იყო მთავარი მიცვალებული[75]. სამწუხაროდ, ადამიანთა ნეშტისაგან ძალიან ცოტა რამ შემონახა, რაც დიდად აბრკოლებს ამ პიროვნებათა განსაზღვრას, მაგრამ, როგორც თვით სამარხში, ისე მის ზემოდან გაკეთებული ქვაყრილის გათხრის დროს მოპოვებული მასალის განხილვა გვაწარმუნებს, სამარხეული ინვენტარის შერჩევისა და საკრალური რიტუალის შესრულების მხრივ, აქაც ისეთივე საკულტო წესებია დაცული, როგორიც საბადურის გორის დასავლეთ ფერდობზე ღვთისმსახურ ქალთა დაკრძალვისას[76].

ვანისა და საირხის მასალების ერთობლივმა კვლევამ გვიჩვენა, რომ საირხის მიდამოებში გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლები მნიშვნელოვნად ავსებენ ახლედიანების გორაზე გათხრილი ძვ. წ. V—IV სს-ის მდიდრული სამარხებისა და ძვ. წ. VI—V სს-ის საკულტო დანიშნულების ნაგებობათა საფუძველზე შექმნილ სურათს ვანის ძველი ქალაქის რაობის შესახებ. ირკვევა, რომ ადრეანტიკურ ხანაში აქ უკვე არსებობენ არა მხოლოდ მნიშვნელოვანი ქალაქები, არამედ დიდი საკულტო ცენტრებიც საკმაოდ განვითარებული სატაძრო ორგანიზაციული ფორმებით; ჩამოყალიბებულია ქურუმთა სოციალური ფენა, სრულდება რთული საკრალური ცერემონიალები დადგენილი ნორმების მიხედვით. ამასთან დაკავშირებით საგულისხმო ფაქტად გვეჩვენება ისიც, რომ როგორც ვანში, ისე საირხეში მოქმედებს დაახლოებით ერთი და იგივე რიტუალური წესები, რომელშიც მონაწილეობენ მთავარი ქურუმი, ღვთით შთაგონებული ქალები და სხვ. რელიგიური ცერემონიალებიც ერთი და იმავე ღვთაებათა კულტებს ეძღვნება[77].

73 ჯ. ნადირაძე, საირხე — საქართველოს უძველესი ქალაქი, გაზ. „კომუნისტის", 1985 წ., 21 ნოემბერი.

74 იქვე.

75 ჯ. ნადირაძე, საირხე — საქართველოს უძველესი ქალაქი. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ძაღლი კავკასიის უძველესი ტომების წარმოდგენით წმინდა ცხოველი იყო.

76 იქვე.

77 ანალოგიური ვითარება არსებობდა ძველთაგანვე მცირე აზიის თეოკრატიულ გაერთიანებებში. სტრაბონის გადმოცემით, პონტოს სატაძრო ქალაქ კომანაში, ისევე როგორც დიდი კაპადოკიის ამავე სახელწოდების სატაძრო გაერთიანებაში, თაყვანს სცემდნენ ერთი და იმავე ქალღვთაებას, აქაური ტაძრები ერთმანეთის მსგავსად იყო აგებული, ერთნაირი იყო საღვთო წეს-ჩვეულებანი, ღვთითშთაგონება, და ქურუმთა მიმართ დაწესებული პატივი; ანალოგიურად ტარდებოდა საკრალური ცერემონიალებიც (Strabo, XII, 3,2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, „ახლადიანების გორისა“ და საირხე-ღომინაურის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლას იმ დასკვნისაკენ მივყავართ, რომ ადრეანტიკურ ხანაში აქ არსებული საკულტო ცენტრები უძველესი სამლოცველოებისა და მათ გარშემო შემოკრებული თემების წიაღში ისახებიან, ხოლო ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების კვალდაკვალ (ძვ. წ. VI—V სს.) საქმითი განვითარებულ ორგანიზაციულ ფორმებს იღებენ. როგორც საფიქრებელია, ამ დროისათვის ტაძრების ხელში თავმოყრილია ირონის შუა წელსა და ყვირილის ხეობის გასწვრივ განლაგებული, მეეფნეობა-მეღვინეობით განთქმული, ნაყოფიერი მიწების საკმაოდ დიდი ნაწილი. მართალია, ტაძრის მიწა თავდაპირველად თემისაა[78], მაგრამ ტაძარს შეფარებული, თემის სათავეში მდგომი კულტმსახური — თეოკრატიული ზედაფენა ყოველ ღონეს ხმარობს ამ მიწის ფონდისა და მისი შემოსავლის საკმაო ნაწილის მისათვისებლად, რის გამო პირველ კერძო მემამულედ სწორედ ეს ფენა გამოდის[79]. ტრადიციის ცნობების თანახმად, მცირე აზიის სატაძრო გაერთიანებაში საღვთო ნაკვეთი და ქურუმის მიწა, ზეობუ მსხდომი მოთავლრიცხოვანი ტაძრის მონებითა და მომსახურე პერსონალით, ქურუმთა შემოსავლის წყაროდ იყო გადაქცეული. უზენაესი კულტმსახურნი ფლობდნენ აურაცხელ სიმდიდრეს (XII, II, 36).

ვანისა და საირხის (სამადურის გორის) ძვ. წ. V—IV სს-ის წარჩინებულთა მდიდრული სამარხები, რომლებიც, ჩვენი აზრით, უმაღლეს ქურუმთა ფენის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ, მოწმობენ, რომ ანალოგიური ვითარება შეიძლება ვივარაუდოთ ადრეანტიკური ხანის კოლხეთის საკულტო ცენტრებში[80].

ადრეულ ხანაში, ქვეყანაში სახელმწიფოს წარმოქმნამდე ტაძარი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალაცაა. ტაძარი (ხატი) ის ცენტრია, რომელიც თავის ნებას უმორჩილებს, აწესრიგებს და მართავს ხატის გარშემო შემოკრებილი თემის ცხოვრებას. შესაბამისად, კულტმსახურნი ადრიდანვე ახდენენ ხელისუფლების უზურპაციას, ითვისებენ თემის ყოველ საქვეყნო საქმის წარმოებას და თავის ხელში ერთიანებენ საერო და სასულიერო ფუნქციებს[81]. ამას მოსდევს კულტმსახურების ერთი დაწინაურებული სახლის პროგრადტივდ ქცევა, რაც მომავალში მის მემკვიდრეობითობას მოასწავებს. მსგავსი სიტუაცია იქმნება, ჩანს, კოლხეთის სამეფოს შექმნამდე ვანის სამლოცველოს ირგვლივ მდებარე „ქვეყანაშიც“. ამ თვალსაზრისით სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვანის მახლობლად, სოფელ სულორში აღმოჩენილ ძვ. წ. VII ს-ის ბრინჯაოს ცულს, რომლის ყუაზე მოთავსებულია წყვილი მხედრის გამოსახულება. ორივე მხედარს თავზე მუზარადი ახურავს. ერთ-ერთ მათგანს ძარჯვენა ხელში (საღვთო?) კვერთხი უჭირავს. მხედრების ამ გამოსახულებას

---

78 სასოფლო და სატაძრო თემი თავდაპირველად ერთმანეთს ემთხვევა. გ. მელიქიშვილის აზრით, „ძველ ქართულ თემი სატაძრო თემი ჩანს“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 497), იხ. აგრეთვე А. Р. Периханян, Храмовые об'единения Малой Азии и Армении, М., 1954, გვ. 83, 173.

79 ს. ჯანაშია, საქართველო ადრეული ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 155, 169; ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 117.

80 ამაზე არაპირდაპირ მიუთითებს სტრაბონის ცნობაც კოლხეთის მეზობლად, მოსხთა ქვეყანაში არსებული, ოდესღაც სიმდიდრით განთქმული, ლეკოთთას სამლოცველოს ორჯერ გაძარცვის შესახებ, ჯერ ბოსფორის მეფის ფარნაკეს, შემდეგ კი მითრიდატე პერგამონელის მიერ (Strabo, XI, 2, 17) (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 494, 495).

81 ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 115, 119, 145.

მკვლევარნი უკავშირებენ ნაყოფიერების ქალღვთაების — დიდი დედის კულტს[82], რომლის თაყვანისცემა ჯერ კიდევ წინარეანტიკური ხანის ვანში დასტურდება ახალდიანების გორის ცენტრალურ ტერასაზე გამოვლენილი სამლოცველოს ნაშთებით (ამის შესახებ დაწვრილებითი ზემოთ გვქონდა საუბარი). ერთი მხრივ, მხედართა ფიგურებში ჩაქსოვილი ეს სემანტიკა (ღმერთების დიდი დედის კულტთან კავშირი), ხოლო მეორე მხრივ, მათი ატრიბუტები — საბრძოლო აღჭურვილობის შემადგენელი ნაწილი — მუზარადი და ძალაუფლების ნიშანი — კვერთხი, თვალსაჩინოა უნდა მიუთითებდეს ცულის მფლობელის როგორც საკულტო, ისე საერო ფუნქციებზე. მხედრების ამ მესახსოვრებაში, ჩვენი აზრით, ასახავს პოვებს წინარეანტიკურ ხანაში „ვანის ქვეყნის“ დაწინაურებული გვარის (თეოკრატიული ზედაფენის) წარმომადგენლის ხელში საკულტო და საერო ფუნქციების თავმოყრის ფაქტი.

ზემოთქმულიდან უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კოლხეთის სამეფოს წარმოქმნის წინა ხანაში (ძვ. წ. VII—VI სს.) და მისი არსებობის ადრეულ ეტაპზე, „ვანის ქვეყნის“ საზოგადოების განვითარება კულტმსახურებისა და საქვეყნო საქმეთა გამგებლობის საქეს ეკონომიკურად და სოციალურად დაწინაურებული გვარის წარმომადგენელთა ხელში აქცევს. ღებულ ხანაში მათი სოციალური აღზევების ყველაზე მძლავრი საშუალება სწორედ კულტია და ტაძარი.

ამრიგად, საფიქრებელია, რომ ვიდრე კოლხეთში სახელმწიფო საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებდა, ტაძარსა და მის სათავეში მდგომ თეოკრატიულ ზედაფენას უკვე მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა მოპოვებული კოლხეთის საზოგადოების ცხოვრებაში. ვანსა და საირხეში გამოვლენილი ძვ. წ. IV და III სს-ის წარჩინებულ მეომართა სამარხების კვლევა-ძიების შედეგები, ამავე ხანის საკულტო და საფორტიფიკაციო ნანგრევების ნაგებობანი და სხვა მასალა შესაძლებელს ხდიან თვალი გავადევნოთ ვანისა და საირხის საკულტო-საქალაქო ცენტრების განვითარებისა და აქ მსხდომი მმართველი ზედაფენის ევოლუციის, მისი თეოკრატიული ხელისუფლების კიდევ უფრო გაძლიერების პროცესს კოლხეთის სამეფოს აყვავებისა და მის შემდგომ ხანაში. მაგრამ ამ საკითხების შესახებ ჩვენ ცალკე წერილში გვექნება საუბარი. აქ კი გვინდა შევნიშნოთ შემდეგი:

ვანის სატაძრო ცენტრის წარმოქმნა-განვითარების ზემოთ წარმოდგენილი პროცესი, როგორც ირკვევა, დამახასიათებელი იყო მცირე აზიის (კაპადოკიის, პონტოს, ფრიგიის) სატაძრო გაერთიანებებისთვისაც, რომელთაც აგრეთვე უძველეს სამლოცველოებსა და მათ ირგვლივ კონცენტრირებულ სასოფლო (-სატაძრო) თემებში უდევთ სათავე. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ერთ-ერთი პირველ ნიშნათაგანი, რომელიც მცირე აზიის სხვადასხვა პოლიტიკური ფორმის მქონე სატაძრო გაერთიანებას ერთმანეთთან „ანათესაურებს“, სწორედ მათი გენეზისის ერთიანობაა[83]. გარდა ამისა, მცირე აზიის სატაძრო გაერთიანებების შესახებ სტრაბონთან დაცული ცნობების შესწავლამ

---

[82] О. Д. Лордкипанидзе и Т. Микеладзе, Колхида VII—VI вв. до н. э., მოხსენება განხილული შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის პრობლემისადმი მიძღვნილ IV საკავშირო სიმპოზიუმზე (წყალტუბო, 1985 წ.).

[83] А. Г. Периханян, Храмовые объединения Малой Азии и Армении, М., 1959, გვ. 83, 173.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ისიც გვიჩვენა, რომ ეს გაერთიანებანი, რომლებიც კანონზომიერად ვითარდებიან თეოკრატიული თემებისა და მათი სამლოცველოების ნიადაგზე, ჩვეულებრივ, არ შეიძლება აღმოცენდნენ ამა თუ იმ პოლიტიკური ცენტრის, ან სავაჭრო ქალაქის საფუძველზე. თუმცა, სატაძრო გაერთიანებად ჩამოყალიბების შემდეგ, ხელშემწყობ პირობებში, ისინი სავსებით შესაძლებელია, მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ და სავაჭრო ცენტრებადაც განვითარდნენ[84].

კოლხეთის სატაძრო ცენტრების წარმოქმნის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ აგრეთვე ბერძნულ მწერლობაში (სტრაბონთან) შემონახული ტრადიციაც, რომელიც კოლხეთის მახლობლად უძველესი სატაძრო ცენტრების დაარსებას მიაწერს არგონავტების ლაშქრობის წინარე ხანის მითიური გმირის — ფრიქსეს სახელს. ერთ-ერთი ასეთი საკულტო ცენტრი ყოფილა ფრიქსოპოლისი — „ფრიქსეს ქალაქი კოლხიდის საზღვარზე“[85]. მეორე სატაძრო ცენტრი ფრიქსეს მიერ დაარსებული ლეგკოთეად წოდებული სამლოცველო და მისი სამისნო სტრაბონს მოხსენებული აქვს კოლხეთის მოსაზღვრე მოსხიკეში[86]. ეჭვი არ არის, აღნიშნული სატაძრო ცენტრების წარმოქმნის დაკავშირება ძველთაძველი გმირის, კოლხეთის მეფის აიეტის სიძის — ფრიქსეს სახელთან იმ რეალურად არსებული ვითარების გამოძახილი უნდა იყოს, რომ ეს ტაძრები შორეულ წარსულში აღმოცენდნენ. ამას გარდა, ეს გადმოცემა, რომელიც აღნიშნული ტაძრების დაარსებას ფრიქსეს მოღვაწეობას მიაწერს, იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ ძველი ბერძნული ტრადიციის მიხედვით, ფრიქსე ვერძის აღზრდილია. ვერძი მისი მფარველია[87], ხოლო თვით ვერძი, ცხვარი და საწმისი ძველ ხალხებში უპირველესად სიმბოლოა ნაყოფიერებისა, დოვლათიანობისა და სხვ[88]. ამდენად, სტრაბონთან დაცული გადმოცემის თანახმად, ფრიქსეს აქტიური როლი ლეგკოთეას სამლოცველოს და ფრიქსეპოლისის წარმოქმნა-დაარსებაში, სავსებით შესაძლებელია, მიგვანშ-

---

84 ᲗᲔ. ᲘᲜᲐᲫᲔ, მცირე აზიის სატაძრო ქალაქების წარმოქმნა -განვითარების საკითხისათვის სტრაბონის ცნობების მიხედვით, იგ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 136—144.

85 Strabo, I, 2, 39, XI, 2,11, 18. სტრაბონის დროს ეს ქალაქი, კარგად გამაგრებული და უძველ ოდესად წოდებული, იბერიას ეკუთვნოდა.

86 გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ლეგკოთეად და ფრიქსეპოლისად წოდებული სამლოცველოები მათი არსებობის ადრეულ ეტაპზე კოლხეთის ფარგლებში შედიოდნენ ს. ჯანაშია, ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, „შრომები“, II, თბ., 1952, გვ. 154; Г. Лордкипанидзе, Колхида..., გვ. 22). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი მკვლევარი სტრაბონისეულ ლეგკოთეას აიგივებს ვანის სატაძრო ცენტრთან (О Д Лордкипанидзе, К локализации „Τό τῆς Λευκοθέας Ἱερόν, ВДИ, 1972, №2 მაგრამ ამ საკითხის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვა მოსაზრებებიც (იხ. ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბ., 1984, გვ. 58—70). 1985 წელს ვანში აღმოჩენილი ბერძნული წარწერის მიხედვით, ელინისტურ ხანაში ვანის სახელწოდება იყო „სერის“ „სერი“ (თ. ყაუხჩიშვილი, ვანში აღმოჩენილი ახალი ბერძნული წარწერა, მოხსენება).

87 ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, გვ. 375.

88 გრ. გიორგაძე, „საწმისი“ ხეთურ წყაროებში და მისი ანტიკური პარალელები, „ოსუ შრომები. 227, 1982, გვ. 288, 289.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებდეს ნაყოფიერების კულტის დიდი მნიშვნელობაზე ამ სატაძრო ცენტრებში[89]. ყველაფერი ეს, ჩვენი აზრით, კარგად ეხმაურება კოლხეთისა და მის სატაძრო ცენტრებში (ვანი, საირხე და სხვ.) ნაყოფიერების ღვთაების თაყვანისცემის განსაკუთრებული პოპულარობის ფაქტს, რაც არქეოლოგიური აღმოჩენებითაც დასტურდება (გავიხსენოთ ვანისა და საირხის წარჩინებულ ქურუმ ქალთა სამარხებში ვერძის თავის გამოსახულებიანი სამკაულების ხშირი აღმოჩენა)[90].

М. П. ИНАДЗЕ

ХРАМОВЫЕ ЦЕНТРЫ ДРЕВНЕЙ КОЛХИДЫ

Резюме

В статье дана попытка в свете новых археологических открытий в Вани (Ахвледианебис гора) и Саирхе (Сабадурис гора) заново осмыслить до сих пор еще слабо разработанные, существенные вопросы истории древней Колхиды: генезис храмовых центров, роль храмов в социально-политической жизни колхидского общества в VII—IV вв. до н. э., характер власти правящей верхушки и т. д. Результаты исследования приводят к выводу, что храмовые центры Вани и Саирхе-Ломинаури зарождаются с ранней эпохи (VIII—VII вв. до н. э.), в местной среде, на основе существующих здесь еще в предантичную эпоху святилищ и объединенных вокруг них сельских (храмовых) общин. К V в. до н. э., с завершением формирования раннеклассового общества, храмовые центры Вани и Саирхе принимают вполне развитые организационные формы, с институтом жрецов, со сложной системой сакральных ритуалов и установленными нормами культослужения. Выясняется также, что совершавшиеся в этих двух центрах Колхиды ритуальные обряды подчинялись одним и тем же религиозным нормам, основная идея которых заключалась в усилении и обновлении функций божества плодородия.

В VI—IV вв. до н. э. Вани и Саирхе представляли собой не только храмовые центры, но и довольно значительные города, широко втянутые в политическую и экономическую жизнь страны.

---

89 ახ. წ. I ს-ის რომელი ავტორის პომპონიუს მელას ცნობით, რომელიც ძველ იონიურ წყაროებსა და გადმოცემებს უნდა ემყარებოდეს, ქალაქ ფასისში არსებობდა ფრიქსეს ტაძარი (Pomp. Mela, De Chorographia, i, 108). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლევკოთეაში ადგილობრივი ნაყოფიერების ქალღვთაება უნდა იგულისხმებოდეს. ეს სავსებით დასაშვებია, რადგან ლევკოთეა თავისი ბუნებით ქტონიურ ღვთაებებსაც უკავშირდებოდა (Г. Лордкипанидзе, К истории..., გვ. 23).

90 რა თქმა უნდა, სტრაბონთან შემონახული ყველა ის ცნობა, რომელიც ფრიქსეს თქმულებას შეეხება, არ შეიძლება რეალური სინამდვილის ანარეკლად მივიჩნიოთ. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის შემჩნეული ის არაერთი უზუსტობა და შეუსაბამობა, რომელიც სტრაბონის დასახელებულ ცნობებში შეინიშნება ლევკოთეას სამლოცველოს ხსენებასთან დაკავშირებით (ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 57—61).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ქიქოძე

ვახტანგ VI-ის დროინდელი ქართლის მოხელეთა საკითხისათვის.

„დასტურლამალის“, ვახტანგის კანონების კოდექსისა და დოკუმენტური მასალის შესწავლის საფუძველზე, სრულიად ნათლად გამოჩნდა, რომ ვახტანგ VI-ის თაოსნობით 1704—8 წწ. ქართლში ჩატარებული იქნა უზარმაზარი საკოდიფიკაციო სამუშაოები, რომელსაც სახელმწიფო მექანიზმი წესრიგში უნდა მოეყვანა[1]. უნდა მომხდარიყო თანამდებობრივი რეგლამენტაცია, დადგენილიყო ყველა მოხელეთა უფლება-მოვალეობანი, უნდა მოწესრიგებულიყო საგადასახადო-ფინანსური სისტემა, დარგობრივად განაწილებულიყო სახელმწიფო უწყებანი და დანაწილებულიყო ეს დარგები სამოხელეო ფუნქციების განსაზღვრით. ამ საკოდიფიკაციო სამუშაოთა შედეგად ყველა თანამდებობის თავისი მოქმედების კანონი და წესდება დაუმკვიდრდა. რაც შეეხება იმ ფაქტს, თუ რა მიმართულებაში იყო ვახტანგის მეთაურობით შედგენილი „დასტურლამალი“ და ვახტანგის კანონების კოდექსი პრაქტიკულად რეალურ ვითარებასთან და როგორი ხასიათის შედეგი გამოიღო ამ კანონმდებლობამ, ამაზე ერთგვარად პასუხს გვაძლევს ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტური მასალა, აქტიური მოქმედი სამართლის ძეგლები, რომლებიც ბრძანებების, არზების, ბოძების, ნასყიდობის თუ წყალობის წიგნების სახითაა ჩვენამდე მოღწეული. მაინც დგება საკითხი, იყო თუ არა ზედმიწევნით და გარკვეული სიზუსტით განხორციელებული „დასტურლამალი“ და ვახტანგის კანონების კოდექსის მიხედვით სახელმწიფო წყობის დადგენილი, ნორმები. ჩვენ შეეცადეთ ამ კუთხითაც გვეწარმოებინა დაკვირვებანი, წარმოგვეჩინა XVIII ს-ის 1 მეოთხედის მოხელეთა, თანამდებობის პირთა თუ პერსონალთა სახელები, რომელთა არსებობა სპეციალურ ლიტერატურაში აქამდე ცნობილი არ ყოფილა. ვახტანგ VI-მ როდესაც მოინდომა სახელმწიფო სამართლის წიგნის შედგენა და სახელმწიფო კოდექსად ჩამოყალიბება, მან თავისი კარისკაცები და სახელმწიფო თანამდებობის პირნი, ან სახელმწიფო მოხელენი კი არ მოიწვია, არამედ გავლენიანი ფეოდალები, ერისთავადი სახლის მეთაურნი და მაღალი სასულიერო პირნი — დომენტი კალმელიკოსი, არაგვის ერისთავის შვილი მთავარეპისკოპოსი გრიგოლ, მიტროპოლიტ-ეპისკოპოსი, წინამძღვრები, მუხრანის ბატონი ეიეკლე, არაგვის ერისთავი გიორგი, ქსნის ერისთავი დავით, სარდალი ლუარსაბ ორბელიშვილი, ავთანდილ ამილახორი, ერასტი ორბელიშვილი და სხვები[2].

---

1 ივ. ჯავახიშვილი ქართული სამართლის ისტორია, ტ. I; ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის; 1952, ვ. გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით.; ენიმ-ის მოამბე, XIII, 1943; „ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVIII სს“., თბ., 1958, გვ. 366—373; Ш. Месхия, Города и городской строй, Тб. 1957; ი. დოლიძე, სამართლის ძეგლები, I—ტ. 1963.; ზ. ჯამბურია, საქ. ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 232—37.

2 „სამართალი ვახტანგ VI-ისა“, ი. დოლიძის გამოცემა, 1981. გვ. 175.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ XVIII ს-ის დასაწყისისათვის ქართლის სამეფოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისათვის, კერძოდ სამოხელეო აპარატის გაძლიერებისათვის, ეს მხოლოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რომ ფაქტობრივად სახელმწიფოს მართვა ხდებოდა, არა სამეფო კარის მიერ დანიშნული მოხელეთა მიერ, არამედ იმ თავადების ანუ „დარბაზ-ბატონების“ საშუალებით, რომლებმაც ფეოდალური სახელმწიფო XVIII ს-მდე მოიტანეს. „დასტურლამალისა“ და ვახტანგის სამართლის კანონების შედგენა ამ გადადმული ნაბიჯის რეალიზაცია იყო. როგორც ცნობილია, ყველა დიდი და მნიშვნელოვანი სახელო მანნე ისევ და ისევ საფეოდალო სახლების ხელთ მოექცა. სახელმწიფო თანამდებობანი მემკვიდრეობით კვლავ საფეოდალო სახლებმა დაიმტკიცეს და მთელი სამოხელეო აპარატი გავლენიან თავადთა სამმართველო ასპარეზად იქცა. ამიტომაც საქართველო XVIII ს-ის მეოთხედში რჩებოდა ბატონყმურ-თავადურ დაქსაქსულობის ნიადაგზე დამკვიდრებულ სახელმწიფოდ, რის გამოც ვერ მოხერხდა ხელისუფლების სრული ცენტრალიზაცია.

როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის დასაწყისში, ვახტანგ VI-ის მეფობის ხანაში, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლას წინ ელობებოდა, საგარეო პოლიტიკური ფაქტორი — ირან-თურქეთისადმი მორჩილება და ლეკთა თარეში, აგრეთვე გაძლიერებულ სათავადო სახლთა მუდმივი ქიშპი და მათი სამეფო ჯარისადმი დაპირისპირება. ორივე ეს ფაქტორი უწყობდა ხელს ქვეყნის მეფონობის დაქვეითებას, სასაქონლო-ფულად უთანაერთობათა განუვითარებლობას და აძლიერებდა კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებას თავადებსა და ყმა-გლეხებს შორის. თავის მხრივ, კი ყოველივე ეს აძნელებდა ძველი ფეოდალური სამოხელეო აპარატის, ახალი, ბიუროკრატიული აპარატით შეცვლას.

XVIII ს-ის I მეოთხედისათვის ქართლის სამეფო ხელისუფლებას ვერ მიეცა საშუალება აზნაურობას დაყრდნობოდა, სათავადო-საფეოდალო სახლეები დაემცირო, მათი გავლენა ქვეყნის მართვის საქმეში შეენელებინა. სათავადო სახლებმა კვლავ შეინარჩუნეს მემკვიდრეობით მიღებული მსხვილი თანამდებობანი და ქვეყნის მართვაში კვლავ აქტიური როლი დიმკვიდრეს.

მართალია, „დასტურლამალის“ მიხედვით, საყოდფიკაციო საქმიანობა ნიშნავდა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის გაძლიერებას, ცენტრალური სამოხელეო აპარატის გაზრდას, სამოხელეო ფუნქციათა განსაზღვრასა და თანამდებობათა გარკვეულ რიცხობრივ ზრდას, განსაკუთრებით დაბალი რანგის მოხელეთა (მოურავების, მამასახლისების, მდივნების ფუნქციათა გაფართოოებას. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ არ ხერხდებოდა მემკვიდრეობით მოხელეთა დაწინაურება და მათი რიცხობრივი ზრდა, რომელთაც თავისი პირადი ღირსებებით უნდა მიეღწიათ გარკვეულ თანამდებობრივ აღმავლებისათვის (თუ არ გავითვალისწინებთ გამონაკლისებს).

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ხანაში სრულიად ცხადად ჩანს, რომ სამოხელეო დაწინაურება ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ საფუძვლებზე. ამა თუ იმ სათავადო სახლის მეთაურები—ეროსთავები, ორბელიანები—ყაფლანიშვილები, ბარათაშვილები, ციციშვრები (სამემკვიდრეოდ იტოვებდნენ ქვეყნის მაღალი თანამდებობის მოპოვების უფლებას. იგივე მომენტი შეინიშნება აზნაურთა ფენაში. მემკვიდრეობით მოხელეობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ჰქონდა. აბრიგად, XVIII ს. I მეოთხედში არ გახდა შესაძლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა დანაწილება, პირადი ღირსებისა და ნიჭის მიხედვით, რაც ნაწილობრივ, პეტრე I-ის დროინდელი რუსეთისა და მით უმეტეს, ევროპის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ფაქტი იყო[3].

აღსანიშნავია ისიც, რომ XVIII ს. I მეოთხედისათვის ქართლის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა სამხეთელო ამპარატის დაქვემდებარება, იმის გამოც, რომ ვერ გახდა შესაძლებელი მოხელეთა მუდმივი ფულადი ჯამაგირის დანაწესი. ვერ მოხდა მოხელეთა ფეოდალური-ნატურალური გამოსალების მთლიანად ფულადი ჯამაგირით შეცვლა, რამაც, ცხადია, ხელი შეუშალა მოხელეთა სრულ დამორჩილებას ცენტრალურ ხელისუფლებისადმი. ეს ფაქტი ასევე და ისევ აიხსნება სასაქონლო მეურნეობის განუვითარებლობით და ფეოდალური ნატურალური რენტის ბატონობით ქვეყნის შიგნით, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, გაპირობებული იყო საგარეო ფაქტორით. ქართლი ამ დროს ირანის „ველაითად", მის ვასალურ პოლიტიკურ ქვეყნად ითვლებოდა. ვანიადან, ყველა ზემოჩამოთვლილი პირობა ძალაში რჩებოდა და ქვეყანა ისევ ფეოდალურ-თავადურ ნიადაგზე განაგრძობდა არსებობას, ქართლში ვერ მოიკიდა ფეხი ადგილობრივმა ბიუროკრატიამ.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ქართლი ირანის დაქვემდებარებულ ე. წ. „ვალის, ქვეყანის წარმოადგენდა და ამდენად, არსებულ სახელმწიფო პოლიტიკურ ინსტიტუტებს უცხო გავლენა უნდა განეცადა, ისინი მაინც ქართულ, ეროვნულ, ფეოდალურ-საზოგადოებრივ და ეკონომიკურ პირობებში იყვნენ წარმოშობილნი და ქართულ სახელმწიფოებრივ წყობას განასახიერებდნენ"[4]. ეს აისახა ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის სხვა საკოდიფიკაციო ხასიათის საქმეობის განხორციელებაში. მაშინ, როდესაც დაისვა საკითხი სამართლის წიგნის შედგენისა, ვახტანგ VI-ე ძირითადად ადგილობრივ ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობილ სამართლის ძეგლს დაეყრდნო. მან მის მიერ შემუშავებული კანონები — „სამართალი ბატონიშვილისა" აგო ქართული, ჩვეულებითი — ადათობრივი სამართლის და მართლმსაჯულების საფუძველზე, იმ პროცესუალური სამართლის ამსახველი მასალის გამოყენებით, რომელიც განჩინებებისა და გარიგების წიგნების სახით იყო შემორჩენილი. ვახტანგის სამართლის ნორმებმა კანონის სავალდებულო ძალა მოიპოვეს და მოქმედნი გახდნენ, როგორც მთელ აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. უფრო მეტიც, ამ კანონებმა ერეკლე II-ის მოღვაწეობის ხანაშიც იარსებეს და თითქმის მთელი პროცესუალური სამართლის წარმოება ვახტანგის კანონების საფუძველზე წარიმართა[5].

ქართულ, ისტორიულ წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ „დასტურულამლის" მიხედვით გამოიკვეთა ორი ტიპის მოხელეები: ცენტრალური ხელისუფლების მოხელენი, ანუ „დარბაზის რიგის გამრიგ-

---

[3] М. Богословский, Абсолютная реформа Петра Великого, 1902 г.; И. Кореев —Западно-Европейская монархия XVI—XVIII в. в; С. Тройцкий—Русский абсолютизми дворянство в XVIII в 1947 г

[4] ვ. გაბაშვილი, „სპარსული დასტურლამალი", თ.ს.უ. შრომები, XXXV, გვ. 191-192; მისივე „ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს.", თბ., 1958, გვ. 370.

[5] ი. დოლიძე, სამართალი ვახტანგ VI-ისა, 1981. გვ. 40. 41 ო. ხოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ-საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 115—118.

[6] მ. ქიქოძე, დამამტკიცებელ საბუთთა ისტორიისათვის გვიანფეოდალურ საქ-ში, საქ. მუზეუმის მე—ბე, ტ, XX, 1959.

ენი“ და ადგილობრივ მმართველობის თანამდებობის პირნი — „საქვეყნო გამრიგენი“[7].

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ VI-ის თაოსნობით შედგენილი „დასტურლამალი“ ხელჯოხიანი, ე. ი. სპეციალიო აპარატის მოხელეთა მოვალეობათა დადგენით იწყება, თავისი მნიშვნელობით და თანამდებობების რეალური უფლებებით მას წინ უსწრებს, მმართველობის ადმინისტრაციულ-სამეურნეო-საფინანსო უწყება რომელსაც სახლთუხუცესი განაგებდა. ეს ანგარიშგასაწევი ფაქტი დეცენტრალიზებული სახელმწიფოს დახასიათებისათვის.

ამრიგად, „დარბაზის რიგის“ მოხელეთა შორის XVIII ს. I მეოთხედში, ვახტანგ VI-ის მეფობის დროს უპირველესი მოხელე სახლთუხუცესი იყო. ვახტანგის ჯანმრთელობის დროს სამეფო სახლთუხუცესები არიან არაგვის ერისთავი გიორგი და ლუარსაბ ორბელიანი, ლუარსაბ ორბელიანს სამეფო სახლთუხუცესობასთან ერთად ქართლის ადგილობრივი მოხელის — სარდლობაც ეკისრა[8].

ვახტანგ VI მოღვაწეობის პერიოდში სადედოფლო სახლთუხუცესოგან ცნობილია არაგვის ერისთავი თეიმურაზი[9], ხოლო ევდემოზ კათალიკოსს ჰყავს თავისი სახლთუხუცესი ქაიხოსრო. დომენტი კათალიკოსის დროს კი ჩანან ცნობილი გვარის წარმომადგენლები, პოლიტიკური მოღვაწენი პაპუა, რევაზ და ამილბარ მაღალაძენი[10]. მაღალაძენი თავისი დიდი ქონებრივი, მატერიალური და სწორედ მოხელეობრივი ძლიერების საფუძველზე ახერხებენ თავადიშვილებისაგანაც ყმა-მამულის შეძენას[11]. მაგ. ამბარი მაღალაძე მცხეთის საკათალიკოსო კთელრის სახლთუხუცესობასთან ერთად თრიალეთის სოფლების მოურაობას მოიპოვებს, ხოლო მოგვიანებით ზერტის მოურაობას იმტკიცებს[12]. აღსანიშნავია, რომ ამიღბარ მაღალაძე საუფროსოდ იმკვიდრებს მდივან-მორდლობასაც: „უკეთუ ერთმანეთში (სახლისკაცებში) ყმისა თუ სახლობის ბარათი შემორჩომოდთ, წოგნით ამით გაგვიცუდებიაო“[13] — დებს შეთანხმებას თავის სახლისკაცებთან ამილბარ მაღალაძე. აქედან კარგად ჩანს თუ რამდენად სოციალურად ყმა-მამულის ფლობის იდენტურია მოხელეობა გვიან ფეოდალურ საქართველოში.

ვახტანგ VI-ს მოღვაწეობის პერიოდში ვხვდებით აგრეთვე მთავარეპისკოპოსის სახლთუხუცესს იობას. ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ფეოდალური ქართლისათვის და აგრეთვე ვახტანგ VI-ის მოღვაწეობისათვის დამახასიათებელი იყო სათავადოთა სახლთუხუცესობის არსებობა — ციცაშვილების — კობიაშვილების, ჯავახიშვილების — კარიჭაშვილების, ამილახვარიშვილების ქარუმიძეების, ნახუცრიშვილების, მუხრანბატონების ზედგინიძების და სხვ[14].

7 ე. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVIII სს. 1959 წ.; ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს სიელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 155, 384.

8 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, № 1813; ფ. Sd, № 772; ფ. Hd, № 2678.

9 ი ქ ვ ე, ფ. Hd, № 772; Hd, № 9745; ფ. Sd № 680.

10 საქ. სოც. ისტ. ტ. I, № 259; 262; 264; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, № 9681; ფ. Hd, № 1843; 1815; ფ. Hd № 968; სამართ. ძეგ., ტ. IV, № 164.

11 ხელნაწერთა ინსტ. ფ. Hd № 9687.

12 ი ქ ვ ე, ფ. Ad № 1774; № 1670.

13 ცისა, ფ. 1448, № 5577.

14 საქ. სიძ. ტ. II, № 401; ხელნაწერთა ინსტ., Qd, № 2196; საქ სიძ. II, № 247; ხელნაერთა ინსტ., ფ. Hd, № 2175; ფ. Qd. № 334.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხრანბატონების სახლთუხუცესი დემეტრე ზედგინიძე იღებს დამატებით ციხისძირის, შიოსუბნის და მისაქცევლის მოურაობას[15]. დემეტრე თავის სამოხელეო უფლებებს იმტკიცებს „სახელობის დამკვიდრების წიგნით“, სადაც ვკითხულობთ: „ეგ (სახელო) შენ გქონნებოდა და შენის სახლისკაცების გაყარაშიც შენ გამოგყოლოებოდა და ამ სახელოებთან ხელი არა ვისა აქვსო“[16].

ამრიგად, „დასტურლამალის“ მიხედვით, დაკანონებული სახლთუხუცესის თანამდებობრივი რეგლამენტაცია პრაქტიკულად ზედმიწევნით და სიზუსტით არ ხორციელდება. ერთი მოხელეობრივი უფლება იძლეოდა საშუალებას მეორე თანამდებობრივი ფუნქცია განეხორციელებინა,

ამრიგად, ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ხანაში, როდესაც „დასტურამალი“ დგებოდა, სახლთუხუცესობა მემკვიდრეობითი თანამდებობა იყო, ხოლო ზოგადად მაინც არ იფარგლებოდა ერთი გარკვეული რეგლამენტაციით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „დარბაზის რიგის გამრიგე“ — უპირველესი მოხელე — სახლთუხუცესი სხვა სახელოს, ადგილობრივი წმაროველობის მოხელის ე. წ. „საქვეყნო გამრიგის“ ფუნქციას იერთებს.

როგორც ვნახეთ, XVIII ს. I ათეულის მოღვაწე სამეფო სახლთუხუცესი ლუარსაბ ორბელიანი ერთდროულად ქართლში სარდლობას ეწევა, ასევე დიმენტი კათალიკოსის სახლთუხუცესები — მაღალაძენიც სარდლობას კისრულობენ, ხოლო მუხრან-ბატონის სახლთუხუცესი დემეტრე ზედგინიძე ქართლის სოფლების მოურაობასაც ასრულებს.

ამრიგად, „დასტურლამალში“ დაცულ, გამოკვეთილ სამოხელეოს ნორმებში და დღევანდელ ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულ ორ განსხვავებული მმართველობის ცენტრალური აპარატსა და მმართველობის ადგილობრივ აპარატს შორის სამოხელეო სხვაობა შერყეულია.

სახლთუხუცესის უპირველეს დაქვემდებარებულ მოხელედ მიჩნეულია ნაზირი, რომელიც ლიტერატურაში სამ სახელწოდებას ატარებს სალაროს, ქარხნის და ჩარფა ნაზირის[17]. ნაზირებს უშუალოდ სახელმწიფო გადასახადების დროული აკრეფა ევალებოდათ, ხოლო ნაზირთა ასეთი დანაწევრება XVIII ს. I მეოთხედის დოკუმენტურ მასალაში არ გვხვდება. ჩვენ ვხვდებით ოთარ და ედიშერ ნაზირებს[18]. ედიშერ ნაზირი შალიკაშვილია[19], რომელიც ნაზირობასთან ერთად „ტაშრის ჰაიდარბეგის მემალობას და გულთაფის სოფლების“ მოურაობას ეწევა[20] ასევე ოთარ ნაზირი მდივნობას კისრულობს[21]. სამეფო ნაზირები, გარდა ვახტანგის მოღვაწეობის დროს ჩანან ავალიშვილთა-ორბელიანთა ნაზირები ფარემუზა და დიმიტრი[22] და სარდლის ნაზირი თაყა[23]. ნაზირებს გარდა თავის ძირითად დაკისრებული ვალდებულებისა მოსამართლეობასაც ეწეოდნენ[24].

---

15 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, № 214.

16 იქვე, Qd, № 1457:, ცსია, ფ. 1448, № 829.

17 ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 183.

18 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Sd, № 58, 769; ფ. Hd, № 201; 549; სოც. ისტ. I, 151.

19 ცსია, ფ. 1450, დ. 37, 22.

20 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, № 2143.

21 დოკ. სოც. ისტ. I, № 158; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, №8541.

22 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, № 457; საქ. სიძვ. II, № 200; სოც. ისტ. I, № 151.

23 ცსია, ფ. 1448, № 2840.

24 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Ad, № 1647: ფ. Hd, № 465; Sd, 777, 619, 797.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, ნაზირობა მოქმედი იურიდიული დოკუმენტების მიხედვით სამეფო, სათავადო სახლის და ზოგჯერ სასარდლოს თანამდებობაა და გარკვეულ შემთხვევაში, დამატებით სხვა სამეურნეო ფუნქციის მატარებელიც. მას შემაღლობა, მეღალობა, მოურაობა, მდიენობა და ერბოსმკრეფელობა აკისრია, რაც გვაფიქრებინებს, რომ „დარბაზის რიგის მოხელეთა“ და „საქეიფო გამრიგე“ მოხელეთა ფუნქციების თანხდომა შესაძლებელი ხდება.

ცნობილია, რომ სახლთუხუცესის საუწყებოში შემავალი მოლარეთუხუცესები სამეფო კარზე მოღვაწეობდნენ, მათგან ცნობილია მანუჩარ ორბელიძე, ასლანბეგიშვილი, სეხნია ჩხეიძე და მზეჭაბუკ ორბელიანი.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდს ემთხვევა, კათალიკოსის ცნობილი მოლარეთუხუცესი პაპუნა დოქიძე, რომლის ბედის გადაწყვეტაში თვითონ ვახტანგ VI-ს დიდი მონაწილეობა მიუღია და იგი დომენტის კათალიკოსისათვის უახლია, რომლის კარზე გაზრდილა და დიდძალი ქონება დაუგროვებია[25]. მას საკათალიკოსო მოლარეთუხუცესობის გარდა სოფ. აშენდის ნაცვლობა და მეღალობაც მოუპოვებია[26].

ანალოგიურად ზემოჩამოთვლილი მოხელეებისა ვახტანგ VI-ის დროს მოლარეთუხუცესობა სათავადო სახლის მეთაურებსაც ჰქონიათ — არაგვის ერისთავებს, ორბელიანებს, ჯავახიშვილებს და ავალიშვილებს[27].

სახლთუხუცესის სახელოში შემავალი მუშრიბები და თავლიდრები, როგორც სალაროს აღწერილობას და ანგარიშის მწარმოებლობას ეწეოდნენ, სიხამდვილეში დამატებით სხვა ფუნქციასაც ასრულებდნენ[28]. მათ ზოგჯერ თარხან გლეხთა რაოდენობის განსაზღვრა ეკისრათ და საპოლიციო მსახურის ფუნქციის შესრულებას ავალებდენ[29].

არც „დასტურლამალში“ — და არც სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი არ არის ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდში მეთაურთა-მეფის პირად ხელშინაურთა სახელები. საბუთებში კი ამ დროისათვის გვხვდება მანუჩარ ანდრონიკაშვილი და უფრო მოგვიანებით მისი ეაკი ზაზა[30].

სახლთუხუცესის სახელოში შემავალი თუშმალი-სასახლის სამზარეულოს მოსამსახურე, ამ დროისათვის ზალინა დინდღორაშვილია, რომელსაც თავის ძირითად ვალდებულებასთან ერთად ტაშირის ჰაიდარბეგის ხეობის მეღალეობა და ხასადრობა ჰქონდა ბოძებული[31].

„დასტურლამალის“ მიხედვით სახლთუხუცესის დაქვემდებარებული მოხელე ფარეშთუხუცესი და ფარეშები სამეფო კარის შინაგანი ცხოვრების თანაზიარნი იყვნენ და ისინი ისტორიულ დოკუმენტებშიც გვხვდებიან[32]. ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე ყალიონსყორჩების, აუშტრებისა (სანოვაგის მეურვე) და მეღვინეთუხუცესის შემთხვევაშიც. ისინიც მოქმედ მოხელეებად ჩანან[33].

25 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Ad, № 1575, 1589, 1603, 1698, 1699, 1731.

26 იქვე, ფ. Ad, № 1652.

27 იქვე, ფ. Hd, 1833; ფ. Sd, 772; საქ. სიძ. II, 228, 248.

28 ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 193.

29 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Ad, № 1992, 49; ფ. Qd, № 963.

30 იქვე, ფ. Hd, № 14387; ფ. Sd, № 636.

31 ცსია, ფ. 1450, დ. 37, № 229.

32 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Sd, №670; ცსია, ფ. 1448, № 5455.

33 იქვე, ფ. Hd, № 2013; № 6363; ცსია, ფ. 1450; დ. 18; № 106, 698.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია, რომ „დასტურლამალში“ ჩანთოვლილ სამეფო მერიქიფეების დოკუმენტებში ვხვდებით მერიქიფე ბეჟან ნახუცარიშვილს, სავანელ ამირახანას და გიორგი რუსიშვილს, რომლებიც ვახტანგ VI-ის დას ანუკას რგებია მზითვად[34]. რაც შეეხება ზურაბ მერიქიფეს იგი გერმანოზიშვილების მოხელეად ჩანს[35]. იყო შემთხვევები, რომ მერიქიფენი ცარცი ღვინის ჩამოსხმისა იურიდიულ დოკუმენტებსაც ადგრმებდნენ[36]. ამ შემთხვევაშიც მოხელეს ერთი სახის თანამდებობის ფლობა აძლევდა საშუალებას მეორე სახის მოხელეობა ეკისრა.

ასევე სახლთუხუცესის სახელოს დაქვემდებარებული მეჯინიბეთუხუცესნი რატიშვილებიც ყაიფულის შანაზარასოფლის და ეელისსოფლის მოურაობას იღებენ.

საინტერესოა, რომ სახლთუხუცესის სახელოში შემავალი ბაზიერთუხუცესნი ჩვენ მიერ მოძიებულ დოკუმენტებში ძირითადად თავადიშვილთა წარმომავლობისა იყვნენ — ოთარ ორბელიშვილი, ავთანდილ ერისთავი და ზაზა ციციშვილი. ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდში ისინი ბაზიერთუხუცესის თანამდებობას ასრულებდნენ[37].

სახლთუხუცესის უწყებაში შემავალი მოხელე ფეშქაშნვილი, რომელიც საქართველოდან გაგზავნილ საქონლის თადარიგს აწარმოებდა და ავრეთვე სპარსულ ძღვენებს ანაწილებდა დანიშნულებისამებრ, ძირითადად საგარეო საქმეთა პრაქტიკული მომწესრიგებელი იყო[38]. ფეშქაშნვილი ჩიდდაშვილი ვახტანგის ჯანიშნობის დროს ქართლში შემოსულ ფეშქაშიდან გასამრჯელოს ერთ მესამედს იღებდა[39]. ვხვდებით ამავე პერიოდში ფეშქაშნვილს ქაიხოსროს, რომელიც „საქართველოს ხელმწიფის მეითრისშვილადაა“ მოხსენიებული[40]. „დასტურლამალის“ ფეშქაშნვილის ფულად გასამრჯელოს სამართლის ამ მუხლის შემდგენელნი პირდაპირ „ჯამაგირს“ უწოდებენ, მაგრამ არ საზღვრავენ მის ოდენობას.

დარბაზის რიგის მოხელე გამრიგეთა შორის სპეციალურ ლიტერატურაში ერთ-ერთ მთავარ სახელოდ აღიარებული ეშიკაღასბაში. როგორც ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, „ეშიკაღასბაში იმოდენა მნიშვნელობის მოხელე იყო, რომ „დასტურლამალი“, „ხელჯოხიანთა“ ე. ი. საპოლიციო მოხელეთა „კარით“ და მათი დახასიათებით იხსენება“[41].

მართალია, „დასტურამალი“, როგორც სახელმწიფო საკანონმდებლო ძეგლი, საპოლიციო დარგის-ეშიკაღასბაშის სამოხელეო ნორმათა დადგენით და აღწერით დაიწყო[42] და ეშიკაღასბაში უპირველესი მოხელე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ყველა ფუნქციათა რეალური გათვალისწინებით, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მასზე მაღლა მაინც სახლთუხუცესი ჩანს. თვითონ „დასტურლამალშივე“ თანამდებობის პირთა ჩამოთვლისას პირველად სახლთუხუცესები, შემდეგ

---

34 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Ad, №145.

35 იქვე, ფ. Hd, № 2448; საქ. სიძ. ტ. III, № 518.

36 იქვე, ფ. Hd, № 2493.

37 საქ. სიძ. III, № 401. დოკ საქ. სოც. I, № 270; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Sd, № 117.

38 ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 208.

39 ცსია, ფ. 14448, № 100.

40 საქ. სოც. ისტ. I, № 186.

41 ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

42 დასტურამალი, გვ. 477.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდივანბეგი და მერე ეშიკაღასბაში მოჰყვება. იგივე სურათია ისტორიულ დოკუმენტებში[43]. ეშიკაღასბაშს წინ უსწრებს სახლთუხუცესი და მდივანბეგიც კი.

ეს ეგრეთწოდებული „ხელჯოხიანი“ მოხელე საპოლიციო ფუნქციებს ასრულებდა და ითვლებოდა ცენტრალურ ხელისუფლების აღმასრულებელ თანამდებობის პირად. „დასტურამალის“ პირველსავე სტრიქონში ვკითხულობთ, რომ ვახტანგის განმგებლობის დროს ორი ეშიკაღასბაში არსებულა ზურაბ არაგვის ერისთავი და ზურაბ ამილახორშვილი[44].

„დასტურლამალისავე“ მონაცემების მიხედვით ეშიკაღასბაშის კომპეტენციაში შემოდიოდა ფართო უფლებრივ-სამსახურებრივი ვალდებულებანი, ფართო ე. ი. საერთო სახელმწიფოებრივი უფლებების განხორციელება მთელ სამეფოში და ვიწრო — ე. წ. სამეფო სახლის — სასახლის მოვლა-პატრონობა. ეშიკაღასბაშს ებარა ავრეთვე საიასაულო-საგამმძიებელო საქმის წარმოებაც. ძაგრამ ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ შედგენილი „დასტურამალი“ ადგენდა, რომ საქმის ძიება და სამართლის წარმოება ეშიკაღასბაშის და მისი ხელქვეითი მოხელეების გარეშეც შესაძლებელი იყო[45].

ვფიქრობთ, რომ ეს მომენტი თითქოსდა ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლების სისუსტის მაგალითია, როცა მემკვიდრეობით მიღებულ დიდ სახელოს მეთაურს უპირისპირდება ადგილობრივი- დამოკიდებული სამოქმედო ორგანო. ამავე დროს ცენტრალური ხელისუფლება, ვახტანგ VI-ის მეთაურობით, ცდილობს თავისი კომპეტენცია არ შელახოს და ითხოვს, რომ მის მიერ ბოქაულთუხუცესის გარეშე გაგზავნილ გამოსაძიებელ საქმეში აღებულ საიასაულოდან, ერთი მეოთხედი მაინც ეშიკაღასბაშს უნდა მიეცეს[46]. ასევე კანონმდებლობით გამოძიების გარეშე მოპოვებულ თანხიდან ნახევარი ეშიკაღასბაშს და ბოქაულთუხუცესს შორის იყოფოდა, დანარჩენი კი ყაფიჩებსა და იასაულებს შორის[47]. ამ შემთხვევაშიც ეშიკაღასბაშს თავისი უფლებები ჰქონდა მოპოვებული, თავისი ფეოდალურ-თანამდებობრივი უფლებრივი მდგომარეობის უპირატესობის გამო.

ვახტანგ VI-ის დროინდელ იურიდიული დოკუმენტების მიხედვით ეშიკაღასბაში ზურაბ არაგვის ერისთავი ყველაზე მომქმედი პოლიტიკური მოღვაწეა, რომელსაც თავის ბეჭედი აქვს, საკუთარი უფლებების დასამტკიცებლად[48]. ეშიკასაბაში გიორგი ამილახორშვილი კი, რომელიც გამოსაძიებელ საქმეს აწარმოებს, პირდაპირ მიუთითებს, რომ ეყრდნობა „სამართლის“ კოდექსის „ლ“ კარს[49].

სამეფო ეშიკაღასბაშს ზურაბ ერისთავს თავისი მოლარეთუხუცესი ჰყავდა გვარად კობიაშვილი[50], ხოლო რაც შეეხება სადდოფლო ეშიკაღასბაშს ასევ სოლოღაშვილს, ვახტანგ VI-მ მას გომარეთის მოურაობა უბოძა[51]. ეშიკ-

43 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Qd, № 2826; 1040.

44 დასტურლამალი გვ. 638.

45 ი ქ ვ ე, გვ. 670.

46 ი ქ ვ ე, გვ. 640.

47 ი ქ ვ ე.

48 ხელნაწერთა ინსტ. ფ. Ad, № 1040; ფ. Qd, № 9037.

49 ი ქ ვ ე, ფ. Hd, № 208, № 2367.

50 საქ. სოც. ისტ. ტ. I, 197, 222; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, №1813.

51 საქ. სიძ. ტ. III, № 216.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსაბაშად ჩანს ამ ხანებში აზნაურიშვილი დოლენჯი ბეღინაშვილი[52], ამილახორიშვილების ეშიკაბაშობას ასრულებენ დემეტრე გარაყანიძე, ქაიხოსრო და როსებ ეშიკაღასებაში[53].

ამრიგად, ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდში ეშიკაღასებაში, როგორც ზემოდაჩამოთვლილი მოხელეები, გარკვეულ შემთხვევებში, სახლთუხუცესობას, ბოქაულთუხუცესობასა და მოურაობასაც ატარებენ.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის 20-იანი წლებისათვის გვხვდება ეშიკაღასებაშის სხვადასხვა სახეობანი — ნაიბეშიკაღასებაში და ჰარმის ეშიკაღასებაში, რომლებიც „დასტურლამალში“ საერთოდ მოხსენებული არ არიან. ესენი ცხადია, ეშიკაღასებაშობის ნაირსახეობებს წარმოადგენენ და სახელწოდების მიხედვით განსხვავებულ ფუნქციებსაც ატარებდნენ. ნაიბ ეშიკაღასებაშს ზაზას ყორიასაულობაც ჰქონია დამატებით მიღებული და ჯარდან ჰარმის (ე. ი. სასახლის) ეშიკაღასებაშთან სადაო საქმე გაურჩევია[54].

ჩვენთვისაც გადაჭრით ძნელი სათქმელია, კერძოდ ნაიბეშიკაღასებაშებს განსხვავებით ეშიკაღასებაშისაგან რა საქმიანობა უნდა ჰკისრებოდა, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ მეს სპპოლიციო დარგის მეთაურობა ეკისრა.

მ. კეკელია აღნიშნავს, რომ მოგვიანებით, XVIII ს. II ნახევარში, ნაიბ ეშიკაღასებაშს ცალკე სამოქმედო უბანი ჰქონდა და არ ჩანს რა დამოკიდებულებაში იყო საერთოდ მთავარ ეშიკაღასებაშთან[55].

რაც შეეხება ჰარმის ეშიკაღასებაშს ივ. სურგულაძე ფიქრობს, რომ ვინაიდან „დასტურლამალი“ მას არ იცნობს, მისი წარმოშობაც XVIII ს. II ნახევრით უნდა იყოს განსაზღვრული[56]. დოკუმენტებში კი ეს ორი სხვაობა ეშიკაღასებაშისა ვახტანგ VI-ის დროს გვხვდება.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ხანაში ეშიკაღასებაშის მთავარ საშტატო მესვეურთ ბოქაულთუხუცესები ქმნიდნენ. ამათ ვახტანგ VI „დარბაზ ბატონიბედ“ მოიხსენიებს. ესენი იყვნენ ციციშვილები, ამილახორიშვილები, ორბელიშვილები[57]. რაც შეეხება ბოქაულთუხუცესს ბეჟან ამილახორიშვილს, ვახტანგ VI-ე მებალახობის სახელოს უმატებს[58]. ბოქაულთუხუცესს დურმიშხან საგინაშვილს კი თავისი უფლებების დასადასტურებლად პირადი ბეჭედი აქვს ზედწერილით: „მონა ღვთისა ბოქაულთუხუცესი დურმიშხან“[59], ვახტანგ VI-ს დროს ჩანს საკათალიკოსს ბოქაულთუხუცესი მანუჩარ გარაყანიძე[60], ხოლო მუხრანსბატონთა სათავადო სახლის ბოქაუთოლუხუცესობის ზედგინ ზედგინიძე ეწევა[61].

მსგავსად სხვა მოხელეებისა ბოქაულთუხუცესები დამატებით თანამდებობასაც იერთებდნენ. დემეტრე ორბელიშვილი ტაშირის სამეფო სახასო სოფლე-

52 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, № 1813; სოც. ისტ. I, 197, 222.

53 იქვე, ფ. Qd, № 12315; სოც. ისტ. I, 151.

54 იქვე, ფ. Qd, № 1300.

55 მ. კ ე კ ე ლ ი ა, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი, 1970. გვ. 309.

56 ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 258.

57 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Sd, № 713, 313; ცსია,, ფ. 1450, დ. II. № 166; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Ad, № 147, 1846; ფ. Hd, 14064; ცსია, ფ. 145, დ. 18, № 106.

58 იქვე, ფ. Ad, № 1368.

59 ნ. ბ ა ქ რ ა ძ ე, მასალები ქართული ფრაგისტიკის ისტორიიდან, 1978. გვ. 54. ხელნაწერთა ინსტ., Hd, № 664, 5245, 9423.

60 სამართ. ძეგ. III, № 214.

61 ხელნაწერთა ინსტ. ფ. Hd, № 9385.

ბის მოურაობას კისრულობს ბოქაულთუხუცესობასთან ერთად[62]. საინტერესოა, რომ ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს კონტროლი გააძლიროს საბოქაულთუხუცესი და საიასაული სარგოს აღების შემთხვევაში და თავლიდარ თუმანშვილს ავალებს საბოქაულო გამოსაღების აკრეფას, წინაღმდეგ შემთხვევაში ჯარიმას აწესებს 20 მარჩილის ოდენობით[63].

ბოქაულთუხუცესს რანგით სოიაბათიასაული მოსდევდა. ვახტანგ VI-ის დროინდელ დოკუმენტებში ვხვდებით ბეჟან დოლმაზაშვილს სოიაბათიასაულს, რომელიც მოწმედ ესწრება ყმა — მემამულის ნასყიდობას და გიორგი შანშიაშვილს, რომელიც ადგენს ნასყიდობისა და თამასუქის წიგნს[64].

ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, ფართო ფუნქცია ეკისრება მესტუმრეთ, რომლებიც საპოლიციო უწყების მოხელეები არინ. ივ. სურგულაძე მესტუმრის ფუნქციის განსაზღვრისას წერს, რომ იგი „სტუმრის მიმღების მოხელეს“ იყო[65]. მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ მესტუმრის ფუნქციები მაინც უფრო გაფართოებული იყო ვახტანგ VI-ის დროს და ცენტრალური ხელისუფლების სხვადასხვა ხასიათის ბრძანებების აღმასრულებელ მოხელედ ითვლებოდა. მას გარდა სტუმრების მიღება-გასტუმრებისა, ქეიფანაში გარკვეული რეჟიმისა და წესრიგის დამყარებაც ევალებოდა. 1703 წ. ვახტანგ ჯანიშინი მესტუმრის საშუალებით და თანადგომით ბოქაულთუხუცესს იბაშეის გზაკნის თათრული მოსახლეობის დასარბევად[66]. აგრეთვე მესტუმრის საშუალებით ვახტანგ VI-ე ახერხებს ციცაშვილებისა და ჯავახიშვილების მოლაშქრეთა სიების შედგენას[67]. ვახტანგ VI-ე არიგებს მესტუმრის მეშვეობით სასამართლო საქმის წარმოებას და იურიდიული განაჩენის ადგილზე შესრულებას[68]. ასევე ვახტანგ ჯანიშინი მესტუმრის საშუალებით ახერხებს სამეფო ხოდაბუნებიდან მოწეული ჭირნახულის თადარიგის გაწევას და სომხითის სამოურაო ტკბილის ადგილზე მოტანას[69]. იყო შემთხვევები, როცა მესტუმრენი მონაწილეობას იღებდნენ უკაცრიელი მამულების მოშენებაში[70]. ამრიგად, ყველა ზემოთჩამოთვლილ შემთხვევაში მესტუმრის ფუნქცია განსაზღვრული არ იყო. ამდენად, ვფიქრობთ, რომ ზოგჯერ „დასტურლამალის“ მიხედვით გამოკვეთილი სამოხელეო ვალდებულებანი რეალურ ვითარებას ბოლომდე არ ეთანხმებოდა.

მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც იასაულების ფუნქციებს ვსაზღვრავთ. იასაულებს ცნობილია, არც საქმის გამოძიება ეკითხებოდათ და არც წარმოება. ისინი მარტო დადგენილი ბრძანებების სისრულეში მოყვანის ფუნქციებს ასრულებდნენ. იასაულები ემსახურებოდნენ ყველა დარგს, იქნებოდა ეს სამეურნეო, ადმინისტრაციული, საფინანსო, სასამართლო თუ სამეფო კარის დაცვის უწყებანი[71].

62 საქ. სიძ. ტ. III, № 22; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, № 44.

63 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Ad, № 952; ფიქ. სიტ. I № 255; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Sd, № 102; ფ Hd, № 1782.

64 საქ. სიტ. ინტ. I, 255; მას. ეკ. ინტ., II, № 8; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Ad, № 952; Sd, № 102. ფ Hd, № 1782.

65 ივ. სურგულაძე, ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 799.

66 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Ad, № 1476.

67 იქვე, ფ. d , № 14064.

68 საქ. სიძ. ტ. II, № 319.

69 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, № 6630, № 6423.

70 ცსია, ფ. 1450, ფ. 29, № 117.

71 დასტურლამალი, გვ. 384.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ VI-ის ისაული ბედინაშვილი აწესრიგებს ელიზბარ დავითაშვილისა და ზალინა უმიკაშვილის ფულზე დავის საქმეს, აგრეთვე ვახტანგ VI-ე უკანონოდ გაყიდული მამულების დაბრუნებას ისაულის საშუალებით ახერხებს[72]. ისაულების საშუალებით ხდება „მყრელობის“ შესრულება, რომელსაც ფართო ხასიათი ჰქონდა ვახტანგის დროს, კახეთში გახიზნული გლეხების დაბრუნების შემთხვევაში[73].

იყო შემთხვევაც, რამ ისაული ადგილზე სადაო საქმეს არჩევდა. ვახტანგ VI-ე ისაულს ამბობდა — „თუმანიშვილს სამართალი უყავი“-ო[74].

ამრიგად, მესტუმრეებს და ისაულებს მკაცრად გამოკვეთილი, დაკონკრეტებული ვალდებულებანი არ ჰქონდათ განსაზღვრული. მათი უფლება-მოვალეობანი უფრო ფართო ხასიათს ატარებდა და ძირითადად ცენტრალურ ხელისუფლების მიერ ნაბრძანები განკარგულების შემსრულებლის როლი ეკისრათ.

გარდა სპეციალიო მოხელეებისა, მეფის დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლებიც არსებობდნენ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ყულარაღასი, ყორჩიბაში, უზბაში და მინბაში. ვახტანგ VI-ის მიერ ჩამოყალიბებულ „მცველთა ჯარს“ ყურასაღასი მეთაურობდა. ამ დროისათვის ცნობილია, ქაიხოსრო ამირეჯიბი, რომლის ჯამაგირი 12 თუმანს უდრიდა[75]. ყულარასაღასი ქაიხოსრო ჯავახიშვილი, გარდა სამხედრო ვალდებულებების შესრულებისა, აწარგებდა ბარათაშვილის, ავალიშვილების და თურქმანიშვილების სადაო საქმეს[76]. ვახტანგ VI-ის დროს მოღვაწეობს ყორჩიბაში ამილახორიშვილი ბარძიმ[77] და ზურაბ ამილახორიშვილი, რომელიც ერთდროულად მარტყოფის მოურაობას ასრულებდა[78].

„დარბაზის ოთახის მოხელეთა“ შორის თავისი მნიშვნელობით მდივან-ბეგს დიდი როლი ეკისრა. რამდენადაც ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა თავისი უფლებების გაზრდას, იმდენად ცდილობდა იგი მდივანბეგის უფლებების გაფართოვებას, რათა სათავადო სახლების სასამართლო ფუნქციები შეეკვეცა. ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ხანაში ცნობილი იყო ერასტი ორბელიანი, ვახტანგ მდივანბეგ ორბელიანის ვაჟი, საბა-სულხან ორბელიანის ძმა[79].

თ. ენუქიძეს მითითებული აქვს დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ ერასტი ორბელიანი უშვილებია მის ბიძას პაპუნას, საგანგებო ცოდნა მიუცია მისთვის და მას მდივანბეგობა გაუწევია ქართლის სამეფო კარზე 1703—31 წწ[80]. ერასტი ორბელიანს თავისი საკუთარი სამი ბეჭედი ჰქონია განსხვავებული ზედწერილით[81] და მდივანბეგობასთან ერთად ერასტს სარდლის სახელოც უტარებია[82]. აღსანიშნავია, რომ ერასტი ორბელიანის მოღვაწეობის დროს

72 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, № 9312; 14316.

73 ცსია, ფ. 1450; დ. 12, 31; ფ. 1448, № 5337; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Sd, № 518, 618; ფ. Hd, № 401, 845. 12299, 14086, 14976.

74 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Qd, № 491.

75 „დასტურლამალი“, გვ. 284.

76 ცსია, ფ. 1450, დ. 10, №114; დ. 5, № 108; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, № 14917.

77 „დასტურლამალი“, გვ. 384.

78 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Ad № 913; ფ. Ad, № 1085; სიძე. II, 228.

79 ი ქ ვ ე., ფ. Ad, № 1041; ცსია, ფ. 1448, №1070; დასტურ. გვ. 635.

80 თ. ე ნ უ ქ ი ძ ე, აღმას. საქ. მდივანბეგთა ქრონოლოგ. რიგი, „მრავალთავი“, 1971, წ. გვ. 206—207.

81 ე. ბ ა ტ ო ნ ი ძ ე; დასახ. ნაშრ., გვ. 63; თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 501.

82 საქ. სიძე. ტ. II, გვ. 70.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1706—07 წწ. მდივანბეგად მოხსენებულია ვახტანგ ყაფლანიშვილიც[83], ხოლო XVIII ს. 10-იან წლებში კი მოღვაწეობს მდივანბეგი ავთანდილი, რომელიც არა ერთს სასამართლო გარდაწყვეტილების აქტს ესწრება[84].

ამრიგად ქართლში რამდენიმე მდივანბეგი მოღვაწეობდა. მაგ., მდივანბეგი ბანგუა და ბარძიმ, ვახუშტი ორბელიანის ობლების გადამბარავ პირთა შორის არიან მოხსენებული[85].

დოკუმენტებშიც ვხვდებიან თითქმის ერთდროულად ავთანდილ ორბელიშვილი, ორბელ-ორბელიშვილი, ვახტანგ ყაფლანიშვილი, პაატა (ერისთავის შვილი), დმიტრი და სოლომონ მდივანბეგები[86].

მდივანბეგს, სასამართლო წარმოების უზენაესს ხელისუფალს, გარდა მართლმსაჯულებისა, „დასტურლამალის“ მიხედვით[87] ეკისრა სხვა ხასიათის ვალდებულებანიც, რის გამოც მას სარგო ჰქონდა კუთვნილი. მალის განსაზღვრიდან წილის მიღება, ღალის, პირისთავის, ნახირისთავის და კულუხის დადგენაში გარკვეული სარგოს აკრეფა, იჯარის აღება, ვაჭრობის წარმოება, ტყვის სყიდვის შემთხვევაში ბაეის აღება, მყრელობაში მონაწილეობის მიღება, ზარაფხანისა და ყასაბხანიდან ბაეის აღება, სამოურაო საგადასახადო წიგნის შედგენა, სასახლისკაცო წილის ბარათების მოწესრიგება, მოსახლეობის აღწერა და თამასუქების გაფორმება. რამდენად ხორცეელდებოდა მდივანბეგის ყველა ეს ფუნქცია ჩვენთვის ძნელი სათქმელია, ვინაიდან სამისო დოკუმენტური მასალა არ იძლევა საშუალებას, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მდივანბეგის ვალდებულებანიც მკვეთრად გამოხატულ ხასიათს არ ატარებდნენ.

მდივანბეგს მორდალი ექვემდებარებოდა, იგი ბეჭედს მცველი იყო. „დასტურლამალის“ 190-ე მუხლი სახზერავს მორდლის ფუნქციებს და მას გარკვეულ უფლებებს ანიჭებს. მართალია, ჩვენ დოკუმენტურ მასალაში ეს ვალდებულებანი ჩამოყალიბებული არ არის. 1712 წ. მამულის ნასყიდობის წიგნით ოთარ მორდალი ნასყიდობის აქტს ესწრება[88] და სოლომონ მაღალაძეც საკათალიკოსო სახლთუხუცესობასთან ერთად მორდლობასაც იღებს სუფროსოდ, როდესაც ხდება სასახლისკაცო გაყრა, რაც ფეოდალური ბუნებისათვის დამახასიათებელი[89]. მოგვიანებით გვხვდება მორდალი ავთანდილი, რომლის ბეჭედს თავისი ზედწერილი აქვს „მონა ღვთისა მორდარი ავთანილ“[90] ვახტანგის შეფობის ხანაში ვხვდებით აგრეთვე სადღეფოლო მორდალს ბეგთაბეგაცს[91]. „დასტურლამალის“ მიხედვით მორდალი მონაწილეობას იღებდა ვაჭრობის, გლეხის გაცემის, ბაეების დადგენის დროს, იჯარის, ზარაფხანაში მუშაობის და სხვათა შემთხვევაში[92]. ამდენად, მორდალი ჩართული იყო ქართლის ეკონომიკურ და პრაქტიკულ ცხოვრებაში. ჩვენ ხელი არსებული დოკუმენტები

---

83 ცსია, 1450, ფ. 16; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, № 2543.

84 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, № 2081; 2367; ფ. Ad, № 1040; ფ. Qd, № 1997; ა. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

85 ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 330.

86 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, № 2534, 373, 10044; ფ. Sd, № 582; ფ. Qd, 1731.

87 დასტურლამალი, გვ. 646—647.

88 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, № 1457.

89 იქვე. ფ. Ad, № 763.

90 სპ. სიმე. II, 258, 256, 25; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Sd, № 90, № 664.

91 დასტურლამალი, გვ. 719.

92 დასტურლამალი, გვ. 686, 687.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი ამ დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა, ვინაიდან მორდარი, როგორც სხვა აქტიური თანამდებობის პირი, ამ პერიოდში არ ჩანს.

ძლიერი და გავლენიანი სამოხელეო ინსტიტუტი ვახტანგ VI-ის დროს იყო სამდივნო. სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ქართლის სამეფოში ერთი ან სამი მოხელე მდივანმწიგნობრობდა. ძირითადად ამ ხანებისათვის ეს სახელო ხელთ ეპყრათ თუმანიშვილთა საგვარეულოს. ყველაზე აქტიური საქმითანობით გამოირჩეოდა გივი თუმანიშვილი, რომლის მოღვაწეობის ფარგლები 1700—1720 წწ. მოიცავდა და ყველზე მოქმედ პერსონაჟად იგი ვახტანგ VI-ის დროს ჩანს[93]. ამავე დროს მდივანმწიგნობრობს ოთარ თუმანიშვილი, რომელიც ადგენს ციცოშვილების, ჯავახიშვილების და ორბელიანთა იურიდიულ დოკუმენტებს[94]. ოთარ და გივი თუმანიშვილების პარალელურად მოღვაწეობენ ავთანდილ, გიორგი და დავით თუმანიშვილები[95]. მდივნობა თუმანიშვილთა მკვიდრ საგვარეულო სახელოს წარმოადგენდა. დგებოდა მათი სპეციალური ყმა-მამულთა ნუსხები და სასახლისაკაო ქონებათა დამდგენი წიგნები[96]. ვახტანგ VI-ის დროს ვხვდებით მდივანმწიგნობარს როსტომ ჯულაბაშვილს, რომელიც ვახტანგს ირანშიც კი გაჰყვა[97]. მდივანმწიგნობრობა საკათალიკოსო კათედრაზე, ვახტანგ VI-ის დროს ეკალა სოლომონ მაღალაძეს, რომელმაც ვახტანგისავე შეკვეთით მხედრული შრიფტის შექმნაზე იმუშავა[98]. საინტერესოა, რომ სოლომონ მაღალაძეს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, კათალიკოსის სახლთუხუცესობასთან ერთად მდივნობაც ჰქონდა დაკისრებული და თან მორდილსა და ქადაგის ვალდებულებებს ასრულებდა[99].

მდივნები, არსებული დოკუმენტების მიხედვით, გარდა იურიდიული დოკუმენტების შედგენისა, ადმინისტრაციული უფლებებითაც სარგებლობდნენ. მათი ხელრთვა ან დასტური ბეჭდის სახით, ამა თუ იმ იურიდიულ დოკუმენტს გარკვეულ უფლებას მატებდა.

იყო შემთხვევები, როდესაც მდივნობა პირდაპირ მსაჯულობასთან იყო დაკავშირებული. მდივნები ადგილზე იგზავნებოდნენ სადავო საქმის გასარჩევად. 1706 წ. ვახტანგ ჯანიშინი გივი მდივანს გზავნიდა გოსტაშაბიშვილებისა და მარნეულთა რუების ხმარების წესის დასაცავად[100]. ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ვახტანგ VI—1720 წ. მდივან სულხან თუმანიშვილს ანდობს სამხედრო პირთა სიების შედგენას ყოველგვარი სარდლის გარეშე[101].

„დასტურლამალის“ მიხედვით, მდივნებს სამოხელეო ფუნქციები მეტად მრავალფეროვანი ჰქონდათ.: სამხედრო სიების დადგენა, საბოქაულო საქმია-

---

93 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Ad, № 1045, 1741; ფ. Ad, № 2313, 5719; ფ. Hd, № 14077; ცსია, ფ. 1450 დ. 17. № 10.

94 საქ სოც. ისტ. ტ. I, 166, საქ. სიძ. II. № 11, 248 250; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd,№758, 820, 14077.

95 საქ. სიძ. ტ. II, № 246, 248, 250; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, № 1822; ფ. Qd, № 263; ფ. Ad, № 977; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Hd, № 1699, № 4472, 9385, 14102; ფ. Sd , №99, ფ. Ad, № 1279.

96 ხელნაწერთა ინსტ., ფ. Q d, № 9037; საქ. სიძ., ტ. I, № 132.

97 იქვე. ფ. Hd, № 9536.

98 ქრ. შარაშიძე, ქართული სტამბა, თბ., 1955 გვ. 114.

99 ქართული სამართ. ძეგლები, ტ. III, № 187, 200; საქ. სიძე. III,62; ხელნაწერთა ინსტ., ფ. Ad, № 1652,

100 ხელნაწერთა ინსტ. ფ. Hd, № 2392; საქ. სიძე. III, № 23.

101 იქვე, ფ. Qd, № 255.

ნობაში გარევა, ზარაფხანის მომსახურება, აბანოსა და არაყხანის იჯარების განაზღვრა, ბეითალმანი მამულის აღნუსხვა, ტყეეთასყვიდღის თადარიგი, მალის აკრეფა მდინარის ძირეულ ვალდებულებაში შედიოდა. ასეთსავე მონაწილეობას იღებდნენ მდინგნები კოდის პურის, საბალახოს, პირისთავის, ნახირისთავის, კულუხის და ღალის აკრეფაში[102].

„დასტურლამალის" და არსებული დოკუმენტური მასალის შეჯერების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ სახელმწიფო უწყებათა ორი სახეობა — „დარბაზის რიგის მოხელენი" (ე. ი. ცენტრალური ხელისუფლების მმართველი უწყებანი) და „საქვეყნო გამრიგე მოხელენი" (ადგილობრივი სამმართველო მოხელენი)[103] დადასტურებული და მოცემულია სამართლის ძეგლებსა და იარიდიულ დოკუმენტებში.

ამრიგად, ვახტანგ VI-ის ხელმწიფის რიგის მოხელეთაგან, მისი ჯანიშინობისა თუ მეფობის პერიოდში, სამეფო სახლთუხუცესები ყველა სამეფო კარს საკუთარი ჰყავდათ და ისინი სათავადო სახლის მეთაურთა წარმომავლობის იყვნენ. ისინი ამ სახელოს მემკვიდრეობით იღებდნენ. ასევე არსებულან სადედოფლო, საკათალიკოსო, სამთავარეპისკოპოსო და სათავადო სახლეთის სახლთუხუცესები. მაგრამ აღსანიშნავია, რომ „დარბაზის რიგის მოხელენი" მსხვილ სახელმწიფოებრივ სახელოსნოსთან ერთად იერთებენ სხვა თანამდებობასაც, მაგალითად, სამეფო სახლთუხუცეს ლუარსაბ ორბელიანს ყულარაღასობა და სარდლობაც აკისრია; დავით ორბელიანი სახლთუხუცესობასთან ერთად სარდლობას ეწევა. ასევე სარდლობს სახლთუხუცესი ზაზა ციციშვილი. კათალიკოსის სახლთუხუცესი სოლომონ მაღალაძეს მოურაობა და მორდლობა ევალება.

პაპუნა მაღალაძე კათალიკოსის სახლთუხუცესია და ამავე დროს, საეკლესიო-სახასო სოფლების ხასადრობას და მოურაობას ეწევა. სახლთუხუცესის დაქვემდებარებული მოხელენიც მემკვიდრეობით იღებენ თანამდებობებს. ისინიც ხშირად არ იფარგლებიან დადგენილ სამოხელო რეგლამენტაციით და სხვა თანამდებობრივ ფუნქციასაც ასრულებენ. მაგ., ნაზარ ედიშერ შალიკაშვილს ტაშირის ჰაიდარბეგის მემალობა და საბალახის ფურის ერბოსმკრეფელობა ჰქონდა მინდობილი. მას აგრეთვე გულთაფის სოფლების მოურაობა ევალა.

ანალოგიური მდგომარეობაა მოლარეთუხუცესობის უწყებაშიც. საკათალიკოსო მოლარეთუხუცესს პაპუნა დოქიძეს სოფელ აშენდის ნაცვლობა და მეღალობა ჰპოძებია და აგრეთვე სოფ. ციხედიდის მოურაობა, ხოლო სარიდან მაღალაძეს კი სოფ. ზერტის მოურაობა.

ამავე უწყების მოხელე მუშრიბები დამატებით მდივანმწიგნობრებად გვევლინებიან. რაც შეეხება, სალაროს თავლიდარებს ისინი საპოლიციო ფუნქციებს ასრულებენ და იარიდიული აქტების შედგენას ესწრებიან.

სახლთუხუცესის სახელოში შემავალი თუშმალებიც დამატებით სხვა სახელოს ფუნქციას ატარებენ. დონდარაშვილი ზალინა ტაშირის აირდაბეგის ხეობის მეღალობას და ხასადარობას ასრულებს. მას მეჯინიბეთუხუცესის სახასო სოფლების შანაზარასოფლის და ველის სოფლის მოურაობა ევალა.

ანალოგიური სიტუაციაა ეშიკაღასბაშის სახელოში. ეშიკაღასბაში ომან მოურავისშვილი სახლთუხუცესის სახელოს მატერებელია, უშიკაღასბაში თავ-

---

102 დასტურლამალი, გვ. 642, 516, 536, 539, 646—47.

103 ამ ტიპის მოხელეებს შეეხებით სხვა წერილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყელაშვილი ხოსიტა კი ბოქაულთუხუცესობას კისრულობს, ბოქაულთუხუცესი ზაზა გედევანიშვილი კი სარდლობას ეწევა, ხოლო დემტრე ორბელიშვილი, რომელიც ბოქაულთუხუცესობის სახელოს მატარებელია, ტაშირის სახსო სოფლების ყათილღუს და ბოცხორის მოურავიცაა. ბოქაულთუხუცესი ბეჟან ამილახორიშვილი კი მებალახეობის სახელოს ატარებს. რაც შეეხება, მეფეს დაცვის ორგანიზაციის მეთაურს ყორჩიბაშ ზურაბ ამილახორიშვილს, მას მარტყოფის მოურაობა აკისრია.

ნსგავს მოვლენებს ვხვდებით სამდივანბეგო სახელოშიც, ცენტრალური ხელისუფლების მოხელე მდივანბეგი ერასტი ორბელიანი ადგილობრივი მოხელის სარდლის ფუნქციას ასრულებს. სამდივანბეგოს მოხელეს მდივანს კი დადგენილი მისი ვალდებულებების გარდა აკისრია ზოგჯერ სოფლების მეთაურობა, ეგრეთწოდებული „დაირასობა“.

ამრიგად, აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ „დასტურლამალის“ მიხედვით მოცემულ მოხელეთა ნაირსახეობას იცნობს ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტური მასალა, ე. ი. ცოცხალი მოქმედი სამართალი უფრო მეტიც, სახელმწიფოს მართვა ეახტანგ VI-ის თაოსნობით, ამ მოხელეთა საშუალებით წარმოება. ამ თანამდებობათა ფუნქციების შესრულების თვალსაზრისით, თითქმის ზედმიწევნით დადასტურებულია ქართულ სახელმწიფოებრივ ყოფაში ყოველი მათი უფლება-მოვალეობის რეალიზაციის ფაქტი. მაგრამ აღსანიშნავია, ის მომენტი, რომ რეგლამენტაცია სამოხელეო ფუნქციათა შორის ერთგვარად დაღვეულია. ერთ- და იგივე მოხელე სხვადასხვა თანამდებობის, სხვადასხვა მოხელეების უწყების წარმომადგენელი, სხვადასხვა ვალდებულებას ასრულებს.

საინტერესოა, რომ ხდება „დარბაზის რიგის მოხელეთა“ ე. ი. ცენტრალური ხელისუფლების მოხელეების მიერ. ადგილობრივ მოხელეთა ვალდებულების კისრება და შესრულება, მათი ფუნქციების შერწყმა და ამის ნიადაგზე მათ შორის ერთგვაარდ ზღვარის წაშლა.

ეს ფაქტი ახსნილ უნდა იქნეს ფეოდალური სახელმწიფოს დამახასიათებელი სისუსტით. ფეოდალური დაქსაქსულობის, ფეხმოკიდებული, ძირგამჯდარი ბატონყმობისა და ფეოდალური დაჩიხულობის საფუძველზე დიდგვარიანი სათავადო სახლები, ერთი მხრივ იერთებდნენ რა რამდენიმე სამოხელო თანამდებობას, მეორე მხრივ, ერთგვარად შლიდნენ „დასტურლამალის“ მიხედვით გამოყოფილ და დაკანონებულ ორ დიდ უწყებათა — ცენტრალურ ხელისუფლების და ადგილობრივი მმართველობის გათეალისწინებულ და დადგენილ ზღვარს.

ნიშანდობლივია, აგრათვე ის ფაქტი, რომ მოქმედი სამართლის ძეგლების მიხედვით, დაბალი რანგის მოხელეთა ფუნქციები და ვალდებულებანი ისე მკვეთრად გამოკვეთილ მონახაზს არ იძლევა, როგორც ეს საკანონმდებლო ძეგლში — „დასტურლამლშია“ წარმოდგენილი. მაგალითად, მესტუმრე საპოლიციო ამარატის მუშაკია, მას სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება ევალება ადგილზე, იგი თათართა მოსახლეობის დარბეგის მონაწილეა, ერევა თავადიშვილთა სასახლისკაცო დავით მოწესრიგების საქმეში ადგილზე და თავადიშვილთა დარაზმვის აღმსრულებელია, მაშინ როდესაც „დასტურლამალის“ მიხედვით, მას მხოლოდ სტუმრების მიღება და მათი განლაგება ეკისრა.

ასევე ყაფიჩები და იასაულები, გარდა საპოლიციო განკარგულების სისრულეში მოყვანისა, სხვადასხვა დარგს ემსახურებოდნენ; სამეურნეო, ადმინისტრაციულ, საფინანსო და სასამართლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალფეროვანი საქმიანობით იყვნენ ცნობილნი მდივნები, რომელთაც მრავალი ფუნქციის შესრულებაც ეკისრათ. მდივნებს ეევალებათ სამხედრო სიების დადგენა, საბოქაულო საქმიანობა, ზარაფხანის მოსახურეობა, თბილისის აბანოს, არაყხანის იჯარების თადარიგი, ბეითალმანი მამულის, ვაჭრობის, ტყვეთა სყიდვის, მალის აკრეფის მოწესრიგება და სხვ.

ამრიგად, გარკვეული რეგლამენტაცია, დაწესებული იერარქიული სტატუსი, დაბალი რანგის მოხელეთა შორისაც ერთგვაროვად დარღვეულია.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღიარებული, ვახტანგ VI-ის საკოდიფიკაციო საქმიანობა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ღონისძიება იყო ქართველი სამოხელეო წყობილების განსაზღვრის საქმეში. მაგრამ ჩვენს მოხელეთა ფუნქციების განცალკევება, თანამდებობათა დანაწილება ძირფესვიანად ვერ მოხერხდა, ვინაიდან ზოგჯერ, გარკვეულ შემთხვევაში, საპოლიციო ადმინისტრაციული და სამეურნეო ვალდებულებათა შერწყმა გახდა აუცილებელი. მოხელეების ფუნქციათა გაერთიანება კი იმის დადასტურებაა, რომ ცენტრალური ხელისუფლება შედარებით სუსტია და ფეოდალური ურთიერთობა გახანგძლივებულია. სახელმწიფოს ბრძოლა ცენტრალიზაციისათვის გამარჯვებას ვერ ეწევა. დიდი ცდები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ შედეგს ვერ აღწევს. საგარეო ვითარების სირთულე, ლეკიანობა, ქვეყნის შიგნით საშინაო ფეოდალური დაქსაქსულობა, ქმნიდა იმ პირობას, რომ ქართლის პოლიტიკური მეთაურის ვახტანგ VI-ის მიერ შემუშავებული სამოხელეო აპარატის ბიუროკრატიზაცია ჯერ კიდევ განუხორციელებელი რჩებოდა. მართალია, ვახტანგ VI-ის მიერ შემუშავებული „დასტურლამალი“ ქართულ მოხელეობრივი ცხოვრების ანარეკლი იყო, მაგრამ რთულ სოციალურ ვითარებათა საფუძველზე შექმნილი რეალურად არსებული მდგომარეობა სახელმწიფო სამართლის ჩამოყალიბებულ პუნქტებს ბოლომდე და ზედმიწევნით არ შეესატყვისებოდა.

М. Г. КИКОДЗЕ

К ВОПРОСУ ЧИНОВНИЧЬЕГО АППАРАТА В КАРТЛИ ПЕРИОДА ВАХТАНГА VI

Резюме

Государственный строй и чиновничий аппарат в начале XVIII века руководствовались «Дастурламалом», созданным Картлийским царем Вахтангом VI. Этот факт особенно хорошо отражается в действовавших правовых и юридических документах, которые хранятся в исторических фондах. На основании этих документов, однако, нужно отметить, что регламентация функций чиновничьего права нередко нарушалась. Чиновник центрального правления часто исполнял функции местного чиновника и грань обязанностей чиновников между центральным правлением и местной управой стиралась, что не отражалось в кодексе «Дастурламали». Это происходило в силу слабости централизованного феодального государства.

Нужно отметить, что нарушена регламентация функций и в низших чиновничьих слоях. Например, «местумре» — гостеприемщик,

ეროვნული ბიბლიოთეკა

«иасаули» — судебный исполнитель, «мдивани» — секретарь, письмоводитель и др. не были ограничены своими функциями. Кроме своих обязанностей, они несли функции других чиновников. Внешне-политическое усложненное положение — полная зависимость от Персии, нашествие дагестанских абрагов и внутрифеодальная раздробленность страны — обуславливали тот момент, что под руководством Вахтанга VI созданный государственный правовой документ «Дастурламали» полностью не соответствовал действительности.

Это было главной причиной, почему старания Вахтанга VI обюрократить чиновничий аппарат не дали результата.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მალხაზ ფუტკარაძე

„ლეკიანობა“ და აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფია

(XVII საუკუნის დასასრული — XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი)

„ლეკიანობა“ მეზობელ ქვეყნებზე დაღესტნელ ფეოდალთა მიერ მოწყობილი წვრილ-წვრილი თავდასხმების აღმნიშვნელი ცნებაა[1]. ლეკების თავდასხმები ქართულ პროვინციებზე, კერძოდ კახეთზე, ჯერ კიდევ XVI ს-ში დაიწყო, მაგრამ ამ ადრეულ ეტაპზე ქართველები წარმატებით აკავებდნენ მთიელთა მოწოლას.

XVII ს-ის დასაწყისში შაჰ-აბასმა კახეთის აღმოსავლეთი ნაწილი ჩამოაცილა და ყოფილი წუქეთის სამოურავოს (კაკი) ტერიტორიაზე ე. წ. ელისუს სასულთნო შექმნა*. ამით მან მყარი საფუძველი მოუმზადა დაღესტნელთა ექსპანსიას. მისი გამანადგურებელი ლაშქრობების შემდეგ, როდესაც კახეთის სამეფო მოსახლეობისაგან თითქმის დაიცალა, ლეკების შემოტევა თანდათანობით გაძლიერდა და მალე, ჯერ კახეთისათვის, ხოლო XVIII ს-დან ქართლისა და მთელი ამიერკავკასიისათვისაც საშინელ უბედურებად გადაიქცა. „ლეკიანობა“ ქართულ-კახეთის სამეფოსათვის ბოლომდე გადაუჭრელ პრობლემად დარჩა.

XVII ს-ის 70-იანი წლების ბოლოდან „ლეკიანობამ“ დასაყრდენი კაკის დასავლეთით — ელისენის მხარეშიც გაიჩინა, თუმცა აქ ლეკები თვით ქართველებმა, კერძოდ კახეთის მეფე ლევანმა ჩამოასახლა XVI ს-ის შუა ხანებში. „ამანვე ლევან მოიყვანნა ლეკნი და დასხნა ფიფინეთს ზიდეგად ყინულისად ზაფხულისათვის კავკასიიდან“[2]. ასეთი ურთიერთობა ლეკებსა და კახეთის მეფეებს შორის, მეტ-ნაკლები ცვალებადობით 1677 წლამდე გრძელდებოდა. აქედან მოყოლებული 1703 წლამდე კახეთის ყიზილბაში ხანები მართავდნენ. შაჰის ეს მოხელეები ლეკებში თავის მოკავშირეს ხედავდნენ და ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ მათ გაძლიერებას კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში — ჭარში[3]. ვახუშტი მოგვითხრობს, რომ ბეჟან-ხანმა „მისცა ნება და ძალი ლეკთა და უწყეს კახეთს კირთება და ტყვევნა, არა თუ ლაშქრით, არამედ ავაზაკობითი“[4]. ამავე პოლიტიკას ერთგულები იყვნენ კახეთის სხვა მომდევნო სპარსი ხანებიც. მათი წყალობით ლეკების მიერ დაკავებული ქართული ტერიტორია, რომელიც დასაწყისში კავკასიონის მთისწინეთს მოიცავდა, თანდათან გაფართოვდა. „მე-18 საუკუნის I მეოთხედში აღმოსავლეთ კახეთში საბოლოოდ ყალიბდება ავარელ (ჭარის, ბელაქნის, კატეხის, თალას, მუხახისა და ჯინიხის) და წახურელ (ელისუს, ყარადულაკის, სუთგილისა და წახურის) ლეკთა უბატონო თემები, რო-

---

1 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, გვ. 164 (სტ. „ლეკიანობა“).

* იხ. ჯ. გ ე ვ ა ს ა ლ ი ა, თ. თ ო დ რ ი ა, გვიანფეოდალური ხანის კახეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები, — „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, IV, თბ., 1971.

2 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 575.

3 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 194.

4 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 605.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთაც კახეთის სამეფოს საკმაოდ დიდი ნაწილი თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს და დაიმორჩილეს"[5].

ვცადოთ და შეძლებისდაგვარად აღვადგინოთ ჭარ-ბელაქნის ლეკთა უბატონო თემების ტერიტორიული ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ძირითადად XVIII-ის დასასრულს და XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში მიმდინარეობდა. აქ არ გვექნება საუბარი ელისუს სასულთნოზე, რომელსაც საკვლევ პერიოდში რაიმე მნიშვნელოვანი ტერიტორიული ცვლილება არ განუცდია.

XVIII-ის დასასრულს ქართლის ტახტს ერთმანეთს ეცილებოდნენ გიორგი XI და შაჰის მიერ ქართლის ხანად დანიშნული ერეკლე I (ნაზარ-ალი-ხანი). „ქართლი სასტიკად ირბეოდა გაუთავებელი ომებისაგან, მეცხოვნე ყიზილ-ბაშთა თვითნებობისაგან და ტყვისმსყიდველი თავადებისაგან"[6]. ამ ბრძოლაში საბოლოოდ ნაზარ-ალი-ხანმა გაიმარჯვა, მაგრამ ამით ქართლში მშვიდობა არ დამყარებულა. ერეკლე სრულიად არ ფიქრობდა საპატრონო ქვეყანაზე. უფრო მეტიც, იგი ყოველმხრივ ცდილობდა ქართლის ხარჯზე თავისი სამკვიდრო მამულის — კახეთის გაძლიერებას. ერეკლეს მმართველობის დროს ტყვის ყიდვა მთელ ქართლს მოედო, გლეხობას მოსვენება აღარ ჰქონდა. ამას განსაკუთრებით იმან შეუწყო ხელი, რომ ნაზარ-ალი-ხანმა ქვეყნის ციხეებში ჩაყენებული სპარსელები „განლაღნა და მკუდრ-ჰყო...; მერმე გადვა ჯიდი ნაგებს — მტკუარსა ზედა და ეტყოდა შეჭირვებულთა ქართველთა გლეხთა „განვედით, აჰა კახეთი მშვიდობისა" და აღიცქებოდა კახეთი ესრეთ"[7]. როგორც ჩანს, ამ დროისათვის კახეთი, ქართლთან შედარებით, გარეშე მტრისაგან მოსვენებულია და მშვიდობიან ცხოვრებას ეწევა, აქ კახეთის მთელი ტერიტორია არ იგულისხმება, გამონაკლისს მისი აღმოსავლეთი — ჭარის მოსაზღვრე რაიონები წარმოადგენენ. ჭარელი ლეკები XVII ს-ის დასასრულს თავს ესხმოდნენ „ენისელს, გალმა მკარსა და იყვნენ მესადგურე ეტიკნი დაღისტნელთა და იყო ამათ მიერ ტყუეევნა, ოკრება და კლვანი კაცთა, მზირობით, ავაზაკობითა და პარვით, შემდგომად არჩილ მეფისა ვიდრე აქამომდე"[8].

პირველი დიდი ლაშქრობა ჭარელთა ამ თავდასხმების აღსაკვეთად კახელებმა 1695 წელს მოაწყვეს და თავიდან წარმატებასაც მიაღწიეს — ჭარი დაარბიეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ. ბუნებრივია, ამ დამარცხებას ლეკთა თავდასხმების გაძლიერება მოჰყვა, თუმცა ჯერჯერობით მათ თავიანთი სამფლობელოს ტერიტორიული გაფართოება ვერ მოახერხეს. ამის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ „ამ ჟამებითა აღიცსებოდა ქართლიდამ კაცით კახეთი და აღშენდებოდა მრავალი უშენი დაბნები და აგარაკები"[9].

1703 წელს შაჰმა ერეკლეს ქართლი ჩამოართვა და ისევ გიორგის დაუბრუნა. ამავე დროს გიორგი მეფეს ყანდაარის ბეგლარბეგობა უბოძეს და იქ აჯანყებულ ავღანთა დამორჩილება დაავალეს. ქართლში გიორგის მაგივრად და ჯანიშნად მისი ძმის — ლევანის შვილი ვახტანგი დარჩა. ნაზარ-ალი-ხანიც ასე ვე გაიწვიეს საქართველოდან და კახეთის მეფობასთან ერთად შაჰის ყულარ-

---

5 თ. პაპაშვილი, ჭარ-ბელაქანი, თბ., 1972, გვ. 15.

6 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 282.

7 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 475.

8 იქვე, გვ. 608.

9 იქვე, გვ. 609.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღასად დანიშნეს, კახეთი კი საგამგეოდ მის შვილს — დავითს (იმამ-ყულიხანს) ებოძა.

აქედან მოყოლებული აღმავალი გზით მიმავალი ქართლის სამეფოს ფონზე, თანდათანობით სულ უფრო და უფრო აშკარად გამოიკვეთა კახეთის სამეფოს უკუსვლის პროცესი.

ვახტანგმა, რომელსაც შაჰი უჭერდა მხარს, თავისი მმართველობა ნაზარალი-ხანის დროს „შეშლილი“ წესების აღდგენით დაიწყო[10]. მან ერეკლეს მომხრე საერთო და სასულიერო ხელისუფლები გადააყენა და მათ ძაღიერ თავისი მომხრეები დასვა; დაიმორჩილა ყიზილბაში მეციხოვნეები და აღკვეთა ტყვის სყიდვა. მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო. 1707 წელს შაჰმა ნება დართო ვახტანგს და ქართლის თავადებს უკან მოიერეკათ ნაზარალი-ხანის დროს და მისი პოლიტიკის შედეგად ქართლიდან კახეთს გახიზნული ყმები... შეიქნა „მყრელობა“. ვახტანგის მოხელეები და ქართლის ფეოდალები მეძებრებივით მოედევნენ კახეთს და თავიანთ გლეხებს ჰყრიდნენ“[11]. ქვემოთ დავინახავთ თუ რა უარყოფითი გავლენა მოახდინა ამ ღონისძიებამ კახეთის სამეფოზე.

როგორც უკვე ითქვა, 1695 წელს კახელების ჯარში დამარცხებას ლეკთა თავდასხმების გაძლიერება მოჰყვა. ამიტომ „განუზრახეს იმამ-ყულიხანს კახთა, რათა შემუსროს ჯარი და დააცხროს ჭირი ესე კახეთისა, მერმე დაიპყრას საზღვარი კახეთისა“[12]. მართლაც, 1706 წელს დავითმა ძმელი კახეთის ლაშქარი შეჰყარა და ჯარზე გაილაშქრა. „განვიდა და დადგა ვარდიანს... რათა მუნიდამ ბრძოლა მარადის“[13]. კახელებმა ჯარელთა თხოვნას — შეეწყალებინათ — ყური არ უგდეს, „შეუხდნენ ჩარდახს, მოსწყვიდნეს იგინი და გარემონი დაბნები მოწუეს ცეცხლითა და მოსტყუეენეს ვიდრე კავკასამდე და ვერვინ წინააღუდგაო“[14]. მაგრამ ეს კარგად დაწყებული ლაშქრობაც, ისევე როგორც 1695 წლისა ქართველთა სასტიკი დამარცხებით დამთავრდა.

ვახუშტის მონათხრობს „ჯარის ომების ქრონიკა“ ავსებს. „Имам-кули-хан, правитель (вали) Кахетии, прибыл с большим войском из Чардаха и напал на мусульман Джара, Талы и других, но с божьей помощью был обращен в бегство, оставив добычи громадное количество“.[15]

ამგვარად, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩარდახის დარბევის შემდეგ დავითს საკუთრივ ავარული სოფლები დაულაშქრავს და დამარცხებულა.

ზემოთ წარმოდგენილი ამონაწერები საშუალებას გვაძლევს თითქმის ზუსტად დავადგინოთ ლეკური თემების სამფლობელოს საზღვრები 1706 წლამდე. ცნობილია, რომ ვახუშტის „ვარდიანი“ არის დღევანდელი „გულლუგი“. „1706 წელს აქ ისევე ქართველობა იყო, ხოლო ამ წელს მუნ დამარცხდა კახეთის მეფე დავითი (იმანყულიხანი) და მას აქეთ ქართველობაც ამოვარდა და მათი ადგილი დაიკავეს მუღალებმა და თვით სოფელსაც შეუცვალეს სახელი და დაარქვეს გულლუგი“[16]. აქედან ნათელია, რომ ლეკური თემების სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი ვარდიანსა და ჩარდახს შორის მომდინარე მუხახის წყალ-

10 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 283.

11 იქვე, გვ. 283—84.

12 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 611.

13 იქვე.

14 იქვე.

15 Хроника войн Джара в XVIII столетии, Баку, 1931, გვ. 9.

16 მ. ჯანაშვილი, საინგილო, თბ., 1910, გვ. 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ ხევის მარჯვენა მხარესაა განლაგებული ლეკური სოფელი მუხახი და მისი საქეშქელო მუღალური სოფელი ჩარდახი.

სამხრეთ-დასავლეთის საზღვარი, ჩვენი აზრით, მიუყვებოდა ე. წ. კავკასიის კედელს, რომელიც XVII—XVIII საუკუნეებში ელისენის ქართულ სოფლებს აკარული თემებისაგან გამოყოფდა. XXს-ის დასაწყისში ეს კედელი საინგილოს ტერიტორიაზე ფრაგმენტულად ჯერ კიდევ იდგა მაწეხიდან კახამდე. ლეკებისათვის ის იყო მშვენიერი საფარი ახლად დაპერილი სოფლების დასაცავად ქართველთა თავდასხმისაგან[17].

ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი ამ პერიოდში (1706 წლამდე) კატეხის წყალი უნდა ყოფილიყო, რადგან, ჩვენი აზრით, ბელაქნისა და კატეხის ლეკური თემები ცოტა უფრო გვიან — XVIII ს-ის 10-იან წლებში წარმოიშვნენ; მაშინ, როცა ლეკებმა ელისენი დაიპყრეს. ამავე დროს უნდა იყოს გაჩენილი ჯინიხის თემიც.

როდესაც ჭარ-ბელაქნის უბატონო თემები საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ, მათი საძოვრებელ ექვსი აკარული თემისაგან შედგებოდა (ჭარი, თალა, მუხახი, ბელაქანი, კატეხი და ჯინიხი). ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ექვსივე თემი დაღესტანში წარმოიშვა და შემდეგ დამკვიდრდა კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში.„...не только вольные общества но и некоторые входившие в их состав роды (тохумы) сложились не на дагестанской почве, а уже в Кахетии“.[18] აქვე მაგალითად მოყვანილია ბელაქნის თემი, სადაც ლეკებმა ადგილობრივი ქართული მოსახლეობა იძძეს და თავიანთი თოხუმების შემადგენლობაში მიიღეს. არა მარტო ბელაქანი, არამედ ჭარის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ლეკური სოფლების უმრავლესობა გვიანი (1706 წლის შემდეგ) დაარსებულია თვითონ ჭარელების მიერ. „В селениях на запад от Джар, Мацех, Катех, Белокан основанных джарскими вылазцами, сохранились те же названия тохумов, которые существуют и в Джарах. Талы же и вообще все восточные селения, ничего общего с Джарцами не имеют. Верхнею границею между джарскими и тальскими селениями служит талская речка“.[19]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ჭარ-ბელაქნის ყველა აკარული თემი ჭარისა და თალას თემების განაყოფებისაგან წარმოიშვა.

ჩვენი ვარაუდით, XVII ს-ის დასასრულს და XVIII ს-ის დასაწყისში (1706 წლისათვის) ტერიტორიაზე, რომელიც შემოისაზღვრებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კავკასიონის მთავარი ქედით, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მუხახის წყლით, ჩრდილო-დასავლეთიდან კატეხის წყლით და სამხრეთ-დასავლეთიდან ელისენის ქართული სოფლების მიწებით (კავკასიის კედლით), ცხოვრობდა სამი აკარული თემი: ჭარის, თალისა და მუხახის (იხ. სქემა № 1). მათი თავდასხმების ძირითადი მიზანი ამ პერიოდში ძარცვა და ტყვეების მოპოვება იყო, კახეთის უდიდეს ნაწილს კი „ლეკიანობა“ ჯერ არ განეცადა.

---

17 ზ. ედელი, საინგილო, თბ., 1947, გვ. 169—74.

18 Петрушевский И., Джаро-Белаканские вольные общества в первой трети XIX столетия, Тифл., 1934, გვ. 17

19 მ. დუმბაძე, საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქნის შესახებ, საისტორიო მოამბე, № 4, თბ., 1950, გვ. 490.

ეროვნული ბიბლიოთეკა


სქემა № 1
„ლეკიანობის“ პირველი ეტაპი
პირობითი ნიშნები
— — — —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყება მეორე. შეიცვალა ლეკების თავდასხმების ხასიათი*. მათი მტაცებლური ექსპედიციები ტერიტორიის დასაპყრობად მიწყობილ ლაშქრობებში გადაიზარდა, რაც მუდმივი საშეშოსაცალო ბაზის შექმნისათვის იყო გამიზნული.

კახეთის სამეფოს ძალა აღარ შეეწევდა წინ აღდგომოდა ლეკთა ამ თავდასხმებს. გავიხსენოთ, რომ 1707 წლიდან ქართლის ჯანიშინა ვახტანგმა, ერეკლეს მმართველობის დროს ქართლიდან კახეთში გახიზნული გლეხების აყრა და მათი უკან დაბრუნება დაიწყო. კახეთს ლეკთა წინააღმდეგ ნებრძოლი მოსახლეობის საკმაო ნაწილი მოაკლდა. სწორედ ამ პერიოდში მოხდა ლეკთა მიერ ელისენის საქართული მიწების დაპყრობა „დაიპყრეს ელისენი და იწყეს ლაშქრობა და მოაოჯრნეს მრავალნი დაბნები, ესრეთ რამეთუ დაუტოვა იმამ-ყულიხან ყარაღაღი და ჰყო სასახლე თჳსი თელავს და მანავს“[20]. როგორც ჩანს, ეს ორი მოვლენა (ვახტანგის პოლიტიკა და ელისენის დაპყრობა) მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ელისენის დაპყრობით ჭარ-ბელაქანი უშუალოდ გაუმეზობლდა ელისუს სასულთნოს და მალე აქ თავისი გაელენაც დამყარა.

ვახუშტის ზემოთ მოტანილი ამონაწერიდან ისიც კარგად ჩანს, რომ XVIII ს-ის I ათეულის ბოლოს ლეკთა თავდასხმებმა გადმა მხრის გარდა ქიზიყიც მოიცვა.

ამ ამბებს მალე მეტად საინტერესო მოვლენა მოჰყვა. ვახუშტის მიხედვით, 1712 წლიდან იწყება გლეხთა გალეკება. ამ მოვლენას ღრმა სოციალური საფუძველი აქვს, რომელიც კარგადაა ახსნილი ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში და ამიტომ ამ საკითხზე აღარ შეეჩერდებით. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ პერიოდში ლეკები მათ მხარეს გადასულ გლეხებს „ძმებად“ ეძახდნენ. „გალეკებული ქართველი მოსახლეობა მოთალშენეებს შეერია და, ამრიგად, თანდათან წარმოიშვა კაკ-ენისელის ზეგნის აწინდელი „ლეკური“ სოფლები“[21]. სწორედ ამ დროს ვეარაუდობთ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ბელაქნის, კახეთისა და ჯინიხის თემების ჩამოყალიბებას ახლად დაპყრობილი ელისენის ტერიტორიაზე. ამავე დროს უნდა მომზდარიყო ჭარული თემების წახურულ თემებთან გაერთიანება[22].

მთავრდება „ლეკიანობის“ მეორე და იწყება მესამე ეტაპი. მისთვის დამახასიათებელია ლეკთა თავდასხმების კიდევ უფრო გაძლიერება და მათი გეოგრაფიის გაფართოება. ლეკები მარტო კახეთს აღარ დასჯერდნენ და ქართლსა და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სახანოებსაც შეუტევს. უკვე 1710 და 1712 წლებში ლეკებმა ორჯერ აიღეს შემახა და შირვანის სახანო დაარბიეს. „ლეკიანობა“ საერთო კავკასიური მოვლენა გახდა.

ზუსტი ქრონოლოგიური მიჯნა მეორე და მესამე ეტაპებს შორის არ არსებობს. ეს გადასვლა რამდენიმე წლის განმავლობაში თანდათანობით მიმდინარეობდა. პირობითად შეიძლება ავიღოთ 1715 წელი, როცა ჭარელმა ლეკებმა ერთხელ კიდევ დაამარცხეს ბრძოლაში კახელები. ამ დამარცხების შემდეგ კახეთის მესვეურებმა, ალბათ, კარგა ხნის მოფიქრებულის განხორციელება და-

---

* საქართველოს ბარში დაღესტნის ტომთა ლაშქრობების სახეობათა შესახებ იხ. დ. მეგრელაძე, დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, „მაცნე“, 1967, № 6.

20 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 612.

21 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 270

22 თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV—XIX სს.), თბ., 1968, გვ. 111.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოწყეს: „განიგულეს ხრიკი.... რათა მისცენ ეტიკი ლეკთა და უწყონ ჯდომა და ოკრება ქართლს, ყაზახს, შამშადილეს და ყარაბაღს და შირვანს, რამეთუ მორჩების ამით ქუეყანა ჩენი ოკრებისაგან“[23]. სწორედ 1715 წელს გამოჩნდნენ პირველად ლეკთა მოთარეშე რაზმები ქართლში. „ამ ჟამთა გამოელეს ჭარელთა კახეთი, მოვიდნენ ხუნანს, მოსწყჳდნეს დაბნები და მოსტყუეევნეს და წარვიდნენ“[24].


სქემა №2
„ლეკიანობის“ მეორე ეტაპი
პირობითი ნიშნები
კახეთის სამფლობელო
ელისუს სამფლობელო
ჭარ-ბელაქნის სამფლობელო
ცერიფორიან რიმელოს ლეკთა თავდასხმებს განიცდიდა
— ქალაქები
— ციხე-გალავნები
— ეკლესია-მონასტრები
— სხვა დასახლებული პუნქტები
ბაკურიანი
ბანისციხე
ბაბანეული
ბაბანეული
ბაბანეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახეთისათვის „ლეკიანობის“ გეოგრაფიის გაფართოებას იმდენად ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენადაც ლეკების ამ ქვეყნებზე თავდასხმების გაძლიერების შემდეგ, ეს უკანასკნელნი ჭარელებთან ბრძოლას საკუთარ საქმედ მიიჩნევდნენ და კახეთი ლეკების წინააღმდეგ მარტო აღარ იქნებოდა.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ „ლეკიანობის“ მეორე ეტაპის ბოლოს ჭარ-ბელაქნის უბატონო თემთა სამფლობელოს საზღვრავდა: სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მდ. ყაფუ-ჩაი და ელისუს სასულთონო, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კავკასიონის მთავარი ქედი, სამხრეთ-დასავლეთიდან მდ. ალაზანი. რაც შეეხება ჩრდილო-დასავლეთის საზღვარს, მან კეტეხის წყლიდან (კატეხ-ჩაი), მაჭის წყალზე (მაზრიმ-ჩაი) გადაინაცვლა (იხ. სქემა № 2). მოკლედ რომ ვთქვათ, ჭარ-ბელაქნის ლეკებმა მთლიანად დაიპყრეს ყოფილი ელისენის სამოურავოს ტერიტორია, ადგილობრივი მოსახლეობა კი გალეკდა და ჭარელებთან ერთად არბევდა კახეთის სამეფოს, ქართლსა და ამიერკავკასიის სახანოებს.

როგორც უკვე აღინიშნა, „ლეკიანობის“ მესამე ეტაპის ძირითადი დამახასიათებელი ისაა, რომ ამ დროს ეს მოვლენა საერთო-კავკასიურ პრობლემად გადაიქცა, რომლის გადაჭრას საუკუნეზე მეტი დასჭირდა.

მესამე ეტაპი 1725 წლამდე გრძელდება და ლეკების მიერ თითქმის მთელი კახეთის დაკავებით მთავრდება. ამ პერიოდში ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტი ტერიტორია ექცევა „ლეკიანობის“ სფეროში. კახეთი, ქართლი, ყაზახი, შამშადილუ, განჯა, ბარდა, შაქი, შირვანი განუწყვეტელ თავდასხმებს ვანიცდიდნენ. 1717 წელს ჭარ-ბელაქანელმა ლეკებმა წახურელებთან და დაღესტნის სხვა თემებთან ერთად შორეული არდაველიც დალაშქრეს და გამარჯვებულები დიდი ნადაელით დაბრუნდნენ ჭარში. 1720 წელს შაჰის ბრძანებით ჭარის დასამორჩილებლად შირვანის ბეგლარ-ბეგმა ჰუსეინ-ალი-ხანმა ილაშქრა. შაქის ტერიტორიაზე მოსული ყიზილბაშთა ჯარი ჭარელებმა სასტიკად დამარცხეს. თვითონ ბეგლარ-ბეგიც ბრძოლაში დაიღუპა. უშედეგო გამოდგა ქართლის მეფის ვახტანგის ლაშქრობაც.

ლეკთა თავდასხმების შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ჭარის ზურგს უკან ძლიერი დაღესტანი იდგა, საიდანაც ჭარ-ბელაქანში სისტემატურად გადმოდიოდნენ ლეკთა შეიარაღებული რაზმები. „ჭარის ომების ქრონიკა“ 1717—1721 წლების ამბების გადმოცემისას ამბობს: „Дагестанские войска находились с 1130 г. по 1133 г. в Белокане;“[25] მაგრამ მაინც, ჭარელთა წარმატების ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ გლეხთა უმრავლესობა ამ დროს ლეკებს უჭერდა მხარს. გლეხებისათვის „გალეკება“ ამ პერიოდში უბატონობის ტოლფასი იყო.

შექმნილი მდგომარეობა ყველაზე უფრო კარგად ჩანს კახეთის მეფის იმამ-ყული-ხანის (დავითი) წერილებში ჰუსეინ-ყული-ხანისადმი (ვახტანგ VI). მოვიყვანთ ერთ მათგანს. „ამ ქუეყნების ლეკისაგან ძალის წამოტანება და დღე ყოველ კმალს ქუეშ ყოფა შუდამ მოგვიხსენენია და მაშინ გავაზელთ და გალმაკრის სოფლებს, რომ ლეკთ ლაპარაკი დაუწყეს და ჯელმწიფისაგან ჯარის მოშლისა და მას უკან ჯარის მოუშველლობისა (sic) და უიმედობის კმა შემოუგდეს და ნამეტნავის ძალის წამოტანებით და ზოგი გლეხის კაცის უჭკუობით,

[25] Хроника войн Джара, გვ. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამითაც პირის მიცემა მოინდომეს. ის ამბავი ხომ მაშინვე ჭელმწიფესაც მოვახსენეთ და თქუენ და სარათის ბეგებს ყველას შეგატყობინეთ და მოგახსენეთ. ახლა ხომ იმ სოფლებმა პირი მისცეს, მათს ლაშქარში ერეკებიან და როგორც შექი და ყაბალა ლეკთ მიუდგენ და იმათს ლაშქარში ერეკვიან და როგორც იმათთან შირვანს არბეკენ, ნახეს რომ იმათ არა გარდაჯდათ რა, ამათაც ისე ქნეს: ლეკნი და ესენი ერთად მუდამ ქუეყანას არბეკენ. დღე არ გამოვა, რომ არსად მოუჯდნენ და ყოველთვი (sic) ომი არ იქნას. ხან ჩვენი ჯარიც პასუხს აძლევენ და ზოგან ჩვენს ჯარს გაემარჯვება ხოლმე, მაგრამ ამდენი ომი და ჭმალს ქვეშ ყოფა... კაცისაგან, არ გაიძლება და ამაში ამ ქუეყნის კაცი დიდ შესჯერდა. გლეხმა კაცმა სამუშაოდ ვეღარ მოიცალა და ყანა რაც მომკეს ისინი სწენენ... ყოვ<ე>ლს ყოველ კაცს ამას ემოციქულებიან, ჩვენი პირობა დაიჭირეთო და როგორც გაავზს არას უსცოდებთო, ისე თქუენ აღარას შეგცოდებთო... თქვენც მოგეხსენებათ გლეხს კაცს მოკლე ჭკვა (sic) აქვს, რაც თვალით არ ნახავს, მის მეტი არა იციან რა და მერმე ისომე (sic) მეშველე ჯარი ვერსადით ნახეს, მუდამის ბრძოლისაგან შეწუხებულნი, დიაღ, უიმედოთ გაჯდენ და ეუბეს იქით ვართ, რომ რაც გლეხი კაცი დარჩომილა, ესენიც პირს მისცემენ და რახან გლეხი კაცი ამათს პირობას დაიჭერს, ზოგი ასეთი თავადიც არის, რომ ისინიც მიჰყუებიან და ამაში საქმე უფრო გაძნელდება...“[26].

ზემომოყვანილი წერილი გამომცემლის მიერ 1721 წლის შემოდგომითაა დათარიღებული. 1723 წლის დასაწყისში იმამ-ყული-ხანის ძმა თეიმურაზი სწერს ვახტანგს: „კახეთში ლეკმა დიაღ ძალა ქნა, დიდი ჯარი ჩამოვიდა და გალმამეკარში დგას და იქიდგან რაღაც სოფლები გადერჩომია ლაშქრენ და აოკრებენ. ამას მოველით, რომ ჩვენც ყური მიგვიგდონ (იგულისხმება ირანიდან დახმარება — მ. ფ.) რომე ამის უფრო ეს ქვეყანა არ მოითხარონ.“[27].

როგორც ჩანს, XVIII ს-ის 20-ინი წლების დასაწყისში თითქმის მთელი გალმამხარი „გალეკდა“.

ქართლის მეფე ვახტანგ VI კახეთს სათანადო დახმარებას არ უწევდა[23], დასუსტებულ ირანს კი ამ დროს კახეთისათვის არ ეცალა. 1722 წელს „აჯანყებულმა აღღანელებმა (მაჰმუდის მეთაურობით) ისპაანი აიღეს და სპარსეთის ხელმწიფე შაჰ-სულთან ჰუსეინი დაატყვევეს. შაჰის ერთ-ერთი შვილი ისპაანიდან გამოიპარა და ყაზვინ-თავრიზში შეხიზნული შაჰობას იჩემებდა. ამრიგად, სპარსეთის პოლიტიკური საქმეები უიმედოდ აირია. ოსმალეთმა დრო შესაფერისად სცნო და სპარსეთის ნაქონები ქვეყნების დასაპყრობად ამოძრავდა. ამასთან დაკავშირებით რუსეთიც (პეტრე I) იძულებული შეიქნა ნაადრევად დაეწყო ლაშქრობა კასპიის ზღვის სანაპიროების დასაპერად“[29].

საბოლოოდ ყოველივე ეს ქართულ-კახეთისათვის ძალზე ცუდად დასრულდა. 1723 წლის ივნისში თბილისი ოსმალთა ჯარმა დაიკავა და ქართლში „ოსმალობა“ დაიწყო. ვახტანგ VI დახმარების იმედით რუსეთს გაემგზავრა, ხოლო ქართლის ტახტის მადევარმა კახეთის მეფე კონსტანტინემ (მაჰმად-ყული-ხა-

---

26 დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, მასალები XVIII ს. ოცაინი წლების ქართულ-კახეთის ისტორიისათვის, მასალები საქართველოს და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბ., 1960, გვ. 164—65.

27 იქვე, გვ. 172—73.

28 ი ქ ვ ე, გვ. 147; იხ. აგრ. თ. ბ ო ც ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 133—34.

29 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 273.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი) კახეთიც დაკარგა. 1724 წლის ბოლოს ლეკებმა თითქმის მთელი კახეთის სამეფო დაიკავეს (ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის გარდა) „და დაუდგინეს მოლანი მათნი დაბნებთა, ციხე-სიმაგრეთა შინა“[30]. მაჰმად-ყული-ხანი იძულებული გახდა მთელი თავისი ოჯახითა და ახლობლებით ფშავში გახიზნულიყო და „იყოფებოდა მუნ წელსა ერთსა იწროებითა დიდითა“[31]. ლეკებმა კახელ გლეხობას ერთბაშად გამაჰმადიანება დაუპირეს.

ამრიგად, „ლეკიანობა“ „ლეკობაში“ *გადაზარდვით იმუქრებოდა. ახლა უკვე კახეთის გლეხობის განწყობილება მკვეთრად შეიცვალა; იგი უბატონობისათვის იბრძოდა და სარა ძველი მებატონის ახლით შეცვლისათვის[32].

ამით მთავრდება „ლეკიანობის“ მესამე ეტაპი (იხ. სქემა № 3) და იწყება მეოთხე.


სქემა № 3
„ლეკიანობის“ მესამე ეტაპი
ბარობითი სიმბოლო
ელისუს სპილენძები
ლეკების მიერ დაპყრობილი ლეკორიის სპილენძები
ტერიტორია, რომელიც ლეკთა თავდასხმას განიცდიდა
— ქალაქები
— ციხე-გალაქები
— აკციონა-მონასტრები
— სხვა დასახლებული სუნქტები
ბაკურიანი
ბოლნისი
ბოსელი
ბაბანა
ბაბანა-ყულიხანი
ბაბანა-ყულიხანის ციხე
ბაბანა-ყულიხანის ციხე
ბაბანა-ყულიხანის ციხე

1725 წელს თელავთან ლეკთა დამარცხება საერთო აჯანყების ნიშანი გახდა. „ამის მხილველთა კახთა მოსრნეს ყოველნი თჳსთა შინა მყოფნი ლეკნი და განთავისუფლდნენ და კუალად სიმაგრეთა შინა მყოფნი დაადგრნენ მტკიცედ“[33]. აჯანყებულებმა ფშავიდან კოსტანტინე მოიყვანეს და კელავ გაამეფეს. ჭარელებმაც „იხილეს მაგრობა კახთა“[34] დაუზავდნენ მათ და ოსმალთა


სქემა №4
„ლეკიანობის“ მეოთხე ეტაპი
პირობითი ნიშნები
კახეთის საზღვრები
ერისუს საზღვარი
ჭარ-ბელაქნის საზღვრები
– მოსახლეობისაგან დაცლილ ტერიტორია
– ტერიტორია, რომელზე გავრცელდა ლეკთა თარეშები
– ქალაქები
– ციხე-გალავნები
– ეკლესია-მონასტრები
– სხვა დასახლებული პუნქტები
ბაბაფერინი
ბაბაფერინი
ზიარეთ
ნეკერეთი
ბაბანეთი
ბაბანეთი
ბაბანეთი
ბაბანეთ
ბაბანეთ
ბაბანეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ დაპყრობილი ქართლის მიწების დარბევა დაიწყეს. „გარნა არცაღა თუ კახეთი იყო მთგან მშვიდობით“[35].

როგორც ეხედავთ, გამარჯვების მიუხედავად ლეკთა თავდასხმები მაინც გრძელდებოდა, მაგრამ ახლა უკვე იმ განსხვავებით, რომ მათი მიზანი ტერიტორიების დაპყრობა აღარ იყო. ისინი კვლავ „ლეკიანობის“ პირველი ეტაპის დროინდელ მტაცებლურ ექსპედიციებს მოგვაგონებენ, ოღონდ მათგან განსხვავებით, ამ თავდასხმების სიხშირე და გეოგრაფიული არეალი შეუდარებლად გაიზარდა.

ჭარ-ბელაქნის უბატონო თემთა საზღვრები ამ მეოთხე პერიოდში მთლიანად ემთხვევა „ლეკიანობის“ მეორე ეტაპის ბოლოს ჩამოყალიბებულ საზღვრებს (იხ. სქემა № 4; შდრ. სქემა № 2). აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ჭარბელაქნის ჩრდილო-დასავლეთით, მაზიმ-ჩაისა (ძდ. მაწიმი) და გაგაზის წყალს შორის მოთავსებული ტერიტორია (ყოფილი ჭიაურის სამოურავო) მოსახლეობისაგან მთლიანად დაიცალა და სრულიად გაუდაბურდა. ამ მხარის ბოლო მაცხოვრებლებმა 1725 წლის აჯანყების დროს დატოვეს ჭიაური. „ჭარის ომების ქრონიკა“ მოგვითხრობს, რომ გაეაზის, ყვარლისა და ზილდის მოსახლეობამ გაელიტა თავის შორის მყოფი გულხადარები. „Вслед затем жители Джуюра убежали из своих селений к ним и с ними вошел в соглашение Хизих“.[36]

ჩვენი აზრით, „ლეკიანობის“ მეოთხე ეტაპისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები უცვლელი დარჩა თითქმის მთელი XVIII ს-ის განმავლობაში. 1725 წლის შემდეგ ჭარ-ბელაქნის უბატონო თემთა სამფლობელოს საზღვრები აღარ გაფართოებულა, რადგან ჯერ ოსმალეთმა და შემდეგ ირანმა, XVIII ს-ის მეორეზე ნახევრიდან კი თეიმურაზისა და ერეკლეს მიერ გაძლიერებულმა ქართულ-კახეთმა ლ ე კ ე ბ ს ამის საშუალება არ მისცა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ლეკთა თავდასხმები დროდადრო, პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით, ძალზე სახიფათო ხდებოდა და ქვეყანა მხოლოდ მთელი ძალების დაძაბვით ახერხებდა წინააღმდეგობის გაწევას.

თეიმურაზი და ერეკლე ჭარ-ბელაქანს ყოველთვის თავის სამკვიდრო მამულად უყურებდნენ და თავგამოდებით იბრძოდნენ მის უკან დასაბრუნებლად, მაგრამ მათი ეს ბრძოლა საბოლოოდ მარცხით დასრულდა.

ჭარ-ბელაქანმა, როგორც დამოუკიდებელმა პოლიტიკურმა ერთეულმა, მხოლოდ XIX ს-ის პირველი მესამედის ბოლოს შეწყვიტა არსებობა.

М. Я. ПУТКАРАДЗЕ

«ЛЕКИАНОБА» И ПОЛИТИЧЕСКАЯ ГЕОГРАФИЯ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

(конец XVII века — первая четверть XVIII века)

Резюме

Одну из реальных сил в Закавказье на протяжении всего XVIII века представляло территориально-политическое объединение аварских вольных обществ — Чар-Белакани. Оно сформировалось главным образом в конце XVII в. и в первой четверти XVIII в. на тер-

[35] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 623.

[36] Хроника войн Джара, гл. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ритории Грузии — в Элисени. Этому процессу сопутствовали многочисленные набеги лезгинских феодалов на соседние страны («лекианоба»).

В статье на основе анализа исторических источников рассматривается процесс формирования Чар-Белакани с точки зрения исторической географии; в частности, показано влияние «лекианоба» на политическую географию Восточной Грузии. Выделены четыре этапа «лекианоба». Для каждого из них определены границы владения осевших в Восточной Кахети аварских обществ, а также территории, которые подвергались частым набегам лезгин. По возможности объясняются причины изменения этих границ; так, например, показана связь между крестьянской политикой Вахтанга VI и завоеванием лезгинами Приалазанской низменной части Элисени.

К статье прилагаются четыре схематические карты, которые отображают политическую ситуацию каждого из четырех вышеназванных этапов.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბუ-ლ ყასემ აბდოლაჰ ქაშანი და. მისი ტრაქტატი ძვირფას ქვათა და კეთილსურნელოვან ნივთიერებათა შესახებ

აბუ-ლ ყასემ აბდოლაჰ ქაშანის ტრაქტატი „ძვირფას ქვათა საქორწილო საჩუქრები და ნელსურნელებათა იმეითობანი"[1] შუა საუკუნეების აღმოსავლური მინერალოგიის თვალსაჩინო ძეგლია. ეს ვრცელი თხზულება თავს უყრის იმ დროისათვის არსებულ ცოდნას მეცნიერების ამ დარგში და შესაბამისი სპარსული ლექსიკის შესწავლის საუკეთესო წყაროა.

შუა საუკუნეების არაბულ-სპარსული მინერალოგია და ძვირფასი ქვების აღმნიშვნელი ლექსიკა ორგანულად არის დაკავშირებული უძველესი აღმოსავლური მინერალოგიის ტრადიციებთან. საფუძველიანადაა დამუშავებული ასურულ-ბაბილონური მინერალოგიის საკითხები[2]. ძვ. წ. ა. II ათასწლეულის ეგვიპტურ პაპირუსებში მოხსენიებულ ძვირფას ქვათაგან დღეს მხოლოდ რამდენიმე სახელწოდების იდენტიფიკაცია ხერხდება[3]. ინდურ ლაპიდარიუმებში (დაახლოებით VI ს.), ასახულია წარმოდგენები ქვათა მაგიისა და მნათობებთან მათი კავშირის შესახებ[4]. ძვირფასი ქვების სახელწოდებებს ვხვდებით უძველეს ირანულენოვან წყაროებში: ძველ სპარსულ ენაზე შესრულებულ სოლისებრ წარწერებში (ძვ. წ. ა. VI ს.)[5]; ფალაური თხზულებაში „არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნი"[6]; VIII საუკუნის სოღდიურ წერილობით ძეგლებში[7]. ისლამამდელ შუა აზიაში მეცნიერების ამ დარგის ადგილობრივი ტრადიციების არსებობაზე მეტყველებს სოღდური წიგნის სათაური (თუბუსტა), რაც გაშიფრულია როგორც tau pusta —ე. ი. „წიგნი ძალის შესახებ" (იგულისხმება ქვების მაგიური ძალა)[8], ან nou busta — „ახალი წიგნი" ან „ცხრა (ქვის) წიგნი"[9].

---

[1] عرایس الجواهر و نفایس الاطایب تالیف ابوالقاسم عبدالله کاشانی در سال ۷۰۰ هجری بکوشش ایرج افشار ، تهران ، ۱۳۴۵ (შემდგომ იხ. ირან ავშარი).

[2] R. C. Thompson, A Dictionary of Assyrian Chemistry ang Geology, Oxford, 1936.

[3] А. Лукас, Материалы и ремесленные производства Древнего Египта, М , 1958, გვ. 583.

[4] L. Finot, Les lapidaires indiens, Bibliothèque de l'École des Hautes Études, III, Paris, 1896.

[5] Иранские языки, т. I, под редакцией В. И. Абаева, М , 1945, გვ. 130.

[6] არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნი, ფალაურიდან თარგმნა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თ. ჩხეიძემ, თბ., 1975.

[7] Согдийские документы с горы Муг. Выпуск II, чтение, переводы и комментарии В. А. Лившица, М., 1962, გვ. 160-161.

[8] Абу-р-Райхан Мухаммад ибн Ахмед ал-Бируни, Собрание сведений для познания драгоценностей (Минералогия), статьи и примечания А. М. Беленицкого и Г. Г. Леммлейна, Л., 1963, გვ. 408. (შ.მდგომ იხ. Минералогия).

[9] Согдийские документы..., გვ. 161.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც, თვით ქვები, ისე მათ შესახებ წარმოდგენები აღმოსავლეთიდან ელინისტურ სამყაროში გავრცელდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თეოფრასტეს (IV—III სს.), დიოსკორიდუსისა და პლინიუსის (I ს.) შრომები. ამ უკანასკნელის ცნობილი „ბუნების ისტორიის“ 37-ე წიგნი ძვირფას ქვებს ეძღვნება და სუფეველთა უძველესი წყაროა მათ შესასწავლად[10].

ანტიკური მინერალოგიის მიღწევები თავის მხრივ საფუძვლად დაედო IX—X სს-ის არაბული მეცნიერების აღმავლობას ამ დარგში. შესედო-არისტოტელეს, ალ-ჯაჰიზს, ალ-ქინდის, არ-რაზის, ავიცენას და სხვათა თხზულებებში წინა პლანზე წამოიწია ძვირფასი ქვების პრაქტიკული და სამკურნალო დანიშნულებით დაინტერესებამ, რამაც ხელი შეუწყო მინერალთა განსაზღვრისა და კლასიფიკაციის საფუძვლების ჩამოყალიბებას[11].

შუა საუკუნეების აღმოსავლური მინერალოგიის მწვერვალია ალ-ბირუნის ტრაქტატი „ქითაბ ალ-ჯამაჰირ ფ მა'რიფათი-ლ ჯავაჰირ“, რომელშიც თავმოყრილია ირაჩეულებრივად მდიდარი მასალა. ამასთან, ცდებზე დაყრდნობით ბირუნიმ თავის შრომაში გამოჰყო გარეგნულად მსგავსი მინერალები და ეერთ ჯგუფში მოათავსა მონათესავენი, რის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ცნობილ მინერალთა რიცხვი და შესაბამისად დაიხვეწა მათი ნომენკლატურა და კლასიფიკაცია[12]. „ალ-ჯამაჰირი“ საფუძველი და წყაროა მთელი მომდევნო არაბულ და სპარსულენოვანი ლიტერატურისა ძვირფას ქვათა შესახებ. საგულისხმოა, რომ ბირუნი ძირითადად ეყრდნობა X—XI სს-ის ავტორის ნასრ ალ-ქათიბის სპარსულ ენაზე დაწერილ შრომას, რომელიც დღემდე არ შემონახულა. საერთოდ, ბირუნი ხშირად მიმართავს სპარსულ ტერმინოლოგიას, რაც მოწმობს, რომ უკანასკნელი ძველი და ჩამოყალიბებული იყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ბირუნისთან, ისე საერთოდ აღმოსავლურ „მინერალოგიებში“ ტრადიციულად აქცენტი ძვირფასეულობაზე იყო გადატანილი და ფართოდ გავრცელებული მინერალები ჩვეულებრივ არ განიხილებოდა[13]. ცნობები ძვირფას ქვათა შესახებ ფაცული აგრეთვე ალქიმიურ ტრაქტატებში, კარაბადინებში, მეცნიერების ამა თუ იმ დარგისადმი მიძღვნილ თხზულებებში[14]. უხვად იყენებს ძვირფას ქვებს სპარსული პოეზია.

XIII—XIV სს-ის მახლობელი აღმოსავლეთის მეცნიერებისათვის დამახასიათებელია მრავალრიცხოვანი შრომების გამოჩენა სპარსულ ენაზე. გამონაკლისს არც მინერალოგია წარმოადგენდა. ამ პერიოდში სპარსულ ენაზე დაიწერა ორი ვოცელი მინერალოგიური ტრაქტატი[15]. ერთი მათგანია ნასირ ად-დინ ტუსის „თანსუხ ნამე“[16]. მასში ფართოდ იქნა გამოყენებული ბირუნის თხზუ-

[10] Кайя Плиния Секунда, Естественная история ископаемых тел, переложенная на Российский язык в азбучном порядке и примечаниями дополненная трудами В. Севергина, СПб, 1819.

[11] Минералогия, გვ 402—410. Das Steinbuch des Aristoteles. Herausg. nnd übersetzt von. J, Ruska, Heidelberg, 1912; А. М. Беленицкий, Геолого-минералогический трактат Ибн Сины, Известия отделения общественных наук АН Таджикской ССР, вып. IV, 1953, და სხვ.

[12] Минералогия, გვ 293

[13] იქვე, გვ. 328.

[14] ირაჯ ავშარი, გვ. XI.

[15] Минералогия, გვ. 415.

[16] ნასირ ად-დინ ტუსი-ცნობილ ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ასტრონომი. „თანსუხ ნამე“-ს ხელნაწერი ინახება სსრკ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში, (B 4545).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება, რასაც მოწმობს არაერთი მინიშნება და ტექსტების შეპირისპირება. ბირუნის მინერალოგიას ფართოდ იყენებს აგრეთვე ქაშანი. ამასთან მისი ტრაქტატის პირველი (მინერალოგიური) ნაწილი მთლიანად „თანსუხ ნამე“-ს მიჰყვება. ქაშანის ტრაქტატის გამოცემის წინასიტყვაობაში ირაჯ ავშარი წერდა, რომ ქაშანი იწერს ტუსისაგან[17], მაგრამ შემდგომი კვლევისას მან დაადგინა, რომ ორივე ეს ავტორი ერთმიმორისაგან დამოუკიდებლად სარგებლობდა თხუზულებით „ჯოუჰარ ნამეი ნიზამი“ ამასთან, ქაშანის შრომა უფრო სრულყოფილია[18].

როგორც ტრაქტატის სათაურიდან ჩანს, გარდა ძვიფასეულობისა, ქაშანი კეთილსურნელოვან ნივთიერებებსაც განიხილავს. სპეციალურად ამ დარგისადმი მიძღვნილი თხზულებები იშვიათია[19]. ქაშანის შრომის ორიგინალურ ნაწილს შეადგენს ჭიქურის მომზადების უნიკალური რეცეპტი. მეცნიერების ამ სხვადასხვა დარგის ერთ თხზულებაში გაერთიანება ქაშანის შრომას განსაკუთრებული ყურადღების საგნად ხდის.

ავტორის ვინაობის შესახებ არსებული ძველი ცნობები თავმოყრილია გამოცემის წინასიტყვაობასა და დამატებებში. აბუ-ლ ყასემ აბდოლლაჰ იბნ-ალი ბენ-მუჰამმად ალ-ყაშანი, (იგივე ქაშანი, ქაში), XIII—XIV სს-ის მონღოლთა კარის საკმაოდ ცნობილი მოღვაწეა, შემონახულია მისი ორი ისტორიული თხზულება: „ზუბდათ ათ-თავარიხ“ (მატიანეთა რჩეული) და „თარიხ-ი ოლჯაითუ“ (ოლჯაითუ-ხანის მმართველობის ქრონიკა)[20]. ამასთან ქაშანი თავის თავს რაშიდ ად-დინის ცნობილი „ჯამი'-ათ თავარიხ“ (მატიანეთა კრებული) ავტორად აცხადებს და რაშიდ ად-დინს სხვისი შრომის მიკუთვნებაში ადანაშაულებს[21]. ქაშანის პრეტენზია, ალბათ, იმით შეიძლება აიხსნას, რომ რაშიდ ად-დინისთვის სპარსული წყაროებიდან ამონაწერებს იგი აკეთებდა და ორივე მათგანი, შუა საუკუნეების კომპილატორების ჩვეულებისამებრ, თითქმის არ ცვლიდა ტექსტს[22]. ამ გავრცელებული წესის გამოყენებით შეიძლება აიხსნას ის ფაქტიც, რომ როგორც ტუსის, ისევე ქაშანის თხზულებები „ჯოუჰარ ნამე“-ს მიჰყვება.

---

[17] ირაჯ ავშარი, გვ. XVII.

[18] „ჯოუჰარ ნამე“ დაწერილია ჰ. 592 წ. XII ს.) იხ. ایرج افشار ، مجموعهٔ کمینه ، تهران ، ۱۳۵۴.

[19] ბირუნი თავის მინერალოგიაში მოიხსენიებს X ს-ის არაბი პოეტის ასსარი არ-რაფას წიგნს არომატულ ნივთიერებათა შესახებ, რომელსაც დღემდე არ მოუღწევია. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე Kitab kimiya al'itr wat-tas'idat von Ya'qub ben Ishak al-Kindī, übers. von K. Garbers. Abhandlung für die Kunde des Morgenlandes, XXX, Leipzig, 1948. (ალ-ქინდის ეს ტრაქტატი არომატული ნივთიერებების დამზადების ლაბორატორიული პროცესების უნიკალური აღწერა, Минералогия, გვ. 406).

[20] ირაჯ ავშარი, გვ. XIII—XIV; В. В. Бартольд, Сочинения, т. I, გვ. 94—95. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ისტორიული თხზულებები და ტრაქტატი ორ სხვადასხვა ქაშანის მიეწერება (იხ. И. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский и др., История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Л., 1958, გვ. 161, გვ. 169); И. П. Петрушевский, Рашид-ад-Дин и его исторический труд—В кн.: Рашид-ад-Дин, Сборник летописей, I, I. М.-Л., 1952, გვ. 25-26.

[21] ირაჯ ავშარი, გვ. XIII—XIV; В. В. Бартольд, т. VII, გვ. 292.

[22] В. Бартольд, т. III. გვ. 292.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილია აგრეთვე, რომ ڤاشانی საგვარეულო პროფესია ڤიქურის დამზადება — 'ڤاشا გარი' ყოფილა[23]. ტრაქტატის კერამიკული ნაწილს დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს და სამეცნიერო ლიტერატურაში ڤاشانی შრომა უფრო „კერამიკული ტრაქტატის“ სახელით შეიქნა ცნობილი[24].

„არაბეს ალ-ჯავაჰირ“ დაწერილია ჰიჯრის 700 (1300) წელს. არსებობს მისი სამი ხელნაწერი:

1. ძირითადი ნუსხაა ავტოგრაფი, დაცული აია სოფიის ბიბლიოთეკაში AS 3614; **2.** აგრეთვე აია სოფიაში დაცული ჰიჯრის 991 წლით დათარიღებული ხელნაწერი AS 3613, რომელიც ავტოგრაფისაგან საგრძნობლად განსხვავდება და 3. ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერი № 9605 Or[25].

ڤاشانی თხზულებასთან დაკავშირებული ეს საკითხები საკმაო სისრულით არის განხილული გამოცემის შესავალში, რომელიც ირაჯ ავშარს ეკუთვნის გამოცემას ახლავს დამატებები: აბას ეყბალის სტატია, პარალელური ნაწყვეტები ტუსისა და ڤاشانی ტრაქტატებიდან, AS 3613 ხელნაწერის ნაწილი, ڤاشانی გენეალოგია და მისი საგვარეულოს წარმომადგენელთა მიერ დამზადებული ڤاشانური ფილების ილუსტრაციები, დასასრულ მოცემულია ვრცელი ინდექსი.

„არაბეს“-ის ტექსტი ტრადიციული ხოტბისა და სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი შესავალსა და სამ განყოფილებას — ძვირფას ქვებს, საშუალო ქვებს და ლითონებს მოიცავს. თითოეული განყოფილება კარებად და თავებად იყოფა. შესავლის პირველი თავი ე. წ. ქვემო სამყაროს რაოდენობრიობისა და შედგენილობის აღწერაა ოთხი ელემენტის თეორიის საფუძველზე; მეორე თავში ამავე თეორიის მიხედვით ახსნილია მთების გაჩენისა და ქვათა წარმოშობის პროცესები, აგრეთვე მოცემულია ლითონების წარმოშობის ალქიმიური კონცეფცია. მესამე თავში განხილულია „ძვირფასი ქვების ფერთა მიზეზები“.

ქვები შემდეგი თანმიმდევრობით არის დალაგებული: იაგუნდი (īāḳūt) და მისი სახეობები: ზურმუხტი (zomorrod), ლალი (la'l), ფირუზი (fīrūza), გრანატი (bīdjāda), ალმასი (almās) და მარგალიტი (marwārīd); აყიყი ('aḳīḳ), მალაქიტი (dahṁadj), ლაჟვარდი (lādjwʿard), ისპი (īashb), ამეთისტო (djəmas), ბროლი (bolūr), ფრცხილი (djaz'), მარჯანი (bessad), ქარვა (kahrobā), ფაზარი (pādzahr).

აქვე განხილული ცხოველური წარმოშობის ქვები: თხის ქვა (ḥadjar attīs), გველის ქვა (mohre-i mār), ხვითო ანუ მარტორქის რქა (khotū); ცალკეული მინერალები და ნივთიერებები: ზუმფარა (sonbāda), მაგნიტი (maḳnāṭīs), მარკაზიტი და მარგანეცი (marḳashītā wa maghnīsīā); ზღაბრული ქვები — სიტყვის [ამცილებელი] ქვა (ḥadjar al-barad), ზეიმის [გამომწვევი] ქვა (sang-e bāran) და სხვ.

ლითონებისადმი მიძღვნილ განყოფილებაში, გარდა შვიდი მეტალისა“: ოქ-

23 ირაჯ ავშარი, გვ. XII.

24 კერამიკული ნაწილი გამოცემული იყო ცალკე: H. Ritter, F. Sarre, J. Ruska, R. Winderlich, Orientalische Steinbücher und persische Fayencetechnik, Istanbul, 1935. ამ ნაწილის დეტალური გარჩევა მოცემული წიგნში: Э. В. Сайко, Среднеазиатская глазурованная керамика XII—XV вв., Душанбе, 1969.

25 ირაჯ ავშარი, გვ. XVIII—XIX.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო (zar), ვერცხლი (noḳra), სპილენძი (noḥās), კალა (raṣāṣ), ტყვია (osrob), რკინა (ḥadid), თუთია (?) (khārṣīnī), განნილულია გოგირდისა (kebrīt) და ვერცხლისწყლის (zeibaḳ) თვისებები.

ტრაქტატის მეორე ნაწილის პირველ განყოფილებაში აღწერილია არომატული ნივთიერებები: მუშკი (moshk), ამბრა ('anbar), ქაფური (kāfūr), ზაფრანა (za'farān), სანდალოზი (ṣandal) და სხვ. ხოლო მეორე განყოფილება ნელსაცხებელთა და საკმეველთ მომზადების წესებს ეთმობა. მესამე ნაწილი შეიცავს მეჭურის ვამოწვის ტექნოლოგიას.

ჩვენი ინტერესის საგანს შეადგენს ტრაქტატის ძვირფასი ქვებისადმი მიძღვნილი ნაწილი. შუა საუკუნეების მინერალოგიაში თეორიული ასპექტი განუყოფელად იყო დაკავშირებული ალქიმიასთან. ეს კარგად ჩანს ქაშანის ტრაქტატის შესავალში, რომელიც მეტალთა და მინერალთა წარმოშობის ჯაბირის კონცეფციას ეყრდნობა. მაგრამ თვით ქვებისათვის განკუთვნილი ნაწილი, მაშინდელი მინერალოგიის სტანდარტული შრომების მსგავსად, აღწერითი ხასიათისაა და უფრო მეტად მინერალთა სასარგებლო თვისებებს ეხება, ვიდრე მათ შედგენილობას. მეცნიერული სიზუსტის თვალსაზრისით ქაშანის შრომა ჩამორჩება ბირუნის „ალ-ჯამაჰირს“, რაც საერთოდ დამახასიათებელია ბირუნის შემდგომდროინდელი ამ დარგის თხზულებებისათვის. მაგრამ „არაჯეს“-ის ღირსებაა ის, რომ მასში თავმოყრილია მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა. ამასთან, ქაშანი არ არის მოკლებული დამოუკიდებელი მეცნიერულიდაკვირვების უნარს. ზოგჯერ იგი აკრიტიკებს მოძველ ცნობებს ქვების ჯადოსნური თვისებების შესახებ, საკუთარი გამოცდილებას გვიზიარებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

თითოეული ქვისადმი მიძღვნილ კარში აღწერილია ამ ქვისა და მისი ნაირსახეობების სიფიზიკური თვისებები: ფერი, გამჭვირვალობა, წყალი, ხისგრე და სხვ. ხშირად მოყვანილია ამ ქვათა სახელწოდებები სხვა ენაზე, ახსნილია ზოგიერთი ტერმინის წარმოშობა. ყოველთვის ჩამოთვლილია მოპოვების ადგილები, მოცემულია დამუშავებისა და გადამუშავებების ხერხები და ქვების ფასები. ცალკე თავები ეთმობა ქვების სამკურნალო და ჯადოსნურ თვისებების აღწერას და ე. წ. „მოთხრობებს“ ძვირფას ქვათა შესახებ.

ტექსტიდან ჩანს, რომ ქაშანი კარგად იცნობს ძვირფას ქვებს, დაწერილებით ინფორმაცია აქვს მათი ფასების შესახებ. განსაკუთრებით ვრცელი და ამომწურავია თავები იაგუნდის, ლალის, ზურმუხტის, ალმასისა და ბრგალიტის შესახებ. მრავალფეროვანი საინტერესო ცნობებისა და სადა ენის წყალობით ქაშანის ტრაქტატი შეუნელებელი ინტერესით იკითხება. „არაჯეს“-ი მდიდარ მასალას შეიცავს აგრეთვე გეოგრაფია-გეოლოგიის, ვაჭრობისა და ფასწარმოქნის, ძვირფას ქვათა სიმბოლიკისა და ლითოთერაპიის თვალსაზრისით. მასში მოხსენებულია ნივთიერებათა, მინერალთა, მცენარეთა და ცხოველთა 950-მდე სახელწოდება, აქედან 250-მდე ძვირფასი ქვებისა და მათი ნაირსახეობების აღმნიშვნელი ტერმინი.

ქაშანის ტრაქტატიდან ამოწერილი ძვირფასი ქვების აღმნიშვნელი და მათი დამუშავებასთან დაკავშირებული ტერმინების შესწავლის საფუძველზე გამოიყოფა შემდეგი ლექსიკური ჯგუფები: 1. ძვირფას ქვათა აღმნიშვნელი ზოგადი სახელები; 2. ქვებისა და მათი ნაირსახეობების სახელები; 3. ფერთა სახელები 4. გამჭვირვალობა-წყლიანობისა და ელვარების აღმნიშვნელი ტერმინები; 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმაგრის, ფორმის, შედგენილობის და სხვა თვისებების სპეციალური ლექსიკა; 6. დამშვავების ინსტრუმენტები, ქვათა გაუმჯობესებისა და იმიტაციის ტერმინები; 7. სამკაულები და ქვათა ეამოყენებასთან დაკავშირებული ლექსიკა.

ცნობილია, რომ ხელოსნური წარმოების ტექნიკა აღმოსავლეთში განსაკუთრებული კონსერვატულობით გამოირჩეოდა და საუკუნეების მანძილზე არ შეცვლილა[26]. ისეთი ცნებები, როგორიცაა „წყალი“, ბრწყინვალება, დამშვავების სახეებისა და ხერხების აღნიშვნელი ლექსიკა განუყოფელად არის დაკავშირებული ძვირფას ქვებთან. ისევე, როგორც საკუთრივ ქვების სახელწოდებები, ეს ლექსიკაც შუა საუკუნეებიდან დღემდე თითქმის უცვლელი სახით ხმარებაშია და სპარსული ენის თანამედროვე ლექსიკურ ფონდს ეკუთვნის.

ამრიგად, ქაშანის „არადეს ალი-ჯავაჰირ“-ი მნიშვნელოვანი თხზულებაა როგორც მეცნიერების ისტორიის და თანამედროვე გეომოლოგიის, ისე ლექსიკის თვალსაზრისით. მას სპეციალური ადგილი უჭირავს სპარსულენოვან მინერალოგიურ ძეგლებს შორის[27] და გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია აღმოსავლური მინერალოგიის შესწავლის საქმეში[28].

М. Г. ЧИКОБАВА

АБУ-Л КАСЕМ АБДОЛЛАХ КАШАНИ И ЕГО ТРАКТАТ О ДРАГОЦЕННЫХ КАМНЯХ И БЛАГОВОНИЯХ

Резюме

Трактат Абу-л Касема Абдоллаха Кашани «Свадебные подарки драгоценных камней и редкости благовоний» (1300 г.) является важным персидским памятником по минералогии.

Средневековая арабо-персидская минералогия органически связана с традициями древнейшей восточной минералогии. В трактате Кашани детально описаны драгоценные и полудрагоценные камни и их разновидности, также камни животного происхождения и вымышленные минералы. Указаны месторождения, способы обработки и цены, лечебные и магические свойства камней. Во вступительной части дана алхимическая концепция происхождения минералов. Трактат содержит также сведения об ароматических веществах и уникальный рецепт изготовления глазури.

Это сочинение представляет определенный интерес как с точки зрения истории науки и современной геммологии, так и засвидетельствованной в нем предметно-отраслевой лексики.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა.

---

27 ქაშანის შემდგომდროინდელი სპარსულენოვანი თხზულებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰამდალაჰ ყაზვინისა (XIV ს.) და ბენ მანსურის (XV ს.). შრომები.

28 ამ დარგში უნდა აღინიშნოს კლემან-მიულეს, ვიდემანის, შტეინშნეიდერის, რუსკას, პატკანოვისა და სემონოვის შრომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა კაკაბაძე

ხალხური აღზრდის სისტემა დასავლეთ საქართველოში
(ისტორიოგარფიული ნარკვევი)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უდიდეს ზრუნვას იჩენს ოჯახსა და დედაზე, რომლებიც სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსახლეობის გამრავლებაში, მოზარდი თაობის ჯანმრთელობის დაცვასა და აღზრდაში, მისი ხასიათის, შრომისადმი, უმნიშვნელოვანესი ზნეობრივი, იდეური და კულტურული ფასეულობებისადმი მისი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში[1].

განსაკუთრებულია დედისა და ოჯახის როლი ჩვილი ბავშვის აღზრდაში. ეს როლი გაპირობებულია არა მარტო თვით აღზრდის, როგორც სოციალური პროცესის სირთულით, არამედ იმითაც, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვის საოჯახო აღზრდაში ჯერაც ძლერია ტრადიციის ძალა. რა თქმა უნდა, საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკისა და კულტურის განვითარებამ, ყველა საბჭოთა ერისა და ეროვნების ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური და სულისკვეთებით ინტერნაციონალური სულიერი ცხოვრების აყვავებამ კეთილისმყოფელი გარდამქმნელი გავლენა მოახდინა იმ საოჯახო ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზეც, კერძოდ მოზარდი თაობის აღზრდის სფეროში რომ მოქმედებენ, მაგრამ ჯანსაღ, დადებით, პროგრესულ ტრადიციებთან ერთად ჯერ კიდევ არსებობს მავნე (მაგიურ-რელიგიური) წეს-ჩვეულებებიც და საჭიროა ამათი ერთმანეთისაგან გარჩევა, რათა აღზრდაში გამოვიყენოთ ყოველი პოზიტიური წეს-ჩვეულება, შევიმუშაოთ ახალი წეს-ჩვეულებანი და უკუვაგდოთ ნეგატიური და მავნე წეს-ჩვეულებანი[2].

ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებისათვის, ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი დადებითი წეს-ჩვეულებების შენარჩუნების, განვითარებისა და უარყოფითი წეს-ჩვეულებების დაძლევისათვის, საჭიროა იმის დადგენა, რომელი როდის, რა პირობებში, როგორ და რატომ ჩამოყალიბდა ისტორიულად, რა როლს ასრულებდა თავის დროზე, რა როლს ასრულებს თანამედროვე ყოფაში, აქვს თუ არა ხალხის აწმყოსა და მომავლისათვის სამსახურის უნარი. ამის დადგენა კი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების მხოლოდ ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლის, კერძოდ ეთნოგრაფიული კვლევის გზით შეიძლება.

ახლა როდესაც მიმდინარეობს სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივი სრულყოფა, ცხადია, რომ გაუმჯობესებას მოითხოვს ადამიანის, განსა-

---

1 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1986, გვ. 61—62.

2 საქართველოს კპ ცკ-ის 1975 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ", თბ.,1975. გვ. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთრებით ახალგაზრდობის, კერძოდ, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის საქმეც. რა თქმა უნდა, აქ უწინარეს ყოვლისა გამოყენებული უნდა იქნას აღზრდის თანამედროვე მეცნიერულ-პედაგოგიკური თეორია და პრაქტიკული გამოცდილება, მაგრამ მცირე როლის შესრულება როდი შეუძლია ხალხურ პედაგოგიკასაც, ესე იგი ჩვილი ანუ სკოლამდელი ბავშვის აღზრდის პროგრესულ ხალხურ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებსაც. აღზრდის მეცნიერული სისტემის შექმნასაც, რაც არც ისე დიდი ხნის წინათ მოხდა, ხომ წინ უსწრებდა აღზრდის მრავალსაუკუნოვანი ხალხური სისტემა, რომელიც ახლაც დიდ როლს ასრულებს საოჯახო აღზრდის სახით, და, მაშასადამე, მისი შესწავლა, მისი რაციონალური ელემენტების გამოყენება აღზრდის თანამედროვე მეცნიერული სისტემის გვერდით ფრიად საჭირო და აქტუალურია.

სხვა ხალხებთან ერთად ქართველმა ხალხმაც ბავშვის აღზრდის მდიდარი, რთული, მრავალფეროვანი და ორიგინალური სისტემა შექმნა. თავისი არსით ეს სისტემა საერთოა მთელი ქართველი ხალხისათვის, მაგრამ ბავშვის აღზრდის წეს-ჩვეულებანი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში თავისებურებებითაც ხასიათდებოდა. ამასთან, რაკი საქართველო იმთავითვე მრავალეროვნებიანი ქვეყანა იყო და მეზობელ ქვეყნებთანაც ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა, ქართული ეროვნული ტრადიციები სხვა ეროვნებათა ადამიანებთან თანაცხოვრებისა და ურთიერთზემოქმედების პირობებში ვითარდებოდა და ინტერნაციონალურ ხასიათს იძენდა. ამიტომ საერთო-ქართული ტრადიციების შესწავლა მათს რეგიონალურ და სხვა თავისებურებათა შესწავლასაც მოითხოვს.

ჩვენ მიზნად დავისახეთ აღზრდის ქართული ხალხური სისტემის პრობლემის შესწავლა დასავლეთ საქართველოში; თუმცა შედარებისათვის საქართველოს დანარჩენი რეგიონის სხვა მკვლევართა თუ ჩვენ მიერ მოპოვებული მასალაც გვაქვს გამოყენებული, რომელთა დიდი ნაწილი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის სექტორის არქივში.

იქვეა დაცული მრავალი საინტერესო ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც სხვადასხვა ავტორთა მიერაა ჩაწერილი საქართველოს ზოგიერთ რეგიონში[3].

ჩვენს საკვლევ რეგიონში ჩვილი ბავშვის აღზრდის ხალხური სისტემა მონოგრაფიულად შეუსწავლელია. მართალია, არ მოგვეპოვება ცოტა თუ ბევრად ვრცელი გამოკვლევა ამ თემაზე, მაგრამ არსებობს რამდენიმე წერილი[4], აგრეთვე რამდენიმე მონოგრაფიული გამოკვლევა, რომლებშიც შესწავლილია ბავ-

---

3 იხ. ხელნაწერი ნაშრომები მ. ბალიაურისა, „ბავშვის დაბადება-აღზრდის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი)“, 1938; ალ. დავითიანისა — „სვანური მალსქვემოური ეთნოგრაფიული მასალები (ბავშვის დაბადება და აზრრა)“, 1941; მ. ქობულოველისა — „ხევსურის დაბადებ და აღზრდა“, 1943; გ. ზედგინიძისა — „ჯავაზეთი. ბავშვის შობა და აღზრდა“, 1946; ო. ჩიბაური, ხევსურული ხალხური დღეობების კალენდარი, 1939 და სხვ.

4 ნ. ღოღობერიძე, ხალხური აღზრდის წესები სამეგრელოში (თამაში და სათამაშოები) — კრებ. „მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბ., 1979; ო. ხუხუა, ტოპონიმების — სალხინისა — და წაჩხურეს წარმოშობის ისტორიისათვის, გეგეჭკორის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის XXVI გაერთიანებული სესიის მასალები, გეგეჭკორი, 1981.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვის აღზრდის ხალხური წესს-ჩვეულებანი საქართველოს აღმოსავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ რეგიონებში, აფხაზეთსა და აჭარაში[5].

ზოგადი ცნობები აღზრდის, კერძოდ, ბავშვის აღზრდის შესახებ უძველესი ხანის ქართულ სისტემირონ და მხატვრულ ძეგლებშიც მოიპოვებაℓ.

შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანში“ ადამიანის ჰარმონიული აღზრდის რეწესანსულ იდეასაც ვხედებით[7]. სულხან-საბა ორბელიანმა და დავით გურამიშვილმა აღზრდის მთელი თეორია და სისტემა ჩამოიყალიბეს. ეახუშტი ბაგრატიონის, დ. ბაგრატიონის, იოანე ბაგრატიონის, სოლომონ დოდაშვილის და სხვა აღორძინდელი ქართველი განმანათლებლების ნაწერებში უკვე ვხედებით მსჯელობას ბავშვის აღზრდის ზოგიერთ კონკრეტულ საკითხებზე, ბაგალითად ზნე-ჩვეულებათა და ხალხური საბავშვო სათამაშოების აღწერას[8].

---

[5] Ковалевский М., Родовой быт в настоящем. недавнем и отдаленном прошлом, I, СПб. 1905; Косвен М., Этнография и история Кавказа, М., 1961; Народы Кавказа, т. II, М., 1962; თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950; ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1952; როგორ ვიზრდებოდით ძველად, თბ., 1956; ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941; მთიულეთი, თბ., 1930; თუშეთი, თბ., 1933; ფშავი, თბ., 1934; ხევი, თბ., 1934; მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938; ხევსურეთი., თბ., 1984; ა. ყამარაული, ხევსურული ბიდან, თბ., 1939; Мачавариани К., Некоторые черты из жизни абхазцев, СМОМПК, вып. IV, Тиф., 1884; Хускивадзе О., Местечко Квирилы, там же; ვ. ბარდაველიძე, ბავშვის დამადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში; „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, ტ. IV, 1928; ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940; ი. ნიკარაძე, სვანური ტექსტები, 1902; ვ. გაბაშვილი, ქალის საკუთრება ზემო ქართლის გლეხის ოჯახში — „ეკონომია“, 1889, № 97; Жордания Г. Брачные обычаи и обряды Карталинии. — „Закавказье“, 1912, №12: ვ. მაკალათია, ბავშვის მოელა-აღზრდის წესები მთიულეთში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XIX—ა—XIX ვ, 1957; ვ. ბარდაველიძე, ქართული ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან, „მიმოხილველი“, 1949; რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939; ვ. ითონიშვილი, ცენტრალური კავკასიის მთიელების სოფლისა ოჯახი, I, ნახევისა და ოსების სოფლისა-ოჯახი, თბ., 1969; ქართველ მთიელთა სოფლისა ოჯახი ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960; ზ. შერაზადაშვილი. ხალხური თამაშობანი, თბ., 1954; ნ. ღოღობერიძე, ხალხური აღზრდის წესები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1974; ნ. მინდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, თბ., 1981; ნ. შენიაშვილი, ქართული ხალხური მოძრაკი თამაშობანი, თბ., 1958; ვ. ელაშვილი, ქართული ხალხური ფიზიკური კულტურის ტრადიციები და თანამედროვეობა, თბ., 1973; Смирнова Я. С., Воспитание ребенка у абхазцев — КСИЗ, вып. 36, М., 1962; Соловьева Л. Т., Обычаи и обряды грузин, связанные с рождением и воспитанием детей (Вторая половина XIX — начало XX в.в.), М., 1982; Обычаи и обряды первых лет жизни ребенка у грузин Хевсурети... «Советская этнография», 1982, № 4; Обряды и обычаи грузин, связанные с охраной здоровья детей, 1984; Полевые исследования института этнографии 1980—1981, обычай и обряды детского цикла у грузин (вторая половина XIX — начало XX в.), КЭС, VIII, 1984.

[6] ს. ჭანტურიშვილი, ყოფა და კულტურა V—X საუკუნეების საქართველოში, თბ., 1984, გვ. 180, 190, 208—222, 359—361.

[7] შ. რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი, თბ., 1970, გვ. 181—188, 286—288;

[8] ს.—ს. ორბელიანი, წიგნი სიბრძნე-სიცრუისა ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1957; ეახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941, გვ. 2,29—32; დავით ბაგრატიონი, კალმასობა, ტ. I, თბ., 1936, გვ. 41—42, 85, 222, 242, 244, ტ. II, თბ. 1938, გვ. 29,36, 222; დ. გურამიშვილი, დაითოვნი, 1959, გვ. 31—35; ს. დოდაშვილი, წერილები, თსზ., 1961, გვ. 266—286.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდად იზრდება ინტერესი მოზარდი თაობის აღზრდის ცალკეული საკითხებისადმი XIX საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში. ეს ნათლად ჩანს რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა და ქართველი განმანათლებლების ნაწერებიდან. მაგალითად, ვაჟა-ფშაველა აღზრდისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთკავშრის რომ ეხებოდა, წერდა: „მთელი თამაშობები, რომლებითაც დღეს ბალღები ერთობიან, წარსული კაცობრიობის სურათებია. დღეს ერთ დროს ცხოველი მოელენა სათამაშოდ გადაქცეულა, ნაწილი თამაშობათა მოგვაგონებს ომიანობას, ძარცვას, გატაცებას, ტყვედ შეპყრობას, რომელთაც წინა დროში ცხოველი ძალა ჰქონდათ, დღეს კი მხოლოდ აჩრდილს წარმოადგენს იმისას, რაც მაშინ სცოცხლობდა, რითაც ცხოვრება სულს იდგამდა“[9].

უფრო ადრე, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში, გიორგი წერეთელი ახალგაზრდა დედებსა და ჯერ კიდევ გასათხოვარ ქალებს ასე უხსნიდა საერთოდ აღზრდის და, კერძოდ, საოჯახო აღზრდის მნიშვნელობას: „ახლანდელი მეცნიერები ამბობენ: კაცი არის ქმნილებათათვის გარემოებისაო. ყოველი ახალგაზრდა დედა თავს დაჰხარის თავის პირმშო შვილს, იმისი დედური გული და შვილზედ თავგანწირული სიყვარული ხშირად უღალადებს თავის ახალ მოტკბეულ ყმაწვილს: „შვილო შენ უნდა იყო წარჩინებული შენს ტოლსა და ამხანაგებში, შენ უნდა ჩაგვირგვინო შენი ბრბოელი შენს სახელით, შენ უნდა გამოხვიდე შეუდარებელი კაცი კაცთა შორის“, — ყოველი დედა ამგვარად უქადაგებს თავის შვილებს. ყველა ეს თვისება ყმაწვილს უნდა ჩაენერგოს მშობლიდან და იმ მაგალითებით, რომლითაც ყმაწვილია გარემოცული შინა ცხოვრებაში“.[10]...

უფრო გვიან იმავე საკითხზე ილია ჭავჭავაძე წერდა: „ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივე ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილია. თუ ესე ითქმის, და არა სხვილ და სრულ ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი. არ უნდა გვიკვირდეს, რომ რასაც დიდ მდინარეში ვპოულობთ, იმას მის პატარა სათავეშიაც ვხედავთ. ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა“. მისი აზრით, „მზრდელი ყმისა მეორე შემოქმედია“, მაგრამ მთავარია მაინც გარემო, რომელშიც ბავშვი იზრდება. „იმ წრეს, სადაც ბავშვი პირველ ხანიდანვე ტრიალებს, — წერს დიდი ქართველი განმანათლებელი, — დიდი გავლენა აქვს მთელს ადამიანის მერმისზედ. ბავშვის ნორჩი სული და გული მეტად მგრძნობიერია და მალე დამჩნევი ავისა და კარგისა, და ამიტომაც წრე, საცა ბავშვი და მოზარდი სულს იბრუნებს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას აუცილებლად ზედ დასვამს ხოლმე. ამ სახით, არავითარი ეჭვი, რომ თითონ წრეს ცხოვრებისას დიდი ზემოქმედება აქვს მოზარდის თაობის მერმისზედ“[11].

იაკობ გოგებაშვილი ნაკლებად ეხებოდა ჩვილი, სკოლამდელი ასაკის ბავშვის აღზრდის ხალხურ სისტემას, მაგრამ მშრომელი, განათლებული, ზნეშეღალი, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრ-

---

9 ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, მოხვედით მშვიდობით (გაზ. „ივერია“, 1900, № 76).

10 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ახალგაზრდა დედებს და ყმაწვილ ქალებს, თხზ., ტ. I, ს. ხუნდაძის რედ., თბ., 1931, გვ. 64.

11 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, პ. ინ გ ო რ ო ყ ვ ა ნ ა რედაქ., ტ. 2, თბ., 1950, 467, 480; იქვე, ტ. 8, გვ. 316—317.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის მისი თეორია არსებითად ქართული ხალხური აღზრდის სისტემის რაციონალური ელემენტების მეცნიერული დასაბუთება იყო[12].

აკაკი წერეთელმა შესანიშნავი ლექსები და მოგონებანი უძღვნა ბავშვობას, უმღერა თავისუფალ და განთლებულ ახალშობილთ.

XIX საუკუნის დასასრულიდან და XX საუკუნის დამდეგიდან ქართულ და რუსულ პრესაში იბეჭდებოდა პუბლიცისტური წერილები, რომლებიც საოჯახო აღზრდის, კერძოდ, ბავშვის აღზრდის ცალკეულ საკითხებს კიდევ უფრო ვრცლად განიხილავენ. რუსი პედაგოგი ე. პოკროსკი, მაგალითად, ჯერ კიდევ 80—90-იანი წლების მიჯნაზე აღნიშნავდა საბავშვო აღზრდის და ამ საქმეში ეროვნულ საბავშვო სათამაშოთა მნიშვნელობას, მათს ინტერნაციონალურობას და ეროვნულობას; იმის მიუხედავად, რომ ყველა ეროვნების საყმაწვილო თამაშობებს, — წერდა იგი, — ბევრი რამ აქვს ერთმანეთთან საერთო, მაინც ყოველი ხალხის შვილებს ეს თამაშები ზრდიან ისევე თავისებურად, როგორც მათ ზრდის დედაენა, წეს-ჩვეულება, თქმულება თუ ანდაზაო[13].

ეროვნულ სათამაშოებს მოზარდი თაობის აღზრდის მნიშვნელოვან საშუალებად მიიჩნევდა ზაქარია გულისაშვილიც, რომლის აზრით, ბევრი თამაში ქართველ ბავშვებს თვით ქართული ცხოვრებიდან ჰქონდათ ალებული[14].

ბავშვის აღზრდის არაერთი საკითხია აღძრული XIX—XX საუკუნის რევოლუციამდელ ქართულ საყმაწვილო ჟურნალებში („ნობათი“, „ჯეკილი“ და სხვა) და საერთოდ იმდროინდელ ქართულ და რუსულ პრესაში (ს.ქართველოს მოამბე“, „დროება“, „მნათობი“, „ივერია, „ქვალი“, „ცნობის ფურცელი“, „კავკაზი“, „ნოვოე ობოზრენიე“ და მრავალი სხვა), რომლებშიც გაფანტულია ორაერთი საინტერესო ცნობა ხალხის ეთნოგრაფიული ყოფისა და კულტურის, კერძოდ ჩვილი ბავშვის აღზრდის შესახებ.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის მიჯნაზე ქართულ პედაგოგიკურ პუბლიცისტიკაში მკვიდრდება აზრი, რომელსაც ცნობილი პედაგოგი ალ. ნათაძე ასე აყალიბებს: „ოჯახი პირველ დასაწყის სკოლად უნდა იყოს მიჩნეული, სადაც ყოველ საღ და საფუძველიან პედაგოგიურ ზომებს სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეს დათმობილიო“[15]. მეორე მხრივ, ბავშვის აღზრდას იმ დროს განიხილავდნენ უდიდესი საზოგადოებრივი და ეროვნული მნიშვნელობის საკითხად, რომელიც მაგალითად, ილ. ფერაძის თქმით, „დიდად საყურადღებო საკითხია, ვინაიდან აღზრდის საკეკრეგზე დამოკიდებულია ბავშვების მომავალი ბედი, ხოლო მასზე პირდაპირ დამოკიდებულია ბედი მთელის საზოგადოებისა, მთელის ერისა“[16]. ცნობილმა პედაგოგმა გიორგი იოსელიანმა (წყალტუბელმა) ბავშვის ხალხური აღზრდა აღზრდის არა მარტო საწყისად, არამედ საფუძვლადაც გამოაცხადა: „თითოეულმა კარგად იცის თავისი საკუთარი ცხოვრებიდან და სიყმაწვილის გონებიდან, — წერდა იგი, — რომ ყველაფერი, რაც კი პატარაობისას ჩაბეჭდილა და ჩანერგილა ჩვენს ნერვებში და გონებაში,

---

12 დ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1955, გვ. 11, 32.

13 П о к р о в с к и й Е., Детские игры, преимущественно русские, М., 1887; Он же, Педагогические помрачение («Вестник воспитания», 1893, № 2, გვ. 195).

14 Г у л и с о в З., Об игрушках, играх и разных детских забавах встречающихся в Грузии (СМОМПК, вып. V, 1898, გვ. 231).

15 ალ. ნ ა თ ა ძ ე, ჩვენს დედებს, პედაგოგიური წერილები, „ივერია 1903, № 3.

16 ილ. ფ ე რ ა ძ ე, ბავშვების აღზრდა ოჯახში, „ცნობის ფურცელი“, 1898, № 6938.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ ჰქრება, სიკვდილამდის თან დაგვდევს და ხშირად გავლენაც აქვს ჩვენს მოქმედებაზე, მისი უმთავრესი მიზეზი, ერთი მხრივ, ის არის, რომ ყმაწვილის ჩვილი გული და სული წმინდა ნიადაგს წარმოადგენენ, რომელზედაც ყველაფერი ნახული, თუ გაგონილი ისე ღრმად იბეჭდება, რომ სრულებით ამოშლა და გაქრობა შეუძლებელია; მეორე მხრივ, რადგანაც დედამისთანა საყვარელი სხვა არავინ არის ბავშვისათვის, ამიტომ ყველაფერს მათგან ნთქავსმა და ნაჩვენებს დიდი სიხარულით ითვისებს და იმარხავს იგი გულში. ამას გარდა პატარები, რადგანაც მათი ჭკუა-გონება ძლიერ სუსტია და ავსა და კარგს ვერ არჩევს, მხოლოდ მიბაძვით სცხოვრობენ და რასაც ოჯახში დაინახავენ, იმას ითვისებენ და ცდილობენ თვითონაც გაიმეორონ ანუ განაახლონ. ამ მიზეზისა გამო განთლებული მშობლები ყოველთვის სიფრთხილით იქცევიან და მუდან სცდილობენ ყველაფერი კარგი დაანახონ ყმაწვილს და ცუდ მაგალითებს ააშორონ, რადგანაც კარგად ესმით, უკეთუ ყმაწვილმა ოჯახში ცუდი მიდრეკილება და ჩვეულება შეიძინა, მერე მისი გასწორება მეტისმეტად ძნელია. ამგვარად შინაური აღზრდას პირველი ადგილი უჭირავს ბავშვის ცხოვრებაში, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს და მშობლების მაგალითობა ამ საქმეში სხვას არ შეუძლია. ერთი სიტყვით, ჩვენ გაბედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი თაობის ბედ-იღბალი უპირველეს ყოვლისა შინაურ აღზრდაზეა დამოკიდებული და უამისოდ ვერც ერთი სკოლა, რაც უნდა კარგად იყოს მოწყობილი, ვერას გახდება. ჩვენი ერის სიბრძნეს დიდად კარგად გამოუხატავს თავისი შეხედულება და აზრი ამ საგნის შესახებ. დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო"[17].

რეფორტუციამდელ ხანაში, დაწყებული განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ქვეყნდებოდა ისეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაშრომები, რომელთა ავტორებიც, მაგალითად, ი. ცისკარიშვილი, რ. ერისთავი, ნ. ბერძენიშვილი, ნ. ხუდადოვი, ნ. ხიზანაშვილი, გ. მაიაშვილი, ნ. ჩურსინი, გ. ახვლედიანი, ისაკოვა, მ. ქანანოვი და სხვები, ეხებოდნენ საოჯახო აღზრდის ცალკეულ უფრო კონკრეტულ საკითხებსაც, მაგრამ, ჯერ ერთი, მათ წერილებს დღეს უფრო პირველწყაროების მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ისტორიოგრაფიული ნაშრომებისა, და, მეორეც, ამ წერილებშიც თითქმის მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მასალაა და იშვიათად დასავლეთ საქართველოსი[18].

საბავშვო ეთნოგრაფია მეცნიერებად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყალიბდება. მისი შემდგომი განვითარება ხალხთა ტრადიციულ-ყოფითი კულტურის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა[19]. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ხალხთა საბავშვო ეთნოგრაფიის და მისი ერთ-ერთი ნაწილის — აღზრდის ხალხური სიტემის შესწავლა სულ უფრო და უფრო მზარდ მეცნიერულ-თეორიულ და პრაქტიკულ ინტერესს იწვევს. საბჭოთა ეთნოგრაფთაგან ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები ამ 50—60 წლის წინათ გადადგეს ი. ზარუბინმა, ვ. ბარდა-

---

17 წ ყ ა ლ ტ უ ბ ო ე ლ ი, შინაური აღზრდა ჩვენში. „ცნობის ფურცელი", 1901, № 1663.

18 იხ. მაგალითად, რ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს, ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს, გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი ს ნაშრომები; К о н а н о в М., Народное акушерство на кавказе, Тифлис, 1890.

19 Б р о м л е й Ю. В., Современные проблемы этнографии, М., 1981, გვ. 125, 185.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველიძემ, ა. ტროიცკაიამ, ე. პჩელინამ, ზ. ნიკოლსკაიამ და ს. აბრამზონმა[20]. უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზე ეს პრობლემა წინ წასწიეს ოსური ეთნოგრაფიმ მკვლევრებმა: ე. ტერ-სარკისიანცმა — სომხური, ი. სმირნოვამ — ჩრდილოკავკასიური, ნ. ლობაჩევამ — უზბეკური, აეტორთა კოლექტივმა — შეუაზიური და ყაზახური, ს. გაჯიევმა — ნოღაელთა, ჯ. გასიევამ — ბურიატული, მ. უსტინოვამ — ლატვიური, ე. ბიგვავამ — აფხაზური, ი. გემდევმა — სელკუპური, ს. გაჯიევამ — დაღესტნური, უ. სურხასკომ — კარელიური მასალის ანალიზით[21]. იმავე დროს ჩვილი (სკოლამდელი) ბავშვის აღზრდას მონოგრაფიები და სტატიები მიუძღვნეს ე. მაკავაიანმა, ლ. სოლოვიოვამ და ნ. კაპანაძემ — ქართული, ი. სმირნოვამ — აფხაზური და ჩრდილოკავკასიური, ტ. ბესაევამ და ლ. გოსტიევამ — ოსური მასალის ანალიზის საფუძველზე[22].

ცალკე უნდა აღინიშნოს კავკასიის ხალხთა ყოფის შესახებ 1962 წელს გამოცემული ორტომიანი კოლექტიური ნაშრომი[23] და 1983 წელს გამოცემული ორი კოლექტიური ნაშრომი ბავშვობის ეთნოგრაფიის თემაზე, რომლებშიც პირველად საბჭოთა ლიტერატურაში გამოკვლეულია აღმოსავლეთი, სამხრეთ აღმოსავლეთი, სამხრეთი აზიისა და წინაზღის ზოგიერთი ხალხის ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის ტრადიციული ფორმები[24]. სულ ბოლო დროს გამოქვეყნებული ნაშრომებიდან ჩვილი ბავშვის აღზრდის ზოგადთეორიული საკითხების

---

[20] Зарубин И. И., Рождение шуч манского ребенка и его первые шаги, Ташкент, 1927; Бардавелидзе В. В., დასახ. ნაშრომი, Тб., 1929; Троицкая А. Л., Рождение и первые годы жизни ребенка у таджиков долины Зеравшана. — СЭ, 1935, № 6; Пчелина Е. Г., Родильные обряды у осетин. — СЭ, 1937, № 4; Никольская З. А., Свадебные и родильные обряды аварцев Кахибского района, — СЭ, 1946, № 2; Абрамзон С. И., Рождение и детство киргизского ребенка, — СМАЭ, вып. XII, Л., 1949.

[21] Тер-Саркисянц А. Э., Современная семья у армян, М., 1972; Смирнова Я. С., Традиция и иновация в развитии семейной обрядности, М., 1979; Лобачева Н. П. ,Формирование новой обрядности узбеков, М., 1975, Сб. Семья и семейные обряды у народов Средней Азии и Казахстана, М., 1978; Гаджиева С. Ш., Очерки истории семьи и брака у ногайцев, М., 1979; Устинова М. Я., Семейные обряды латышского городского населения в XX веке, М., 1980 Гасаева К. Д., Семья и брак у бурят, Новосибирск, 1980; Бигвава В. Л., Современная сельская семья у абхазов, Тб., 1983; Гемуев И. Н., Семья у селькупов, Новосибирск, 1984; Гаджиева С. Ш. Семья и брак у народов Дагестана в XIX начале XX в. М., 1985; Сурхаско Ю. Ю,. Семейные обряды и верование карел (конец XIX — начало XX в.), Л., 1985.

[22] ე. მაკავაიანი. დასახ. ნაშრომი; Соловьева Л. Т., Обычаи и обряды первых лет жизни ребенка у грузин в конце XIX — начало XX века, — СЭ, 1982, № 4; ნ. კაპანაძე, აღზრდის ხალხური წესები ზემო იმერეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით წიგნში საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1982., Смирнова Я. С., Воспитание ребенка у абхазов, — КСИЗ, вып. 36, М., 1962; Гостиева Л. К., Традиции воспитания детей в осетинской крестьянской семье. М., 1981; მისივე, семья и семейный быт народов Северного Кавказа, М., 1983; Соловьева Л. Т., Обычаи и обряды детского цикла у грузин (вторая половина XIX — начало XX в.). «Кавказский этнографический сборник», VIII, 1985.

[23] Народы Кавказа, 1962.

[24] Этнография детства, Традиционные формы воспитания детей и подростков Восточной и Юго-Восточной Азии, М., 1983; Этнография детства. Традиционные формы воспитания детей и подростков у народов Передней и Южной Азии, М., 1983.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვთ პ. გუგუშვილისა და გ. წულაძის სოციოლოგიურ გამოკვლევებს[25].

განხილული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე უწინარეს ყოვლისა ჩვენს ინტერესს იწვევს თვით აღზრდის ცნება და აღზრდის ხალხური სისტემის პრობლემატიკის სტრუქტურა.

ცნება აღზრდისა (воспитание, éducation) საერთოდ ორგვარი გაგებით იხმარება. ქართულად იგი ფიზიკურ გაზრდასაც (взросление) გულისხმობს და სულიერ აღზრდასაც. თავის მხრივ, სულიერი აღზრდა სამეცნიერო-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში განთანაბრებულია სოციალიზაციასთან, ესე იგი პიროვნების მომზადებასთან საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის.

ინტერესს იწვევს ბავშვობის ცნებაც, რომელიც, ქართული ტრადიციის მიხედვით, ჩვილი, სკოლამდელი ასაკის ადამიანის ცხოვრების ხანასაც გულისხმობს და მოზარდი, ყრმა, სასკოლო ასაკის ადამიანის ცხოვრების ხანასაც, ჩვენნ კვლევის საგანი ჩვილი, სკოლამდელი ბავშვის ხალხური აღზრდის სისტემაა, ხალხური პედაგოგიკა. ამ კუთხით ბავშვობა ეთნოგრაფიული კვლევის ერთ-ერთი უძველესი ტრადიციული მბიექტია, რადგან უამისოდაც შეუძლებელია ხალხის, ეთნოსის ცხოვრების, კერძოდ სოფლის ცხოვრების წესის მთლიანი დახასიათება, თუმცა ბავშვობის შესწავლა მრავალი სხვა კუთხითაც შეიძლება და ხდება კიდევაც.

ბავშვობის აღწერის უძველეს წერილობით წყაროებშიც ვხვდებით, მაგრამ მხოლოდ XIX საუკუნეში ხდება იგი ეთნოგრაფთა, ისტორიკოსთა და ფოლკლორისტთა სპეციალური კვლევის საგანი. XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე კი მის შესახებ იქმნება არა მარტო აღწერილობითი, არამედ შედარებით განმაზოგადებელი ნაშრომებიც. ცნობილია, რომ ჰ. სპენსერმა თავის „სოციოლოგიის პრინციპებში“ (1876 წ.) ცალკე თავი დაუთმო ბავშვობას, თავიანთ ნაწერებში დიდი ყურადღება მიაქციეს მას ე. ტეილორმა, შ. ლეტურნომ, ე. ვესტერმარკმა, ხოლო გ. ჰლოსმა სხვადასხვა ხალხთა ბავშვთა აღზრდის შედარებით შესწავლას ორტომიანი შრომა მიუძღვნა.

რევოლუციამდელი რუსული და ქართული ეთნოგრაფიული ლიტერატურა საკმაოდ ფართოდ აშუქებდა აღზრდის თემას, მაგრამ დამოუკიდებელ დარგად სახალხო პედაგოგიკა მხოლოდ რევოლუციის შემდგომი 20-იანი წლებიდან იქცა. იმავე დროს ბავშვის გაზრდა და სოციალიზაცია საზღვარგარეთ ბ. მალინოფსკის, მ. მიდის, კ. დიუბუას, რ. ფერსის, მ. ფორტესის მონოგრაფიული საველე გამოკვლევების საგანი გახდა, ხოლო ომის შემდეგ ბავშვობის ეთნოგრაფიის საკითხების კვლევა კიდევ უფრო გაფართოვდა რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც. 1976 წელს კი ისეთი საინტერესო წიგნიც გამოიცა, როგორიცაა უ. ბრონფენბრენერის „ბავშვობის ორი სამყარო. ბავშვები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირში“, თუმცა საბჭოთა მეცნიერები არ იზიარებენ ავტორის იმ თვალსაზრისს, თითქოს ბავშვთა აღზრდის მთავარი სოციალური ინსტიტუტი ამერიკაში ოჯახი იყოს, ჩვენში კი — საბავშვო კოლექტივი[26].

---

25 პ. გუგუშვილი, მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა, თბ., 1985, გ. წულაძე, შობადობის სოციოლოგიის საკითხები, თბ., 1984.

26 Кон И. С., Послесловие, В кн. у Бронфенбренера «Два мира детства, Дети в США и в СССР», М., 1976, გვ. 132—161.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო დროის საბჭოურმა ეთნოგრაფიამ არა მარტო დიდი ფაქტობრივი მასალა შეაგროვა სსრ კავშირის სხვადასხვა ხალხთა, მათ შორის ქართველთა ხალხური პედაგოგიკის თეორიასა და პრაქტიკაზე, არამედ ამ მასალის განზოგადებაც სცადა[27]. გ. ვოლკოვმა კი ცოდნის ამ დარგის ალსანიშნავად ეთნოპედაგოგიკის სახელწოდებაც შემოგვთავაზა[28].

ეს ტერმინიც და „ტრადიციული აღზრდა“ ხალხური პედაგოგიკის სინონიმებია. იგი საოჯახო ცხოვრების დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილია და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ქალის მშობიარობა, ბავშვის დაბადება, ჩვილი ბავშვის მოვლა, სწავლება და თამაშობა, შრომითი და რიტუალური საქმიანობა, შრომითი აღზრდა, მშობლების დამოკიდებულება ბავშვებისადმი, წახალისება და დასჯა, შრომითი, ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდა, შრომის დანაწილება ბიჭებსა და გოგონებს შორის, ბიჭებისა და გოგონების შრომის განსხვავება, მათი სტატუსი ოჯახში, უფროსებისაგან ბავშვების დამოკიდებულების ხარისხი.

ბავშვის ტრადიციული აღზრდის თუ სოციალიზაციის ყველა ამ და კიდევ სხვა მრავალი ანალოგიური საკითხის შესწავლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ეთნოგრაფებიც, ისტორიკოსებიც, პედაგოგებიც და ფსიქოლოგებიც. ამასთან, „ბავშვობის სამყარო და ბავშვთა აღზრდის წესები ადამიანისა და საზოგადოების მეცნიერების ძველი და იმავე დროს მუდამ ახალი საგანია. თუ არ იცი, როგორ ზრდის ესა თუ ის ხალხი თავის ბავშვებს, შეუძლებელი იქნება მისი ცხოვრების წესის გაგებაც და მისი სოციალური ისტორიის გაგებაც“. მეორე მხრივ, ბავშვთა სოციალიზაციის ტრადიციულ მოდელთა შესწავლა აადვილებს თანამედროვე სოციალურ-პედაგოგიკური პროცესების გაგებას, თუმცა ამოცანა, ცხადია, ის კი არ არის „ძიების“ კვლევით ძველი საზოგადოების ისტორიასა და ხალხურ პედაგოგიკაში მისაბაძი ნიმუშები და თანამედროვე პრობლემების გადაწყვეტის რეცეპტები ვეძიოთ, არამედ ის, რომ დაძლიოთ ეთნოკულტურული და ისტორიული პროვინციალიზმი და გავაფართოოთ თანამედროვეობის გაგების საზღვრები[29].

ასეთია ხალხური აღზრდის ცნების, სტრუქტურის და მისი შესწავლის პერსპექტივის მართებული გაგება საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში. როგორც ზემოთ ითქვა, ეს გაგება უდევს საფუძვლად იმ ნაშრომებსაც, რომლებშიც შესწავლილია კავკასიის ხალხთა ხალხური აღზრდის სისტემა. მაგრამ მართებულად აღნიშნავს ლ. სოლოვიოვა, რომ ეთნოსის ტრადიციულ-ყოფითი კულტურის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი — სბავშვო ციკლის წეს-ჩვეულებანი კავკასიისმცოდნეობაში შესწავლილია უმთავრესად ჩრდილოკავკასიურ და ნაწილობრივ დაღესტნურ მასალაზე დაყრდნობით[30]. ახლა უკვე იმის თქმაც აღარ შეიძლება, თითქოს ამერკავკასიის ხალხთა მასალის საფუძველზე სბავშვო

---

27 Волков Г. Н., Этнопедагогика, Чебоксары, 1974; Комарова Г. А., О понятии «этнопедагогика» в советской этнографической и педагогической науке. — Изучение преемственности этнокультурных явлений, М., 1980; Конн И. С., Этнография детства. Историографический очерк. — В сб. Этнография детства, Традиционные формы воспитания детей и подростков у народов Восточной и Юго-Восточной Азии, М., 1983, გვ. 9—50.

28 Волков Г. Н., — დასახ. ნაშრომი.

29 Кон И. С., Введение, — დასახ. ნაშრომი, გვ. 3—8.

30 Соловьева Л. Т., Обычаи и обряды детского цикла у грузин (вторая половина XIX начало XX в.в.). — КЭС, VIII, М., 1984, გვ. 167.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთნოგრაფია შეუსწავლელი იყოს. ამ ბოლო დროს, როგორც ზემოთაც ითქვა, თვითონ ნ. სოლოვიოვამ შეისწავლა ეს თემა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მასალის შეკრებისა და ანალიზის საფუძველზე. ამასთან, მან გამოიყენა ვ. ბარდაველიძის, ს. მაკალათიას და მრავალი სხვა ავტორის ზემოთდასახელებული ნაშრომებიც. 1985 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ნ. სოლოვიოვამ აღმოსავლეთ და სამხრეთ ქართველთა (ქართველების, კახელების, თუშების, ფშაველების, ხევსურების, მოხევეების, მესხების, ჯავახელების) სიბავშვო ციკლის ხალხური წესი-ჩვეულებანი მშობიარობამდელ, მშობიარობისდროინდელ და მშობიარობის-შემდეგდროინდელ წესი-ჩვეულებებად დაყჯგუფა და თითოეული მათგანი საკმაო სისრულით დაახასიათა. დადგენილ იქნა, რომ მთიან ქართულ-კახეთში ფეხმძიმე ქალი უმალადა თავისიანებს ფეხმძიმობის, სანამ მუცელი არ შეემჩნეოდა, და მერეც ერიდებოდა მაჰაკაცებს, თუნდაც შინაურთ. ორსულობისას ქალის სამუშაო რეჟიმი თითქმის ისეთივე იყო როგორც ორსულობამდე. ნორმალური შრომა და კვება იოლი მშობიარობის აუცილებელ პირობად იყო მიჩნეული. ორსულ ქალს მძიმე შრომა ეკრძალებოდა, მაგრამ, თუ იგი ოჯახში ერთადერთი იყო, პრაქტიკულად მაინც მძიმე შრომას ეწეოდა.

ქართლის მთიანეთში ორსული ქალი უწმინდურად ითვლებოდა და არა მარტო მას, არამედ მისი ოჯახის სხვა წევრებსაც სალოცავში შესვლა ეკრძალებოდათ, სალოცავი წაიბილწებათ. მოქმედებდა სხვადასხვა აკრძალვა, რათა ბავშვი ჯანსაღი და ლამაზი დაბადებულიყო. ამავე მიზნით ორსულ ქალს ეკრძალებოდა ზოგიერთი საჭმელი ჭამა. მშობიარობა რომ იოლი ყოფილიყო, ორსულს არ უნდა ეჭამა მარილიანი და ცხარე საჭმელი, არ უნდა დაელია ალკოჰოლიანი სასმელი. ხევსურეთში მსხვერპლს წირავდნენ ბედის ღვთაებას, როცა მშობლებს მაინცდამაინც ვაჟის დაბადება სურდათ[31].

აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში XX საუკუნის დამდეგამდე იყო შემორჩენილი ჩვეულება, რომლის მიხედვით ქალს პირველი შვილი თავისი მშობლების სახლში უნდა ეშვა და ქმრის სახლში 1—2 თვის შემდეგ უნდა დაბრუნებულიყო ახალშობილთან ერთად. ქალის მშობლებს გაწყობილი აკვანი უნდა დაეხვედრებინათ შვილისათვის. ხევში პატარძალი წლისთავზე თავის მშობლებთან მიდიოდა და იქ მშობიარობდა[32]. სამცხე-ჯავახეთშიც მშობლების ოჯახში პატარძლის დაბრუნებას მისი მშობიარობის დროსაც უკავშირებდნენ ხოლმე. სვანეთში ქალი არა მარტო მშობიარობდა მშობლების სახლში, არამედ ახალშობილნიც რამდენიმე ხანს იქვე იზრდებოდნენ. ქალის „შინ დაბრუნების“ ჩვეულება გავრცელებული ყოფილა მთელ კავკასიაში და შუა აზიაში. მშობიარობის ზოგი ანალოგიური ჩვეულება შენიშნულია დასავლეთ ციმბირის ხალხებშიც[33].

ქალი ჩვეულებრივ მშობიარობდა უძველეს დროს — ბოსელში, ახალ დროში — საცხოვრებელ სახლში, ოღონდ იატაკზე, XX საუკუნის დამდეგიდან კი საწოლზე. მშობიარეს ეხმარებოდა ბებიაქალი, რომელსაც, თავის მხრივ,

---

31 ნ. ხიზანაშვილის, ე. გაბაშვილის, გ. ყორდანიას, ვ. ბარდაველიძის, ს. მაკალათიას, მ. ბალიაურის, მ. ზედგინიძის, რ. ხარაძის, ი. ნიჟარაძის, ვ. ითონიშვილის ზემოთ დასახელებული შრომები.

32 ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა სოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960.

33 Гемуев И. Н., Семья у селькупов, Новосибирск, 1984, გვ. 105.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი გამოცდილი ქალი თანაშემწეობდა. გაძნელებული და გაჭიანურებული მშობიარობის დროს იყენებდნენ მასაჟს, თბილ აბაზანებს და სხვა როგორც ხელოვნურ, ისე მაგიურ საშუალებებს, რადგან ძნელი მშობიარობის მიზეზად ხშირად მიიჩნევდნენ არა იმდენად ფიზიოლოგიურ მიზეზებს, რამდენადაც „აჯი სულებს“. ჩარეკას, ან არადა, რომელიმე ღვთაების განრისხებას მშობიარზე ან მის ოჯახზე. მშობიარესთან ჩვეულებრივ ქმარს და მით უფრო სხვა მამაკაცს არ უშვებდნენ, მაგრამ ძნელი მშობიარობის დროს ქმარს მშობიარესთან მიიყვანდნენ, იგი მას წყალს დაალევინებდა, ან არა და, მშვილდისარს ისროდა სახლის ოთხივე მხარეს. ხალხის წარმოდგენით, შიშიც ხელს უწყობდა ეიელ მშობიარობას და ამიტომ სახლის ირგვლივ თოფის ან დამბაჩის სროლას ატეხნენ ხოლმე.

მშობიარეს არ უნდა ეყვირა. ბიჭის დაბადებას მამას ახარებდნენ და იგი სამახარობლოს აჩუქებდა მახარობელს. ბიჭის დაბადებას თოფის სროლითაც ახარებდნენ მშობლებს. გოგოს დაბადება მაინცდამაინც არ უხაროდათ, ხოლო თუ ნშობლებს რამდენიმე გოგო შეეძინებოდათ ზედიზედ, ამაზე კიდეკაც წუხდნენ, ვეარის გამგრძელებელი აღარ ვეარჩებაო. ბავშვის დაბადებისთანავე ბებიაქალი ჭიპს კოჭის ძაფით შეუკრავდა და შემდეგ გადაჭრიდა, ახალშობილს პირველად ბებიაქალი აბანავებდა და დაამწვენდა. ამის შემდეგ ბებიაქალისა და მშობიარობის დამსწრე სხვა ქალების პატივსაცემად სუფრა იშლებოდა. ქალები ლოცავდნენ ერთმანეთს, განსაკუთრებით ნოყიერი კერძებით უმასპინძლებოდნენ მშობიარეს, მღეროდნენ სარტიულო სიმღერებს და ცეკვავდნენ.

აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მთის პროვინციებიდან მშობიარობის ყველაზე მკაცრი ფორმა შემორჩენილი იყო ხევსურეთში, სადაც მშობიარობა მიმდინარეობდა სახლიდან და ზოგჯერ სოფლიდან დაშორებულ ქოხში თუ ბოსელში მიწაზე გადენილ ჩალაზე მშობიარისათვის ყოველგვარი დახმარების გარეშე (გარდა საკმლის მიტანისა). ორსულ ქალს ქოხამდე მიაცილებდა დედამთილი, ნათესავი ან მეზობელი ქალი. თუ მშობიარეს მეტისმეტად გაუჭირდებოდა, სამრეველოში მყოფი ერთ-ერთი ქალი ქოხთან მივიდოდა რჩევა-დარიგებას აძლევდა მშობიარეს და, თუ მაინც არ თავდებოდა მშობიარობა, არცხვენდნენ მას, თავს რადა გვჭირო. ახალშობილისათვის ჭიპი ხევსურ ქალს თვითონვე უნდა მოეჭრა, ზალის ნაჭრით შეეხვია იგი, თბილ წყალში ებანაენებინა და ჩვრებში გაეხვია.

მშობიარობის ეს მკაცრი წესი მარტო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დამახასიათებელი როდი იყო. იგი ახასიათებდა როგორც კაკასიის, ისე მსოფლიოს მრავალი სხვა ხალხის საოჯახო ყოფას[34].

ბავშვის დაბადებიდან 40 დღის განმავლობაში მელოგინე ვერც სახლიდან გამოვიდოდა, ვერც მარანში შეავიდოდა, ვერც სადილს გააკეთებდა, ვერც სურსათს შეეხებოდა, ვერც პურს გამოაცხობდა. მელოგინის ასეთი იზოლაცია საოჯახო საქმეებისაგან მარტო იმ ცრურწმენით როდი იყო გაპირობებული, რომ იგი „უწმინდურად“ ითვლებოდა, არამედ იმითაც, რომ ქალის ჯანმრთელობას მშობიარობის შემდეგ გაფრთხილება უნდოდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ „უწ-

---

34 Чурсин Г. Ф. Очерки по этнографии Кавказа. Тб., 1913, с. 112; Фрезер Д. Золотая ветвь, вып. 2, М., 1928, с. 51; Тедорадзе Г. Пять лет в Пшави и Хевсурети. Тб., 1941; Волкова Н. Г., Джавахишвили Г. Н. Бытовая культура Грузии XIX—XX в. М., 1982, с. 107—108; Соловьева Л. Т. Назв. труд. — КЭС, с. 171—172, 175—176.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდურობასაც" მას ამ მიზნით უფრო აბრალებდნენ, ვიდრე იმის გამო, რომ მას შეეძლო ზიანი მიეყენებინა სხვათა მატერიალური მდგომარეობის ან ჯანმრთელობისათვის. მელოგინეობა ლოგინის ალაგებით თავდებოდა. ლეიბის ქვეშ გაფენილ თივას გამოიტანდნენ, დაწეკედნენ, და ცეცხლის აღზე მელოგინეს რამდენჯერმე გადაახტუნებდნენ. მელოგინისათვის განსაკუთრებით ძნიშვნელოვანი იყო ქოხში ყოფნის სამი დღე. მერე ქალი სამოგზაურში გადადიოდა, მაგრამ სხვებს მაინც ვერ მიეკარებოდა. ორი კვირის შემდეგ სახლის განთავსება ხდებოდა. სახლის სახურავზე მსხვერპლად წირაადდნენ ცხვარს. მერე მელოგინე იბანდა, სუფთად იცვამდა, ახალშობილსაც ბანდა, სუფთა ტანსაცმელს აცმევდა, სხვებიც სუფთად ჩაიცვამდნენ, ხელში ქადას და სანთელს დაიჭერდნენ, ხელს მსხვერპლად შეწირული ცხვრის სისხლით დაიბანდნენ, მელოგინეს შუბლზე ჯვარს გამოუსახავდნენ, ბებიაქალს კი, ძროხით, ცხვრით ან მთი ლირეულების სპილენძის ნივთით აჯილდოებდნენ. ყოველივე ამის შემდეგ ბებიაქალიც, მელოგინეც და მისი სახლიც (ოჯახიც) განწმენდილად ითვლებოდა და ყველა აკრძალვა უქმდებოდა. სახლის განთავსამდე მელოგინეს უფლება ჰქონდა მხოლოდ ხელსაქმისა, შემდეგ კი მინდორშიც მუშაობდა, ოღონდ მაშაკაცისაგან მაშორებდნი. მშობიარობიდან მხოლოდ 9 თვის გასვლის შემდეგ მიაჩნდათ ქალი მთლიანად „განწმენდილად" და აქედან მოყოლებული იგი კვლავ უბრუნდებოდა ჩვეულებრივ ცხოვრებას. ასე იყო ხევსურეთში XX საუკუნემდე, თუშეთში, ხევში XIX—XIX საუკუნეთა მიჯნაზე გაქრა მელოგინე ქალის იზოლაციის სიმკაცრე, შემცირდა მისი ეადები მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში, განსაკუთრებით ბარში, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მხრივ შედარებით დაწინაურებული იყო[35].

ჩვეულებრივ ძველი ქართული ოჯახი მრავაშვილიანი იყო, ხოლო უშვილობა დიდ უბედურებად ითვლებოდა ოჯახისათვის, ოჯახი ყველა საშუალებას ხმარობდა, რომ თავისი შვილი თუ არ გაჩნდა, სხვისი მაინც გაეზარდა. ხალხის წარმოდგენით, ოჯახი არც არსებობდა, თუ იქ შვილები არ იზრდებოდნენ. რთული იყო ბავშვთა აღზრდის სისტემაც. მრავალნაირ წეს-ჩვეულებას იყენებდნენ იმისათვის, რომ ბავშვი ჯანმრთელი, გონება-გახსნილი, პატიოსანი და გამრჯე გზრდილიყო. განსაკუთრებული მაგიური თუ ხალხური ჩვეულებებით აღინიშნებოდა ბავშვის ცხოვრების ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენა, მაგალითად, აკვაწში პირველად ჩაწვენა, პირველი კბილის ამოსვლა, თმისა და ფრჩხილის პირველი მოჭრა, სკოლაში პირველად წასვლა და სხვა. ქართულ-კახეთსა და სამცხე- ჯავახეთში ბავშვს პირველად რომ ჩააწვენდნენ აკვაწში, თან ჩააყოლებდნენ პურს, ღვინოს, მარილს, — მდიდარი და პურმარილიანი იქნებაო. მეზობელი ან ნათესავი პირველად რომ ნახავდა ახალშობილს ფულს ან სხვა რაიმეს აჩუქებდა. ფრჩხილს განთლებულ კაცს დაუჭრეინებდნენ, განთლებული გამოვაო. პირველი კბილის გამოჩენისას დედა კაბას გიიხეედა ან ბავშვს პერანგს გაუხეედა, სხვა კბილების ამოსვლა გაუადვილდებაო. ერთი წლის რომ გახდებოდა, ბავშვს შრომის სხვადასხვა იარაღს შემოუწყობდნენ ირგვლივ, გამრჯე გამოვაო. განსაკუთრებით დიდი ზეიმით აღნიშნავდნენ ძეო-

---

35 Соловьева Л. Т., Обычаи и обряды детского цикла у грузин, КЭС, VIII, сз. 177—185; · მისივე, Обычаи и обряды грузин, связанные с рождением детей, Автореферат, М., 1982.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას—ვაჟის დაბადებას, ქალის დაბადებას კი მცირე მასშტაბით, ძველად მას საკულტო რიტუალიც ახლდა, ახალ დროში კი უბრალოდ ზეიმის ხასიათი მიიღო. გარეგნულად რელიგიური ფორმა ჰქონდა, მაგრამ ფაქტობრივ დანათესავების საშუალება იყო ბავშვის განათვლა. ნათლიები, ნათლიდედები და ნათლიმამები ერთმანეთის უახლოეს ნათესავებად იყენენ მიჩნეული. ბავშვს ნაოლობის სახელს არქმევდნენ, მაგრამ ხშირად მეორე, „სულის სახელსაც“ აძლევდნენ ხოლმე. მთის რეგიონში ახალ დროშიც იყო შემორჩენილი ახალშობილთა დანიშვნის ჩვეულება. ბავშვს დედა ძუძუს აწოვებდა 3—4 წლის განმავლობაში, ზოგჯერ 5—7 წლის ასაკამდეც აკვანში ზრდიდნენ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მასში ბავშვის სწორად ჩაწვენას. ბავშვს რეგულარულად აბანავებდნენ, ზოგან ყოველდღიურად, ზოგან კვირაში ორ-სამჯერ მაინც. დიდ ყურადღებას უთმობდნენ ბავშვის კანის მოვლას, აგრეთვე მისი სხეულის ნაწილების, მაგალითად, თავის ქალის განვითარებას სილამაზის ხალხური იდეალის მიხედვით. 7—8 თვის ბავშვს ჯდომას ასწავლიდნენ, წლისას სიარულს და ცალკეული სიტყვების თუ ფრაზების წარმოთქმას. განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენნენ ბავშვის შრომითი აღზრდისათვის. 6—7 წლიდან ასწავლიდნენ შინაური პირუტყვის მწყემსვას, მერე თოხნას, თიბვას, ბარვას, მკას და სხვა. გოგონები 5—6 წლიდან ეხმარებოდნენ დედას საოჯახო საქმეში, რეცხავდნენ ჭურჭელს, გვიდნენ სახლს და ეზოს, უელიდნენ მათზე პატარა დაძმებს. 8 წლიდან გოგონები სწავლობდნენ რაიმე ხელსაქმეს, საქმლის მომზადებას, აგრეთვე წერა-კითხვას. შრომითის აღზრდაში იყენებდნენ საბავშვო თამაშობასა და სათამაშოებსაც რომლებსაც უწინარეს ყოვლისა გართობის ფუნქცია ჰქონდათ, მაგრამ ამასთანავე ხელს უწყობდნენ ბავშვის ფიზიკურ განვითარებასაც და მისთვის სამეურნეო საქმიანობის პროცესთა გაცნობასაც. დიდი ყურადღება ექცეოდა ბავშვთა ზნეობრივ აღზრდას, მათ მიერ საოჯახო და საზოგადოებრივი ცხოვრების წესების შესწავლას და დაცვას, პატივისცემას მშობლებისა და უფროსებისადმი. გოგონები იზრდებოდნენ მოკრძალებულ, გამგონე, საოჯახო საქმის მცოდნე და სტუმართმოყვარე დისასახლისებად, ბიჭები — ღონიერ, გონიერ, მამაც და გამბედავ ადამიანებად. გოგონს უპირატესად დედა ზრდიდა, ბიჭს — მამა. ბავშვს აღრიდანვე ასწავლიდნენ ცხენოსნობას და ირაღის ხმარებას განსაკუთრებით მთის რეგიონში. ბავშვთა სამეურნაოდ იყენებდნენ როგორც რაციონალურ ხალხურ საშუალებებს, ისე მაგიურს: ბატონების გადაღლაცას. სახელის გადარქმევას, ფიქტიურ გაშვილებას ავი სულების მოსატყუებლად, სხვადასხვანაირ შელოცვებს, მსხვერპლის შეწირვას და სხვა[36]

ასეთია ზოგადად ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი და ხალხური აღზრდის აღმოსავლურ-ქართული სისტემის ისტორიოგრაფიულ-ეთნოგრაფიული სურათი. ბევრი რამ ზემოთქმულიდან დამახასიათებელია აღზრდის საერთო-ქართული სისტემისათვისაც და, მაშასადამე, დასავლურ-ქართულისთვისაც (იმერეთი, გურია, სამეგრელო), რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, თითქმის მთლიანად შეუსწავლელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აფხაზურ სისტემას, რომელიც შედარებით სრულად ამ ბოლო დროს კვლავ გამოიკვლია ს. დბარმა[37].

[36] Соловьева Л. Т., Обычаи и обряды грузин, связанные с рождением и воспитанием детей (вторая половина XIX — начало XX в.), М., 1982, зз. 13—20.

[37] Дбар С. А., Обычаи и обряды абхазов, связанные с рождением и воспитанием детей (вторая половина XIX — начало XX в.), автореферат, М., 1985.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. სოლოვიოვას და სხვა, ზემოთ მოხსენიებულ მკვლევართა ნაშრომებს ჩვენთვის ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ისინი შეიცავენ ვრცელ შესადარებელ მასალას, ურომლისოდაც ჩვენი ბავშვის ხალხური აღზრდის საერთოქართული სისტემა სრულად ვერ იქნება დახასიათებული. ამიტომაც შევეხეთ ზოგ მათგანს საკმაოდ ვრცლად, თუმცა ჩვენი მთავარი ამოცანა მაინც აღზრდის ხალხური სისტემის კვლევაა დასავლეთ საქართველოს (იმერეთი, გურია, სამეგრელო) ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე.

Н. Л. КАПАНАДЗЕ

СИСТЕМА НАРОДНОГО ВОСПИТАНИЯ В ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

(Историографический очерк)

Резюме

В историографическом очерке даны обзор и анализ научной литературы и источников по проблеме.

В статье показано, что в этнографической литературе частично изучены лишь некоторые вопросы этой проблемы. Сравнительно лучше исследована проблема по материалам восточного, южного, северного регионов Грузии.

Отдельные сведения о народных обычаях и обрядах воспитания ребенка мы находим в исторической и художественной литературе Грузии древнего и нового времени. Описание детства имеется в древнейших письменных источниках всех народов мира, в том числе и грузинского народа.

У нас этнография детства стала подлинной наукой в советское время. Многие советские этнографы, а также социологи по этой проблеме начиная с 20-х годов до наших дней публиковали различные работы.

Советская этнография за последнее время не только собрала огромный фактический материал по теории и практике народной педагогики различных наций и народностей СССР, но и попыталась обобщить этот материал (И. Кон, В. Бардавелидзе, Г. Волков, Г. Комарова, Н. Волкова, Г. Джавахишвили, Н. Гогоберидзе, Л. Соловьева и др.).

Тем самым созданы предпосылки для более глубокого изучения народных обычаев и обрядов воспитания детей различных народов, в том числе грузинского народа.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალერი ვაშაკიძე

სტრაბონის „გეოგრაფიის“ ერთი ტერმინის მნიშვნელობის დაზუსტებისათვის

იმ წყაროთა შორის, რომლებიც ძველი ქართლის (იბერიის) სამეფოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის შესასწავლად გვაქვს ხელთ, სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XI, 3,6) დაცული ცნობა სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. თითქმის ერთნახევარი საუკუნეა, რაც მეცნიერნი დიდი გულისყურით იკვლევენ „გეოგრაფიის“ ზემოაღნიშნულ პარაგრაფს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა[1]. ამის მრავალი მიზეზი არსებობს, მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი მაინც ისაა, რომ „XI, 3,6-ის გაგებისას... ერთსა და იმავე სიტყვაში სხვადასხვა სპეციალისტი სხვადასხვა შინაარსს სდებს“[2].

მართლაც, სტრაბონის (და საერთოდ ანტიკური ხანის მწერლების) ცნობების გამოყენებისას, ფრიად ყურადსაღებია ის, თუ რა მნიშვნელობით ხმარობს ავტორი ამა თუ იმ ტერმინს. ხშირად სტრაბონთან ერთი და იგივე ტერმინი ერთი ქვეყნის აღწერის შემთხვევაშიც კი არ იხმარება ერთნაირი მნიშვნელობით. მაგ., სიტყვა „ὁ βασιλεύς“ ალბანეთის აღწერისას (XI, 4,6). გარდა ამისა, ტერმინოლოგია, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკურიც, იცვლის თავის მნიშვნელობას და ძალიან სწრაფადაც[3]. გასათვალისწინებელია ისიც, რომ უცხოელ ავტორთა მიერ ამა თუ იმ ქვეყნის სოციალური ვითარების დახასიათებისას, ზოგიერთი ტერმინი, შესაძლოა, ზუსტად არ გადმოსცემდეს ადგილობრივი ინსტიტუტის რეალურ შინაარს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 3,6-ის კვლევა ამ პარაგრაფში დაცული ტერმინების შესწავლას უნდა ეყრდნობოდეს.

ამ სახის სამუშაოს უდიდესი ნაწილი შესრულებულია. სტრაბონის „გეოგრაფიაში“ საქართველოს შესახებ დაცული ცნობების შესწავლისას, თ. ყაუხჩიშვილმა ვრცელი ადგილი დაუთმო ბერძენი გეოგრაფოსის ტერმინოლოგიის კვლევას და მრავალი საყურადღებო დასკვნა გააკეთა[4]. მაგრამ საკითხის ყოველმხრივ გაშუქებაში მეცნიერს რიგმა ფაქტორებმა შეუშალეს ხელი. ჯერ ერთი, აღნიშნული მონოგრაფიის შემდეგ გახდა ჩვენთვის ხელმისაწვდომი „გეოგრაფიის“ უძველესი ხელნაწერი (პალიმფსესტი V—VI სს.); მეორეც, რომ თხზუ-

---

[1] დაწვრილებით ლიტერატურის შესახებ იხ. თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები,, თბ., 1976, გვ. 136—158; ვ. ვაშაკიძე, სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ის წყაროს საკითხისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1983 № 1, გვ. 145—154.

[2] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ. 1957, გვ. 25.

[3] А. П. Новосельцев, Генезис феодализма в странах Закавказья, Опыт сравнительно-исторического исследования, М., 1980, გვ. 15.

[4] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 25—62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების ყველაზე პოპულარულ გამოცემებში (გ. კრამერის, კ. მიულერ-დიუბნერის, ა. მაინეკეს, ჰ. ჯონზის) XI, 3,6-ის ტექსტი ერთმანეთს ემთხვევა. არადა „გეოგრაფიის“ შესწავლისას თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ყველა ხელნაწერის მონაცემთა გათვალისწინებას, რადგან ის, რაც უცნოურ სპეციალისტთა თვალთახედვის მიღმა დარჩა, შესაძლოა, ჩვენთვის ფრიად საგულისხმო აღმოჩნდეს.

დღესდღეობით სტრაბონის „გეოგრაფიის“ ყოველმხრივ კრიტიკული გამოცემა არ გაგვაჩნია. შესაძლოა, თხზულების ყველა ნუსხის (ასეთი კი 30-მდე ხელნაწერი და ეპიტომეა, რომლებიც X—XV სს. განეკუთვნებიან) და პალიმფსესტის (V—VI სს.) წაკითხვები გათვალისწინებული იყოს „გეოგრაფიის“ უკანასკნელ გამოცემებში (Belles Letres-ის სერიაში Germaine Aujac-ისა და François Lasserre-ს რედაქციით; W. Aly-სა და F. Sbordone-ს გამოცემები), მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი ჯერ მთლიანად არ არიან გამოქვეყნებული, ყოველშემთხვევაში ჩვენთვის ჯერ ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდნენ. დაბეჯითებით მხოლოდ ის ვიცით, რომ დაიწყო მეთი გამოცემამ და 1972 წლისთვის მარტო პირველი 6 წიგნი იყო გამოქვეყნებული.

მიუხედავად იმისა, რომ „გეოგრაფიის“ ხელნაწერთა და ყველა გამოცემის გათვალისწინება გაძნელებულია სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად გამოყენებულ ზოგიერთ ძველ გამოცემაში დაცული კითხვასხვაობათა გათვალისწინებით მაინც შესაძლებელი ხდება თხზულების XI, 3,6-ში ხმარებულ ამა თუ იმ ტერმინზე დამატებით მსჯელობა.

ამჯერად გვინდა ყურადღება გავამახვილოთ სტრაბონის „გეოგრაფიის“ ზემოაღნიშნულ პარაგრაფში დაცულ ერთ-ერთ ტერმინზე — „ὁ λαός“. მისი ეტიმოლოგია უცნობია. ამ სიტყვას მრავალი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ძირითადად აღნიშნავს ხალხს, მეომრებს, მოსახლეობას და სხვ. გავიხსენოთ, რა კონსტექსტში გვხვდება ეს ტერმინი „გეოგრაფიის“ დასახელებულ პარაგრაფში. სტრაბონი იბერიის საზოგადოების პირველი სამი გენოსის აღწერის შემდეგ ამბობს: „მეოთხე [გვარი] არის ხალხისა (τῶν λαῶν), რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო.“ ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ გ. კრამერის, კ. მიულერ-დიუბნერის, ა. მაინეკეს, ჰ. ჯონზის გამოცემებში ყველგან გვაქვს „τῶν λαῶν“, მაგრამ ა. კორაისის მიერ გამოცემულ „გეოგრაფიაში“ ამ ადგილს გვხვდება სრულიად სხვა ტერმინი — „τῶν λοιπῶν“.[6] თუ ამ მეორე სიტყვას ჩავსვამთ ზემომოტანილ წინადადებაში, ეს უკანასკნელი ასეთ სახეს მიიღებს: „მეოთხე [გვარი] არის სხვა დანარჩენების[7], რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო...“ ამ „დანარჩენებში“ კი უნდა ვიგულისხმოთ ქართლის სამეფოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც არ მიეკუთვნებოდა პირველ, მეორე და მესამე გენოსებს.

---

[5] H. Bengston, Einführung in die alte Geschichte, Bonn, 1975, გვ. 200.

[6] Στραβώνος Γεωγραφικῶν, Βιβλία ἑπτακαίδεκα Ἐκδίδοντος καὶ διορθοῦντος Α. Κοράη. Μέρος δεύτερον, Ἐν Παρισίοις, 1817, გვ. 315.

[7] ხაზგასმა აქაც და ყველგან ჩვენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ვნახოთ ამ ორი ტერმინიდან (τῶν λαῶν, τῶν λοιπῶν) რომელი უფრო მისაღებია ჩვენთვის და რატომ.

უნდა შევნიშნოთ, რომ სტრაბონის ტერმინოლოგიის შესწავლისას თ. ყაუხჩიშვილი „λαός"-ის შესახებ წერს: „უნდა ითქვას, რომ საერთო ტერმინი „ხალხი" ნიშნავს საზოგადოებას, სიმრავლეს, რაც თავისთავად ჭრელი შემადგენლობის შეიძლება იყოს. წარჩინებულ საზოგადოებას, მხოლოდ რჩეულთ, ამ სიტყვით არ აღნიშნავენ, მაგრამ სტრაბონს არ ეტყობა, რომ სიტყვა „λαός" ჰქონდეს მაინდამაინც დაბალი საოზგადოებისათვის"[8]. თვით „გეოგრაფიაში" ამ ტერმინის კვლევისა და შრომალი მაგალითის მოხმობის შედეგად თ. ყაუხჩიშვილი ასკვნის, რომ ჩვენთვის საინტერესო სიტყვას სტრაბონი თავის თხზულებაში ხმარობს მხოლოდ ორი მნიშვნელობით: 1. „ჯარი"; 2. „ახალმოშენე"[9].

ახლა კი უნდა გავიხსენოთ „გეოგრაფიის XI, 3,6,-ის ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ იბერიის სამეფოს საზოგადოების პირველი გენოსი არის მეფეთა მეორე — ქურუმთა, მესამე კი — მ ე ო მ ა რ თ ა დ ა მ ი წ ი ს მ ო ქ მ ე დ თ ა. მაშ როგორ უნდა აეხსნათ, რომ ტერმინით „λαός", რომელიც სტრაბონთან ქართულ „ჯარსა" და „ახალმოშენეს" შეესატყვისება, იწოდება იბერიის მოსახლეობის მეოთხე გენოსი და არა მესამე? მიუხედავად იმისა, რომ თ. ყაუხჩიშვილისათვის „გეოგრაფიის ტექსტის შესაბამის ადგილს სიტყვა „λοιπῶν"-ის არსებობა უცნობი იყო, მან სამართლიანად იეარაუდა, რომ ტერმინ „λαός"-ით მესამე გენოსი უნდა ყოფილიყო აღნიშნული და არა მეოთხე[10].

ჩვენ დაინტერესდით, თუ რა მნიშვნელობით გადმოჰქონდათ ძველ ქართველ აღტორებს ნათარგმნ ძეგლებში ტერმინი „λαός" ოთხთავის ქართული ტექსტის ბერძნულთან შეჯერებამ ცხადყო, რომ სიტყვა„ „λαός" მდებიო მოსახლეობას არსოდეს არ აღნიშნავს და მისი ქართული შესატყვისი არის „ერი". მაგ., „ἐν τῷ λαῷ"//„ერსა შორის"—მთ. 26,5; „οἱ πρεσβύτεροι τοῦ λαοῦ"//„მოხუცებულნი ერისანი"—მთ. 21,23; იხ. აგრეთვე: მთ. 26,3; 26,47; 26,57; 26,59; 27,3; 27,20; 27,41; 28,12; ან კიდევ: „οἱ πρῶτοι τοῦ λαοῦ"//„მთავარნი ერისანი"—ლკ. 19,47. „ὁ λαός"//„ერი"—ლკ. 19,48; 20,1; 22,2; 22,66; იგ. 8,2 და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ „ერს" ბერძნულში შეესაბამება სხვა ტერმინებიც. მაგ., 1) „ὄχλος"//„ერი" — მთ. 13,2; 13,36; 14,5; 14,14; 19,2; მრკ. 5,21; 5,24; 6,34; ლკ. 4,42; 5,1; იგ. 6,2 და სხვ. 2) „στρατιῶται"//„ერი" —მთ. 22,7; ეი. 19,2; 19,32; 19,34 და სხვ. 3) გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როცა ქართულ „ერს" გადმოსცემს ბერძნული „πλῆθος". მაგ., მრკ. 3,7.

როგორც ვხედავთ, ბერძნული „λαός", „ὄχλος", „στρατιῶται" მისი ძირითადი მნიშვნელობაა „თოლაშქრენი" და „πλῆθος" თანაბრად გადმოსცემენ ქართული „ერის"მნიშვნელობას. ეს არცაა გასაკვირი, რადგან, როგორც ცნობილია, ტერმინი „ერი" ძველ ქართულში აღნიშნავდა როგორც „ხალხს", ისე „ჯარს".

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ და ახლაც გავიმეორებთ, რომ სტრაბონს „გეოგრაფიაში" (XI, 3,6) დაცული ცნობა ელინისტური ხანის იბერიის სამეფოს მოსახლეობის სოციალური ყოფის შესახებ გვამცნობს, რომ ქართლის სახელმწიფოში მესამე გენოსს შეადგენდნენ „მეომრები და მიწისმოქმედნი". როგორც

---

[8] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

[9] იქვე, გვ. 49.

[10] ი ქ ვ ე, გვ. 50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხთავის ნათარგმნი ძეგლების ბერძნულთან შედარებამაც აჩვენა, მისი ქართული სახელწოდება „ერი“ უნდა ყოფილიყო. ეს მოსაზრება მიღებული და გაზიარებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში[11].

მაშ როგორ უნდა იქნას თავიდან აცილებული ის გაუგებრობა, რომ ტერმინ „λαός“-ით, რომელიც ქართულად „ერს“ შეესატყვისება და იბერიის საზოგადოების მესამე გენოსს აღნიშნავს, მეოთხე გენოსი იწოდება?

თუ გავიხსენებთ, რომ ა. კორაისის მიერ გამოცემული სტრაბონის „გეოგრაფიის“, XI, 3,6-ში „λαῶν“-ის ნაცვლად გვაქვს „λοιπῶν“ და ამ უკანასკნელს მივანიჭებთ უპირატესობას, მაშინ შესაძლებელი ხდება თავი ავარიდოთ იმ შეუსაბამობას, რაც გვაქვს (იბერიის მოსახლეობის სოციალური ყოფით რადიკალურად განსხვავებული მესამე და მეოთხე გენოსები ერთი და იმავე ტერმინით— λαός“-ით არის გადმოცემული).[11] გარდა ამისა ლოგიკური გვეჩვენება ის ფაქტი, რომ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული ჩვენთვის საინტერესო ცნობის ავტორმა ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს მოსახლეობის დახასიათებისას თანმიმდევრობით აღწერა იბერიაში მცხოვრებთა პირველი, მეორე და მესამე გენოსები და შემდეგ იხმარება გამოთქმა: „მეოთხე [გვარი] არის სხვა დანარჩენების, რომლებიც სამეფო მონები არიან...“ ამაში ისიც გვარწმუნებს, რომ ცნობის ავტორი იქვე ზუსტად განსაზღვრავს ამ „დანარჩენი“ მოსახლეობის სოციალურ სტატუსს („სამეფო მონები“). ჩვენი აზრით, პირიქით გაუგებრობა იქნებოდა ამ წინადადების ძველი წაკითხვა, რომლის მიხედვითაც გამოდიოდა, რომ იბერის მეოთხე გენოსი არის „ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან“. „გეოგრაფიის“ აღნიშნული პარაგრაფის ავტორი იბერიის საზოგადოების ამა თუ იმ გენოსის დახასიათებისას არსად მიმართავს ორმაგ განსაზღვრებას და ყოველთვის გვამცნობს მათ კონკრეტულ სახელწოდებებს.

მაგ., „მეორე [გვარი] არის ქურუმთა“, ან „მესამე [გვარი] არის მეომართა და მიწისმოქმედთა“. ასევე მოხდება იმ შემთხვევაშიც, თუ „λαῶν“-ის ნაცვლად ვიხმართ ტერმინ „λοιπῶν“-ს. ე. ი. მეოთხე გენოსი იქნება „სამეფო მონებისა“ (Βασιλικοὶ δοῦλοι).

ჩვენი აზრით, სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XI, 3,6) დაცული ცნობა იბერიის მოსახლეობის მეოთხე გენოსის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ისეთი სახით უნდა მივიღოთ, როგორც ის ა. კორაისის გამოცემულ „გეოგრაფიაში“ გვაქვს, ანუ „მეოთხე [გვარი] არის სხვა დანარჩენებისა, რომლებიც სამეფო მონები არიან...“

დასასრულს ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ შენიშვნაზე, რომელიც ტერმინ „λοιπῶν“-თან დაკავშირებით აქვს გამოთქმული სტრაბონის „გეოგრაფიის“ ერთ-ერთ გამომცემელს გ. კრამერს. იგი თხზულების ჩვენთვის საინტერესო ადგილას ძირითად ტექსტში ტოვებს სიტყვა „λαῶν“-ს ხოლო სქოლიოში ჩატანილი „λοιπῶν“-ის გვერდით წერს: Cor. infelicissime[12] (კორაისი, ძალზე წარუმატებლად).

[11] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ადრეკლასობრივ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება ელინისტური ხანის ქართლის სამეფოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 493; А. П. Новосельцев, Генезис феодализма в странах Закавказья, გვ. 119.

[12] Strabonis Geographica, vecensuit commentario critico instruxit Gustavus Kramer, vol. II, Berolini, 1847, გვ. 444.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, გ. კრამერი ა. კორაისის მიერ გამოცემულ „გეოგრაფიაში“ შემონახულ ტერმინ „λοιπῶν“-ს გამომცემლის კონიექტურად მიიჩნევს და მას არ იზიარებს. ჩვენ არ შეგვიძლია იმის მტკიცება სიტყვა „λοιπῶν“ მართლა, გამომცემლის კონიექტურაა თუ „გეოგრაფიის“ რომელიმე ხელნაწერიდან მომდინარეობს, რადგან თვით ა. კორაისი თავის გამოცემის წინასიტყვაობაში ამის შესახებ არაფერს ამბობს. აქ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ „λοιπῶν“ კიდეც რომ გამომცემლის კონიექტურა იყოს, ის მაინც საყურადღებოა და ჩვენს წმინდა მსჯელობას მაინც არ ეროდება. ამის საფუძველს გვაძლევს თეორიული წყაროთმცოდნეობის განვითარება, რომელიც აუცილებელ შემთხვევაში საისტორიო წყაროში მკვლევრის მიერ შეტანილ შესწორებებს ან ნაწილობრივ აღდგენებს კანონზომიერად მიიჩნევს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთადერთი ნუსხა გვაქვს და ისიც დაზიანებული, ანდა შესასწავლი თხზულების ყველა ხელნაწერი იძლევა მცდარ წაკითხვას, ან წაკითხვას, რომელიც თუმცა ნათელია, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრებით არ შეიძლებოდა არსებულიყო, მკვლევარი ვალდებულია მიმართოს კონიექტურას[13]. ტექსტოლოგიური ძიებისას ისიც კი დასაშვებია, რომ ზოგიერთი ძლიერ დაზიანებული ტექსტი, რომელიც წერილობითი წყაროების საფუძველზეც კი არ შეიძლება აღდგეს, რეკონსტრუირებული უნდა იქნეს კონკრეტული ისტორიული ვითარების გათვალისწინებითა და ლოგიკური ანალიზის მეთოდით[14]. წყაროთმცოდნეობაში არის შემთხვევები, როდესაც ყველა ხელნაწერი ერთსა და იმავე წაკითხვას იძლევა და მაინც, თუ მკვლევარი დასაბუთებს, რომ იგი არ შეიძლება არსებულიყო ისტორიულად, მაშინ შესაძლებელია წაკითხვის შეცვლა[15].

ვფიქრობთ, ზემომოტანილი მსჯელობა უნდა აქარწყლებდეს გ. კრამერის შენიშვნას იმის შესახებ, რომ ტერმინი „λοιπῶν“ ა. კორაისმა ფრიად უხერხულად შეიტანა „გეოგრაფიის“ XI, 3,6-ში.

ამდენად, ჩვენი აზრით, სტრაბონის „გეოგრაფიის“ აღნიშნულ პარაგრაფში სიტყვა „λαῶν“ უნდა შეიცვალოს ტერმინით „λοιπῶν“, რაც უფრო სწორს გახდის ტექსტის გაგებას.

В. В. ВАШАКИДЗЕ

К УТОЧНЕНИЮ ЗНАЧЕНИЯ ОДНОГО ТЕРМИНА В «ГЕОГРАФИИ» СТРАБОНА

Резюме

Для правильной интерпретации XI, 3, 6 «Географии» Страбона, где содержится ценное сообщение о социальной структуре Картлийского царства эллинистической эпохи, важное значение имеет изучение терминов, употребляемых в данном параграфе.

---

[13] Д. С. Лихачев, Текстология, Л., 1983, გვ. 169.

[14] А. П. Пронштейн, Методика исторического источниковедения, Ростов н/Д., 1976, გვ. 141—142.

[15] Д. С. Лихачев, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

ეროვნული ბიბლიოთეკა

В статье доказано, что термином „λαὸς“ (народ) должен обозначаться не четвертый, а третий генос Картлийского общества. Чтобы избежать недоразумения, состоящего в том, что якобы согласно «Географии» (XI, 3, 6) радикально различные социальные слои Картли (Иберии) обозначаются одним и тем же термином „λαὸς„ этот последний следует, на наш взгляд, заменить другим словом „λοιπός“ (остальная часть), засвидетельствованным в издании А. Корайса.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

Г. Б. АВАЛИШВИЛИ

К ВОПРОСУ О СОЦИАЛЬНОЙ СТРУКТУРЕ ГРУЗИНСКИХ ПЛЕМЕН В ЭПОХУ ПАЛЕОМЕТАЛЛА

Археологические изыскания последних лет в юго-восточном Закавказье дают весьма интересную картину заселения в III — первой половине II тысячелетия до н. э. Археологические памятники констатируют резкое отличие топографий памятников ранней и средней бронзы[1].

Места расположения поселений и могильников куро-аракссской культуры весьма разнообразны. На территории Грузии они встречаются как в долинах (Квацхела, Хизанаантгора, Дидубе и др.), так и в предгорной (Кикети, Самшвидле и др.) и горной полосе (Джавахетское плато и др.)[2]. На территории Азербайджана куро-аракссскими племенами также заселена каждая вертикальная зона[3]. То же самое наблюдается в Армении и Дагестане[4].

В то же время топография и характер памятников культуры средней бронзы (ранних курганов и триалетской) резко отличны. Они группируются в основном на особых, сравнительно ограниченных территориях[5].

Концентрация памятников Восточного Закавказья второй половины III — первой половины II тысячелетия до н. э. в определенных местах указывает, по-видимому, на факт расселения отдельных племен. Каждая компактная группа памятников этого времени, вероятно, соответствует месту обитания отдельного племени. Формируются первые территориальные единицы и племя становится основной социальной ячейкой.

---

[1] В эпоху средней бронзы мы включаем памятники самгори-марктопской и алазано-беденской культур (вторая половина III тысячелетия до н. э.), см. Джапаридзе О. М. Из истории археологического изучения Грузии. Вестник ГМГ, XXXVI — В. Тб., 1982, с. 37.

[2] Джапаридзе О. М. К вопросу о происхождении куро-аракссской культуры. Сб., посвященный 100-летию со дня рождения И. Джавахишвили. Тб., 1976, с. 83.

[3] Исмаилов Г. С. Раннебронзовая культура Азербайджана (по материалам раннебронзовых памятников Юго-Восточных склонов Малого Кавказа). Автореферат докт. диссертации. Тб., 1983.

[4] Гаджиев М. Г. Северо-восточный Кавказ в эпоху ранней бронзы. Тезисы симпозиума «Кавказ и Юго-восточная Европа в эпоху ранних металлов». Телави, Сигнахи. 1983.

[5] Киквидзе Я. А. Земледелие и земледельческий культ в древней Грузии. Автореферат докт. диссертации. Тб., 1975, с. 27; Киквидзе Я. А., Царетели А. Т. Топография археологических памятников Восточной Грузии III—I тыс. до н. э. Сессия, посвященная археологическим исследованиям в СССР в 1976 у., Тезисы, М., 1977.

ეროვნული ბიბლიოთეკა

О времени образования племенной организации нет единого мнения. Одни видят ее зачатки уже в эпохе мустье[6], другие относят возникновение племени к верхнему палеолиту[7], мезолиту[8], неолиту. Но в то же время исследователи видят большую качественную разницу между племенем на ранней стадии и племенным образованием на стадии разложения родового строя[9]. Их считают радикально различными историческими категориями[10].

Возможно, в Закавказье с эпохи мустье начинают складываться племенные образования, здесь в это время наблюдается ряд узколокальных культур[11], каждая из которых могла принадлежать одной этнической общности.

Наличие локальных вариантов культуры в мустье Г. Григорьев также связывает с образованием племен[12]. Но, по-видимому, эти племена еще не составляли социальную ячейку. На этой стадии роль племени незначима — доминирует род, племя является лишь этнической общностью, а не социальной. На это указывают и этнографические данные; у австралийцев, при присваивающем хозяйстве, племени как социальной единицы фактически не существовало: оно не имело территориальных и социальных границ, не выступало как единое целое во время военных столкновений и т. д.[13]

Только во время производящего хозяйства племя становится радикально отличной исторической категорией: при выделении отдельных семей род теряет необходимость быть производственным коллективом и кончает свое существование — родовые производственные отношения сменяются территориально-соседскими[14].

По археологическим данным в Закавказье этот процесс протекает медленно, но виден еще со времени возникновения раннеземледельческих культур. На поселениях шулавери-шомутепинской культуры планировка и размеры жилищ указывают на обособление отдельных парных семей[15]. На поселении Арухло (VI—V тысяч. до н. э.) диаметр самого большого круглопланового жилища достигал 4,60 м, самого маленького — 2,80 м, что также указывает на их принадлежность парным семьям. В Азербайджане, на энеолитическом

---

6 Григорьев Г. П. Начало верхнего палеолита и происхождение «Homo Sapiens». Л., 1968, с. 146—147; Файнберг Л. А. Возникновение и развитие родового строя. «Первобытное общество», М., 1975, с. 54.

7 Косвен М. О. Об историческом состоянии рода и племени. СЭ № 2, М.-Л., 1951, с. 184; Першиц А. И., Монгаит А. Л., Алексеев В. П. История первобытного общества, М., 1982, с. 105.

8 Формозов А. А. О времени и исторических условиях сложения племенной организации. СА № 1, М.-Л., 1957, с. 17.

9 Ефименко Н. П. По поводу статьи А. А. Формозова «О времени и исторических условиях сложения племенной организации». СА № 1, М.-Л., 1957, с. 25; Першиц А. И., Монгаит А. Л., Алексеев В. П. Указ работа, с. 105, 144.

10 Косвен М. О. Указ. работа, с. 185.

11 Любин В. П. Мустьерские культуры Кавказа. Л., 1977.

12 Григорьев Г. П. Указ. работа, с. 146—147.

13 Бутинов Н. А. О первобытной диагностической непрерывности в Австралии. СЭ, № 2, М.-Л., 1951, с. 179.

14 Хазанов А. М. Разложение первобытнообщинного строя и возникновение классового общества. «Первобытное общество», М., 1975, с. 96.

15 Миндиашвили Г. М. К социальному изучению структуры общества кураараксской культуры. «Мацне», № 1, серия истории, археологии, этнографии и истории. Тб., 1983, с. 196 (на груз. яз.).

поселении Кюль-тепе II средняя площадь круглоплановых жилищ составляла 30,5 м² и принадлежала, по-видимому, парной семье в составе 5—6 человек[16]. Наступает эпоха патриархата — одна из форм разложения родового строя[17].

Последующая куро-аракcская культура также развивается под знаком распада первобытнообщинного строя. На хрестоматийно изученном поселении куро-аракcской культуры — Квацхелеби, — планировка и размеры жилищ также указывают на обособление отдельных семей. Средняя площадь жилищ равна 30 кв. м. Расположение вещей и их количество указывают на однородный инвентарь каждой семьи, что указывает на одинаковую социальную ячейку с почти одинаковым количеством членов[18].

ხოლო, რაც შეეხება აღმოსავლეთის ფასადზე მოთავსებულ ფილებს, მხატვრულ-სტილისტიკური ნიშნები და აგრეთვე ეპიგრაფიკული მასალა, მათი შესრულების დროს X ს. II ნახევრით განსაზღვრავს. ყოველივე ზემოთ თქმული ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ორივე ფილა ეკლესიის კედელში, მისი რემონტის დროსაა ჩასმული, შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება ერთ-ერთ ფილაზე ორი, ანალოგიური ეკლესიის მოდელის გამოსახვა — ქტიტორი ღვთისმშობელს ახალ, განახლებულ ეკლესიას მიართმევს. როგორც ჩანს ამავე რემონტის დროსაა შესრულებული ინტერიერის დეკორატიული გაფორმებაც.

---

[14] ვ. ცინცაძე, ზემო კრიხის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, 5, თბ., 1963 გვ. 86.

[15] Ренэ Шмерлинг, Купольный храм в икви, ქართული ხელოვნება, 7, თბ., 1971, გვ. 186; ვ. ცინცაძე, ზემო კრიხის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება 6, თბ., 1963, გვ. 86.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Т. П. ДВАЛИ

ЦЕРКОВЬ СВ. ГЕОРГИЯ В СЕЛЕ БЕНИСИ

Резюме

Церковь св. Георгия находится севернее от районного центра Каспи, в окрестностях села Хвити. Вблизи от церкви видны следы старого поселения, которое жители называют Бениси.

Церковь зального типа стоит посреди сильно разрушенной каменной ограды. С юга к церкви примыкает двухэтажная колокольня, а с севера по всему фронту здания выстроено узкое апсидальное помещение с единственным входом с запада.

Сложена церковь из булыжников разного калибра, в кладке углов, арок, проемов и карнизов использованы отесанные плиты ширимы.

В архитектурных формах четко выделяется подковообразная форма арок, которая применена и для плана апсиды.

В постройке особенно характерным является своеобразное оформление внутреннего пространства, где с целью декорирования дверных арок и оконных проемов на их лицевой стороне красной краской нанесена имитация соответственной кладки.

На восточном фасаде, выше алтарного окна, одна над другой помещены две рельефные плиты, на одной из которых изображена ктиторская композиция с надписью.

Стилистический анализ памятника и характер использованного строительного материала позволяет датировать церковь VIII—IX веками, скорее IX веком.

По художественно-стилистическим чертам и эпиграфическому материалу рельефы можно отнести ко второй половине X века. В связи с этим можно полагать, что оба рельефа в кладке церкви были вставлены во время ремонта.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისკუსია და განხილვა

ივანე შაიშმელაშვილი

აზეულა, კოჯრის ციხე, აგარანი*

შესავალი

ფეოდალური საქართველოს ლაშქრის საომარ მოქმედებათა აღწერა, რაც სამხედრო ისტორიის მნიშვნელოვან მომენტს შეადგენს, არასოდეს არ იქნება შეცდომებისაგან დაზღვეული თუ არ გვექნება ამ მოვლენათა ზუსტი გეოგრაფიულ-ტოპონიმიკური საფუძველი.

ასეთი აუცილებლობის წინაშე აღმოვჩნდი, როდესაც ძველი თბილისის თავდაცვითს სისტემის შესწავლას მოვეკიდე. ეს სისტემა კლდეკარის, ლორეს, ხუნანის, ხორნაბუჯრისა და ჭერემის სექტორს მოიცავს. ამ სექტორის ცენტრალური უბნის ობიექტებს ეძღვნება აკად. ნ. ბერძენიშვილის ცნობილი ნარკვევი: „ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი)"[1]. მასში ეხედებით „კოჟრის", ტაბახმელის, ქავაზინის, ლორეს, ხუნანის, ქურდაჯრის, დვინის, ლომთაგორის, ქვეშისა და აგარათა ჭალების და სხვა პუნქტებისა და თემების ლოკალიზაციისა და მნიშვნელობის შემცველ მითითებებს, თუმცა მისი ხსენებული ნარკვევის მიზანს შეადგენდა აგარანის ადგილსამყოფელის დადგენა: „სად იყო აგარანი, XI—XII საუკუნეთა საისტორიო თხზულებებში ეგრე ხშირად რომ მოიხსენება"[2].

ჩვენი მუშაობის მსვლელობაში თავიდანვე განსხვავებული შეხედგები მივიღე იმ დებულებებთან შედარებით, რაც ნ. ბერძენიშვილს მილებული აქვს სწორედ ამ აგარანის ლოკალიზაციის თაობაზე.

ვფიქრობთ, კოჯრის ციხეს სახელის შეცვლა არ ესაჭიროება. ჩვენს ამოცანას უნდა შეადგენდეს ამ ციხისთავის არა მხოლოდ სრულიად შეუფერებელი „ქოროღლის" სახელწოდების ჩამოცილება, არამედ ყველა ზომის მიღება მისი კანონიერი ქართული სახელის დამკვიდრებისა და პოპულარიზაციისთვის. რაც შეეხება მისთვის „აგარანის" დარქმევას, ეს ცდა აშკარად ხელოვნურობის ბეჭედს ატარებს.

I. ქართულ წყაროებში ტოპონიმ „აგარანის" გამოჩენა

1066 წლის ახლო ხანებში ბაგრატ IV-მ (1027—1072) სომეხთა მეფე კვირიკეს (ბაგრატის დის ქმარის ძმა)[3] ჩამოართვა სარეზიდენციო პუნქტი სამშვილდე მიდამოებინაგან[4] და „იურვა სახლად თვისად"[5],.

---

* მოხსენდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საერთო კრებას 1985 წლის 28 მაისს.

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, 1964, გვ. 301—331.

2 იქვე, გვ. 207.

3 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, 1979, გვ. 199.

4 ბაგრატ IV კვირიკიდებს წაართვა სამშვილდე და მისი მიდამოები, იქვე, გვ. 66.

5 ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 307.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირიკეანთა ოჯახიშვილები, იმის გამო, რომ ზაფხულობით სამშვილდეში სიცხეებს იკურდა[6], ბუნებრივია, უფრო ბევრი და, რაც მთავარია, თავდასხმებისაგან შედარებით მორიდებული გარემოსაკენ ესწრაფოდნენ. მდ. ჭიეშავის სათავისა და ბედღნის მთის ზონაზე უკეთესის შერჩევა არავის შეეძლო.

და მაშინ, როცა ბაგრატ IV-მ სამშვილდე და მისი მიდამოები[7] „იურვა სახლად თვისად“, ამ შემოერთებული მიწაწყლის ფარგლებში მართლაც აღმოჩნდა გრანდიოზულო საზაფხულო ციხე-დარბაზი, რომელსაც დღეს „ნადარბაზევი“ ეწოდება და აგებულია X—XI სს[8]. ანუ სწორედ იმ ხანად, როცა სამშვილდესა და მის მიდამოებს დროებით სომეხი მეფეები ჰფლობდნენ.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ბაგრატ IV-მ, რომელმაც პირველად მოიხილა სამშვილდის მიდამოები, ვერ შენიშნა ეს დიდებული საზაფხულო საცხოვრებელი კომპლექსი. პირიქით, მიუხედავად თავისი მშფოთარე ცხოვრებისა, ბაგრატს გარკვეული დროით უსარგებლია კიდეც ამ დიდი მონაპოვრით — მას ხომ „სამშვილდის ტბათა დგომისაჲ“ აღმოაჩნდა საბედისწერო სენი („შენდგომად მცირედთა წელიწადთა სამშვილდის ტბათა მდგომსა ბაგრატ მეფესა დაეცა სალმობა მუცლისა“[9]).

მთავარი კი, რა თქმა უნდა ის არის რომ მას შემდეგ, რაც ბაგრატ IV-მ სამშვილდე და მისი მიდამოები ზემოხსენებულ ციხე-დარბაზიანად ხელთ იგდო, ქართულ წყაროებში ჩნდება ამკვიდრება ტოპონიმი „აგარანი“. ჩვენ გვწამს, რომ მდ. ჭიეშავის სათავეების სააგარაკო მიდამოები ამ სახელს — „აგარაკების“ ან პირდაპირ „აგარანის“ (მრავალი აგარის) სახით ატარებდა დიდი ხნით ადრე, სანამ IX-ის დასასრულიდან ეს მიდამოები დროებით სომეხი ბაგრატუნების ხელთ აღმოჩნდებოდა[10].

ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ წყაროებში ტოპონიმი „აგარანი“ თან მოჰყვა ბაგრატ IV-ის სამშვილდესთან მოპოვებულ ზემოხსენებულ საზაფხულო ციხე-დარბაზს; ისეთი ძვირად ღირებული ნაგებობა, როგორიც „აგარანი“ იყო, ჩვენი წინაპრების ინიციატივითა და ხარჯებით რომ ყოფილიყო აგებული, ამ ფაქტს ქართულ მატიანეებში, ეფიქრობთ, პატარა ადგილი მაინც დაეთმობოდა, თუნდაც ისე, როგორც ამაე ხანების კვირიკე კახთა მეფის (1010—1037) აგებულ დარბაზს: „დარბაზი ბოდოჯისა-დიდისა კვირიკე მეფისა აგებული“[11].

ასეთი მითითებები არ არსებობს და არც იყო მოსალოდნელი: სომეხი ბაგრატუნების მიწაზე ქართველი მეფეები რატომ ააგებდნენ ციხე-დარბაზებს?

ბაგრატ IV-ის მიერ სამშვილდის შემოერთების ხანებში თავი იჩინა თურქთა მომავალი დიდი მოზღვაევების მკაფიო სიმპტომებმა. 1064 და 1068 წლების გამანადგურებული შემოსევების შემდეგ საქართველოდან უკუქცეულმა

---

6 ვახუშტი, აღწერა..., 1941, გვ. 44.

7 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 512, „სასახლის წყალსადენი ნადარბაზევში, სამშვილდის მიდამოებში“.

8 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, 1979, გვ. 507, 85, საქ. სსრ კულტურის ძეგლები, 1959, გვ. 61.

9 ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 314.

10 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, 1973, გვ. 490, III, გვ. 153.

11 ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 298.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქმა სულთანმა ალფ-არსლანმა თბილისი და რუსთავი განჯის ამირა ფადლონს მისცა[12].

სულთნის მხარდაჭერით წახალისებულმ• ფადლონმა ქართლის რბევას მიჰყო ხელი, მას, ეტყობა, აგარანიც წაუღია.

ერთ-ერთი შემოსევისას, 1069 წელს ბაგრატმა სასტიკად დაამარცხა და ტყვედაც ჩაიგდო ფადლონი. მეფემ ეს შემთხვევა წარმატებით გამოიყენა. განძის ამირას ფასად დაიბრუნა არა მარტო რამდენიმე მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე, თბილისიც აიღო. ფადლონს მიერ დაცლილ ციხე-სიმაგრეთა შორის აგარანიც მოიხსენება.

ბაგრატის ტყვეობიდან ფადლონი სულთან ალფ-არსლანის შუამდგომლობით წავიდა იმ პირობით, რომ ქართლზე თავდასხმებისაგან ხელს აიღებდა. მაგრამ ფადლონმა მალე გატეხა სიტყვა: ქვემო ქართლის ერთ-ერთი სიმაგრე — ქავაზინი „მოიპარა“[13]. ქავაზინის დაკარგვაზე ბაგრატ IV-ს რეაგირება არ მოუხდენია. შემდეგ კი, როდესაც ფადლონმა აგარანიც წაიღო (ციხისთავის გამცემლობით), დასავლეთ საქართველოში მყოფი ბაგრატი დაუყოვნებლივ გამოეშურა, „მოვიდა და მოადგა აგარათა და წარიხვნა აგარანი“[14].

ნ. ბერძენიშვილი სწორედ შენიშნავს, რომ „თბილისის გარშემო სოფლები — ზოგი წარმოშობითვე, ზოგი შემდეგ დაქვემდებარებით — მისი (თბილისის,-ი. შ.) აგარები იყო. გვიან ხანაში ამათ ქალაქის პირის სოფლები ეწოდებოდა“[15] ნ. ბერძენიშვილი აგრეთვე მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ, ასეთი აგარაების გარეშე თბილისის, როგორც ქალაქის წარმოქმნის ვითარება ძნელად წარმოსადგენი იქნებოდა“[16]. იგი განაგრძობს: „გარეუბნები — ქალაქის პირა სოფლები კოწანისი, შინდისი, ტაბახმელა, კოჯორი“[17] გამოიყენებოდა თბილისის დიდკაცობის მიერ“[18]. ერთი სიტყვით, ყველა ეს აგარა (აგარები) მათ შორის, კოჯორიცა და ტაბახმელაც, ეკუთვნოდა იმას ვის ხელშიც თბილისი იყო. ამ სრულიად ცხადი დებულებისა და არსებული კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით ნ. ბერძენიშვილი კითხულობს, თუ საიდან, რა გზით მიუდგა აგარანს დასავლეთ საქართველოდან ასეთი აჩქარებით ჩამოსული მეფე, თუკი თბილისი მისი გარემოთი. ამ ხანად ბაგრატს არ ეკუთვნოდა?[19] მაგრამ თუკი თბილისის სოფლები ტაბახმელა, კოჯორი ბაგრატს არ ეკუთვნოდა, გამოდის, რომ განძის ამირამ თბილისის ამირას წაართვა აგარანი (რომელიც ნ. ბერძენიშვილმა კოჯრად მიიჩნია). მაგრამ ასე თუ იყო, ეს სითილარაბი (თბილისის ამირა) რატომ არაფითარ მონაწილეობას არ იღებდა აგარანის (კოჯრის) ხელიდან ხელში გადასვლის აღნიშნულ აქტებში? და კიდევ ერთი: საკითხავია აგრეთვე თბილისის ამირა სითილარაბს, რომელიც ბაგრატ IV-ის დაყენებული იყო და ბაგრატს მოხარკეედაც ითვლებოდა[20], რატომ არ უნდა გაეტარებინა

12 ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 310.

13 ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 313. ქავაზინს მიუთითებენ ახლანდელი სოფ. ჯაფარლის ადგილზე, ბოლნისის სამხრეთით, მდ. მაშავერას მარჯვენა ნაპირზე (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი აღწერა..., 1941, გვ. 36).

14 ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 313.

15 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 318.

16 იქვე, გვ. 318 (სქოლიოში).

17 იქვე, გვ. 325 (სქოლიოში).

18 იქვე, გვ. 325.

19 იქვე, გვ. 308 (სქოლიოში).

20 საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრატ IV, რომელიც ახლა მაინც კოჯორ-ტაბახმელას გამოსახსნელად, ანუ ფადლონის მეომრების გასაძევებლად მიიჩქაროდა? მაშ რა გზით გავიდა ბაგრატ IV—და მისი სიმამრი დორღოლელი განძის მოსარბევად „ორმოცი ათასითა კაცითა“, რაც ბაგრატმა ითავა სწორედ აგარანის ალებისთანავე?[21].

ეს უბერეხულობანი დაუყოვნებლივ ქრება და ყველაფერი თავის ადგილს იკავებს, როგორც კი შეეშვებით აგარანისა და კოურის ციხის გაიგივების ცდას.

აგარანი სამშვილდის მიდამოებში იყო...

II. დავით ალმაშენებლის მიერ ალებული აგარანის შესახებ

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ სამშვილდისა და მისი მიდამოების ირგვლივ მყოფ საზაფხულო ციხე-დარბაზის ბაგრატ IV-ის ხელში გადმოსვლა მძაფრი და ხანგრძლივი შეხლა-შემოხლის შედეგად მომხდარა, როცა მეფე ბაგრატი იძულებული გამხდარა ძელზე გაესვა თავისი დისქმრის ძმა — სომეხთა მეფე კვირიკე „სამ დღე“[22]. შესაძლოა ეს „სამ დღე“ (ძელზე გასმა) და „სამ თვე“ (რაც ბაგრატ IV-მ ვითომც აგარანის ალებას მოანდომა)[23] ერთმანეთრესთან დაკავშირებული სიდიდეებია. ყოველ შემთხვევაში, ბაგრატის მოღვაწეობის აღწერაში სხვა რამ ამის მსგავსი ფაქტი არ არის ფიქსირებული. საერთოდ კი შესაძლოა, მართლაც, სამ თვეს გაგრძელდა სამშვილდისა და მისი მიდამოების გადმოცემის მთელი პროცესი, რაც დავით აღმაშენებლის ისტორიოსმა მთლიანად ბრძოლად ჩათვალა.

ასე იყო თუ ისე, ცოტა ხნის შემდეგ დიდი თურქობა დაიწყო. ქართლი, შირვანი და სომხეთი თურქი დამპყრობლების უღელქვეშ მოექცნენ. მეფე გიორგი ბაგრატის ძემ (1072—1089) თავი დამარცხებულად სცნო, ალფთანს ეახლა, ხარკიც იკისრა. თბილისი მაჰმადიან მფლობელთა მრავალრიცხოვანი გარნიზონის საფეხმიდან იქცა[24].

სამეფო ტახტზე გიორგიმ თავისი ახალგაზრდა მემკვიდრე დავითი აიყვანა.

ყიფჩაყთა მოწვევამდე დავით აღმაშენებელმა თავისი რჩეული მხედრობითა და საქველყნო ლაშქრის შემწეობით თურქებს წაართვა 1110 წელს — სამშვილდე, 1115 წელს — რუსთავი, 1116 წელს თურქები ამოყლიტა ტაოში, 1117 წელს აიღო ჰერეთის სახელგანთქმული ციხე-ქალაქი გიში, 1118 წელს სამი ოპერაცია ჩაატარა: თურქებს მუსრი გასცალო არაქსის ნაპირებზე, ხელთ იგდო ციხე-ქალაქი ლორე და „მასვე წელსა იელისსა (ა) აღიხვნა აგარანი“[25]. კოჯორი და ქალაქის პირის სხვა „აგარაენიც“, როგორც ბაგრატ IV-ის დროს, ახლაც თბილისის ამკაზინდელი მფლობელების ხელში იყო: ამ ქალაქში ახლა შეუდარებლად მძლავრი თურქთა ძალები იდგნენ ვიდრე არაბებს ჰყაოდათ ბაგრატის დროს[26].

დავით აღმაშენებელზე უკეთ ვის უნდა სცოდნოდა იყო თუ არა მომწიფებული თბილისზე იერიშის მიტანის საკითხი?

---

21 ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 313.

22 იქვე, გვ. 307.

23 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 335.

24 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 235.

25 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 335.

26 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 235.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი დიდმნიშვნელოვანი ოპერაციის განხორციელება, როგორც თურქთაგან თბილისის განთავისუფლება იყო, ყივჩაყთა ჩამოყვანამდე და მათს ბაზაზე 40-ათასიანი მუდმივი ჯარის მსგავსი ორგანიზმის შექმნამდე, დავითს მიზანწეწონილად არ შეეძლო მიეჩნია. სწორედ ამიტომაა სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებული, რომ უშუალოდ „ტფილისის“ შევიწროება მან მხოლოდ 1120 წლიდან დაიწყო[27], ე. ი. მას შემდეგ რაც ყივჩაყი მხედრობა დიდი ოპერაციების ჩასატარებლად ყოველმხრივ მომზადებული იყო და ქართველთა მკეთთოდ გაზრდილ აქტიურობაზე თურქთა რეაქცია სახიფათო აღარ იქნებოდა. ამიტომ ეაძბობთ, რომ დავითის მიერ 1118 წელს ლორეს შემდეგ აღებული აგარაკი არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც იყო თბილისის „პირის“ სოფელი კოჯორი და მისი ციხე. რატომ ასე გვიან — სამშვილდის აღებიდან 8 წლის შემდეგ გაათავისუფლა დავითმა სამშვილდის მიდამოების აგარანი? მხოლოდ იმიტომ, რომ სამშვილდის აღების შემდეგ (1110 წ) მდ. ჭოჭავის სათავეში განყენებულად, მყუდრო გარემოში დამკვიდრებული ამ საოფფხულო ციხე-დარბაზის გარნიზონი თბილისსა და დმანისს მოწყვეტილი აღმოჩნდა; მისი გარნიზონი ან ნებით უნდა გამორიგებოდა იქაურობას, ან ქართველებს დანებებოდა.

დიახ, მისი აღება ისეთ აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა, რიგში იდგნენ გაცილებით მეტი მნიშვნელობის ობიექტები: რუსთავი, რომელიც 1115 წელს იქნა აღებული, გში, რომელიც 1117 წელს აღიეს. აგარანის მსგავსი ვითარება შეიქმნა დმანისის მიმართაც, რომელიც ლორეს აღების შემდეგ ყოველმხრივ იზოლირებული დარჩა და მისი განთავისუფლების საკითხი დავითს თბილისის განთავისუფლების შემდეგი დროისათვის გადაუტანია...

და აი, ლორეს აღების შემდეგ („მასეე წელსა“) ნადარბაზევის აღება მაინც გადაუწყვეტიათ. ეს ნაბიჯი ყველაზე მეტად ივანე ორბელს უნდა მოსწონებოდა: ის უკვე დარწმუნებული იყო,რომ დიდი დავითი დღეს არა—ხვალ ორბელთა მამაპაპეულ სამშვილდესა და მიმდებარე მამულებსაც[28] სახელმოხვეჭილ ჩამომავალს (ამ ივანეს) გადასაცემად... მომდევნო ამბებიდან მართლაც ვიცით, რომ 1123 წელს ციხე-ქალაქი ლორე და „აღგილად დარბაზისა სამშვილდე“ გარეუბნებით[29] დავით მეფემ ივანე ორბელს უწყალობა, რომელიც დიდი მხედრული დამსახურებისთვის — „უმეტეს შეუყვარდა მეფესა და პატივისცემულ იქნა უფროს მამათა თვისთაგან“[30]. შემდეგ, როცა დმანისიცა და თბილისიც დავით აღმაშენებლის ხელთ აღმოჩნდა დ „დასრულდა ქართველი ხალხის ხანგრძლივი და დიდმსხვერპლიანი ბრძოლა ქართული მიწების საბოლოო გაერთიანებისათვის“[31], ივანე ორბელს მითითებულ ტერიტორიაზე შეექმნია აგარაკი, რომლის სახელწოდებას ყოველთვის შერწყმული ჰქონდა „დარბაზი“: „აგარაკად წოდებული დარბაზი“, „აგარაკსა მისსა დარბაზისასა“, „აგარაკსა მას დარბაზად წოდებულსა“[32].

---

27 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გვ. 237.

28 სტეფანოს ორბელიანი, ორბელიანთა ცხოვრება, ე. ცაგარეიშვილის გამოცემა, 1978, გვ. 28.

29 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 119 („დავით აღმაშენებელმა ივანე ორბელს მისეა ქ. სამშვილდე გარეუბნებით“).

30 სტეფანოს ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38—39.

31 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 241.

32 სტეფანოს ორბელიანი, ორბელიანთა ცხოვრება, გვ. 44 და 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ყველაფრისა ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ ლორეს ალების დროისათვის სტეფანოს ორბელიანის მიერ ნახსენები დღესაც არსებული სოფელი „აგარაკი“, რომელიც ლორესთან ერთად ივანე ორბელს ეწყალობა, არის კოჯრის ციხე ანუ აგარანი („შეუძლებელად არ მიგვაჩნია, რომ ქართული წყაროების აგარანი და სტეფანოს ორბელიანის აგარაკ — დარბაზი ერთი მეორეს ემთხვეოდნენ“-ო[3]), ანგარიში არ ეწევა სტეფანოს ორბელიანის მითითებას, რომ აგარაკი სოფელია და არავითარ კავშირში არ არის დარბაზთან: ივანე ორბელს მიეცა „ლორე სოფლითა და აგარაკითა და ადგილად დარბაზისა — სამშვილდე“. ერთი სიტყვით, ამ აგარაკსა და აგარან — დარბაზს შორის საერთო მომენტების მონახვა შეუძლებელია.

აქ უნდა გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ სტეფანოს ორბელიანის მითითება: „ადგილად დარბაზისა — სამშვილდე“ გულისხმობს სომეხ მეფეთა ნაქონ საზაფხულო ციხე — დარბაზს — აგარანს, რომელიც მდ. ჭიეშავის სათავეში იყო და რომლის ბაზაზეც ივანე ორბელმა დიდებული აგარაკი გაიწყო; მის სახელწოდებას, ვიმეორებთ, ყოველთვის შერწყმული ჰქონდა სიტყვა „დარბაზი“.

წინასწარ ვიტყვით: როდესაც გიორგი III-მ ორბელები, მათ შორის, რა თქმა უნდა, ივანეც გაანადგურა, მისი ზემოხსენებული აგარაკი — დარბაზიც მხოლოდ „ნადარბაზევად“ შეიძლებოდა ქცეულიყო.

ზღაპრული სიმტკიცის ციხე-ქალაქ ლორეს ამღები ქართული მხედრობისათვის მიმდებარე ერთი ბეწვა სოფელი აგარაკის აღება არავითარ სიძნელეებთან არ იყო დაკავშირებული. ამიტომაც ქართველ მემატიანეს ლორეს აღებასთან დაკავშირებული ამბების აღწერისას ეს სოფელი (აგარაკი) არც უხსენებია. სამაგიეროდ, მის ნაამბობში აგარანის აღების შესახებ ერთ დღეღამიანი ბრძოლა ჩანს: დავით აღმაშენებელმა „აღიხვნა აგარანი მეორესა დღესა ცისკრისასა,“[35] ანუ ლაპარაკია საკმაოდ მძლავრი ობიექტის „სამშვილდის ნადარბაზევის“ გატეხვაზე, რომელსაც მ. ლორთქიფანიძე ციხე-ქალაქის რიგშიც კი აყენებს[6]. ყოველ შემთხვევაში, მას შემორტყმული ჰქონდა დიდი გალავანი[37].

III. სად იყო „აბარათა“, სადაც ლორეს გარემოცვის შემდეგ გიორგი III დაბანაკდა

ქართულ საისტორიო წყაროებში არ გვხვდება მითითება განდგომილი დემნა-ორბელის ლაშქრის თავმოყრის პუნქტის შესახებ.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, 1177 წელს აგარათა ციხე, რომელსაც მკვლევარი კოჯრის ციხესთან აიგივებს, ორბელთა შეთქმულების ბუდე იყო[38]: განდგომილი „ორბელები 30ათასიანი მხედრობით, ი. შ.) იდგნენ ტაბახმელას (კოჟორს ანუ აგარაკს“)[39].

---

33 სტეფანოს ორბელიანი, ორბელიანთა ცხოვრება, გვ. 32.

34 იქვე, გვ. 39.

35 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 335.

36 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 237.

37 იქვე, გვ. 522.

38 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 326, შრდ. სტეფანოს ორბელიანი, ორბელიანთა ცხოვრება, გვ. 44, სადაც თავმოყრის ადგილად მითითებულია ივანე ორბელის აგარაკი, რომელსაც — „დარბაზი“ ეწოდებოდა.

39 იქვე, გვ. 331.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს იყო თამარ მეფის საზაფხულო სადგური, რომელშიც შედიოდა ციხე-სამაგგრე (კოჯრის, ანუ ქოროოლის ციხე, რომელსაც ოდესღაც, ნ. ბერძენიშვილის აზრით, აგარანი ეწოდებოდა), აგარათა ჭალა და დასო, „დასო საგულეებელია აწინდელი კოჯრის ციხის სამხრეთ-დასავლეთით... ასეთ ადგილად ჩვენ კაბენი გვეჩვენება“[40]. „აგარათა ჭალა იქვე უნდა ვიგულისხმოთ, სადაც დასო“, მიგვითითებს ნ. ბერძენიშვილი და დასძკვნის: „მდინარე აქ ასურეთის ხევია, ხოლო ეს აგილი დაბალია აგარის მიმართ“[41] და მას „შემვენოდა... ჭალაკე ყოფილიყო“[42].

აგარათა ციხის თაობაზე ნ. ბერძენიშვილის აზრი ზემოთ მოვიტანეთ. მაგრამ ჭალა აქ მაინც არ არსებობს, — ცნობილია მხოლოდ ასურეთის ხევი, რომელიც ზაფხულ-შემოდგომობით შრება ან წყალმცირეა.

რაც შეეხება კაბენს (ასურეთის ხევის ზემო წელზე), სწორედ იმიტომ, რომ იგი კოჯრისა და ტაბახმელის მიდამოებთან შედარებით ღრმად არის ჩავარდნილი, ზაფხულობით იქ დიდი სიცხე იცის. ვის რად უნდოდა ასეთი ჭალა და დასო, ისიც უგზო-უკვლო ხევ-ხეებში, მაშინ როცა ასეთი მიზნებისათვის შეესაფერი ადგილები ძველ სომხეთში ანუ დღევანდელი თეთრი წყაროს, ბოლნისი-სა და ღმანისის რაიონებში ყოველ ნაბიჯზე მოინახებოდა!!

ამ „ბუდეში“ 30 ათასი ცხენისნის დაბანაკება[43], სრულიად წარმოუდგენელია, რადგან აქ არ მოიპოვება ცხენებისა და ადამიანების დიდი მასებისათვის წყალი და საკვები. ცხენს დღეში 50 ლიტრა წყალი უნდა (ზამთარში —40, ზაფხულში 60 ლიტრა). 30 ათას ცხენს დღე-ღამეში მილიონნახევარი ლიტრა წყალი უნდა დაელია. ხოლო მთელი „თბილისის პირის“ სოფლების ყველა სასმელი წყარო მხოლო 55 ათას ლიტრას იძლეოდა დღეღამეში,ანუ ზემოაღნიშნული საჭიროების მხოლოდ 3%-ს. ყოველივე ეს რადიკალურად ეწინააღმდეგება მტკიცებას, თითქოს კოჯრის მიდამოები (აგარანი!) „მარჯვე პუნქტია დიდძალი ჯარის შესაყრელად“[44].

ქვემოთ ერთხელ კიდევ შევჩერდებით ამ ანბანურ ჭეშმარიტებაზე, როცა განვიხილავთ ამავე „აგარან — კოჯრის“ რეგიონში თითქმის ორი ამოდენა ცხენისნის დაბანაკებისა და ხანგრძლივად (1 კვირით) დგომის გაუმართლებელ მტკიცებას.

დავუშვათ, რომ მეამბოხენი მართლაც კოჯორ—ტაბახმელა—კაბენის „ბუდეში“ დაჯგუფდნენ და აქ იდგნენ მანამდე, სანამ არ შეიტყვეს, რომ გიორგი III თბილისიდან „წამოვიდა მთისა ზედა“[45]. ეს მართლაც ასე მოხდა.

როგორი იყო დემნა-ორბელის რეაგირება, როცა მათ გიორგი მეფის თბილისიდან გამოსვლის ამბავი მიუვიდათ?

ივანე ორბელმა თურმე მაშინვე „შეიკრიბა ყოველი მონაგები თავისი ციხესა შინა სამშვილდისასა... დაადგინა მუნ მცველი-ციხისა თავნი და თვით აღიღო სპა თავისი და დიდნი მთავარნი... და წარვიდა ლორეს“[46].

---

40 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 324.

41 იქვე, გვ. 324.

42 იქვე, გვ. 324.

43 სტეფანოს ორბელიანი, ორბელიანთა ცხოვრება, გვ. 46.

44 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 313.

45 სტეფანოს ორბელიანი, ორბელიანთა ცხოვრება, გვ. 47.

46 იქვე, გვ. 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება მიაქციეთ: ივანე ორბელი არსად არ წასულა, რათა ძვირფასი სიმდიდრე შეეფარებინა; მან სამშვილდეში შეზიდა „ყოველი მონაგები თავისი“ და „ლორეს წარვიდა“. ამ ოპერაციაზე ორბელს დიდი დრო არ მონდომებია, რაც მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ მეამბოხენი იდგნენ არა კოჯორ-ტაბახმელაში, არამედ სამშვილდედან 10—12 კმ დაშორებულ ივანე ორბელის „დარბაზად წოდებული“ აგარაკის არეში (მდ. ჭიეშავის, ტორნესა და ქციის შუამდინარეთში).

აქ უნდა გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ციხე-ქალაქ სამშვილდის ახლო-მაჯალო ასეთი ღონისძიებების (ძალთა თავმოყრა, ლორესაკენ და თბილისისაკენ მიმავალი მარჯვე გზები) განსატარებლად საჭირო ბაზა (ტეგადობისა და კონსპირაციის თვალსაზრისითაც) ივანე ორბელის ციხე-დარბაზ აგარანის (ნადარბაზეის) გარდა არ ჩანს.

სტეფანოზ ორბელიანი წერს, რომ გიორგი III-მ სამშვილდის აღებას 25 დღე მოანდომა[47]. ხოლო გიორგი მეფე სამშვილდეს მხოლოდ მაშინ მოადგა, რაც ივანე ორბელის „აგარაკსა მას“ „ეერავინ პოვა“[47].

ნ. ბერძენიშვილის აზრით, მეფე „მოადგა“ არა სამშვილდეს, არამედ ისევ და ისევ კოჯრის ციხეს, ანუ ვითომც აგარანს. რატომ? განა აშკარად არ ჩანს: რაც ივანე ორბელმა დამალა „ციხესა სამშვილდისასა“, ზუსტად ის ამოიღო ამ ციხიდან გიორგი მეფემ: ივანე ორბელმა „შეკრიბა ყოველი მონაგები თავისი ციხესა მას სამშვილდისასა“, რომელიც იყო „სავსე ურიცხვთა საუნჯეთა“; — გიორგი მეფემ „აღიღო იავარი მრავალი საუნჯითა მათთა და ყოველი მონაგები მათი“[49].

აქ ეჭვისთვის ადგილი აღარ რჩება, საუბარია ერთსა და იმავე ციხესა და ერთსა და იმავე ქონებაზე!

აი ამ ზღაპრული სიმდიდრის გამომზეურებას, აღრიცხვასა და „ათვისება“-დაბინავებას უნდა მონდომებოდა იმოდენა დრო (25 დღე), რაც გიორგი მეფეს ამ ციხის (სამშვილდის) „აღებისათვის“ დასჭირდა[50].

ასე იყო თუ ისე, გიორგი მეფემ დასარულა მეამბოხეებით გაუედილი ლორეს ციხე-სიმაგრის გარემოცვა, რის შემდეგ მან „დაიბანაკა აგარათა“ და აქედან განდგომილი ჰერების წინააღმდეგ ჯარები გაგზავნა[51].

ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, რომ ეს „აგარათა“-ც ისევ და ისევ კოჯრის ციხეა[52] რომელიც გარდა იმისა, რომ ჯარების თავმოყრისათვის ზაფხულშიც და ზამთარშიც უფარგისი იყო, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც არც ლორეში დატოვებული ჯარების, არც ჰერეთში გასაგზავნი ჯარების მართვის პუნქტად არ ეარგოდა. არავითარი საფუძველი არ არსებობდა იმისათვის, რომ გიორგი მეფე ზამთარში კოჯორში მჯდარიყო ორივე ფრონტს მოწყვეტილი. თბილისში მაინც ჩამოვიდა თავის ოჯახში. ნუთუ მან მართლა ჯარიდა თავი „მტრულ ქვეყანაში“ ყოფნას, ლორეს გარემომცველი თავისი ჯარები კი „მტრულ გარემოში“ დატოვა, როგორც ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობს?[53]

---

47 სტეფანოს ორბელიანი, ორბელიანთა ცხოვრება, გვ. 47.

48 იქვე.

49 იქვე, გვ. 47.

50 იქვე, გვ. 47.

51 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 19.

52 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 310—311.

53 იქვე, გვ. 311.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინამდვილეში კი, რა თქმა უნდა, გიორგი მეფე იმ „აგარათას“ ჩამოვიდა, რომელიც ჩვენს მემატიანეებს მოხსენიებული აქვთ ზოგჯერ პირდაპირ ასე „აგარათა“ — დ; „აგარათა შეყრა გაგგე“[54]; გიორგი ლაშას ლაშქარი დადგა „ლომთა გორსა და აგარათა (ე. ი. აგარაებს — ი. შ.) შუა“[55], ზოგჯერ „აგარათა (ე. ი. აგარების) ჭალად“[56]. და „აგარათა სომხითისათა“ — დ[57]). ეს „აგარათა“ რომელსაც ქვემოთაც ვახსენებთ, წარმოადგენდა. მდ. ალგეთის, ქცისა და მაშავერას ზონაში ნახიდურიდან ნახიდვარამდე განგრცობილ ტერიტორიას, რომელიც მიჩნეული იყო სამხრეთიდან საქართველოში შემოსასვლელად დიდ ბუნებრივ კარად[58]. ეს იგივე მარნეულის ვაკეა, რომლის ცენტრალური უბანი ვახუშტი ბაგრატიონის ხანად „ბიიდარ“ — ად, ადრე კი „წყალთაშუა“—დ იწოდებოდა. აი ეს მარნეულის ვაკის გული წარმოადგენდა აგარაებით მოფენილ უადრესად ნაყოფიერ მიწებს ჭალის მუხისა და ჭალის ტყიანი ლანდშაფტის ელემენტებით[59], აგარათა ჭალას. თავის დროზე აქ იყო თამარ მეფისა და ლაშა გიორგის საზამთრო სასახლე-სადგური დღური (იხ. ქვემოთ), რომელიც, რა თქმა უნდა, ციხე სამაგრის ელემენტსაც შეიცავდა და ამიტომ ზოგჯერ „აგარათა ციხედაც“ მოიხსენება[60].

„აგარათა“-ში ყველა პირობა იყო დიდძალი ჯარის თავმოყრისა და ხანგრძლივი არსებობისათვის. აქედან კავშირი არ წყდებოდა ქვეყნის ცენტრალური რაიონებისაკენ. აქ დამანაკებული გიორგი III კარგად აკონტროლებდა ლორეს-საკენ მიმავალ გზებსაც, რომლებზეც, ვინ იცის, თვალი ეჭირათ განდგომილ ჰერებს.

ასე იყო თუ ისე, ტიპიური საზამთრო სადგურისა და აგარებით მოფენილ მიწა-წყალზე დამანაკებული გიორგი მეფე, როცა განდგომილ ჰერებსაც ჯეროვნად გაუსწორდებოდა, ამ „აგარათა“-დან დღებედას ხეობით კვლავ „აღვიდოდა“[61] გარემოცულ ლორესთან, რომლის ბინადარნი (მეამბოხენი) უკვე არაქთამგმოცლილი იყვნენ („დაუღონოვდეს ლორესა შინა მდგომნი“)[62]. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კოჯორში ყოფნის შემთხვევაში გიორგი მეფე ვერ „აღვიდოდა“ ლორეში, რადგან თითონ კოჯორი ლორეზე მაღლა მდებარეობდა (ზღვის დონიდან).

IV. ᲗᲘᲜ „ᲒᲐᲐᲒᲝ ᲐᲒᲐᲠᲐᲗᲐ ᲨᲔᲧᲠᲐ“

1191 წელს თამარის ქმარყოფილმა გიორგი რუსმა და მსახურთუხუცესმა ვარდან დადიანმა თამარ მეფისა და დავით სოსლანის დამბოხის მიზნით დასაცლელი საქართველოს მრავალრიცხოვანი მხედრობით თბილისისაკენ ორი მიმართულებით გამოილაშქრეს: მარჯვენა კოლონამ, ვარდან დადიანის სარლობით

54 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 51.

55 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 370.

56 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 54.

57 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 369.

58 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა..., 1941, გვ. 35.

59 ქართული საბჭოთა ენციკლოპ., VI სტატიები „მარნეული ვაკე“ და „მარნეულის რაიონი“.

60 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 144.

61 იქვე, გვ. 19.

62 იქვე, გვ. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის ჯვარზე (ზეკარის უღელტეხილი) გამოსვლის შემდეგ ზემო-ქართლის გზებით თრიალეთ-სომხეთისაკენ გამოსწია. მარცხენა — გიორგი რუსის სარდლობით გორი-მცხეთის მიმართულებაზე წამოვიდა.

მაგრამ ჩანს, რომ თბილისზე გამოსალაშქრებლად მესამე კოლონაც მზადდებოდა. ეს გახლდათ განდგომილი (ქურდვაჭრის იქითა) სომხითის ძალები, რომელებსაც სათავეში ეყოლებოდათ გაგის პატრონი ივანე ვარდანის ძე კაჟნონის პატრონი მაყა და „სხვანი მის ქეეყნისა აზნაურისშვილნი“[63]. აი „ამათ ყოველთაგე აგარათა შეყრა გაადგეს“[64]. ნ. ბერძენიშვილის აზრით, კი „აგარათა შეყრა“ ვითომც ვარდან დადიანმა დაუდგინა თავის ხელქვეით კოლონას, თან ეს „აგარათაც“ მის მიერ კვლავ კოჯრის რეგიონად არის ნიჩნეული[65].

მეამბოხეთა პირველიც და მეორე კოლონაც, როგორც ვიცით თამარის ერთგულმა ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს. ქურდვაჭრის იქითა სომხითის ძალთა აქტიურ მომქმედებაზე, ამის შემდეგ, ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა. მერე ქართველმა მხედართმთავრებმა თამარისაგან ნება ითხოვეს იმ სომხითის დალაშქვრისათვის, რათა იქაური დიდაცობაც ჯეროვნად დაესჯათ. თამარმა ნებაც დართო და თვითონაც ინება ლაშქართან ყოფნა. მალე ამ პროვინციაშიც წესრიგი და მშვიდობა დამყარდა. აქედან „შემოქცეული (თამარი, ი. შ.) დადგა ჭალასა აგარათთასა, მონადირე და მონადიმე“[66].

ნადიმობის საბაბი დიდი ჰქონდათ, მაგრამ სანადირო რა იყო ამ „აგარათა“-ში?

ასურეთის ხევში, მაგალითად, სადაც ნ. ბერძენიშვილი „აგარათას“ და დასოს არსებობას ვარაუდობს, ვახუშტი ბაგრატიონს სანადირო არავითარი პირობები არ შეუნიშნავს. აგარათა ჭალა (წყალთაშუა)[67] კი, სადაც ქურდვაჭრის იქითა სომხითის ძალები უნდა შეყრილიყვნენ, ვახუშტი ბაგრატიონის აღწერით იყო „ფრიად ნაყოფიერი ესე (შრდ. საბა: „ჭალა არს წყლის პირი ნაყოფიერი“). ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი თესლთა, ხილნი წალკოტთა და მტილთა უცთური და მრავალი. აბრეშუმი, ბამბა მრავალ. პირუტყვნი აქუამდინ თხამდე ყოველნი, ფრინველნი გარეულ — შინაურნი, ყოველნი აურაცხელნი და ფრინველნი სანადირო წარჩინებული ყოველთაგან“[68].

არავითარი კავშირი ამ „აგარათა“ არ ჰქონდა კოჯორ-ტაბახმელა — კაბენთან..

V. სად დაჯგუფდა თამარის ლაშქარი შარვანში გალაშქრების წინ.

აბუ-ბექრ ათაბაგისაგან შევიწროებულმა აღსართან შარვანშამ, რომელთანაც შეხიზნული იყო ამ ათაბაგის ერთ-ერთი ძმა ამირ მირმანი, 1195 წელს თამარ მეფეს დახმარება სთხოვა. ყმადნაფიცი შარვანის დასაცავად. სამეფო ქარმა ქართული ლაშქრის თავმოყრა ბრძანა. ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ამ ლაშქრის დაბანაკების ადგილი. იგი მითითებულია „ისტორიანი და აზმანი შა-

63 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 51.

64 იქვე, გვ. 51.

65 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 311—313.

66 იქვე, გვ. 54.

67 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა..., 1941, გვ. 45.

68 იქვე, გვ. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავანდდთანის“ ფურცლებზე იმდენად ცხადად, რომ არავითარ კომენტარს არ საჭიროებს. მასში ადვილად ამოიკითხება უმაღლესი სარდლობის კომპეტენტურობა, კერძოდ, მრავალრიცხოვანი ჯარის ამოსავალ ზღუდეზე დაბანაკებისას მომავალი ლაშქრობის ძირითადი იდეების გათვალისწინების საქმეში.

შარვანისათვის სამხედრო დახმარება შამქორის ომის სახით გამოვლინდა.

შამქორისაკენ გალაშქრების წინ ქართული ჯარი, მემატიანის ჩვენებით, დაბანაკებულა მდინარეების მტკვრის, ალგეთის, ქციის (ხრამი) და ქურდვაჭრის (დებედის დელტა) ნაპირებზე[69]. ამ ლაშქრის რიცხობრივი შემადგენლობა ჩვენ მიღებული გვაქვს 50 ათასად: ანალოგიურ შემთხვევაში დავით აღმაშენებელმა შარვანში 1123 წელს 50 ათასიანი მხედრობით გაილაშქრა[70].

საისტორიო წყაროს ზემოხსენებული სავსებით ნათელი ორიენტირების მიუხედავად, ნ. ბერძენიშვილი ცხენისსანთა ამოდენა მასვლას კოჯრის (ვიოიომც აგარანის) მიდამოებში განლაგებულად მიიჩნევს (იგულისხმება თბილისი — ტაბახმელა — კაბენის ღედთა მონასტრის ზონა):

„ქალაქიდან (თბილისიდან, **ი. შ.**) მეფის კარვამდე სულ საქართველოს ჯარი იყო განლაგებული“[71]. ხოლო სად იყო მეფის კარავი? ნ. ბერძენიშვილის აზრით „აგარათა ჭალას“, რომელიც კოჯრის ციხის ძირას, კაბენის მონასტრის არეში იყო[72].

კაბენის მონასტერი კოჯრის (აზეფულა) ციხის გადასახედში — ასურეთის ხევის ზემო წელზე მდებარეობდა. მისი ადგილსამყოფელი უკვე დახასიათებული გვაქვს, როგორც სამეფო კარის დაბანაკებისა და ფართო ხასიათის მასობრივ სანახობათა მოწყობისათვის სრულად შეუფერებელი ადგილი (ასეთი სანახობანი აღსართან შარვანშას მართლაც მოუწყეს ქართველებმა[73]).

ჩვენ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე ამოდენა ლაშქრის დაბანაკება და ერთი კვირით დგომა შეუძლებელი იყო. ამდენი ცხენის საღდეღამისო საჭიროება, მარტო სასმელი წყლის მხრით, აქაური წყაროების შემწეობით მხოლოდ 2 %-თ დაიფარებოდა.

„ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით ქართული ლაშქარი დაბანაკებული იყო დასახული საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად იდეალურად შერჩეულ რაიონში, მომავალი ლაშქრობის მთავარი გზების ჩასწვრივ, ჩვენი ლაშქრისათვის ტრადიციად ქცეული საბრძოლო წყობის ელემენტების წინასწარ ჩამოყალიბებით.

დავაკვირდეთ შამქორისაკენ გასაგზავნი ქართული ლაშქრის განლაგების სქემას, რომელიც ასე ვთქვათ, ნატურაში მოიხილეს შარვანელმა მაღალმა სტუმრებმა, რათა დაერწმუნდეთ, რომ იგი ჭეშმარიტად დიდი ქართველი მხედართმთავრის ჩანაფიქრს ასახავს:

აღსართან შარვანშა და მისი დიდი ამალა[74], როგორც კი თბილისიდან გამოვიდა („რა გამოვიდეს ტფილისიან“), იქვე, ალბათ“ სადღაც ფონიჭალა — სარვანის ველზე დაბანაკებულ ოსთა და ყივჩაყთა მხედრობას შეხვდნენ, რომლე-

---

69 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 64.

70 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 343.

71 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 321.

72 იქვე, გვ. 324.

73 ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 67.

74 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 64„მოვიდეს ამირ-მირმანი ფალავანდიშვილი და აღსართან შარვანშა ყოველსა არანისა დიდებულითა ჴულამითა“ (მონასპა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც ოდნავ სამხრეთით მდგომ „ქართველებთან“ (ქართლელებთან) ერთად, როგორც დაქირავებულნი, მეფის ალამს „ეპყრა“[75].

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ქართული ლაშქარი სამხრეთისაკენ გალაშქრებისათვის იყო მომზადებული ისე, რომ თბილისიდან წამოსული სტუმრები თავდაპირველად ლაშქრის განლაგების ბოლოში მდგომ ჯგუფებს, ქვემოთ და ქვემოთ (ქცია-ლებედისაკენ ყარჩლამდე) კი — ჯარის წუობის წინა ელემენტებს შეხვდებოდნენ. მართლაც, ოსთა და ყივჩაყთა შემდეგ სტუმრებს ჰერნნი და კახნი შემოეყარნენ, რომელიც ტრადიციულად ქართული ლაშქრის წყობის ბარცხენა ფრთას ჰქმნიდნენ და გასაგებია, რომ დაბანაკებული უნდა ყოფილიყვნენ მარცხნივ, მტკვრის მხარეს, სადღაც მდ. ალგეთის შესართავის არეში; მათს შორიახლო, უფრო სამხრეთით, ალგეთის სამრეთ ნაპირზე ივარაუდება „ქართველთა“ ჯგუფი, რომელიც შარვანელმა სტუმრებმა მოიხილეს (მეფის ალმის კუთვნილება); ქართლელთა უფრო სამხრეთით, მდ. ქციისა და მტკვრის შესაყართან, ნაწილობრივ ამ წყლის იქითაც (ყარჩლამდის), ანუ ყველაზე წინ სტუმრებმა იხილეს „მეესნი, თორელნი, შავშ-ალარჯ-ტაოელნი“. რომლებიც ტრადიციულად ქართული ლაშქრის ავანგარდს :ჰქმნიდნენ. ამათ სამხრეთით მზეჭრავთა გარდა ალარავინ უნდა ყოფილიყო და სტუმართა მიერ შეხვედრილი „სვან-მეგრელ-გურულნი თანა რაჭა-თაკვერი-მარგველთთერთ“, რომელნიც ტრადიციულად ქართული ლაშქრის მარჯვენა ფრთას ჰქმნიდნენ, რა თქმა უნდა, ამ ავანგარდის წინ კი იგულისხმებიან; მტკვრის ნაპირი ხომ დაკავებული იყო „მემარცხენე“ ჯგუფით. მაშასადამე ეს „მემარჯვენე“ ჯგუფი ავანგარდის მარჯვნივ (დასავლეთით), სადღაც მდ. დებედას დელტის პირდაპირ, აწინდელი სოფ. ბაიდარის მიდამოებში იგულისხმება. სტუმართა კოლონასაც, ქართველი მეფის თანმხლები წარმომადგენლის რჩევით, ავანგარდის ადგილიდან დასავლეთისაკენ (მარჯვნივ) უნდა გადაეხვია.

ქართული ლაშქრის ამ უკანასკნელი ელემენტის შემდეგ ალსართან შარვანმა და მისი ამალა, როგორც წყარო მიგვითითებს, თამარ მეფის კარვის კართან აღმოჩენილია, სადაც მათ „ხელისუფალნი და მინაურნი“ შეეგებნენ. აქ ივარაუდება ქართველ მეფეთა საზამთრო სადგური. სახელდობრ სად იყო იგი, ცოტა ქვემოთ გავიგებთ).

ცნობილია, რომ მეფეთ-მეფე თამარმა და მეფე დავითმა შარვანელ სტუმართა დასახვედრად „დასოდან“ „აგართა ჭალაში“ გადაინაცვლა[76].

ეს ადგილგადანაცვლება ნ. ბერძენიშვილის შემოთავაზებული სქემით თუ ვიმსჯელებთ, სადაც „დასო“ და „აგართა ჭალა“ ლოკალიზებულია კაბენის მონასტრის არეში, ორიოდ ნაბიჯზე გადასვლა იქნებოდა, რასაც ფაქტობრივად არავითარი ცვლილება არ მოჰყვებოდა სტუმართა დიდი ამალის მიღების ორგანიზაციაში. ამავე დროს ცნობილია, რომ „დასო“ და „აგართა ჭალა“ სრულიად სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებია და ამიტომ სტრუქტურა — აგებულებითაც განსხვავებული არიან. „დასო“ — ტყიანი ადგილი იყო მთაში, „ჭალა“ — აგარაებით **(დასაქმებული მიწის ნაკვეთებით, ძირითადად კერძო[77])**

---

75 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა..., 134, გვ. 22.

76 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 64 (ჯარს რომ თავი მოუყარეს. „დადგეს დასთთა შინა“, ხოლო როდესაც სტუმრები საქართველოს ფარგლებში შემოვიდნენ, — „დადგეს ჭალასა აგარათსა“).

77 მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“, 1963, გ. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოფენილ ნაყოფიერ სანახებს გულისხმობს. „დასნში“ მხოლოდ ქარვები იდუნება და იგი, როგორც წესი, სტაციონარულ ნაგებობებს მოკლებული იყო, თუ კი შერწყმული არ იქნებოდა მეფის საზაფხულო სადგურთან (საზაფხულო ციხე-დარბაზებთან)[78]. „აგართა ჭალაში“ (ჭალაში) ასეთების არსებობა გარდუვალია და იგი არსებითად განიხილება, როგორც საზამთრო სადგური (საზამთრო ციხე-დარბაზი)[79].

გასაგებია, რომ ხანგრძლივი და მრავალრიცხოვანი სტუმრობა-ნადიმობანი, მით უმეტეს ღამისთევით, უამინდობისას, „დასნს“ პირობებში დიდ უხერხულობასთან იქნებოდა დაკავშირებული.

აღებულ კონკრეტულ შემთხვევაშიც „დასნ“-დან „აგარათა ჭალაში“ ქართველ მეფეთა ადგილგადანაცვლება მხოლოდ ზემოხსენებულ მოსაზრებათა გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო, ოღონდ არა კოჯორ-კაბენის ფარგლებში, არამედ უკვე თავმოყრილი ქართული ლაშქრის განლაგების მასშტაბებთან კავშირში.

სარვანის უწყალო და უნაყოფო ველს, აგრეთვე უტყეო და უწყალო იაღლუჯის[80] კალთების ჩაღლის შემდეგ, შარვანელი სტუმრები ერთბამად სამოთხისებურ გარემოში აღმოჩდნენ, რასაც ზემოხსენებული „წყალთაშუა“ წარმოადგენდა თავისი უმდიდრესი ფლორითა და ფაუნით.

ამ რეგიონში იყო თამარ შეფისა და მისი ძის ლაშა-გიორგის საზამთრო სადგური. თამარი თავისი ოჯახით „გადმოვიდნენ ქართლს, სომხითს და დადგიან დურსს“, სადაც „მოვიდიან განძეულნი და აღრართალაქელნი“[81], ან „მეფე თამარ ზამთრის დურს იყვის, ზაფხულის კოლას“[82], ასევე ლაშა-გიორგი „საზამთროდ დადგის დურს სომხითისსა“[83].

დური სომხითის ტერიტორიაზე იყო, რომელიც ადრე ხუნანის საერისთაოს შეადგენდა[84]. შაჰ-აბას I-ს განსაკუთრებით აინტერესებდა ძრი ათვისება (მიტაცება), როგორც „შესავალ-გამოსავალი ადგილად ქართლსა შინა“[85], ე. ი. როგორც დიდი ბუნებრივი კარი, თუ კი ასეთი დასკვნამდე ეს შაჰი, ასე ვთქვათ, ერთი ნახვით მივიდა, ბუნებრივია, რომ მსგავსი შეხედულება ნახიდურიდან ნახიდურამდე გაშლილი ვაკის მიმართ, უფრო ადრე სომხითის დიდი ხნის ბინადრებს უნდა ჩამოყალიბებოდათ. მდ. ქციას უძირო ხრამის დასასრულში (მარნეულის ვაკის დასაწყისში) შექმნილი პირველი კაპიტალური ხიდის თავთან ახლად წარმოქმნილი დასახლებისათვის, საფიქრებელია, უფრო მაშინ, როდესაც ეს პროვინცია დროებით მოწყვეტილი იყო ქართლს (IX—X სს)[86], ნახდური უწოდებიათ. ეს ტერმინი არავითარ კავშირში არაა „ხიდუმყოფელობასთან“. ნახდური შედგენილია ორი ცნებისაგან „ნახ“-ი, რაც უმთავრესს, ძირითადს, პირველს ნიშნავს და „დურ“-ი, რაც კარს ნიშნავს, — ე. ი. ნახდური მთავარი კარია ასევ წარმოქმნილი მაგალითად, ნახჩევანიც,

78 ასეთად იგულისხმება ციხე-დარბაზი აგარანი (აწინდელი ნადარბაზევი).

79 ასეთად იგულისხმება საზამთრო სადგური დური (იხ. ქვემოთ).

80 ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 328.

81 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 99.

82 იქვე, გვ. 111.

83 იქვე, გვ. 156.

84 ეახუშტი ბაგრატიონი, აღწერა..., გვ. 37.

85 იქვე, გვ. 35.

86 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III 1979, გვ. 199.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც ხანი „მთავარი“ „ძირითადი“-ს „იჩევან“-ი („იჯევან“) კი „სადგურის“[87] აღმნიშვნელია.

საინტერესოა, რომ ვახუშტი ბაგრატიონი მხოლოდ ერთხელ იყენებს ტერმინ „ნახიდვარს“ — „გატხელილ ხიდზე საუბრისას. „ნახიდურის“ გამოყენების ხუთივე შემთხვევაში მას მხედველობაში აქვს ზემოხსენებული სოფელი ნახიდური (ქოლაგირისაკენ)[88]. ფრიად ხელსაყრელი ფონეტიკური მსგავსების გამო ბოლოს და ბოლოს ქართული სმენა შეეჩვია, ტოპონიმ „ნახიდურ“-ს, ნახიდურად გადაიქცა იგი და ნახიდვარსაც გვერდში ამოუდგა, როგორც აგრეთვე „ხიდუმ-ყოფელობის“ აღმნიშვნელი ტერმინი. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ნახიდურით“ საკ.ებით მართებულად, არ არის შეტანილი როგორც „ნახიდარის“ სინონიმი.

შესაძლებლად მიგვაჩნია დავასკვნათ, რომ: — შარვანშას დასახმარებლად თავმოყრილი ქართული ლაშქრის დაბანაკება კოჯორ-ტბაბაზმელას მიდამოებში, რასაც ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობს, ეწინააღმდეგება ამ თემაზე არსებულ ჰიდროგეოლოგიური კვლევის მონაცემებს[90].

საზაფხულო სადგურის ნაირსახეობა — „დასოც“ არ გაიაზრება, როგორც სამუდამოდ შერჩეული ტყის უბანი; ქვეყნის არაერთ კუთხეში ძვირფასი სასახლე — სადგურების მქონე თამარსა და ლაშა გიორგის არავინ და არაფერი უმჯობესთ ხელ ნებისმიერ კეთილსასურველ ადგილებში კარვები გაეშალათ და ზაფხულ-შემოდგომა გეიტარებინათ. ყოველ შემთხვევაში, კაბენის დედათა მონასტრის მიდამო (ასურეთის ხევზე) ასეთის დანიშნულებას ვერ ამართლებდა (სიცხე, მნიშვნელოვანი გამეჯოლი გზა). ამ მონაცემებიდან ვხედავთ, რომ თამარის, მისი მამისა და მემკვიდრე — ლაშა გიორგის მოღვაწეობის ხანაში დედაქალაქის სიახლოვეს — სომხითის ტერიტორიაზე მძლავრი ციხე-ქალაქების დმანისის, ლორესა და ხუნანის ზურგში მკაფიოდ გამოიკვეთა საზამთრო და საზაფხულო ჭეშმარიტად სამეფო სადგურების ჯგუფი, რომელშიც შედიოდა ა) საერთოდ დანიშნულების საზამთრო (დური) და საზაფხულო (ადარან-ნადარბაზევი) ციხე-დარბაზები და ბ) დედოფალთა სასუფეველი ციხე-დარბაზები ტბაბაზმელასა (თამარის) და სამშვილდეში (თამარის მამიდა რუსუდანის). ეს ფართო და მდიდრული სადგურების სისტემა უდავოდ შეშვენოდა თითქმის მთელი კავკასიის ფარგლებში გაშლილი საქართველოს მძლავრი ფეოდალური სახელმწიფოს მესვეურებს, ვიდრე კოჯორ-კაბენის შეუდარებლად ვიწრო და მრავალმხრივ უხერხული ადგილები.

VI. ლაშა-გიორგის 90 ათასიანი ლაშქრის მოგებიერებით პოზიციის შესახებ

ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე წერს, რომ მონღოლებმა „მეორესა წელოწადსა კულაკაცა მიმართეს და დადგეს ბარდავის ჭალასა. შეიყარა სამე-

87 გ. ნ. გეხტმანი და სხვები, გეოგრაფიულ სახელთა ახსნა — განმარტებანი, 1965, გვ. 9; ივ. ომნიშვილი, სინური მრავალთავი, 1975, გვ. 207 (ლექსიკონში).

88 შდრ. ნახადურ —ი/სომხ./მთავარი/პირველი/კარი/. იხ. Толковый словарь армянского языка, II, с. 427, Ереван, 1944.

89 ქართული ცხოვრება, II, 1959, გვ. 64.

90 ავტორმა წარმოადგინა საქ. გეოლოგიის სამმართველოს მიერ 1985 წლის 5 მარტის გაცემული დამდასტურებელი ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფო მისი და მოირთნა კარნუქალაქისა ლაშქარნი, დადგა ლომთა — გორსა და აგარათა შუა“[91] ამ ლაშქარში 90 ათასი მხედარი ითვლებოდა[92].

წყაროები ადასტურებენ რომ მონღოლები ბარდავის მხრიდან მტკვრის მარჯვენა ნაპირის გზებით მოიწევდნენ საქართველოს დიდი ბუნებრივი კარისაკენ, ამ კარში გადიოდა ჩვენი მტრებისათვის ხელსაყრელი ხუნან-გაგი-ლომთა — გორას მიმართულება. ამ მიმართულების გადასაღობად გარდიგარდმო უნდა გახიდულიყო ქართული ლაშქრის პოზიცია, როგორც მდინარის გადამღები კაშხალი. განა ნორმალური იქნებოდა, რომ ასეთი კაშხალი მდინარის დინების ჩასწვრივ ეგოდთ და არა გარდიგარდმო? სამწუხაროდ, სწორედ ასე აქვს წარმოდგენილი ლაშა-გიორგის ლაშქრის პოზიცია ნ. ბერძენიშვილს[93] და ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ლომთა-გორის მხარდამხარ მოხსენიებული „აგარათა“-ც მას კოჯრის ციხესთან აქვს გაიგივებული. ამიტომ ლაშა-გიორგის ლაშქარიც, ნ. ბერძენიშვილმა კოჯორ-მარნეულს შორის განლაგებულად წარმოიდგინა, თანაც ალმოსავლეთისაკენ პირმოქცეული[94]...

დაივიწყა, რომ მონღოლები სამხრეთიდან მოდიოდნენ.

სწორედ ამით მტკიცდება, რომ არც „აგარანი“ და არც „აგარათა ჭალა“ არ შეიძლება მივიჩნიოთ კოჯრ-ტაბახმელაში არსებულად.

ნ. ბერძენიშვილი ამბობს, რომ „ლაშა გიორგის ლაშქარი ბუნებრივად წარმოგვიდგება დაბანაკებული კოჟორ-ეაშლოვან-მარაბდა-მარნეულის ხაზზე“-ო. უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოაღნიშნულ — „ხაზზე“[95] დაბანაკება უფრო უარეს მდგომარეობაში ჩააგდებდა ლაშა გიორგის 90 ათასიან ლაშქარს, ვიდრე ივანე ორბელისა თუ თამარის ჯარს კოჯორ-ტაბახმელა-კაბენის მიდამოებში, — აქ ასურეთის ხეეიც არ არსებობდა!

„ლომთა-გორა და აგარათა შუა“ განლაგება არ ნიშნავს ამ ორ პუნქტს შორის ჯარის ჩამწკრივებას. ზოგადად ეს ნიშნავდა პოზიციის დაკავებას მდ. ალგეთსა და ქციას შუა. დიახ „შუა“! რაც მემატიანესაც კარგად სცოდნია, რომ ნიშნავდა „რისამე ნაპირებიდან თანაბარი მანძილით დაშორებულს“ (ქეგლ. VII, 1962).

რის ნაპირები იგულისხმება?

ლომთა გორით მემატიანე მიგვანიშნებს კლდოვანი ბორცვების გრძელ ჯაჭვზე, რომელიც მდ. ალგეთის მარჯვენა ნაპირს გასდევდა: „იმზღვრების მდინარე ეს (ალგეთი, — ი. შ.)... სამხრით ლომთა-გორის წასარული წრაუთის თავამდე“[96], ხოლო „აგარა“-თი იგი აღნიშნავს მდ. ქციას ქვემო წელზე აგარაებით მოფენილ მაღალნაყოფიერი სავარეულების ზოლს — ზემოთ უკვე ხსენებულ „წყალთაშუას“. ბორცვების ამ ჯაჭვსა და „წყალთაშუას“ შუა მდებარე, სამხრეთისაკენ პირმოქცეულ პოზიციაზე დაბანაკებულად მიიჩნევდა სამხრეთიდან მონღოლთა შემოსევის მომლოდინე ლაშა-გიორგის ლაშქარი. დიახ „ლომთა გორსა და აგარათა შუა“, ე. ი. ქართლის დიდ ბუნებრივ კარში 90 ათასიანი ქართული ლაშქრის ჩაყენება, მიუხედავად მოსალოდნელი შემმის ბედისა, ყოველმხრივ გამართლებული იყო!

---

91 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 370.

92 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 164.

93 ნ. ბერძენიშვილის; დასახ. ნაშრომი, გვ. 315—317.

94 იქვე, გვ. 317.

95 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 317.

96 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 46, 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს უაღრესად ხელსაყრელი პოზიცია აღმოჩენილი არ არის ლაშგიორგის მიერ. იცნობდა რა მის დიდ სრატეგიულ ღირსებებს, დავით აღმაშენებელმა, მაგალითად „რახლის“ ნაპირებზე გალაშქრების წინ, აქ, ნახიდურთან დაჯგუფა თავისი არმია და „ზატიკის“ (აღდგომის) აღნიშნვნის შემდგე შეტევაზე გადავიდა[97]. ეს პოზიცია ჰქონდა დაკავებული დავით სოსლანს ლაშქარსაც. შამქორისაკენ გალაშქრების წინ[98]; აქ დაბანაკდა გიორგი III ლორეს გარემოცვის დამთავრების შემდეგ[99]...

VII. ხხვა შენიშვნები

1. რას ნიშნავს „ხმელსა დგომასა შინ“? „ისტორიანი და ახმანი შარავადდეთანის“ ავტორი თამარის გარდაცვალების ადგილს „ხმელს“ რომ გვთავაზობს, არავითარი საფუძველი არ არსებობს ტაბახმელასთან მისი გაიგივებისათვის. ამ „ხმელის“ გამოყენებამდე, ავტორი უკვე ორჯერ ახსენებს ტაბახმელას — ლაშა გიორგის დაბადებისა და შამქორის ომში ქართველთა გამარჯვების ფაქტებთან დაკავშირებით[100]. რა საფუძველი გვრჩება იმისათვის, რომ მას ამ სოფლის ნამდვილი სახელი მაინცდამაინც „მაშინ დაავიწყდა, როდესაც თამარის გარდაცვალების ადგილს ასახელებდა?

ბასილი ეზოსმოძღვარი და ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე — თამარის გარდაცვალების ადგილად მიუთითებენ „აგარათა“[101]—ს ან აგარათა ციხეს“.[102] ამ ნიადაგზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ „აგარათა“ და „აგარათა ციხე“ ერთი და იგივე ობიექტებია და წყალთაშუას“ — იგივე აგარათა ჭალას“ უდრის, სადაც ნახიდურის“ არეში, თამარის (აგრეთვე გიორგი ლაშას) საზამთრო ციხე-დარბაზი არსებობდა.

არც კოჯრი და არც ტაბახმელა (ზემო თუ ქვემო) არც იქ არსებული კოჯრის ციხე (ძველად-აზეული) არასოდეს აგარანად არ იწოდებოდა. ამიტომ ჩვენი მემატიანეები ტაბახმელასაც თამარის დროისათვის ტაბახმელად მოიხენიებენ.

ჩანს, რომ ტაბახმელა იყო საკუთრივ თამარის, როგორც ქალისა და დედის, სადგურ-საცხოვრებელი. საგულისხმოა, რომ თამარმა ტაბახმელის სიახლოვეს დაიარსა დედათა მონასტერი (ცაბენი)[103]. და კიდევ ერთი შტრიხი: მემატიანენი ტაბახმელას ბეთლემს ადარებენ: „ტაბახმელისა ბეთლემად-მყოფელმან ფუნ შვა ძე... გიორგი“[104] სახარების მიხედვით ბეთლემი ხომ ქრისტეს შობის ადგილად ითვლება...

2. რას გეუწყებენ ობიექტების სიმაღლეები ზღვის დონიდან? სავსებით ნათელია ნ. ბერძენიშვილის აზრი, რომ ქართულ მატიანეებში მოძრაობის აღმნიშვნელი მითითებები: „აღვიდა“, „შემოდგა“ და მისთანანი[105], მართლაც, გვიადვილებს ამა თუ იმ ობიექტის ადგილსამყოფელის დადგენას.

97 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 334.

98 იქვე, გვ. 65.

99 იქვე, გვ. 19—20.

100 იქვე, 56—73.

101 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 369.

102 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 144, 146.

103 ვახუშტი, აღწერა, გვ. 47.

104 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 56.

105 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 308, 311, 322, 324.

აი მაგალითად, ბასილი ეზოსმოძღვარი ამბობს, რომ გარდაცვლილი თამარ მეფე „აღმოიყვანეს და მცირედთა დღეთა შინა მცხეთად დადვეს“[106].

გასაგებია, რომ ტბახმელაში გარდაცვლილი მეფის ნეშტს მცხეთაში ვერ „აღმოიყვანდნენ“, რადგან პირველი 450 მეტრით მაღალია მეორეზე! აქედანაც კასაგები ხდება, რომ თამარი გარდაიცვალა არა ტბახმელას, არამედ მცხეთაზე დაბლა მდებარე პუნქტში — „აგარათთ“-ში (აგარათა ჭალაში), რომელიც მეფის საზამთრო სადგურ — „დურ“-თან შეიძლება გავაიგივოთ. „კოჯორ-ტბახმელას საზაფხულო სადგურში ავადმყოფი ქალის აყვანა და ნოემბერ — დეკემბერში იქ გაჩერება არც იყო საეარაუდო: ნოემბერ-დეკემბერში იქ უფრო ცივა, ვიდრე კაბენის ქვაბულში, სადაც ნ. ბერძენიშვილის აზრით „დასო“ არსებობდა.

სინამდვილეში, რა თქმა უნდა, პირიქით უნდა მომხდარიყო, — დასოდან, რომელიც უფრო მაღალ და გრილ ადგილად იგულისხმება, ავადმყოფი მეფე შედარებით თბილ გარემოში, დაბლა უნდა ჩამოეყვანათ, მაგრამ სად?

გვჭირდება კი თამარ მეფისათვის ამგვარი გაჭირვების ჟამს გამოსაყენებელი სადგურებისა და მათი სახელწოდებების ძიება ან გამოგონება?

სომხითის მხარეში თამარს ჰქონდა საზაფხულო და საზამთრო სადგურები, რომლებიც ნადარბაზევის მაგალითზე თუ ავიღებთ, ციხე-დარბაზს წარმოადგენდნენ. ნადარბაზევი ზღვის დონიდან ტბახმელას დონეზე იდგა ისე, რომ აქ თუ ამოიყვანდნენ სნეულ მეფეს, არავითარი სხვა „დასო“ აღარ იყო საჭირო...

თამარ მეფე ნაჭარმაგევიდან თბილისში წამოუყვანიათ[107].

აგარანის (ნადარბაზევი) საზაფხულო ციხე-დარბაზამდე მგზავრობა (60—70 კმ) მომქანცველი იქნებოდა, მაგრამ მცირე ხნით თბილისში შეესვენების შემდეგ, უეჭველია, მისიღე (თამარის) ნებით გზა მაინც გაუგრძელებიათ დასოსაკენ.

აქ კვლავ ვიტყვით, რომ „დასო“ არ არის სამუდამოდ შერჩეული, უცვლელი პუნქტი. ასე რომ ყოფილიყო, „დასო“ საკუთარ სახელად უნდა ქცეულიყო, როგორც „აგარანზე“ ვამბობთ. მაგრამ რაკი დასო ძველ ქართულ ლექსიკონებში განმარტებულია, იგი საკუთარი სახელი არ იყო; დასოდ შეიძლება გაგიგოთ ნებისმიერი ტყის უბანი, თუკი მეფის დასტური იქნებოდა... ამაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ნ. ბერძენიშვილის აზრით, ავადმყოფი თამარი წაიყვანეს უეჭველად იმ „დასო“-ში, რომელსაც იგი კაბენის მონასტერთან იგულებს[108].

ჩვენ კი გვესახება, რომ თამარი აგარანის (ნადარბაზევი) საზაფხულო ციხე-დარბაზში[109] უნდა ეყვანათ. აქ არა მარტო შეუდარებელი მყუდროება, სალი და გრილი ჰაერი, წყალუხვი ნაკადულები, უნიკალური წყალსადენი, საგანგებოდ აწყობილი სასახლის მეურნეობა და მომსახურე პერსონალი იყო, იგი თვითონ იდგა ტყეში, ხოლო შორიახლო, ბედენის მწვერვალის ფერდობზე —

106 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 146.

107 ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 144.

108 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 324.

109 ნადარბაზევი — თამარის ნასასახლეევია (იხ. ვახუშტი, აღწერა..., გვ. 44).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულამაზესი ნაძვნარი იყო შეფენილი. მძლავრი გალავნით დაცულ მის ხალვათ ეზოში ან უშუალო გარემოში, შეიძლებოდა კარვების გაშლა და დასის კვლობაზე ცხოვრება ისე, რომ ფიქრადაც კი არ ექნებოდათ უამინდობა. მემატიანე ამბობს, რომ ავადმყოფობის გაუარესების გამო თამარი საზაფხულო საღგურიდან (დასოდან) უკან წამოუყვანიათ და ადარათას ან ადარათა ციხეში (საზამთრო საღგურ დურში) დაუბინავებიათ, სადაც გარდაიცვალა კიდეც. მხოლოდ აქედან შეეძლოთ „აღმოეყვანათ“ იგი მცხეთას.

3. არ ვიცით რა მიზნით, მაგრამ ნ. ბერძენიშვილი ხშირად მიგვითითებს კოჯრის ციხის (მისი აზრით — ადარანის) დიდ მნიშვნელობასა და თავისებურ დამსახურებაზე.

ივი ფრიად მაგარი ციხე ყოფილა[100];

ივი „მარჯვე პუნქტია დიდძალი ჯარის შესაყრელად“[111].

ჩვენს საისტორიო წყაროებში ვერ ვპოვე ამ დებულებათა დამადასტურებელი ცნობები; პირიქით, ახლაც ვერაფერით ამიხსნია ის ამსოლუტური უყურადღებობა კოჯრის ციხისადმი (ნ. ბერძენიშვილის აზრით — ადარანი), რაც გამოსაკვლევს ჩვენი ყველაზე დიდი მტრების (ბუღა თურქი, მურვან ყრუ, მონღოლები, შაჰაბასი) საქციელში. დამაჯერებელი რამ არც ამის შესახებ მოინახება ხსენებულ წყაროებში, ვითომც მის ძირში გადიოდა საქვეყნო საქარავნო გზა. მაგრამ ამ საბუთ-საფუძვლების მონახვითაც არაფერი ითქმება კოჯრის ციხისა და ადარანის იდენტიფიკაციის სასარგებლოდ.

И. Д. ШАИШМЕЛАШВИЛИ

АЗЕУЛА, КОДЖРИС-ЦИХЕ, АГАРАНИ

Резюме

В статье впервые ставится вопрос об истинном местонахождении Агарани — топонима, который часто упоминается в летописях Грузии с XI века. На основании сопоставления достоверных исторических данных и фактов автору удается подтвердить, что Коджорская крепость, или как она в древности называлась (по Вахушти Багратиони) — Азеула, никогда не называлась Агарани. Все исторические, в основном, военного характера явления, в центре которых фигурирует Агарани, как они изложены в источниках, имели место не в Коджори или в соседнем с ним Табахмела, а в десятках километров юго-западнее и западнее — в долинах рек Кция (Храми), Алгети, Чивчави и Торне, в зоне Самшвилде, Нахидари, Надарбазеви. Само название Агарани в летописях Грузии появляется лишь в XI веке — после возвращения в состав Грузии временно находящегося во владении армянских царей города-крепости Самшвилде и ее окрестностей. Да, именно окрестностей Самшвилде, что повсеместно подчеркивается в современной научной литературе (например, Очерки по истории Грузии, т. III, 1979 г, с. 66, 199) и именно в пределах

110 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 310.

111 იქვე, გვ. 313.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(там же, с. 512) которых находился великолепный летний замок. По всему видно, что Баграт IV (1027—1072 гг.) именно ввиду таких свойств сделал Самшвилде своей вотчиной (там же, с. 307). Более того, имеются намеки на то, что даже в самое бурное время царь Баграт уже пользовался этой летней резиденцией (КЦ, I, 1955, с. 314). По мнению автора этот Агарани и есть современный Надарбазеви (буквально — бывший дворец), возведенный в XI в. в междуречье Чивчави и Торне на высоте ок. 1800 м. Позднее его именовали летней резиденцией царицы Тамары (Вахушти, Описание). А значительно раньше по повелению Давида IV, ею владел Иване Орбели, при котором в названии этого объекта всегда включалось два слова: Агарани (дача) и Дарбази (дворец). (Стефаноз Орбелиани, Жизнь Орбелианов, 1978, с. 45). После разгрома Орбелианов (1177 г.) Дарбази Иване Орбели окончательно стало именоваться Надарбазеви (т. е. бывший дворец).

წარმოდგენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი

სარგის კაკაბაძის დაბადების 100 წლისთავი)

1986 წ. 19 ოქტომბერს დაბადების 100 წელი შეუსრულდა თვალსაჩინო ქართველ ისტორიკოსს, პედაგოგსა და ქართული კულტურის დაუცხრომელ მოამაგეს სარგის ნესტორის ძე კაკაბაძეს.

სარგის კაკაბაძე დაიბადა 1886 წ. 19 ოქტომბერს სოფ. კუხში (აწინდელი წულუკიძის რ-ნი). 1905 წ. დადამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. იმავე წელს ს. კაკაბაძე სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში გაემგზავრა და ჩაირიცხა ვენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ისტორიის განყოფილებაზე, მაგრამ ხელმოკლეობის გამო იძულებული გახდა ვენის უნივერსიტეტი დაეტოვებინა და 1907 წ. გადმოვიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე. 1910 წ. დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტი და სამშობლოში დაბრუნებისთანავე შეუდგა ინტენსიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ს. კაკაბაძე 1911—1919 წლებში ლექციებს კითხულობდა საქართველოსა და ბიზანტიის ისტორიაში, აგრეთვე, ასწავლიდა ლათინურ ენას თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე. იყო იმავე სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი, პარალელურად პედაგოგიურ საქმანობას ეწეოდა თბილისის მესამე გიმნაზიაში. 1918—1932 წწ. იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელი.

საქართველოში საბჭოური ხელისუფლების დამყარებისთანავე ს. კაკაბაძე ენერგიულად ჩაუდგა სათავეში საარქივო საქმის ორგანიზაციას. 1921—1926 წწ. ის მუშაობდა ცენტრალური ისტორიული არქივის გამგედ. ამ პერიოდში ს. კაკაბაძის უშუალო ხელმძღვანელობით ისტორიულ არქივში თავმოყრილ იქნა 6 მილიონამდე საარქივო საქმე (იხ. საისტორიო მოამბე, 1924, I, გვ. 267,—281; საისტორიო მოამბე, 1925, I, გვ. 133—145; 270—274). მნიშვნელოვანია ს. კაკაბაძის დამსახურება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მატერიალური კულტურის ძეგლებისა და ხელნაწერთა ფონდების ჩამოყალიბებაში.

ს. კაკაბაძე 1924—1934 წწ. ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ სიძველეთა, ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილებას, რომლის ინტენსიური საქმიანობის მეოხებით საქართველოს ეკლესია-მონასტრების განკარგულებაში არსებული ხელოვნების ნიმუშების უდიდესი ნაწილი განადგურებას გადარჩა და საიმედოდ იქნა დაცული.

წლების განმავლობაში ს. კაკაბაძე ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, თელავის, პედაგოგიურ ინსტიტუტებში. ის ერთ-ერთი დამაარსებელია ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტისა, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

1933—1935 და 1938—1949 წწ. იყო საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე. ხოლო 1964 წლიდან გარდაცვალებამდე (1967 წ. 2 აპრილი) — იმავე ინსტიტუტის კონსულტანტი.

მრავალმხრივია ს. კაკაბაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელიც ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიის მრავალ ძირეულ პრობლემას მოიცავს.

ს. კაკაბაძეს შესწავლილი აქვს შუა საუკუნეების საქართველოს ეკონომიკური ისტორიის არაერთი საკითხი. სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ ნაშრომებში (მაგალითად, „საქართველოს მოკლე ისტორია“ (1920), „საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ XVIII საუკუნეში“ (1924), „საფასის ისტორიისათვის საქართველოში“ (1925), „საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკუნეში“ და სხვა) მკვლევარმა საფუძველიანად გააშუქა IX—XVIII სს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტები: საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ხელოსნობა, ფულის მიმოქცევა და სხვ.

ს. კაკაბაძე ერთ-ერთი პირველი მკვლევარია, რომელმაც 20-იან წლებისათვის ხელმისაწვდომი მასალების (წერილობითი, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური) საფუძველზე ახლებურად გააშუქა ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის პრობლემა. მკვლევრის არაერთმა საყურადღებო მოსაზრებამ თუ ცალკეულმა დაკვირვებამ მნიშვნელოვნად გაამდიდრეს ქართული ისტორიოგრაფია, ხელი შეუწყეს აღნიშნული პრობლემის შემდგომ გაღრმავებულ კვლევას და დღესაც ინარჩუნებენ სამეცნიერო ღირებულებას. ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ს. კაკაბაძის მოსაზრება 20-იან წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში ძველი პერიოდის ქართლში მონათმფლობელური წყობილების არსებობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ეს თეზისი გარკვეული ქრონოლოგიური კორექტივით მიღებული იყო ქართული მარქსისტული ისტორიოგრაფიის განსაზღვრულ ეტაპზე. ს. კაკაბაძემ ერთ-ერთმა პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში დასვა და ორიგინალურად გააშუქა ქართლის ფეოდალიზაციის ადრინდელი ეტაპის არაერთი საკითხი (ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვა — განვითარების ამოსავალი საფუძვლები, ფეოდალიზაციის პროცესის ქრონოლოგიური ეტაპები, გლეხთა სოციალური ფენის ჩამოყალიბების გზები).

ს. კაკაბაძის მეცნიურული ინტერესების სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია XI—XII სს. საქართველოს სოციალური განვითარების საკითხებს. მკვლევარმა სცადა აღნიშნული პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების დონის განმაზოგადებელი შეფასება მოეცა, ამ თვალსაზრისით მან წინა პლანზე წამოსწია პირობითი ფეოდალური მფლობელობის ე. წ. „საკარგავების“ სისტემის წარმოშობისა და განვითარების არსებითი ნიშნები, თავისუფალ მიწისმოქმედთა სოციალური ფენის დამოკიდებულ მწარმოებელ კლასად (გლეხი) გადაქცევის ხანგრძლივი პროცესის მასშტაბური ხასიათი XI—XII სს. მიჯნაზე, დავით აღმაშენებლის სოციალური პოლიტიკის არსი (სამხედროლეწური მიწათმფლობელობის ფართო გავრცელება), რაინდობის ინსტიტუტის ბუნება. ამის საფუძველზე მკვლევარმა მოგვცა სავსებით ორიგინალური დებულება, რომლის თანახმად XI—XII სს. მიჯნაზე საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებამ დასრულებულ საფეხურს მიაღწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყურადღებოა ს. კაკაბაძის თვალსაზრისი ფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის, „სათავადოს“ შესახებ. მკვლევარმა „სათავადოების“ რაობა და წარმოშობა-განვითარების პროცესი საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა ევოლუციასთან ორგანულ კავშირში განიხილა. „სათავადოთა“ აღმოცენება, მისი დაკვირვებით, ფეოდალური საზოგადოების შინაგანი განვითარების ბუნებრივი პროდუქტი იყო. მართალია, შემდგომი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პრობლემის გარშემო საესებით განსხვავებული კონცეფცია ჩამოყალიბდა, მაგრამ ნიშანდობლიეა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ისტორიოგრაფიაში ფეხს იკიდებს „სათავადოთა“ წარმოშობის მიზეზებისა და სოციალური ბუნების ახლებური გაგზრება, რომლის თანახმად „სათავადო“ განიხილება როროგც ფეოდალური საკუთრების წინამავალი ფორმების კანონზომიერი ევოლუციის და არა სტაგაციის შედეგი, რაც ს. კაკაბაძის მიერ 10—20-იან წლებში შემუშავებული თვალსაზრისის სიცოცხლისუნარიანობას მოწმობს.

ს. კაკაბაძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ძველი და შუა საუკუნეების პოლიტიკური ისტორიის საკითხებს. მკვლევარი მტკიცედ იცავდა თვალსაზრისს ქართლის სამეფოს ფუძემდებლის ფარნავაზისა და მისი მემკვიდრეობის ისტორიულობის შესახებ. ის არ იზიარებდა ქართლის სახელმწიფოს ძველი პერიოდის შესახებ ქართული ისტორიული ტრადიციის ხელაღებით უარყოფის თეზისს, რაც ფართოდ იყო გავრცელებული 20—40-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამასთანავე მკვლევარი შორს იყო აღნიშნული ტრადიციისადმი უკრიტიკო დამოკიდებულებისაგან. საქართლეიის და არა სტანაციის შედეგი, რაც ს. კაკაბაძის მიერ 10—20-იან წლებნათელყო ძველი საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესწავლაში ქართული წყაროების გამოყენების ფართო შესაძლებლობა.

ვრცლად შეეხო ს. კაკაბაძე საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების გზების საკითხს, ქართლის განმანათლებლის წმ. ნინოს შესახებ არსებულ გადმოცემათა რეალიებს, ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღს. IV—VII სს. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესწავლას მკვლევარმა საგანგებო ნაშრომი უძღვნა, სადაც განიხილა ამ პერიოდის ქართლის მეფეთა და ერისმთავართა ქრონოლოგიის, ქართლისა და ეგრისის ურთიერთობის, ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობის საკითხები, ხოლო მონოგრაფიაში „ვახტანგ გორგასალი“ ვრცლად შეეხო V ს. მეორე ნახევრის ქართლის სამეფოს საშინაო და საგარეო ვითარების ძირითად მომენტებს.

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანის მეცნიერული შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ს. კაკაბაძის მონოგრაფიას „დიდგორის ომი“, სადაც დავით აღმაშენებლის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ცალკეული საკითხები ახლებურადაა გაანალიზებული.

ფასეულია ს. კაკაბაძის დაკვირვებები თამარის მეფობის პერიოდის ქრონოლოგიის, სამეფო ხელისუფლების და მსხვილი ფეოდალების ურთიერთდამოკიდებულების, ფეოდალთა დაჯგუფებების მამოძრავებელი მოტივების შესახებ.

1920 წ. გამოქვეყნდა ს. კაკაბაძის „საქართველოს მოკლე ისტორია“, სადაც თანმიმდევრულად და საკმაო სისრულით გაშუქა საქართველოს პოლიტიკური ისტორია XV საუკუნიდან მოკიდებული. აღნიშნული პერიოდის ქვეყნის პოლიტიკური თავვადასავლის ცალკეული მოვლენები განხილულია ნაშრომებ-

ში: „ორიანობა ქართლში XV საუკუნეში“ (1928), „გიორგი საკაძე“ (1915), „გიორგი საკაძის ვინაობის შესახებ“ (1929), „საქართველო ერეკლე II-ის დროს“ (1919) და სხვ.

შეუნელებელი ინტერესით იკვლევდა ს. კაკაბაძე საქართველოს როგორც ერთიანობის, ისე დაშლილობის პერიოდის მეფეთა გენეალოგიისა და ქრონოლოგიის საკითხებს, ცალკეულ ფეოდალურ საგვარეულოთა (მხარგრძელები, თმოგველები, თორელები) ისტორიას.

აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეს ქართულ ისტორიოგრაფიაში სათავე დაუდო ს. კაკაბაძემ აღნიშნული პერიოდის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევებით, იმავე რეგიონის შესახებ მრავალრიცხოვანი წერილობითი წყაროების პუბლიკაციებით კი მკვიდრი ნიადაგი შეუქმნა ქართულ ისტორიოგრაფიას ამ მიმართულებით კვლევის შემდგომი გაფართოებისათვის.

თვალსაჩინოა ს. კაკაბაძის დამსახურება საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის დარგში. მკვლევრის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა „ქართლის ცხოვრების“ კრებულის თხზულებათა წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის საკითხები. ის არაერთგზის შეეხო აღნიშნული კრებულის დასაწყისი ნაწილის შედგენილობის, დათარიღებისა და ავტორობის საკითხებს. 1912 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში („XI ს. ქართველი მემატიანეები“) ს. კაკაბაძე ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის შემდგენლებად მიიჩნევდა XI ს. ავტორებს ლეონტი მროველსა და ჯუანშერს. შემდგომში მკვლევარმა ფართოდ განიხილა აღნიშნული ნაწილის რეალიები და მათი ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა თავისივე ადრინდელი მოსაზრებისაგან განსხვავებული კონცეფცია, რომლის თანახმად თხრობა ეთნარქებისა და ფარნავაზის შესახებ V ს. დაათარიღა ხოლო მონაკვეთი, სადაც გადმოცემულია ვახტანგ გორგასლის ისტორია —VIII საუკუნით. საკითხის გარშემო შეხედულებათა ასეთი ცვალებადობა არსებითად ძველის სირთულითაა გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ხსენებული მონაკვეთის წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის ძირითადი საკითხები დღეისათვისაც მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ამიტომ ს. კაკაბაძისეული ჰიპოთეზები დღესაც როდია ინტერესმოკლებული.

ანგარიშგასაწევია ს. კაკაბაძის მოსაზრებები დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის, „ისტორია და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორობისა და სტრუქტურის შესახებ.

ს. კაკაბაძე შეეხო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შინაარსობრივი ანალიზის, არსენი საფარელის ტრაქტატის და ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ დათარიღების საკითხებს. განუზომელია ს. კაკაბაძის დამსახურება ქართული წერილობითი წყაროების გამოვლენისა და პუბლიკაციის მეტად საპატიო საქმეში. მან გამოაქვეყნა ისეთი მნიშვნელოვანი თხრობითი წყაროები, როგორიცაა, „ეფესათი მცხეთელის მარტვილობა“, ასურელ მამათა ცხოვრების არქეტიპები, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიული თხზულების ერცელი მონაკვეთი, იესე ოსეს ძის „ანდერძი“.

საყოველთაოდ ცნობილია ს. კაკაბაძისეული პუბლიკაციები ქართული ისტორიული დოკუმენტებისა. მკვლევარმა სხვადასხვა დროს განახორციელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი საერო თუ საეკლესიო ხასიათის იურიდიული ძეგლის როგორც ცალკე, ისე კრებულების („ქართული ისტორიული საბუთები“ 5 წიგნად) პუბლიკაციები.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ს. კაკაბაძემ სპეციალური ისტორიული დისციპლინების: გენეალოგიის, ნუმიზმატიკის, მეტროლოგიის. ისტორიული დემოგრაფიის ჩამოყალიბებაში, გააშუქა აღნიშნული პრობლემატიკის არაერთი კონკრეტული თუ თეორიული ასპექტი.

ყოველივე ზემოთქმული თვალსაჩინო მკვლევრის, პედაგოგისა და ერისკაცის ნაღვაწ-ნაზრევის მარტოოდენ სქემატური გადმოცემაა. მომავლის საქმედ რჩება სარგის კაკაბაძის მეცნიერული მემკვიდრეობის მნიშვნელობის მთელი სისრულით წარმოჩენა და ისტორიოგრაფიული პერსპექტივის თვალსაზრისით ობიექტური შეფასება.

გონელი არახამია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიკოსი გიორგი ბოჟორიძე

(დოკუმენტები მოგვითხრობენ)

თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსი, არქეოგრაფი და არქეოლოგი, საარქივო საქმის უანგაარო მოღვაწე გიორგი თადეოზის ძე ბოჟორიძე დაიბადა 1885 წელს თიანეთის მაზრის სოფელ ნაკიხარში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო თელავში, შემდეგ სწავლობდა თბილისის სემინარიაში. 1905 წელს მე-6 კლასიდან გამოუირიცხავთ, როგორც მოსწავლეთა „აჯანყების ერთი მთავარი ორგანიზატორი". 1906—1907 წლებში სამხედრო სამსახურში იყო. 1908 წლიდან პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა სოფ. მატანში, საგარეჯოსა და ყანდაურაში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ცოტა ხნით მუშაობდა კაჭრეთის მხრის კომისრად. 1922 წელს დამთავარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი ისტორიის განხრით. შემდეგ მუშაობდა საქართველოს ცენტრალურ არქივში ინსპექტორად, არქივისტად, ძველი საბუთების განყოფილების გამგედ, 1932 წლიდან კი — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი იყო. ზაფხულობით, შვებულებათა პერიოდში სხვადასხვა დაწესებულების დაკვალებით მიემგზავრებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წერილობითი და ნივთიერი ძეგლების შესაკრებად.

საქართველოს ცენტრარქივი და სიძველეთა დაცვის სამმართველო სისტემატურად აგზავნიდნენ გ. ბოჟორიძეს ქართლის, კახეთის, მესხეთ-ჯავახეთის, რაჭისა და სხვა კუთხეების მატერიალური და წერილობითი ძეგლების გადასარჩენად. მის მიერ აღმოჩენილი და სიძველესაცავებზე გადაცემული იქნა: ნოსტეტეს ზევით, ტყეში ნათლისმცემლის ეკლესიაში ძველი კანკელის ქვები (18 ც.), შემკული ხატებით, ფრინველთა სახეებით, ჩუქურთმებით; ხოვლეს დასავლეთით ეკლესიაში ქვის კანკელი ხატებით და წარწერით; ზემო ხანდაკის ეკლესიაში კანკელი ჩუქურთმებით; კავთისხევის „კატაულას" ეკლესიაში (გ. ჩაჩანიძის ჩვენებით) ჯვრის ასამაღლებელი სვეტი, შემკული ხატებით და წარწერებით, სადაც იხსენება გრიგოლ ვიპატოსი; კავთისხევის ზემოთ ქვა, რომელზეც გამოსახულია სასულიერო პირი წარწერით: „ქრისტეფორე რუსთველი"; მეჯვრისხევში X—XI საუკუნეების ქვაზე ნაწერი სიგელი; სურამის ებრაელთა დიდ სალოცავში მიაკვლია ებრაელთა „დაბადებას", რომელიც უვაროვას შეფასებით „ფრიად იშვიათი" ძეგლია. 1925 წელს რაჭიდან ჩამოიტანა ნიკორწმინდის სპილოს ძვალზე ნაკეთი ხატი ღვთისმშობლის მიძინებისა (XI საუკუნე), ხელნაწერი წიგნები 16 ცალი, ბარაკონის, სორის, ხონჭორის და სხვა ეკლესიებიდან ძვირფასი ხატები და მრავალი ხელნაწერი.

გ. ბოჟორიძის 1925 წლის 8 იელისის „კომუნისტში" გამოქვეყნებულ ინფორმაციაში აღნიშნულია: ბოდბის, მარტყოფის, ნინოწმინდის მონასტრებიდან, ხაშმის წმინდა გიორგის ეკლესიიდან, საგარეჯოდან, კარდანახში მცხოვრებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია აფხაზის სახლიდან და სხვა ადგილებიდან მის მიერ ჩამოტანილი იქნა ოქრომკედითა და მარგალიტებით ნაქსოვი ნივთები, ოქროს, ვერცხლის და ძვლის ნაკეთობები, „მადლის ქვა“ დავთი გარეკლისა და სხვა.

თუ რამდენი შრომა, წვალება, ხეტიალი, წინააღმდეგობა, შიში, გაჭირვება და დამცირება გადაატანა გ. ბოჭორიძემ, ამას ნაწილობრივ ვგებულობთ მისი ერთ-ერთი მოხსენებიდან: „მასალის მოგროვება მეტისმეტად დიდი და მძიმე საქმე იყო. სამი წელი (1923—1926 წლები, ვ. გ.) მოგზაურობაში ყოფნა, სამი წელიწადი რევოლუციის ქარცეცხლში ტრიალი, ორ-სამ თვეობით გარემხრობა (გარეთ ყოფნა), ზამთრის სიცივე და ზაფხულის სიცხე, დღეში 17-18 საათი მუშაობა, 9—10-ჯერ სიცოცხლის საფრთხის თავიდან აცილება და მრავალი სხვა, ყველა ეს ძალლინია და ნებისყოფის უდიდეს, უაღრეს დაჭიმვას მოითხოვდა და მიუხედავად ამისა, ყველა სიმძიმე დაძლეულ იქნა და საქმეც მთლიანად იქნა შესრულებული“ (საქართველოს სსრ ორცსა, ფონდო 338, საქ 98, ფურც. 69).

ზოგჯერ ერთსა და იმავე ადგილზე რამდენიმეჯერ უხდებოდა მისვლა, ხშირად ისეთ პირებთანაც ჰქონდა ურთიერთობა, რომ მათზე არ სჯრიდა არც მისი „მანდატი“, არც მოლაპარაკება, არც ფული.

გ. ბოჭორიძე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თხოვნით შვებულებას იღებს და მიემგზავრება საქართველოს სხვადასხვა მხარეში, მინდობილი აქვს შეაგროვოს ადგილზე სათანადო მასალები კერძო პირებისაგანაც. 1928 წელს არქეოგრაფიული მიზნით შემოიარა საინგილოც-ზაქათალის, ნუხისა და გეოჯრაის მაზრები, მოიპოვა ისტორიისათვის მეტად საინტერესო მასალები.

გ. ბოჭორიძეს 1929 წელს მოუვლია ქართლში კავთურისა და ქსნის ხეობები და შეუგროვებია მდიდარი მასალა, რომელიც აშუქებს საქართველოს XIV—XIX სს. ისტორიის სხვადასხვა საკითხს, ხოლო თბილისში ჩამოსვლისას მოუნახულებია ლეგან მაჩაბელი, რომელსაც გადაუცია სამაჩაბლოს ისტორიის ამსახველი დოკუმენტები. მათ შორის: ნასყიდობის წიგნი მიცემული ბ. ახალაცაშვილის მიერ ფ. მაჩაბელისადმი (XVIII ს.); წყალობის წიგნი, მიცემული ბაქარ მეფის მიერ ალხაზ მაჩაბელისადმი (1716 წ.), ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქ. მაჩაბელის მიერ იმავე პიროსადმი (1686 წ.), ორზა ოქმით, მიცემული დ. მაჩაბელის მიერ ირაკლი მეორისადმი (1782 წ.) და ა. შ.

მოგზაურობის შედეგებზე ნათლად მეტყველებს კავთურისა და ქსნის ხეობებში, ზემოხსენებულის გარდა, მოძიებული სხვა მასალებიც:

— სოფელ ოდლეთში — იესე ოსეშვილის თავგადასავალი, 200 გვერდი; წყალობის წიგნი დ. გიუნაშვილისადმი 1809 წ., სოფელ ჩოჩეთში — წყალობის წიგნი მაღალაძისა ადამშვილებისადმი, 1712 წ., მაღალაძეთადმი, 1690 წ., ნასყიდობის წიგნი შანშე ჩოლოყაშვილის მიერ მაღალაძეთადმი, 1728 წ., წყალობის წიგნი მიცემული მეფეთა-მეფე ალექსანდრეს მიერ მაღალაძე ამილბარ დამიტრისადმი, 1391 წ. სოფელ მეტეხში — წამება წმინდა გიორგისა ლექსად, საღვთო ისტორია, ბარამიანი და სხვ., სამთავროს წიგნი, ლოცვანი, მცირე ზომის, XVIII ს., განაჩენი მდივანბეგისა თუხარელთა საქმეზე, XVIII ს. ხელით ნაქარგები 7 ცალი; ს. ოძორში — „ბეჟანიანი“ ლექსად.

თბილისის ლომბარდში გ. ბოჭორიძეს შეუსწავლია იქ დაგირავებული ძველი ხელნაწერებისა და სხვა ისტორიული ნივთების მდგომარეობა. შეუმოწმებია და აღუწერია თბილისის 30-ზე მეტი ეკლესია-სამლოცველოებში დაცული

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქივები, წიგნსაცავები, ისტორიული ღირებულების მასალები (იქვე, ფონდი 335, საქმე 33, ფურც. 122—123; 143—148). 1923 წლის 31 დეკემბრის მანდატში ეკითხულობთ: „მიეცა ეს საარქეოგრაფიო განყოფილების გამგეს გ. ბოჟორიძეს მასზედ, რომ მას დადგენილი აქვს მთავარი საარქივო სამმართველოსაგან დათვალიერების და ცნობაში მოიყვანოს ქალაქ თბილისის ყველა ეკლესიების და სამლოცველოების არქივები“.

გ. ბოჟორიძე მოპოვებულ ნივთებს, დოკუმენტებს და წიგნებს, რომლებიც ამყამად ინშენებს საქართველოს სიძველეთსაცავებსა და ბიბლიოთეკებს, თვითონვე აღრიცხავდა — „ცნობაში მოჰყავდა“. ამაზე მიუთითებს ამონაწერი 1923 წლის 20 თებერვლის „ოქმიდან“: „... ყოფილ მეფის ნაცვლის თანაშემწის პეტერსონის წიგნების აღსაწერად შემდგარმა კომისიამ გ. ბოჟორიძის ხელმძღვანელობით, ი. ციციშვილისა და ა. გორალეევიჩის მონაწილეობით გახსნა წიგნნინი ყუთები და სათითოდ აღწერა იგი“ (დასაბ. ფონდი, საქ. 32, ფურ. 70).

გ. ბოჟორიძე იყო საქართველოს საისტორიო — საეთნოგრაფიო მუზეუმისა და უნივერსიტეტის სიძველეთსაცავში დაცული ძველი საბუთებისა და ხელნაწერი წიგნების აღსარიცხავი კომისიის თავმჯდომარეც (საქ. 98, ფურც. 48). როგორც წესი, შეგროვილ და აღწერილ საგანძურს დანშნულებისაებრ ანაწილებდა სხვადასხვა დაწესებულებას. აი, რას სწერს იგი: „1923 წლიდან დღევანდლამდე აღვრიცხე 900-ზე მეტი ისტორიულ-მონუმენტური ძეგლი, მოვაგროვე 2,260-ზე მეტი ისტორიული ნივთი, 540 ხელნაწერი წიგნი, 200-ზე მეტი ძველი სტამბის წიგნი, 28 წარწერიან-ქანდაკებიანი ქვა (მათგან 13 თბილისსა დაქუთაისს იქნა ჩამოტანილი, ხოლო 15 სამცხის ცენტრალურ ადგილებში იქნა დაბინავებული), 3,550 სიგელ-გუჯარი და სხვა ძველი საბუთი, 10 ტილოზე ნახატი საერო სურათი, სამი კოლექცია ფულებისა, ორი კოლექცია არქეოლოგიური ნივთებისა და სხვა. მოგროვილი ნივთები გადავეცი შემდეგ დაწესებულებათ: ყოფილ უნივერსიტეტთან არსებულ ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმს — ისტორიული ნივთები 1. 496 ერთეული, წარწერიანი ქანდაკებიანი ქვები — 8; უნივერსიტეტის სიძველეთსაცავს ხელნაწერი წიგნები — 38, მისსავე ნუმიზმატიკა კაბინეტს ორი კოლექცია ფულებისა, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს — არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ნივთები 72 ნომერი, ხელნაწერი წიგნები — 27, არქეოლოგიური ნივთების კოლექცია (ფულები) — 1; საქართველოს ცენტრალურ არქივს — სიგელ-გუჯარი და სხვა ძველი საბუთი — 3 450, ხელნაწერი წიგნები — 223; ძველი სტამბის წიგნები — 200; საქართველოს მუზეუმს არქეოლოგიურ ეთნოგრაფიული ნივთები — 10; არქეოლოგიური კოლექცია — 1, წარწერიანი ქვა — 2; საქართველოს ეროვნულ გალერეას სურათი — 10, ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს — ისტორიული ნივთები — 682, ხელნაწერი წიგნები — 252, სიგელ-გუჯარი და სხვა საბუთი — 100, წარწერიანი ქვა — 3 და სხვა.“ (ცსსა, ფონდი 1753, აღწ. 1, საქ. 2, გვ. 5).

აი, ერთი ამონაწერიც თბილისის უნივერსიტეტის „შრომებიდან“: საქართველოს ცენტრალური არქივის თანამშრომლებმა გიორგი ბოჟორიძემ კახეთიდან ჩამოიტანა და თბილისის უნივერსიტეტის ნუმიზმატიკის კაბინეტს ჩააბარა სპილენძის ფულების დიდი კოლექცია, წონით 23 გრივანქა. ეს განძი მისთვის გადაუცია გურჯაანის სასამართლოს თავმჯდომარეს ილია მხეიძეს. მას ეს ფულების გროვა ჩამოურთმევია გურჯაანის რკინიგზის სადგურზე ორი თე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაველი მოქვაბისათვის. ამათ — კი ეს განძი თავიანთი მხრივ უყიდიათ ადგილობრივი ლეკი მკალავისაგან...

შემოწმებით გამოირკვა, რომ ეს განძი წარმოადგენს 1200 წელს თამარის მიერ გამოცემულ ფულის ნიშნებს, რომლებსაც ამშენებს არაბულ-ენოვანი წარწერა:

„დედოფალი დედოფალთა
შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა.
თამარ, ასული გიორგისა,
მესიის თაყვანისმცემლისა“ [(თსუ შრომები, 1936 წ., № 1, პირველი სერია, გვ. 281—299).

როგორც ცენტრალური არქივის ძველი საბუთების განყოფილების გამგე, არქივარიუსი გ. ბოჭორიძე, მისთვის ჩვეული პასუხისმგებლობით, მუშაობდა როგორც მემატიანე და მკვლევარი, თვითონვე ამუშავდებოდა როგორც დაწესებულება — ორგანიზაციებიდან, ისე პირადი მფლობელებისაგან მიღებულ დოკუმენტებს. საქართველოს ცენტრალური არქივის ორგანიზაციისა და დაფუძნების პერიოდში უშუალოდ მან მოაგვარა მეფის ნაცვლის კანცელარიის (ნაწილი), თბილისის გაუქმებული ბანკების, სერთო კავშირის, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის, საქართველოს ქალაქთა კავშირის, რუსეთის ეროვნული საბჭოს, მეწმენეცების მთავრობის არქივის, სინოდის კანტორის, ეგზარქოსის კანცელარიის, ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებისა და სხვა დაწესებულებათა (სულ 23) არქივების ადგილიდან გადმოტანის, წესრიგზე მოყვანისა და ცენტრალურ არქივში დაბინავების საქმე. თუ რა მოცულობის სამუშაოა შესრულებული, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ფონდების საერთო მოცულობა ასიათასობით საარქივო ერთეულს (საქმეს) შეადგენს.

ასევე გ. ბოჭორიძის სახელთან არის დაკავშირებული რუსეთის სხვადასხვა ადგილიდან თბილისის რკინიგზის სადგურზე ჩამოტანილი არქივების ვაგონებიდან გადმოტვირთვა და მათი ცენტრალურ არქივში გადატანა-დაბინავება. სამუშაოს მოცულობის წარმოსადგენად აღვნიშნავთ, რომ კრასნოდარიდან ჩამოდგა 4 ვაგონი, სტავროპოლიდან — 7, ვლადიკავკაზიდან — 1. „ძალიან ხშირად, — წერს გ. ბოჭორიძე — ყოველივე ძმიმე სამუშაო ჩვენი ხელით კეთდებოდა, რადგან ფული იმდენი არ იყო, რომ ყოველთვის მუშა გვექირავებინა“ (ფონდი № 335, აღ. 9, საქ. 98, ფურც. 64—68). იგულისხმება, რომ ამ პროცესს მოსდევდა ძნელი სამუშაო — ალრიცხვა-დალაგება და სათანადო ადგილზე დაბინავება. და კიდე რამდენი ერთდროული დავალება არქივის დირექციისაგან სხვადასხვა ორგანიზაციის არქივების ადგილზე შესამოწმებლად და მათ მუშაკთათვის კონსულტაციების გასაწევად.

გ. ბოჭორიძე დიდი ყურადღებით იკვლევდა რუსეთში გატანილ ფონდების მდგომარეობასაც. ერთ-ერთ თავის მოხსენებაში (დასახ. ფ., საქ. №34, ფურც. 129) წერს: „...ვინახულე სტავროპოლის ყოფილ ვიცე-კონსულის მიხეილ ზაქაიძის ძმა ალექსანდრე, რომ შემეტყო რაიმე ამბავი ჩრდილოეთ კავკასიაში დაღუპულ ქართულ საბუთთა შესახებ. ამ პირმა გადმომცა ზოგიერთი საყურადღებო ცნობა“ (შემდეგ ჩამოთვლილია ფაქტები).

აღსანიშნავია ისიც, რომ ადრე 1912—1917 წლებში სოფ. კაჭრეთში მოღვაწეობის დროს, მან გახსნა ორი სკოლა, კოოპერატივი, ბანკი. სოფლის ნივთიერად ასამღლებლად იმდენი ეცადა, რომ ბაზრობა დაწესებინა და რკინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზის სოფლის ბოლოზე გაამართვინა ბაქანი. კაჭრეთში ყოფნისას ააშენა სასოფლო სახლიც მოზრდილ მოსახლეობაში სწავლა-განათლების შესატანად.

რაც შეეხება გიორგი ბოჭორიძეს, როგორც მეცნიერს, მკვლევარს, მან ძვირფასი მასალები დაგვიტოვა „ნარკვევების“ სახით. ამთანად აღსანიშნავია: „გურიის საბუთები“ (1572—1815 წლები); საქართველოს სხვადასხვა კუთხის ძეგლების სიები, თბილისის, ქართლის, კახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, საინგილოს ისტორიული ძეგლები (ეკლესია-მონასტრები) და მათში დაცული ნივთებისა და წიგნების აღწერილობანი; იონაე იალღუზიძის ბიოგრაფიული ნარკვევი (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. ბოჭორიძის ფონდი, საქ. 43).

განსაკუთრებით საყურადღებოა „ნარკვევი მთათუშეთის შესახებ“. ჯერ ერთი ეს შრომა დაიწერა აკად. ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, მის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით, მეორე, აქ გადმოცემულია მთათუშეთის ისტორიის, ეკონომიკის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ხელსაქმიანობის, სამეურნეო იარაღის, საოჯახო ინვენტარის, ხალხის ადათ-ჩვეულების, ზეპირსიტყვიერების, დღესასწაულების, სალოცავებისა და სხვათა უძვირფასესი და უნიკალური მასალები. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ძველად არსებული სოფლების უმეტესობა, სადაც შეგროვდა ეს მასალები, დღეს არ არსებობს, მაშინ კიდევ უფრო გასაგები იქნება ამ ნაშრომის მნიშვნელობა. იგი, სამწუხაროდ ჯერ არ არის გამოქვეყნებული (შავი პირი დაცულია მის პირად ფონდში, რომელიც ინახება საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში 1763 ნომრით).

გ. ბოჭორიძემ სახელმწიფო მუზეუმში ნუშაობისას — 1932—1933 წლებში შეისწავლა მესხეთ-ჯავახეთის ისტორიული ძეგლები. აი, რას გვაუწყებს მისი საანგარიშო მოხსენება ამ ნარკვევის ირგვლივ (მითითებული პირადი არქივი, საქ. 100, გვ. 1—74): „მესხეთ-ჯავახეთში ჩემი მუშაობა სხვადასხვაგვარი იყო, სახელდობრ: 1. დათვალიერება, შესწავლა და აღწერა ძეგლისა, უმთავრესად მისი წარწერებისა. 2. ფოტოგრაფიული სურათის გადაღება. 3. შეკერება ეახუშტისა და სხვა მკვლევართა ცნობებისა. 4. მოგროვება დაცვის მიზნით ისტორიული ქვებისა, იმავე მიზნით, — 5. ხელნაწერი წიგნებისა და ძველი საბუთებისა. 6. სიძველეთა დაცვის მოწყობა და სხვა“. გ. ბოჭორიძე შემდეგ ეხება მის მიერ დათვალიერებულ საკულტო, სამხედრო, სამოქალაქო, მიწისქვეშა და კლდეში ნაგები ძეგლებს. ორი ზაფხულის პერიოდში აღუწერია 340-ზე მეტი ძეგლი. ეს გულისხმობდა აზომვას, „გეგმების“ ჩანახატებს, მათში დაცული ნივთების, თუ ხელნაწერების ფიქსირებას, წარწერების გადმოღებას, წაკითხვას, დათარიღებას, არსებულ წყაროებთან შედარებას, რომელთა წამოღება შეუძლებელი იყო, ადგილზე ჩაბარება — დამინავებას და ყოველივე ამაზე იქაც და თბილისშიც სათანადო დოკუმენტაციის გაფორმებას (აქტები, ოქმები, მოხსენებითი ბარათები).

ერთი სიტყვით, როცა გ. ბოჭორიძის მუშაობას ეცნობი, დაუჯერებლადაც გეჩვენება როგორ შეძლო ერთმა კაცმა მოკლე დროში ამდენის გაკეთება. მისი ხელით გადმოღებული ბევრი წარწერა დღეს ერთადერთი წყაროა, ბევრიც დაიკარგა და უფრო მეტი განადგურდა. წინასწარ ერთის თქმაც შეიძლება: გ. ბოჭორიძის შემდეგ (კახეთზე იქნება, ქართლზე, რაჭა-ლეჩხუმზე, მესხეთ-ჯავახეთზე, თუ საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეზე) ისტორიულ-ეთნოგრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიულ საკითხებზე დაწერილი ნაშრომები სრული არ იქნება, თუ არ გამოვიყენებთ ამ დიდებული მკვლევარის მოძიებულ და შეგროვილ მასალებს.

მეზღუაის ხელნაწერი კოლექციის მცველის გ. ბოჭორიძის ერთ-ერთი უკანასკნელი 1936 წლის 18 თებერვლის წერილში (ინახება შვილიშვილის — თამაზის ოჯახში) ხაზგასმით აღნიშნულია მის მიერ მოპოვებული უმნიშვნელოვანესი ძეგლები. იგი წერს: „მოგროვილ ნივთებში მრავალია... უნიკალურიც. აღნიშნავ რამდენიმეს, — ჟედგითი ხელოვნების ძეგლებიდან: 1. გომის თასი ეერცხლისა, ჩვენი ერის წინა ხანისა. 2. ვარდან ვარდანისძის ნივთი ოქროსი, XII საუკუნე. ეპიგრაფიული ძეგლებიდან: 1. რაჭის წარწერა V ს. 2. სამცხის წარწერა VI ს. ხელნაწერი წიგნებიდან: 1. თამორის ოთხთავი XI ს. 2. ქვემობარის ოთხთავი, XI ს. სიგელ გუჯრებიდან: 1. ხელწერილი რამინ და გიორგისა, 923—926 წწ. 2. სამამულო წიგნი ზაზი და თოთისა, XI ს. ნუმიზმატიკური ძეგლებიდან: 1. ალის კოლექცია XI ს. 2. ეიჯინის კოლექცია (1 ფუთი და 13 გრივ.), XII ს. 3. მნას კოლექცია (ერთი კოჭობი) XIV ს. და სხვ“.

ამ ფაქტზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ გვეთქვა: სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა გ. ბოჭორიძეს, ესეც საკმარისი იქნებოდა მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ზოგჯერ მიუვალ ადგილებ. გ. ბოჭორიძის მიერ მოძიებული მასალები — ხელოვნებისა და ისტორიის ნივთები და ნაწერები, უმეტესწილად ვაი-ვაგლახით, ხურგით, ცხენით, ურმით ჩამოტანილი, სათანადო აქტებით ჩაბარებული აქვთ გ. ჩუბინაშვილს, დ. შევარდნაძეს, მ. ჯანაშვილს, შ. ამირანაშვილს, ა. ფფაქიძეს და სხვ. პირებს.

გ. ბოჭორიძის გამოქვეყნებული ნაშრომთა (ძირითადად საყურნალო პუბლიკაციები) გაცნობისას, გეოკვირვებს მაღალი მეცნიერული დონე, რომელიც დღესაც ნიმუშად გამოდგება დოკუმენტების გამოცემის ფვალსაზრისით („ფურცელსანთებული ქრონიკა“, „ორი ფიქალწერილი“, „რაჭის ისტორიული ძეგლები“, „ანდერძი პაპუა მაღალაძისა“ და ა. შ.). მისი როგორც მკვლევრის ავტორიტეტზე მიუთითებს ივანე ჯავახიშვილის მიერ დავალებული და მისგანვე მოწონებული ქართული წყაროთმცოდნეობისათვის ესოდენ საჭირო მეთოდური სახელმძღვანელოს — „სიტუეების გამოცემის წესის“ შედგენა. ეს ნაშრომი, ძირითად სახელმძღვანელოდ იქცა შემდგომდროინდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში.

როცა სიტუეების გამოცემის ბოჭორიძისეული წესი განუხილავს ივ. ჯავახიშვილს, 40 პარაგრაფისაგან (მუხლისაგან) შემდგარ სახელმძღვანელოში, მზოლოდ რამდენიმე შენიშვნა მოუწერია და ისიც თითქმის ყველა დადებითი. მოგვაქვს „შენიშვნების“ პუბლიკაცია:

პარაგრაფი 15. გ. ბოჭორიძე წერს: „დაზიანებული აღუდგენელი ადგილები აღნიშნული იქნება ტექსტში იმ რაოდენობის წერტილებით, რამდენი ასონიშანიც დაკლებულია ვარაუდით ტექსტში“. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: „უნდა დაუზიანებელი სტრიქონის და ზედ დატეული ასოების რაოდენობის მიხედვით გამოიკვეს გაზომით, რამდენი ასო რა მანძილზე ეტევა და ამისდამიხედვით განისაზღვროს დაზიანებული ადგილის დანაკლისი ტექსტის საკარაუდო ასოთა რიცხვი“. პარაგრაფი 17. — „ასონაკლებ ძეგლებში უნდა დაეტოს დაკლებული ასოები, რომელიც აიწყობა ტექსტიდან განსხვავებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასოებით“ (მაგ. შავად). შენიშვნა: „წვრილი ანუ განსხვავებული შრიფტით ასეთი აწყობა სწორია“. პარაგრაფი 19. „ტექსტში გადაბმით დაწერილი სიტყვები უნდა განცალკევებული იქნეს. მაგ., დამას — და მას; დასე — და ასე; დამ — და ამ და სხვა. „შენიშვნა: „ეს შესაძლებელია მხოლოდ XV—XVI ს-ითგან მოყოლებული იქმნეს წესად მიღებული, მაგრამ აქაც შენიშვნაში უნდა დედნის მართლწერა აღინიშნოს“ პარაგრაფი 20, „იმ სიტყვებში, რომელთაც თავში, მიმართვის შემდეგ ცარიელი ადგილები აქვთ დატოვებული, მომდევნო სიტყვები ახალი სტრიქონიდან უნდა აიწყოს... შენიშვნა: „შესაძლებელია ისევე დაიბეჭდოს როგორც დედანშია“. პარაგრაფი 25. „განკვეთილობის ნიშანი უნდა გამოტოვებული იქნეს, სამაგიეროდ, ხმარებულ იქნეს სასვენი ნიშანი“. შენიშვნა: „განკვეთილების ნიშნების სისტემის შესავალში აღნიშვნით“. პარაგრაფი 27. „ბეჭდებისათვის ან კლიშეები უნდა გაკეთდეს და ისე დაიბეჭდოს, თუ არადა, მთელი ბეჭედი.. შენიშვნა: „კლიშეების გაკეთება ძნელია, აღწერილობა კი საჭიროა“. პარაგრაფი 37. „თარიღი რთულ სიტყვებში აღებული უნდა იქნეს მთავარი სიტყვისა, მაგ., არის არზა ოქმით. თარიღი აიღება არზისა, ხოლო თუ არზას არა აქვს თარიღი, მაშინ ოქმისა“. შენიშვნა: ოქმის თარიღი განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს“ (ცსსა, 1753, საქ 142, ფურც. 2—11).

ეშობლიური კულტურის უკვდავებისათვის გულანთებული და თავდადებული ბოჭორიძის საკვირველი ღვაწლი სამარადჟამოდ დარჩება ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ვახტანგ გურგენიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. ჩარკვიანი, განცდილი და ნააზრევი,

წიგნი პირველი, თბ., 1985

სოციალიზმის სრულყოფის პერიოდში საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეთა მოგონებებს.

თანამედროვე პირობებში, როდესაც საბჭოთა საზოგადოება ახალ ამოცანებს წყვეტს სკკპ XXVII ყრილობის ისტორიული გადწყვეტილებების წარმატებით შესასრულებლად, კიდევ უფრო იზრდება ინტერესი მემუარული ლიტერატურისადმი, განსაკუთრებით ისეთებისადმი, როგორიც არის ახლახან გამოცემული წიგნები: ი. ლოლაშვილი — „ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან“, ა. ბარამიძე — „ახლო წარსულიდან“, ნ. ნიკოლაძე — „მოგონებები“, ს. ფურმანიძე — „ზოგი რამ წარსულიდან“ ქ. ჯავახიშვილი — „მეხელ ჯავახიშვილი“ და სხვ.

ამ მოგონებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ხანგრძლივ და მეტად სასახელოსმგებელო პერიოდში მოღვაწე კ. ჩარკვიანის მოგონებებს.[1]. ამ მოგონებების ავტორი მარტო მეცნიერებას კი არა, საარქივო დოკუმენტებისა და მასალების საფუძველზე შემ.წ.ალს ემყარება და ფრიად საინტერესოდ აშუქებს ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს.

„**დ ი ა დ ი ს კ ო ლ ა**“. ამ სათაურით იწყება კ. ჩარკვიანის მოგონებების ძირითადი ნაწილი. მართლაც, უდიდესი სკოლა იყო კომუნისტებისა და მთელი საბჭოთა ხალხისათვის სოციალისტური საზოგადოების გამარჯვებისა და განმტკიცების, ქვეყნის თავდაცვის გაძლიერების პერიოდი. ასეთ პირობებში დაიზარდა პარტიის ხელმძღვანელი რიგი.

გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის მიღება და საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიზაცია ნიშნავდა მობრძოლნებას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ახალმა ვითარებამ მოითხოვა ახალი მიდგომა პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი, მასებში ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესება. პარტიამ კრესი აიღო შინაპარტიული დემოკრატიის გაფართოებისა და მთელი სოციალისტური დემოკრატიზების ყოველმხრივი განვითარებისაკენ. ამავე დროს ახლოდებოდა მეორე მსოფლიო ომი.

სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში აირჩიეს კ. ჩარკვიანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად და უნდა ითქვას, რომ მან გაამართლა ეს დიდი ნდობა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, განსაკუთრებულ სამდივნოს და მთელი რესპუბლიკის მშრომელების ზეკაცად მხარდაჭერით.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი ბიუროს წევრებიდან კანდიდ ჩარკვიანი მაღალ შეფასებას აძლევს ძველ ბოლშევიკებს ფილიპე მახარაძესა და გიორგი სტურუას, რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, უფთოდ ნიჭიერ და უნარიან მოღვაწეს ვალერიან ბაკრაძეს, ცკ-ის მეორე მდივანს კალინტარტა შეროზიასა და მესამე მდივანს მაკარ ჯაშს, ალექსანდრე თოფურიძეს, სერგო ორშანიძს, ილია თავაძეს, ვიგან გრიგორიანს და სხვებს.

საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობაში კ. ნ. ჩარკვიანის მუშაობა მოლიანად ი. ბ. სტალინის მოღაწეობის ოკანასანელი პერიოდს დაემთხვა და უნდა ითქვას, რომ სტალინთან შეხვედრებსა და საქმიან ურთიერთობას ჩარკვიანი მისთვის ჩვეული დამაჯერებელი ობიექტურობით გადმოგვცემს, რაც მისი წიგნის ერთ-ერთი უდაგო ღირსებაა.

წიგნში ჯეროვანი ადგილი აქვს დათმობილი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის კურსის განხორციელებას საქართველოში, თბილისის საავიაციო ქარხნის შშენებლობის, რუსთაფი ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატის აგებისა და მასთან დაკავშირებული საწარმოების გაფართოების ღონისძიებებს. ხანგრძლივი სხა-ბაასის პროცესში, როცა წყდებოდა თბილისის ახლოს დიდი მეტალურგიული საწარმოსათვის ადგილის შერჩევის საკითხი, ნ. ვოზნესენსკის ძალიან მოწონებია შშენებლობის ადგილის სახელწოდება „რუსთაფი“. „რუსთაველი — რუსთაფი“, — რამდენიმეჯერ გაიმეორა მან, — როცა ქალაქი

---

[1] კ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი განცდილი და ნააზრევი, წიგნი პირველი. თბ., 1985 (ციტატების გვერდებს მივუთითებთ ტექსტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშენდება, საუკეთო სახელოდებას მიიღებს" (343).

მაშინდელ ენერგიულ მშენებელთაგან კ. ჩარკვიანი გულთბილად იხსენებს „თბილ-მშენის" მპრათველს — უნარიან ხელმძღვანელს კ. მორტს, ბუნებრივი ნიჭითა და აღლოთი აღჭურვილ ვ. სალაძეს, საქმის მცოდნე ინჟინერ ქალს თ. ქუთათელაძეს და სხვებს.

რამდენიმე საგულისხმო მოგონებით ჩასიათდება მ. კალინინის სტუმრობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შექმნა, შესანიშნავი ფილმის „გიორგი საკაძის" სეანსი, მ. ჭიაურელის შეხვედრები ი. სტალინთან და სხვ.

1940 წელს საქართველოში მ. კალინინის ჩამოსვლასთან დაკავშირებით კ. ჩარკვიანი წერს, რომ გაგაკვირვებდათ ამ გულადღილი და თავმდაბალი ადამიანის, ყოფილი მეშის მრავალმხრივი განსწავლულობა და მაღალი ინტელექტი, ისტორიის, მხატვრული ლიტერატურისა და მუსიკის ცოდნა. „ალარას ეიტყვი მარქსისტულ-ენინურ მოძღვრებაზე, რომელიც მას ხანგრძლივი მეცადინეობით და რევოლუციური პრკტიკით შეეისისტხორცებინა. მ. კალინინი უაღრესად ნათელი და სადა სტილით წერდა და ლაპარაკობდა... ქართული სიფრა და მისი წესები მან კარგად იცოდა... რასაც გადავიღებ კიდევაც უნდა შეეჭამო, დალევებ არ შეშიძლია, საჭმლის ტყუილად გაფუჭებას ვერ ვურიგდებიო, — იტყოდა ხოლმე ერთის დაძალებისას... ამიტომაა საჭირო თითოეულმა საბჭოთა ახალგაზრდამ ფიზიკური შრომის სკოლაც ნამდვილად და საფუძვლიანად განვლოს. როცა თვითონ იწერეს, მექანიზაციის პრობგაზშიც რა ოფლის ღვრას მოითხოვს ბუნის, ხორცის, რძის პროდუქტების, საერთოდ ყოველგვარი მატერიალური დოვლათის შექმნა, იგი მას უფრო გაუფრთხილდება" (136—137).

კ. ჩარკვიანის მოგონებიდან, რომელიც საარქივო მასალებით არის გამაგრებული, კარგად ჩანს, რომ უკრაინაში, ბელორუსიასა და ლატვაში მეცნიერებათა აკადემიების შექმნის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდი ზრუნვითა და საბჭოთა მთავრობის დახმარებით 1941 წლის 26 თებერვალს, საბჭოთა საქართველოს 21-ე წლის პირველ დღეს საბოლოოდ გაფორმდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსება. მისი პირველი ნამდვილი, დამაარსებელი იყვნენ: ნ. მუსხელიშვილი (აკადემიის პრეზიდენტი), ს. ჯანშია (ვიცეპრეზიდენტი), ი. ბერიტაშვილი, გ. ახალდიანი, ა. შანიძე, ს. ყაველიძე, ა. ჯანელიძე, ა. თვალრელიძე, გ. ჩუბინაშვილი, დ. უზნაძე, ნ. კეცხოველი, ა. ჩიქობავა, კ. ზავრიევი, ტ. კვარაცხელია, ფ. ზაიცევი და გ. ხაჭაპურიძე.

წიგნის მოცულობის ნახევარზე მნიშვნელოვნად მეტი დიდი სამამულო ომის პერიოდს უჭირავს და ეს სავსებით გასაგებია. ომი უდიდესი, უმძიმესი და მრავალმხრივი გამოცდა იყო. მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად ეს უმკაცრესი გამოცდა საქართველომ ბრწყინვალედ ჩაიბარა, რაც განაპირობა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, ყველა ჩვენი მეომრისა და მშრომელის უმაგალითო გმირობამ.

კ. ჩარკვიანი ღირსეულ შეფასებას აძლევს ამ სავსებით სამართლიანად დიდი სამამულო ომის დაწყებისას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად და სარდლის პირველ მოადგილედ მყოფ გენერალ-მაიორს, განთლებულ, მაღალი ადამიანური თვისებებით დაჯილდოებულ და შრომის მოყვარე თ. ტოლბუხინს, რომლის სამხედრო კომპეტენტურობა, ერუდიციისა და არმიისადმი ნიჭიერი ხელმძღვანელობის დამადასტურებელი ამ სტრიქონების ავტორიც არის. სტალინგრადში გმირული ბრძოლის დროს თ. ტოლბუხინი ჩვენს — 57-ე არმიის სარდლობად და ხშირად მსმენია „ბარშალმა ვასილევსკიმ მას „ყურაღი თედორე" უწოდო. სტალინგრადში მტრის გადაგდურების შემდეგ გენერალი ტოლბუხინი სტალინმა ფრონტის სარდლად დაფუძნაურა და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში მოქმედი საქართველოს ალკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნებიდან კ. ჩარკვიანი ყველაზე მაღალ შეფასებას აძლევს ქალთა შორის ისეთ კოლორიტულ ფიგურას, როგორიც ნ. ყვანია (318).

კ. ჩარკვიანის წიგნში კარგად არის გაშუქებული საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა და მშრომელთა თავდადებული ბრძოლა ფრონტისა და ზურგის ერთიანობის უზრუნველსაყოფად, მთელი მუშაობის სამხედრო ყაიდაზე გადაყვანა, ტაგანროგიდან თბილისში გადმოტანილი თვითმფრინავების ქარხნის რეკორდულ ვადაში გამართვა, ომისთვის საჭირო დარგების განვითარება, ყველგან და ყველაფერში მომთხოვნელობის ამაღლება, დისციპლინა და ზესრგის ყოველმრივ განმტკიცება, მშრომელი ახალგაზრდობის მიერ ფრონტზე წასულთა შეცვლა და მათდამი მამობრივი ზრუნვა და სასტიკი მომპრანეობა, სიმკაცრე მატერიალური რესურსების ხარჯვაში და ყო-

ველივე ის, რაც ჩვენი გამარჯვების მთავარი პირობა გახდა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში შრომის ფრონტზე უამრავ დამსახურებულთაგან გამოჰყოფს და ღირსეულ დახასიათებას აძლევს კ. ჩარკვიანი გამოჩენილ სამეურნეო ხელმძღვანელებს, ნიჭიერ ორგანიზატორებს: დ. ჭიჭინაზეს, ბ. სარიშვილს, ვ. სალაძეს, გ. ბარძიმოვს, ი. ხვედელიანს და შემდეგ წერს, მეტალურგიული ქარხნის საშრეწენელო სამმართველოს უფროსად უნდა შერჩეულიყო კაცი, რომელიც უწყებრივ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს ერთმანეთისაგან გაარჩევდა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საჭიროებებშიც გარკვეული იქნებოდა. ასეთ კაცად ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ოამდელი უფროსი ნესტორ გიორგაძე მიმიჩნდაო (348).

აღსანიშნავია, რომ ნ. გიორგაძის საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარის თანამდებობიდან თვითონ უსურვებია მშენებლობაზე დაბრუნება, რასაც იწონებს კ. ჩარკვიანი და აღნიშნავს: „ჩემს პრაქტიკაში ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა სახალხო კომისრის სავარძლიდან მშენებლის ტაბურეტზე გადაჯდომას ითხოვდნენ და ისიც ომის დროს, როდესაც ხელმძღვანელი მუშაკები და მთი ოჯახები, დასამაი არ არის, უკეთ მარაგდებოდნენ, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა. ამ დღიდან ნ. გიორგაძის კიდევ უფრო ეიფსებდი, როგორც მუშაკსა და კომუნისტსო“ (349).

ნ. გიორგაძეს ყველგან გაამარილა პარტიის ნდობა და ღირსეულადაც დაფასდა: სოციალისტური შრომის გმირის წოდება, რამდენიმე ორდენი და მედალი დაიმსახურა, რომ აღარაფერი ეთქვათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს I—IV მოწვევის დეპუტატად მის არჩევაზე.

საბჭოთა საქართველოან ღიღი სამამულო ომის ფრონტზე წარგზავნილ მხედართფუფრაესებიდან კ. ჩარკვიანი განსაკუთრებით თბილად იხსენიებს, მაღალ შეფასებას აძლევს კ. ლესელიძეს და წერს: „1944 წლის იანვარში მოსკოვში მიელინებინის ი. სტალინთან შესახვედრად ავარაჯნე მიმიწვიეს. მისაღები დარბაზის კარი შეეაღე თუ არა, დავინახე, რომ ი. სტალინს მაგიდასთან ნ. ხრუშჩოვი იჯდა. სწორედ ჩემი შესვლისას ხრუშჩოვმა ლესელიძის გვარი ახსენა და დასძინა: — ამ კაცთან მუშაობა ყოველად შეუძლებელიაო... ჩანდა, რომ ის ლესელიძისადმი კარგად არ იყო განწყობილი... ქართველები მეორე ხარისხოვანი ერი ხართ, — მითხრა ხუმრობით ი. სტალინმა, — ერთი მარშალიც არ გყავთ ამ გახურებულ ომში.

— ჩვენისთანა მარშალი ყველას ჰყავდეს, — მივუგე ხუმრობითვე.. ხრუშჩოვი წარმოგიდგენს ლესელიძეს უმაღლეს წოდებაზე და მეორე მარშალი გეეყოლება.

ი. სტალინს ამ პასუხზე გაეღიმა... საამურ ხაროდ, ამ შემთხვევიდან ერთი თვეც არ იყო გასული კ. ლესელიძე გარდაიცვალა“ (256—257).

კ. ჩარკვიანის ამ მოგონებების დადებითს მხარეებზე კიდევ ძალიან ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს და ჯერეერობით ამით დავკმაყოფილდებით. იმედია ავტორი მალე გაგვახარებს დაპირებული მეორე წიგნით, რომელშიც ვიხილავთ თანამედროვე მოღვაწეობისა და მომავალი თაობისათვის საჭირო მოგონებებს. ამასთან კარგი იქნება თუ მასში გათვალისწინებული იქნება პირველი წიგნის ზოგიერთი ნაკლი.

1. დასაზუსტებელია ზოგიერთი ციფრობრივი მონაცემები საქართველოდან ფრონტზე მყოფ მეომართა, მათ შორის დაჯილდოებულთა და საბჭოთა კავშირის გმირების შესახებ (გვ. 243);

2. წიგნის 317—318 გვერდებზე საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, საქალაქო და რაიონული მასშტაბის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობიდან გამორჩეულად ჩამოთვლილია 58 კაცი. ბევრ მათგანზე წიგნში არის მოცემული ჯეროვანი შეფასება და აქ მათი ჩამოთვლა ადარ იყო აუცილებელი. აჯობებდა ჩამოთვლილთაგან დანარჩენ ღირსეულ მუშაკზე და სოციალისტური შრომის გმირებზე, მეცნიერებაზე, მწერლებზე და სხვებზე. გვეხილა მათთვის დამახასიათებელი დადებითი ან უარყოფითი თვით შტრიხი მაინც, რაც დაგვეხმარებოდა ახალგაზრდობის აღზრდაში.

საერთოდ, ეკონომიკის მეცნიერებათა ოქტორის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრის, პროფ. კ. ნ. ჩარკვიანის გამოქვეყნებული წიგნი „განცდილი და ნაუბრევი“ დამაჯერებელი სიმართლითა და პოლიტიკური სიმახვილით ვამანაგდგრებელ ლაბეარს სცემს საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორებს. ის პირველწყაროს მნიშვნელობისაა და დიდ დახმარებას გაუწევს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და კომკავშირულ კადრებს, ჩვენს მეცნიერებსა და პედაგოგებს, პრესის მუშაკებს, პროპაგანდისტებსა და საკითხით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

გრიგოლ ბრეგაძე

ЭЛИСТАВЕРИ
ЗАКАРИЯ

КОТОВИЧ В. Г. ПРОБЛЕМЫ КУЛЬТУРНО-ИСТОРИЧЕСКОГО И ХОЗЯЙСТВЕННОГО РАЗВИТИЯ НАСЕЛЕНИЯ ДРЕВНЕГО ДАГЕСТАНА. М., 1982, 235 с.

Рецензируемая монография принадлежит перу безвременно скончавшегося в 1979 г. известного археолога-кавказоведа В. Г. Котовича. Она является итогом многолетнего изучения автором проблем древней истории и культуры Дагестана, достойно отражая широкий творческий диапазон и высокую эрудицию исследователя, много сил отдавшего делу археологического познания этого интереснейшего края. «Основная цель книги, — справедливо отмечает ответственный редактор К. Х. Кушнарева, — установить подлинное место Дагестана в древнейшей истории Кавказа на базе новейших археологических материалов». Приобретая тем самым очевидное общерегиональное значение, данная работа нуждается в оценке ее основополагающих выводов с учетом последних достижений как северокавказских так и, особенно, закавказских археологов, что мотивируется глубоко своеобразным положением Дагестана, через который издревле проходили пути, ведшие из Закавказья на Северный Кавказ и в степи Восточной Европы.

Содержание труда В. Г. Котовича отличается многоплановостью и насыщенностью спектра рассматриваемых проблем и вопросов. Структура книги оригинальна и нацеливает читателя на ознакомление с узловыми моментами местной истории, поставленными во главу угла исследования. Охватить все его стороны в одной рецензии не представляется возможным. Поэтому остановимся на наиболее важных, по нашему пониманию, аспектах работы.

